


# ჩვენი მექოლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

№21

13 ოქტომბერი 2006



სველი ვაზნები  
მესამე თვალი ჩემში  
ერთი მიჯნურობის ამბავი  
ყველაზე ჭირვეული მაყურებელი  
სახიფათო ჩანაწერები – ვისთვის?  
ფიურერის პირადი მდივნის ქართველი ექიმი

## შირვანისი

საზოგადოებრივი გვერდი	2	პომპი იყო ფამცუმისი
ჩვენი ქოფა, წარისოფელი	4	კახა კაციტაძე ახალი იაკოპინელიანი და საქართველოს მომავალი
ექსპრეს-ინტერვიუ	8	ზუსტი სიტყვა მსმენელამდე (საუბარი ეკა ტალახაძესთან)
პროგა	9	ცირა ყურაშვილი მასნავლე, როგორ გავხდე მნირალი
პირველი ჟობაჭილება	16	მაია ჯალიაშვილი ერთი მიჯნურობის ამჩავი
პრეზის	18	გივი ალხაზიშვილი ქორონივონი
პირველი ჟობაჭილება	22	მერაბ ღალანიძე გივი ალხაზიშვილის ცოდნასორგა
უცხოულის სხერვანიანი	22	ენრიკე ვილა-მატასი როი ჩანაცერი
გადი კაშისა	24	შორენა ლებანიძე რცდაათლების მარტორბის ერთი დღი გააძლიშვილი ციხეში (ფიურერის პირად მდივანს ქართველი ექიმი ჰყავდა)
დრამატურგია	27	ვოლფგანგ ბაუერი სიზმრების ზოკეი
ქაბიქისა	38	როსტომ ჩხეიძე მესამე თვალი ჩამავი
სხვა რაკერძი	44	ილია სიმანჩუკი შტატგარეშე ავტორი – ანტონ ჩახოვი
კინო	48	ელისო ერისთავი რეზო ესაქის „შერი“
რეარქტაჟი	51	სახიზათო ჩანაცერები – ვისტვის?
დატეატრი	55	(იოსებ ჭუმბურიძის წიგნის განხილვა)
უცხოული როველა	58	უან-მარი გუსტავ ლე კლეზიო როლამონდი
ნაქვესები	61	მახვილისიტყვაობის ნიმუშები
მოზარდა	63	შველაზე ჭირვეული მაყურებელი

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქტორი – (995 32) 95-23-24  
რეკლამა – (995 77) 48-12-24  
გავრცელება – (995 99) 93-18-52  
ფაქტი: (995 32) 96-20-62  
E-mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჟანიძე  
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი  
დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია  
კორექტორი – ნინო დეკანოძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე  
ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე  
გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: კეხვის ციხე

რეზო ესაქე



## პოპკი იყო ცამცუმისი

**ბალაზი ვიყო სათიბი,  
არა მწარიან ცელობა;  
ცხვრადვე მამყოფე ისევა,  
ოლონდ ამშორდეს მგელობა.**  
ვაჟა-ფაველა

თქვენი განწყობილებისა და ასოციაციებისა არ ვიცი და, „ქართულ ფოლკლორს“ რომ გადავიკითხავ, ზურაბ კიკნაძის ავტორობით გამოცემულ კიდევ ერთ წევნს, ძალაუნებურად წამომიტივტივდება ერთი პასაჟიც ოთარ ჩხეიძის ადრეული რომანიდან „ბურუსი“ და ამ ეპიზოდის გმირის პროტოტიპიც.

გროტესკულია ეს პასაჟი რომანის სტილისტიკის შესაფერისად და პროტოტიპი კი სოკრატ აპაზაისძისა კონსტანტინე გამსახურდია გახლავთ. მის პირვენებაში ისე-დაც ჩაბუდებულიყო – და იქნებ მომეტებულადაც – გროტესკული იქრი, მაგრამ ამჯერად პერსონაჟისა და პროტოტიპის შეპირისპირება კი არ არის საგულისხმო, არა-მედ ის შტრიხი, რომ: სოკრატ აპაზაისძის სახელი რამდენიმე ათეული წელია არ ჩამოდის ქართული პრესის არა-ერთი ფურცლიდან. ან ის წერს, ან მასზე წერენ. წერს ყოველთვის და წერენ ყოველთვის, წერენ ყველაფერს და წერს ყველაფერს, ყველა სფეროში გამოუცდია ბედი – პოეზია, პროზა, დრამა, კრიტიკა, თეორია – და განასახიერებს პარაქტიკისა და თეორიის მთლიანობასა და ერთსახეობას.

და კრიტიკოსები რომ ასტებიან, ლირიკაში თუ შეესევიან, ეპოსში შეასწრებთ, ეპოსში ჩაუსტებიან, დრამაში ისკუპებს, დრამაში გადაეჭრებიან, რომანში შევარდება, რომანს ალყას შემოარტყავამენ და თარგმანში ჩაიკეტება.

სატირულად წარმოისახება „მთვარის მოტაცების“ შემოქმედის ეს სასტიკი დევნა, უაღრესი ლაქონიზმით, მაგრამ სახიერად და ექსპრესიულად, მითუმეტეს, ამ შესევა-ჩახტომა-გადაჭრებს პოლიტიკური სარჩულიც ამოეკერებოდა და მეტი სიმინდვეც ამით მინიჭებოდა კრიტიკოსთა გამოლამქრებას, რასაც მწერალი იმ ხერხითაც იგერიებდა, რომ უანრებს შეუნაცვლებდა ერთმანეთს. გასაქცევი ყოველთვის ეგულებოდა და ამ მარჯვე შესაძლებლობას ხელიდან როგორ გაუშვებდა.

ამიტომაც არ გაანაწყენებდა „ბურუსის“ გამოქვეყნება და იქ საკუთარი თავის ამოცნობა კონსტანტინე გამსახურდისა.

მისი მხატვრული მემკვიდრეობა კი – თავისთავადი ღირებულების გარდა – გადარჩენის ძიების ამ დრამატული გზითაც იქნებოდა სანიმუშო და გასათვალისწინებული ყველასათვის, ვინც არავითარ ანგარიშს არ უწევს მოსალოდნელ საფრთხეს სიმართლის დამკვიდრებისას სალიტერატურო თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე.

რამდენიმე უანრისა თუ სხვადასხვა სფეროს არჩევა ასეთ დროს აუცილებელიც კი ხდება.

ერთგან შემოგესვეიან, მეორეგან შეასწრებ, იქაც გადმოგეჭრებიან, სხვაგან შევარდები, იქ ალყას შემოგარტყამენ და სულ სხვაგან ჩაკეტვაც მოგიხერხდება:

ვგრძნობდი, მიზეზს გამწარებით დაექებდნენ ახლა უკვე ჩემს დასალაშქრადაც, მიზეზად რომ „ზვიად გამსახურდის ბედისწერა“ გამიხდებოდა, ისტორიული ცდა, აღარც ეს მეეჭვებოდა, მაგრამ გასარიდებელიც საკმაოდ მეგულებოდა – ერთგან მომდგებოდნენ, მეორეგან გადავინაცვლებდი, იქაც შემომეჭრებოდნენ, სხვაგან გამოვიკეტებოდი – ისტორიული ცდიდან ესეისტიკაში, ესეისტიკიდან პუბლიცისტიკაში, პუბლიცისტიკიდან ბიოგრაფიული რომანიდან თარგმანში, ბიოგრაფიული რომანიდან...

მაგრამ მე რომ კონსტანტინე გამსახურდის გამოცდილებას ვითვალისწინებდი, ისინი – საქართველოს სახელმწიფო კანცელარიისა და მწერალთა კავშირის რჩეული ძალები – იმისი კრიტიკოსების გამოცდილებას ითვალისწინებდნენ თურმე და... სათითაოდ კი არ ჩამომყვნენ თითო უანრში, ერთბაშად მოხვიეს ხელი ჩემს ყველა თავშესაფარს და ლიტერატურიდან საერთოდ გამომისტურეს.

მაგრამ მეგულებოდა კიდევ ერთი სფერო, სადაც შეიძლებოდა მეტებნა მყუდრო სავანე და ასერიგად აღარავის შევერულებინე – მეცნიერება ზოგადად და ფოლკლორისტიკა კერძოდ, და მეგონა, რომ ამ სფეროში მოსალოდნელი კამათი არ გასცილდებოდა პროფესიული დასკუსიანალიზის საზღვრებს.

და აღარც პოლიტიკური სარჩული ამოეკერებოდა, ლიტერატურიდან გამოდების უამისა არ იყოს.

მაგრამ ნაადრევი აღმოჩნდებოდა საიმედო თავშესაფრის პონტის სიხარული.

გულუბრყვილობა – პოლიტიკური სარჩული ფოლკლორისტულ ძიებებს არანირად აღარ მიეწებებათ.

თურმე აქედანაც გამოვუსტუმრებივართ და ეგაა.

გამოვუსტუმრებივართ გარეგნულად გაცილებით უფრო მშვიდად და აუღელვებლად, ვიდრე მაშინდელი ორომტრიალი იყო.

თუ არადა, ჩაათვალიერეთ „ქართული ფოლკლორი“, რომელიც სახელმწიფებითაც და სულისკეთებითაც განზოგადებულ ნაშრომადა ჩაფიქრებული, გათვალისწინებულია ყველაფერი მეტ-ნაკლებად ფასეულა, რაც ამ დარგში შეემნილა – მონოგრაფია იქნება, ნარკვევი თუ ცალკეული დაკვირვება, და ამ ფონზე უწებლიერაც არსად გატარება ავტორს ჩემი გვარ-სახელი, დაკვირვებებსა და ნარკვევებს ვინ ჩივის, ნიგნების სახსენებელიც გაუქრია – ტექსტშიც და ბიბლიოგრაფიულ ნუსხაშიც.

გამოძევება ნეტა სხვას რას ჰქეია, როდესაც ხუთი წიგნიდან – დანარჩენებზე თუნდაც არაფერი ითქვას – ერთიც ვერ გააღწევს რეინის საცეცებს.

ვერც „ამირანის თქმულება“.

ვერც „მურმანის ტრაგედია“.

ვერც „არსენას ლექსია“.

ვერც „ორი შიომლა“.

ვერც „მოყმე, ვეფხვი, ყივჩალი“.

ვერც... ვერც...

გასაგებია, განა არა, ამდენი დამოწმება საგრძნობლად გადატვირთავდა „ქართული ფოლკლორის“ ძირითად ტექსტებისაც და ბიბლიოგრაფიასაც, მაგრამ, ვთქვათ, „ამირანის თქმულების“ ხსენება ასე ძალიანაც ვერ დააზიანებდა ამ წიგნის სრულყოფილებას, მითუმეტეს, ეს ის მონოგრაფია, რომელსაც საფუძვლად ჩემი სადოქტორო დისერტაცია დაედო და რომლის თაობაზეც ზურაბ კიკნაძე ამგვარ თვალსაზრისსაც გამოთქვამდა 1994 წლის 14 იანვრის „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე, რეცენზიაში „წიგნი ეჭვისა და გულწრფელისა“:

„ავტორი თავის წიგნს ეჭვის წიგნს უწოდებს. ეჭვი კი შემცირების დასაბამია. კიდევ: გულწრფელობის წიგნს უწოდებს მას. გულწრფელობა კი ის სათხეველია, რომელსაც უსათუოდ ამოჰყვება ჭეშმარიტება.“

ეს წიგნი ის საფეხურია, სადაც შემდგარი კაცი უკვე სხვანაირად ხედავს ყველაფერ იმას, რაც ჩევნამდე „ამირანიანმა“ მოიტანა.“

ეს დითორამბული პასაუი აბოლოვებდა იმ მსჯელობას, რაც ათვალისაჩინოებდა ამგვარი დასკვნის დამაჯერებლობასა და სანდოობას, მაგრამ გასულა ხანი და მკვლევარ-რეცენზიტის ცნობიერებიდან პირნმინდად ამოშლილა ეს შემეცნების დასაბამიც, მოსალოდნელი და გარდაუვალი ჭეშმარიტებაც და ის საფეხურიც, რომელსაც თურმე „ამირანიანის“ კვლევა-ანალიზი აუმაღლებდა.


ზურაბ კიკნაძის ამჟამინდელი გადმოსახედიდან ეს ყოველივე გაარაფრებულა.

და სხვა წიგნებსაც ეს ბედი გაუზიარებიათ.

ისე მაინც რა გადმოსახედია ამისთანა?

იქნებ ცამცუმის კოშკის მაგვარი ნაგებობაა, ამირანმა გარს რომ უარა და ერთხანს ვერ იპოვნა კარი მისი?

რა გადმოსახედია, რისი მსგავსია და... და ის უზომო გავლენაა, გემოვნების ის კანონმდებლობა, რომ კომისია აღარ იქმნება ჩევნს რეალობაში უიმისოდ, კომისიების საქმიანობისას კი გადამწყვეტი სიტყვა მისია და მისი და ლექტორების წმენდა უპირველე-



სად მას ამიტომაც მიენდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტში. და ახლა, ეტყობა, მოინდომა ზეგეგმით შეესრულებინა დაკისრებული მოვალეობა და ლექტორების წმენდას პროცესისათვის მკვლევართა წმენდაც ზედ გადაება.

ჩემი წიგნები, ჩემი ფოლკლორისტული ძიებანი ამ წმენდაში მოჰყვა.

განაჩენი მისი ხელიდან საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

... სხვა დროს იქნებ კიდეც გამსხერებოდა ქართული ზეპირისტყვიერი ლირიკის უსახელო

და ცოტა არ იყოს კომიკური პერსონაჟი, რომელიც აქეთ გორასა წიხლსა ჰკრავდა და იქით გორასა ძვრას უზამდა, ადიდებულსა დიდ მტკვარსა დააყენებდა და ყლაპს უზამდა, და შვიდ ლიტრა რკინასაც ისე გაღეჭავდა, ოდნავადაც არაფერი გაუძნელდებოდა... მაგრამ ახლა რა – ისე მომიწრა გზა მეცნიერების მამამ ფოლკლორისტიკისაკენ, საცალფეხო ბილიკიც არსად დამიგდო და ან ამ ლექსთან ვიღა მიმიშვებს ან სხვა ზეპირისტყვიერ თხზულებებთან.

კონსტანტინე გამსახურდიას კიდევ რა უჭირდა.

ლირიკაში შეესეოდნენ, ეპოსში შეასწრებდათ, ეპოსში ჩაუხტებოდნენ, დრამაში ისკუპებდა, დრამაში გადაეჭრებოდნენ, რომანში შევარდებოდა, რომანს ალყას შემოარტყამდნენ და თარგმანში ჩაიკეტებოდა.

თარგმანიც აღარ შემარჩინეს, ნინასნარვე ამომიკვეთეს ფეხი იქიდანაც, თორემ რა სიამოვნებით გამოვიკეტებოდი შიგნით და წუთისოფლის დრტვინვა-შფოთვა იღნავადაც აღარ შემაწუხებდა.

შვიდ ლიტრა რკინას გავდეჭავო, სულ უფრო მეტ ჯავარზე მოსულიყო ის უსახელო პერსონაჟი, რაც გორა გორისთვის შემოეკრა და მტკვარი ყლუპად გადაეძახა სტომაქში.

ცამცუმის კოშკი კი მოულოდნელად გამომტყვრალიყო ამირანის გზაზე.

წევრით ცასა სწოდებოდა.

და კარიც არსათ ება.

და გარს უვლიდა ლვთის ნათლული.

და შეუვალი მოჩანდა კოშკი.

და მობეზრდებოდა ბოლოსდაბოლოს ამირანს კოშკის გარშემო ტრიალი...

სამშაბათს, 17 ოქტომბერს  
უურნალ „ჩევნი მწერლობის“  
დარბაზში

გიორგი ლობჟანიძე  
წაიკითხავს სურებს

### ყურანის

ახალი თარგმანიდან

დასაწყისი 14 საათზე  
ჩუბინაშვილის №41

კახა კაციტაძე

# ახალი იაკოპინელები

## და

### საქართველოს მომავალი

\*

**განაზღაპანი კლას რინის  
წერილების ციკლზე  
„ახალი იაკოპინელების“ შესახებ**

„იაკობინელებიო?“ თანაც „ახლებიო?“. გაიკვირვებს მკითხველი. თანაც „ამერიკაშიო?“ ნამდვილად მეორედ მოსვლა ახლოვდება, ამერიკაში იაკობინელებს რა უნდათო. მავანი გილიოტინის გაცნობიერებული თუ გაუცნობიერებელი შეიძიო კისერზე ხელსაც გადაისვამს. მავანი იმ ბონაპარტობაზე დაინტებს ოცნებას, იაკობინელების შემდეგ რომ უნდა მოვიდეს. სხვა, ნაიგითხავს რა ამ წერილს და იფიქრებს, საქართველოშიც იაკობინელების ზეობა ხომ არ არისო, იმაზე ბჭობას დაინტებს, როგორ გაიტანოს აქტივები (იაკობინილებს შევიცარიაში ვერ გაექცევი, კარგად გვახსოვს, როგორ დაიპყრეს მათ ეს ქვეყანა და სახელიც კი გამოუცვალეს: ჰელვეციის რესპუბლიკა დაარქვეს).

იაკობინელების გახსენება ისეთ კონტექსტში ხდება, როდესაც რაღაც ცივილიზაციური ომის მსგავსი მიდის და ბენ ლადენი სიტყვა „ჯვაროსნებს“ პრაქტიკულად ყველა ქრისტიანის (და ეპრეველის) მიმართ იყენებს. გეგონება ინდიანა ჯონსმა ხორცი შეისხა და შონ კონირისთან ერთად უკანასკნელი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის ემზადება.

„და ვინჩის კოდის“ შემდეგ გრაალის თემის დამკვიდრება სრულიად ლოგიკურია. ტამპლიერები – რეალურად თუ ვირტუალურად – ჩვენი ცხოვრების ნაწილი ხდებათ. პოსტმოდერნული რეალობა უკვე საკუთარი თავის დესტრუქციას იწყებს, რასაც შედეგად რა მოჰყვება, უფალმა უწყის.

#### იაკოპინი უნივერსალიზაციის შესახებ

თუმცა ჯეროსნებამდე კიდევ ბევრი გვიყლია. ჯერ ჯერობით არც გოტფრიდ ბულონელი გამოჩენილა, არც ფრიდრიხ ბარბაროსა და არც რიჩარდ ლომბარდი. ჰო, ბუ-

შის შარშანდელი ვიზიტი თბილისში კიდევ შეგიძლია შეადარო იერუსალიმის მეფე ბალდუინ მეორის იდუმალებით მოცულ სტუმრობას, რომელიც 1121 წლამდე მცირე ხნით ადრე მომხდარა, იმ დროს, როდესაც დავით აღმაშენებელი თბილისის საბოლოოდ გასათავისუფლებლად ემზადებოდა. მაგრამ ამერიკული პოლიტიკური აზრის თვალსაჩინო წარ-



მომადგენელი კლას რინი ბუშის სრულიადაც არ მიიჩნევს ჯვაროსნად. რინის აზრით ბუში ჯვაროსანი კი არა, იაკობინელია, თანაც უბრალო კი არა, მთავარი იაკობინელი (აი, ისეთი, რობერსპიერი რომ იყო საფრანგეთის რევოლუციისას).

პო საკვირველებაო – კიდევ ერთხელ განციფრდება მკითხველი. როგორ იქნება ბუში მთავარი იაკობინელი, როდესაც იაკობინიზმი დიქტატურაა, ტირანია (საფრანგეთის რევოლუციის 200 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგად, რობერსპიერი – ფრანგთა უმრავლესობისათვის – ნაკლებად სიმპათიური აღმოჩნდა ვიდრე თვით ლუ XI, რომელმაც გვირგვინთან ერთად თავიც წააგო). და განა შეიძლება აშშ-ში, დემოკრატიის სამშობლოში, ტირანია სუფევდეს? ამას გარდა, რობერსპიერი ხომ მემარცხენე პოპულისტი იყო, ხოლო ბუშის მემარჯვენეობა ეჭვს არ იწვევს. განა ნეოკონსერვატიზმი, დოქტრინა რომელსაც ბუში უკავშირდება, მემარჯვენე ხასიათის არ არის? უკვე ეს ხომ არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ბუშის იაკობინისტად გამოცხადება აპრილი წარუმატებელ მცდელობად მივიჩნიოთ?

მაგრამ ნუ ავჩერადებით, მისტერ რინის არგუმენტებიც მოვამსინოთ, და ჩვენიც დაუშამატოთ.

მხოლოდ ამის შემდეგ განვსაჯოთ ვინ არის მტყუან-მართალი.

ბატონი რინი წერს: „ახლა უკვე ცხადი უნდა იყოს, რომ ჯერ მარტო საგარეო პროლიტიკაში შეერთებული შტატების პრეზიდენტი არ არის კონსერვატორი. იგი იაკობინელი ნაციონალისტია. შთაგონებულმა, წარმართულმა და გამაგრებულმა ყველგანმყოფ ნეოკონსერვატორთა მიერ, პრეზიდენტმა ბუშმა შეითვისა, გაანყიერა და აღმოაცენა იდეოლოგიურად შემტევი მისიონერული სული, რაც მეტად წააგავს იაკობინურ სულს, საფრანგეთის რევოლუციას რომ უძღვოდა. „თავისუფლებისა და დემოკრატიის“ პრინციპები მთელ მსოოფლიოში გააქვს ქველ ამერიკულ ძალას. ფრანგი იაკობინელებაც, საკუთარ თავში უნივერსალურ პრინციპთა ქველ რაინდებს ხედავდნენ. „თავისუფლება“ და ხალხის მმართველობა მათ პრინციპთა შორის იყო პატივდებული“.

ამ წერილის ავტორი კონსერვატიზმის დიდი თაყვანისმცემელია. თაყვანისმცემელია თუგინდ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მის სამშობლოს დამოუკიდებლობა,

ხოლო პირადად მას თავისუფლება (მათ შორის ამ სტატიის წერის თავისუფლება) სწორედ რეიგანის (და მისი მოკავშირე კონსერვატორ ტეოტჩირის) ადმინისტრაციის მიერ გატარებულმა პრინციპულმა პოლიტიკამ მოუტანა; პოლიტიკამ, რომელსაც შედეგად ტოტალიტარული საბჭოთა კავშირის დაშლა მოჰყვა (იმისდამიუხედავად, რამდენად ჰქონდა რეიგანის ადმინისტრაციას ამგვარი დაშლა ჩაფიქრებული). მაგრამ კონსერვატიზმისადმი სიმპათია ავტორს სრულებითაც არ აგალდებულებს თვალები დახუჭოს იმაზე, რასაც პატონი რინი ლაპარაკობს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ იაკობინელთა დიქტატურა გონებაზე აპელირებდა. ამგვარი აპელირება იქამდეც კი მიღიანდა, რომ რობერტი რომა ქრისტიანობის ჩანაცვლებაც კი მოინდომა ე.ნ. უზენაესი არსების კულტით.

იაკობინიზმის პირველი ნიშნად შეიძლება ჩავთვალოთ თეზისი, რომ არსებობს სოციუმის მართვის მხოლოდ გონების პრინციპებზე დამყარებული კანონები, რომლებიც უნივერსალურ ხასიათს ატარებენ და ერთნაირად უნდა განხორციელდეს ყველა ხალხებში. თუ ამ ხალხებს რაღაც მიზეზების, მაგალითად, უმეცრების გამო არ სურთ მიიღონ ამგვარ კანონებზე დამყარებული მმართველობა, მაშინ მათ ამ კანონებს რევოლუციური ხიშტებით ზურგგამარებული, რევოლუციური ინტერნაციონალი გაუმარებებს (გავიხსენოთ, რომ საფრანგეთის რევოლუციის წინამორბედ თეორეტიკოსებსა და მის მოღვაწეებს შორის მრავლად იყვნენ უცხოელები, რომელთაც წარმოდგენაც კი არ გააჩნდათ რიგითი ფრანგის, იმ „მიამიტ ჟაკის“ ცხოვრებაზე, რომლის ინტერესებისთვისაც უნდა მომხდარიყო რევოლუცია).

ბუნებრივია, რომ ამგვარი ტოტალური გაგონიერების, მთლიანად რაციონური წესრიგის პირობებში ადგილი ალარ იქნებოდა იმ ღირებულებათათვის, რომელთაც ტრადიციულს უნიდებენ: ოჯახის, ეკლესიის, სამშობლოსთვისაც კი. ყველა ესენი დაუნდობელ რაციონალიზაციას უნდა დაქვემდებარებონ და მხოლოდ ის ღირებულებები გადარჩენილიყვნენ, რომელიც ამ დიდ და გრანდიოზულ „ერთიან ეროვნულ გამოცდას“ გაუძლებდნენ. თანაც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ღირებულებები ერთიანი და უნივერსალურ უნდა ყოფილიყო და ერთნაირად ემოქმედათ საფრანგეთშიც და პარიზიც, სადაც საფრანგეთის რევოლუციიდან მცირე ხნის შემდეგ ამბოხებულებმა თავიანთი კოლონიტული ბელადი ნაპოლეონის დარად იმპერატორად გამოაცხადეს. ჭეშმარიტად უძლეველია ძალა უნივერსალიზმისა!

მოგვიანებით იგივე უნივერსალიზმი რუსულ ბოლშევიზმი განსხვაულდა. რუსმა ბოლშევიკებმა არად იღეს მათი საფიცარის – მარქსის მტკიცება, რომ მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია მხოლოდ იქ შეიძლება მოხდეს, სადაც პროლეტარიატი უმრავლესობას წარმოადგენს. ბოლშევიკებმა დაინახეს, რომ რუსეთში ხელისუფლება უბრალოდ ეგდო ქუჩაში, დაიხარენ და სახელმწიფოს მმართველობა ხელში აიღეს. თუმცა თავიდან თავიანთი ხელისუფლების მხოლოდ რუსეთზე განვიცხობას არ სჯერდებოდნენ და ომით დალილი ევროპის მასშტაბით

მოინდომეს ახალი წესრიგის დაფუძნება, რომელიც ამჯერად ათეიზმზე დამყარებული უნივერსალიზმის სახეს ატარებდა.

ბოლშევიკების ამოსავალი წერტილი ასეთი იყო: რუსეთის მოსახლეობა ბენელი და გაუნათლებელია, მას არ გააჩნია უნარი ჩანვდეს გონების ძალაზე დამყარებულ დიად პრინციპებს. ვიდრე რუსეთი ამ სიბრძლიდან ბუნებრივი ევოლუციით გამოვა, ძალიან დიდი დრო გაივლის. მაგრამ, საბედნიეროდ, ვართ ჩვენ, უმცირესობა, რომელმაც ვიცით ყველაფერი, ჩვენ ვფლობთ გონების ძალაზე დამყარებულ „მეცნიერულ იდეოლოგიას“ (ასე უწოდებდნენ კომუნისტი პროფესორები მარქსიზმს) და „ზემოდან“ ძალისმიერი გზით დავწერგავთ ჩვენს დიად, უნივერსალურ პრინციპებს (იგულისხმება ჯერ ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე, შემდეგ მსოფლიოს მასტაბით).

უნიფიცირებისაკენ სწრაფვა საბჭოური ტოტალიტარიზმის ერთ-ერთ უმთავრეს ატრიბუტთაგანი იყო. მარტო ის რად ღირს, რომ ერთი კანონით უნდა ეცხოვორა კულტურულად ევროპასთან ინტეგრირებულ ბალტიისპირელსაც, ჩინგისხანისა და თემურლენგის მემკვიდრე აზიელებსაც და ჩრდილოეთის ყინულოვან იკეანეზე პოლარული იომების მომვლელ ჩუქჩასაც და ესკიმოსსაც. მეტიც, საბჭოთა სწავლულთა თანახმად, არსებული ერგბის პიბრიდიზაციისა და გადადნობის გზით უნდა შექმნილიყო ის, რასაც კომუნისტურ სლენგზე ეწოდებოდა „ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობა – საბჭოთა ერთ“.

ამ ერს ტრადიციული ღირებულებების ნაცვლად სთავაზობდნენ ათეიზმს, რომელიც საფუძვლიანად იყო გაზავებული კერპთაყვანისმცემლობის ელემენტებით. მაგალითად, ყოველ „საბჭოთა ადამიანს“ აუცილებლად უნდა მოენახულებინა რუსული ბოლშევიზმის ბელად ლენინის მუმიფიცირებული სხეული, რომელიც კრემლის ახლოს ამ მიზნისათვის სპეციალურად აშენებულ მავზოლუმში იყო მოთავსებული.

საბედნიეროდ, დღევანდელი ნეოკონსერვატიზმი შორს არის მუმიების წინაშე პიეტეტის ანდა სახელმწიფოს მიერ ინსტიტუციონიზრებული უზენაესი არსების თაყვანისცემისაგან. მაგრამ დარჩა ერთი მომენტი – უნივერსალიზმი, იდეა – რომ მხოლოდ ის ფლობს რაღაც საკრალურ ჭეშმარიტებას, და სურვილი – სამყაროში განვრცოს ეს ჭეშმარიტება.

მეტიც, ახალი უნივერსალისტები, განსხვავებით ძველი იაკობინელებისაგან, უნივერსალიზმის დამკვიდრებისას ღვთის ნებაზე აპელირებენ.

ამასთან დაკავშირებით ბატონი რინი სრულიად სამართლიანად წერს: „ცალკეული ლიდერისა და ქვეყნის გაიგიება ღვთის ნებასთან უცხოა ქრისტიანული ტრადიციის მთავრი დინებისათვის, რის მიხედვითაც, ადამიანი ცოდვილია. ადამიანური ცოდნა, საუკეთესო შემთხვევაშიც კი არასრულყოფილია. თუმცა სახელმწიფო მოღვაწემ, ისევე, როგორც სხვებმა, უნდა განიწმინდოს თავი ბოროტ ზრახვათაგან, არცერთ კეთილი ზრახვების მქონე პიროვნებას არ უნდა შეეძლოს ამ უსაზღვროდ რომელიც უკურ ვითარებაში იმის განცხადება, განვჭვრიტელვთის ნება მსოფლიოს მიმართ“

ამგვარად განჭვრეტილ ღვთის ნებაში საქართველომ მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა. ის დემოკრატიის „შუქურად“ გამოცხადდა. სანაცვლოდ თბილისში ცოცხალი ადამიანის, ჯორჯ ბუშის სახელობის ქუჩა მივიღეთ, რაიც სხვა არაფერია, თუ არა განვითარების პრიმიტიულ დონეზე მდგომი აპორიგენისათვის დამახასიათებელი სტერეოტიპებისა და ცრურწმენების გამოხატულება (თუ ბოლო პერიოდის ამერიკის პრეზიდენტის სახელობის ქუჩა გვჭირდებოდა, და ალბათ გვჭირდებოდა, კარგი იქნებოდა რეიგანის სახელობის ქუჩაც გვქონდა). მან ეს ნამდვილად დაიმსახურა). მაგრამ ეს ცალკე საკითხია. მთავარია ის, რომ ამერიკელმა იაკობინელებმა ჩვენს ხელისუფლებაში მონათესავე სული დაინახეს. დაინახეს ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ეს ხელისუფლება არც იყო ხელისუფლებაში, თუმცა მის ნარმომადგენლებს მნიშვნელოვანი პოსტები ეჭირათ შევარდნაძის რეჟიმში.

### ჩვენი იაკობინელები

ცხადია, ქართული იაკობინიზმი ისეთი გავლენით და ისტორიით ვერ დაიკვეთის, როგორც ამერიკული. და მაინც, შეიძლება გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ის პოსტსაბჭოთა სიურცეში ყველაზე მეტობილი იაკობინიზმია. მას აქვს პრეტენზია – იყოს რაღაც მესამე ინტერნაციონალის მსგავსი გაერთიანება, რომლის შუქმაც უკვე გაასხივოსნა უკრაინა (თუმცა ამ ბოლო ხანს უკრაინას მოაკლდა სხივოსნობა) და ყირგიზეთი, და სხვა მომავალ რესპუბლიკებსაც უნდა უჩვენოს რევოლუციის ფერადოვნება.

თუმცა არ შეიძლება ხაზი არ გაესვას ერთ მომენტს: ქართული იაკობინიზმი ნეოკონსერვატულ კი არა, ლიბერალურ – ექსტრემისტულ თუ ლიბერალურ- ფუნდამენტალისტურ იდეოლოგიას ემყარება.

შეითხველი განცვილებება: როგორ შეიძლება ლიბერალიზმი ფუნდამენტალისტური ან ექსტრემისტული იყოს. მაგრამ ნუ დავივინებეთ რომ ეს საქართველოა, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ქართული იაკობინიზმის მმართველი ორგანო – „თავისუფლების ინსტიტუტი“ (რომლის არაფორმალური გავლენა შეიძლება იაკობინური კლუბის გავლენას შევადაროთ რობესპერის ზეობის პერიოდში). არასოდეს მალავდა, რომ ფორმით მაინც ბოლშევიკურ მიზანს ისახავდა. მისი ნარმომადგენლების აზრით, ქართული საზოგადოება ჩამორჩენილია და არ არის მზად ლიბერალიზმის დაიდი პრინციპებით იცხოვროს. ამიტომ საჭიროა ხელისუფლების ხელში ჩაგდება (ეს იდეები ჯერ კიდევ „გარდების რევოლუციის მდე“ ვრცელდებოდა „თავისუფლების ინსტიტუტის“ ნარმომადგენლების მიერ, ნაკლებად – საჯაროდ, უფრო მეტად პირად საუბრებში) და შემდეგ „ზემოდან“, სახელმწიფო და ადმინისტრაციული ბერკეტების გამოყენებით ლიბერალური საზოგადოების აშენება.

ერთი სიტყვით, ზუსტად ის ვითარებაა, რასაც ბატონი რინი აღნიშნავს: „თუმც იაკობინელები ხალხის სახელით, ხალხის კეთილდღეობისთვის მოქმედებენ, მიაჩნიათ, რომ ისინი, როგორც ქველნ და ღრმად მწვდომნი, უნდა

გაუძლვენ ხალხს იმ მიმართულებით, რა მიმართულებით წავიდოდა, თუკი ეცოდინებოდა ის, რაც ლიდერებმა იციან“.

ნებისმიერი იაკობინიზმი, მათ შორის ქართული, ემყარება იმ მისტიკურ წმინდას, რომ მისმა ადეპტებმა რაღაც ისეთი იდუმალი იციან, რაც მიუწვდომელია ბნელი მასასათვის. სიტუაციის პიკანტურობა ისაა, რომ ტოტალიტარული რეჟიმებისათვის დამახასიათებელი ეს წმინდა საქართველომი ლიბერალურ ლირებულებებზე ახდენს აკელირებას და ლიბერალურ ფრაზეოლოგიას მოიხმარს.

დღეს ამ ინსტიტუტის ნარმომადგენლები, რომლებიც აკონტროლებენ არა მხოლოდ აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას, არამედ მედიის საკმარისაც, გაუთავებლად ლაპარაკობენ ლიბერალური საზოგადოების აშენებაში მიღწეულ ნარმატებზე. ისინი მზად არიან დაიცვან ნებისმიერი უმცირესობის უფლებები, გარდა ერთადერთისა – პოლიტიკური უმცირესობისა, ანუ მათი, ვინც თავისუფლების ინსტიტუტის ლიბერალ-ფუნდამენტალიზმს არ იზიარებენ.

ნიშანდობლივია, რომ საჯარო დისკუსიებისას ჩვენი იაკობინელები ასეთ არგუმენტს მოიხმობენ ხოლმე: „ნუ უყურებთ ცალკეულ ფაქტებს, შეხედეთ ტენდენციებს“. ეს პაროდიაა ლიბერალურ ფასეულობებზე, რომელთა თანახმადაც, უმჯობესია ათი დამანაშვე გამართლდეს, ვიდრე ერთი უდანაშაულო დაისაჯოს. ჩვენი იაკობინელებისათვის მისალებია რობესპიერული თეზისი: დაე ათი უდანაშაულო დაისაჯოს, თუ ამას ერთი დამანაშვის დასჯაც მოჰყვება.

ამის შედეგად საქართველოში ისეთივე ატმოსფერო იქნება, რასაც ბატონი რინი აღნის: „დღესიათვის ყველგან: აკადემიურ წრეებში, გამომცემლობებში, უნივერსიტებში, რელიგიაში, ხელოვნებაში რადიკალური შეხედულებებია გავრცელებული და ისიც კი, ვინც დიდი ხანია დასავლური ტრადიციის ნიაღში ცხოვრობს, ვერ ბედავს ამ ტრადიციის დაცვას, რათა არ გამოიწვიოს რისხვა მათი, ვინც ამინდს ქმნის ზემოხსენებულ სფეროებში. თუკი მართლა გსურს დაუპირისპირდე აღმავლობაში მყოფ მორალურ, ინტელექტუალურ და კულტურულ ძალებს, არად უნდა ჩააგდო საკუთარი დაგვილი საზოგადოებაში, დაკარგო ჯილდოები, რაც დროის ფეხდაფეხ მიყოლასა და მისალებ მოსაზრებებზე მსაჯულთა კვერის დაკვრას მოაქვთ“.

მიმოხედეთ, შესანიშნავი დახასიათება იმისა, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება.

ქართული იაკობინიზმი, როგორც ყველა უნივერსალისტური რაციონალიზმი, მიმართულია ყოველივე ტრადიციულის წინააღმდეგ. მასზე ზედგამოჭრილია ბატონი იაკობინიზმის ის დახასიათება, რომელსაც ბატონი რინი იძლევა: „ძველი იაკობინიზმისა არ იყოს, ახალი იაკობინიზმიც არ უპირისპირდება ეკონომიკურ უთანასწორობას, მაგრამ თავს ესხმის ტრადიციულ რელიგიურ, ზნეობრივ, კულტურულ თავისებურებებსა და სოციალურ საშუალებებს, რაც ზღუდავს და წარმართავს სოციალურსა და პოლიტიკურ პროგრესსა და მეტისმეტ ეკონომიკურ აქტივობას“.

ჩვენი იაკობინიზმის იდეა-ფიქსია მათ პრინციპებზე მორგებული ადამიანების უსახური, ინდივიდუალობას

მოკლებული მასა, რომელშიც ყოველი ინდივიდი ისე ცხოვრობს, როგორც „სხვები“.

საქართველო გამარჯვებული იაკობინიზმის ქვეყანაა. განა მსოფლიოს უძლიერესი ქვეყნის პრეზიდენტმა არ და-ახასიათა იგი, როგორც „შუქურა“ და მისაბაძი მაგალითი სხვა ერებისთვის? ერთი ესაა, ეს გამარჯვება ძალიან ძირი ჯდება და გულისხმობს ყოველივე ტრადიციულის წალევას რევოლუციურ-იაკობინურ-ლიქერალ-ფუნდამენტალიზმით. ამასთან ყურადღება ერთ მოქმედზეა გასამახვილებელი: იაკობინიზმი მრავალსახაა, იდეოლოგიური პროტესტია. ის შეიძლება ეფარებოდეს ნებისმიერ იდეოლოგიას: მემარცხენეს (ფრანგული იაკობინიზმი, რუსი ბოლშევიკები), ნეოკონსერვატულს (ამერიკელი იაკობინელები) ან ლიბერალურს (ქართველი იაკობინელები). ეს ერთ უცილობელ ჭეშმარიტებას ადასტურებს: იაკობინიზმი არ არის პოლიტიკური დოქტრინა, ის არსებობისა და მოქმედების წესია, ადამიანური სულის ერთგვარი მდგომარეობაა, რომელიც ჩაეტილია კრიტიკული აზროვნებისათვის და მარად აგრესიულია განსხვავებული აზრის მიმართ.

## ლიდელ-ჰარტი – მეცე და მინასეარმატყველი

იაკობინიზმი, გინდ ძეველი გინდ ახალი, თავისი ბუნებით მოითხოვს ქარიზმატულ ლიდერს, ბელადს, რომელიც უნდა ფლობდეს ნინასნარმეტყველისათვის დამახასიათებელ ცოდნას და ბელადისათვის დამახასიათებელ ურყევ წებას. ამგვარი ბელად – ნინასნარმეტყველის გარეშე იაკობინელობა აზრს ჰქანავს. რა იქნებოდა ფრანგული იაკობინელობა რობესპიერის გარეშე, ან რუსული ბოლშევიზმი ტროცკის გარეშე? არც არაფერი!

ინგლისელებს ერთი მოაზროვნე ჰყავდათ: კაპიტანი ლიდელ-ჰარტი (მართალია ავადმყოფიბის გამო კაპიტონიბას ვერ გასცდა, მაგრამ ბოლოში რაინდობა მიიღო და სერ ლიდელ-ჰარტიდაც იწოდებოდა). ამა ლიდელ-ჰარტმა მრავალი საყურადღებო წიგნი მიუძღვნა პოლიტიკას, სამხედრო სტრატეგიას, ოპერატიულ ხელოვნებასა და ტაქტიკას.

მის ასპრომებს შორის ძირითადად ითვლება „სტრატეგია“. აქ ბრიტანელთ ბრძენი დაწვრილებით ეხება ჩვენთვის საინტერესო საკითხს. აღნიშნავს რა, რომ სტრატეგიის დაფუძნება ზოგადფილოსოფიურ, მით უფრო ეთიკურ პრინციპებზე ძალიან ძნელია. ლიდელ-ჰარტი წინ წამოწევს ადამიანური ყოფიერების ორ ტიპს, რომელთაც პირობითად „ნინასნარმეტყველი“ და „სტრატეგი“ შეიძლება ენოდოს. პირველი ჭეშმარიტებას დაღადებს, ხოლო მეორე – ვალდებულია ეს ჭეშმარიტება ფაქტიზად და ყველა ვითარების გათვალისწინებით გაატაროს ცხოვრებაში.

ლიდელ-ჰარტის ვრცელი ციტატა ამბობს: „არაპირდა-პირი მოქმედებების იდეა მჭიდროდ უკავშირდება ერთი გონების მეორეზე ზემოქმედების პრობლემას, რომელიც ადამიანური ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ოღონდ ეს იდეა მნელი შესარიგებლია მეორე პრინციპთან, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ჭეშმარიტ დას-

კვნებთან შეიძლება მივიღეთ ან მივუახლოვდეთ მხოლოდ ჭეშმარიტ გზაზე დგომით, იმის უგულებელყოფით, სად მიგვიყვანს ის და რა ზემოქმედებას მოახდენს ჭეშმარიტება სხვადასხვა დაინტერესებულ ძალებზე.

ისტორია იმის მონმება, რაოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ „ნინასნარმეტყველი“ კაცობრიობის პროგრესში, რაც ასაბუთებს, რაოდენ სასარგებლოა პრაქტიკული თვალსაზრისით სიმართლის თქმა ისე, როგორც შენ ნარმოგიდგენია. მაგრამ ისიც ცხადია, რომ მათი გამოცხადების შემდეგი ბედი სხვა ადამიანზე, „ბელადზეა“ დამოკიდებული. ამ უკანასკნელთ უწევთ იყვნენ სტრატეგები ფილოსოფიის სფეროში და მიაღწიონ კომპრომისს ჭეშმარიტებასა და ჭეშმარიტების აღემის ადამიანების უნარს შორის. მათი წარმატება ხშირად იმაზე იყო დამოკიდებული, რამდენად წვდებოდნენ ისინი ჭეშმარიტებას, აგრეთვე მათი პრაქტიკული სიბრძნიდან, რაც ვლინდებოდა მათ მიერ ჭეშმარიტების გაცხადებისას.

ნინასნარმეტყველებს ყოველთვის ქოლავდნენ, ეს მათი ხვედრია და კრიტერიუმი იმისა, როგორ ასრულებდნენ თავიანთ მოგალეობას. მაგრამ თუ ბელადს ქოლავენ, ეს ნიშნავს, რომ მან თავისი ამოცანა ვერ შეასრულა, ანდა საბრძნის უქონლობის გამო თავისი ფუნქცია წინასნარმეტყველის ფუნქციაში აურია. მხოლოდ დროს შეუძლია აჩვენოს, ამართლებს თუ არა ბელადის ეს მსხვერპლი, რომელიც მას როგორც ადამიანს პატივს დებს. ყოველ შემთხვევაში ის თავს არიდებს ბელადთა უფრო გავრცელებულ ცოდვას: შესნიროს ჭეშმარიტება მიზანშეწილობას საქმისადმი ყოველგვარი სარგებლობის გარეშე, რადგანაც ყველა, ვინც ახშობს ჭეშმარიტებას ტაქტიკის სასარგებლოდ თავისი გონების წიაღიდან მახიჯავ შობს“.

იაკობინიზმის ერთ-ერთი ყველაზე ნეგატივური ასპექტი სწორედ ისაა, რომ ლიდელ-ჰარტი არგანულად მოითხოვს ამგვარ მეფე-ნინასნარმეტყველს. თავისი არსებობისათვის ის საუკეთესო შემთხვევაში მმართველობის ავტორიტარულ ფორმას მოითხოვს, უარეს შემთხვევაში – ტოტალიტარულს. იაკობინებს აუცილებლად ჰყავს ბელადი, მეფე (რასაკვირველია, ეს მეფე კლასიკური ხანის რომისებრი რესპუბლიკური ატრიბუტიკით არის ალტერვილი), იგივე ბელადი და წინასნარმეტყველი. ის ამ ფუნქციებს ერთმანეთიდან არ გამიჯნავს. ლიდელ-ჰარტის არ იყოს, ვიღებთ ვითარებას, როდესაც „ბელადი“ თავს პოლიტიკურ ლიდერად კი არა, წინასნარმეტყველისათვის (რობესპიერის, მარატის, ლენინისა და ტროცკის ბედი ამ ბანალურ ჭეშმარიტებას ადასტურებს).

ბატონი რინის წერილები მოწოდება იმისკენ, რომ არ მოვდუნდეთ, არ მოვდუნდეთ ინტელექტუალურად, სოციალური აქტივობის თუ კულტურული საქმიანობის მიმართულებით. ყველაფერი არც ისე შესანიშნავადაა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს და არავინაა დაზღვეული, რომ ერთხელაც ახალ, შესანიშნავ სამყაროში მოვცვდებით, სადაც არა მხოლოდ ტრადიციული ლირებულებებისათვის აღარ იქნება ადგილი, არამედ საერთოდ აზროვნებისთვისაც.

# ზუსტი სიტყვა მსმენელაგდე

\*

**საუგარი  
ეკა ფალახაძესთან**

- ქალბატონო ეკა, თქვენს პროფესიულ არჩევანზე ორიოდე სიტყვა რომ გეთქვათ...

- მართალი გითხრათ, დებიუტი არა მქონია ჩვეულებრივი.

საგანგებოდ ცხადია არ დამიმთხვევია, შედეგის გამო უფრო დამამახსოვრდა. 1995 წლის 3 მარტს, დედის დღეს, მოვირგე ვარდისფერი სათვალე და - როგორც ამბობენ ხოლმე - პირდაპირ ქუჩიდან - გამოვცხადდი ბ-ნ ოთარ შაორშაძესთან ტელევიზიაში. თქვენთან მინდა მუშაობა დავინწყო-მეთქი.

- ვარდისფერი სათვალე მეტაფორულად ხომ არ ახ-სენეთ?

- არა, მართლა დიდი ვარდისფერი სათვალე მეკეთა. ბ-ნმა ოთარმა შემთავალიერა თბილი, მაგრამ ცოტათი ირონიული მზერით, კი ბატონო, გინდა და დაინწყეო. და აი, მეთერთმეტე წელია უურნალისტიკაში ვარ.

- უურნალისტი ცოტათი რომანტიკული და არტისტული, ცოტათი რისკიანი, აზარტული და გაბედული უნდა იყოს. რაღაც დოზით, ალბათ, ავანტიურისტიც...

- მაგრამ არ უნდა გაუულებდეს პრინციპულობისა და სიმართლის ძიების წყურვილი. უურნალისტობა ყოველ-დღიურ ჭიდილს ნიშნავს ცხოვრებასთან.

შეიძლება ითქვას, ნაბიჯ-ნაბიჯ ვავროვე პროფესიული გამოცდილებაც და რეპუტაციაც. ვმუშაობ წყნარად. ავანტიურა, თქვენ რომ ახლა ახსენეთ, მადლობა ლმერთს, არასოდეს დამჭირვებია. გამიგონია, კარს თუ უკეტავენ, ფანჯრიდან მაინც უნდა შეაღწიოს უურნალისტმა და მოიპოვოს მასალაო.

თავს ვერ გამოვიდებ, ასეთი გამოცდილება მაქვს-მეთქი და, სიმართლე გითხრათ, არც არასოდეს მომინა-დინებია, მსგავს ვითარებაში აღმოვრენილიყავ. უფრო შე-მოქმედებითი საქმიანობა მიზიდავს და მიმაჩნია ჩემეულად, ვიდრე სენსაციური ამბების მოძიება და ალრიცხვა.

- თერთმეტი წელი უურნალისტიკაში, მონაცელება ბა „ალიონიდან“ „პიკის საათში“, ანუ თქვენ გაგაჩნიათ, როგორც ტელე, ისე რადიოურნალისტიკის პრაქტიკა. გამოცდილებაც საკმაოდ დაგიგროვდებოდათ. სად უფრო საინტერესოა მუშაობა?

- ტელევიზიას შესაძლებლობა აქვს მრავალფეროვანი. ერთი კადრითაც კი შეიძლება ბევრი რამის თქმა. რა-დიო - ხმაა, ანუ ზუსტი სიტყვის მინვდენა მსმენელამდე.

უურნალისტობა, მოგეხსენებათ, ცოცხალი საქმეა. მრავალ საინტერესო, გამორჩეულ ადამიანს შეგახვედრებს. ცხოვრებისულ გამოცდილებასაც იგროვებ და იმ-რავალფეროვნებ. ტელევიზიაში „ალიონის“ ერთ-ერთი

ნამყვანი გახლდით. ხუთშაბათი ჩემი დღე იყო და ემთხვეოდა ბ-ნ როსტომ ჩემიძის რუბ-რიკას - ახალი წიგნების მიმოხილვას. ახლა პირიქითაა, ლიტერატურული სამშაბათობების რეპორტაჟებს მე წარვმართავ „პიკის საათში“. ძალიან მსიამოვნებს აქაურ ლიტერატურულ გარემოში. წიგნის მოყვარულთათვის „ჩვენი მწერლობის“ სამშაბათობები წმდევლად რომ ოაზისად აღიქმება.

- თუ იცით, რამდენად ძლიერია დღეს რადიოსადმი საზოგადოების სიყვარული?

- სხვათა შორის, საქართველოში დილა „პიკის საათით“ იწყება. რადიოს განსაკუთრებული გულითადობით უსმენენ რეგიონებში. თუმცა ზოგიერთ განაპირო რაიონში ამ თვალსაზრისით დროებითი დაბრკოლებანია.

მაუწყებლობა დილას ექვს საათზე ტრადიციულად საქართველოს პიმინი იხსნება. 30-40 წუთით ადრე ჩვენ სტუდიაში ვართ და სამზადისში. შეიძლება ღმილისმომ-გვრელი იყოს ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ასეც მომხდარა. მოუთმენლობის გამო, წინდაწინ დაურეცავთ და უთხოვნიათ: მაინც მანდა ხართ, შვილო, დაიწყეთ რალა.

- ყველაზე საინტერესო და ორიგინალურ გადაცემაზე მოყვით, აი, ახლა რაც გაგახსენდებათ...

- შეარშან ერთ კვირაში განხორციელდა პროექტი „მონატრება“. იდეა უეპრად გაჩნდა და ავიტაცეთ. სტუდიაში შინაურულად ესაუბრობდით, უცბად ვიღაცამ იკითხა: ნეტა, ღამით თუ ადის ვინმე მთანმინდაზეო. ერთმა თქვა, ქაქუცა ჩილოყაყილის საფლავი მოვინახულეთ ამას წინათ მე და ჩემმა ახლობლებმაო. განვიზრახეთ იმ სიწმინდიდან პოეზიის ხმა მიგვეწვდინა საქართველოსათვის. თანამზრახველებად შევბედეთ მურმან ჯინორიას, ლადონ კახაძეს, გურამ ლორთქიცანიძეს, ერეკლე საღლიანსა და თემურ ჩალაბაშვილს. იშვიათი რომანტიკული განწყობა რომ შევგექმნა, დავუძახეთ თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის კვარტეტს.

20 დეკემბერს ღამის 10-დან 3 საათამდე ჩვენ უკვე მთანმინდაზე ვიყავით. „პიკის საათში“ პრაქტიკაზე მყოფმა უურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა გაგოთქვეს და შემოვიეროთდენ თბილისელებიც.

ეს იყო დაუკინარებოლ დამე. ვიდექით დიდი წინაპერების საფლავებთან და ისე თავისთავად, ბუნებრივად და ღამაზად გადადიოდა სიტყვა, ლექსი და მუსიკა ერთმანეთში, რეჟისორს ჩარევაც არ დასტირვებია.

რეზონანსი? ძველით ახალ წელს გადაიცა და აღ-ფრთოვანებული თუ აცრემლებული მსმენელის ზარებს და გულითად სიტყვებს ველარ ავუდიოდით: ასეთ რამებე კიდევ ფიქრობენ ჩვენშიო?

ძალიან დიდი სურვილი გვაქვს პროექტი გავიმეოროთ პირიქითა ხევსურეთიდან.

ძველით ახალ წლამდე არც ისე ცოტა დროა...

**ესაუბრა  
ნინო დეკანოიძე**



ცირა ყურაშვილი

## მასწავლე, როგორ გავხდე მწერალი

- ან რაიღა ნინა უც კაცსა ამას?
- ჰრქვა მას ზანდან:
- ამისა შემდგომად – სიკვდილი  
და ჰრქვა იოდასაფ:
- და რაი არს სიკვდილი?

სიბრძნე ბალაჟვარისა

როცა მე ჩემი სიმშვიდის იმ დიდ მწვანე კუბოში მოვხვდი, რომლის შესახებაც შემდეგ არაერთს მოვუყევი, პირველი, რაც გავიიფიქრე – ეს იყო მომექებნა მასწავლებელი, რომელიც ამ მწვანე ლაბირინთიდან შუქნიშანთან მიმიყვანდა. ამ მასწავლებელს უნდა ესწავლებინა ჩემთვის, როგორ გაემხდარიყავი მწერალი.

მე ვიწყე ძებნა სამი მთის იქით და ოთხი ცის იქით და ვიპოვე ასეთი მასწავლებელი, სახელად იოანი.

– მასწავლე, როგორ გავხდე მწერალი, – ვუთხარი მე, როცა არაქათგამოცლილი მივლასლასდი მასთან.

– გამოვედ ქვეყნისაგან შენისა და ნათესავისაგან შენისა და სახლისაგან მამისა შენისა? – მკითხა იოანიმ, რადგან ეს იყო პირობა, რომლის გარეშეც ის არასდროს დამთანხმდებოდა მასწავლებლობას.

– გამოვედ! – ვუპასუხე მე.

– მაშინ ვილტვოდეთ! – მითხრა მან და ისეთივე დიდი და ძველებური გასაღები გადმომცა, როგორითაც მე ერთ დროს ქუთაისში ხელოვანთა კავშირის დარბაზს ვაღებდი მანამ, სანამ მაღალ გოდოლს ვაგებდით და სანამ გავითანტებოდით დედამიზის სხვადასხვა კუთხეში. იმ გასაღებითა და უცნაური შუქის წყალობით, რომელიც იოანის გარს ეხვია და გზას ანათებდა, მე შევძელო არამარტო შემეხედა პირველ თავში, არამედ კლდეში, ორი ლოდის ქვეშ გამოჭრილი უხერხული, ვინრო და სუნთქვის შემკვრელი გასასვლელით იმ გამოქვაბულში შევსულიყავ, რომელშიც ჩემი მასწავლებელი წლების განმავლობაში იყო დაყუდებული. როცა ამ ნახევრად ამოქოლილ, ვინრო გასასვლელში ჩაჭედილი გამოქვაბულში შესვლას ვლამობდი, მაშინ გამახსენდა, ერთხელ მზეში შემოდგომაზე მპზინავქერცლიანი პერანგი სწორედ ორ

ქვას შორის რომ ვიპოვე.

ამ ფიქრებით შევაბიჯე გამოქვაბულში და ირგვლივ მიმობნეულ უძველეს თივაზეც გადავიარე, ხოლო როცა ბაგაში დამქრალი ლამპარი აღმოვაჩინე, მაშინ მივხვდი, ოდესლაც და ყოველთვის რატომ მომინევდა გული ამ გამოქვაბულისკენ და რატომ არ მეზიდებოდა გული პირუტყვის ნაკელის სუნზე.

იოანიმ ლამპარში ზეთი ჩამისხა, ამინთო და მითხრა: აპა, შენ ალი, რომ რბილე, რამეთუ არა უნყი, თუ ოდეს დაშრტეს და ბნელსა შინა დაგიტეოს შენ.

არათუ ლოტს ვემსგავსო სილტოლვით, – ვუთხარი გახარებულმა, – არამედ იყდითს, როცა ის ბეთულიაზე ამაღლდა, რადგან სული ჩემი ერთხელ უკვე მიიქცა ლოტს ცოლად, დადნა ვითარცა მარილი და იქმნა ძეგლ შეუძრელ. მერე ლამპარი მაღლიერებით ჩამოვართვი, თაყვანი ვეცი და გარშემო ისე შემოვატარე, რომ საგულდაგულოდ დამემახსოვრებინა ეს ადგილი.

\* \* \*

ივდითიც მოგზაური გახდა, ოღონდ წინმსწრაფი. უგვანმა მეფემ, ლამის სოფლის ბატონ-პატრონმა რომ შემოთვალა – გამიმზადეთ მინა და წყალი, განრისხებული მოვდივარ თქვენზე, რომ დაგიბნელოთ ცისპირი, თუ მიწისპირი და ჩემს მეომრებს ავაკლებინო თქვენი სამეფო.

აქედან მცირე უამი გამოხდა. იმავე მეფემ (რომლის სახელში სამი სახელი გამოიჭრება და რისთვისაც მოიძულეს იგი მწერლებმა) ნაბუქოდონოსორ როს ნარსტყვევნა იერუსალემი და მუნით ოტებულნი ჰურიანი ქართლს რომ მოვიდნენ. ესეც რა შუაშია, მაგრამ ბარემ ამასაც ვიტყვი, სიცოცხლის ბოლოს ეს გრძელსახელა, დაკიდული ბაღებისა და ურიცხვი ომის ხელოსანი თხად გადაიქცა, რომ ჭეშმარიტად ან სიმდაბლის გამო ეხილა და ან თავადის მარცხნივ მდგარიყო. სამაგიეროდ მთელ ამ ამბავში მთავარი – მეფის მოკავშირე აშურის ლაშერის მთავარსარდალი, თლოფერნე გახლდათ. ის საცოდავი.

– გამიმზადეთ მინა და წყალი, გამიმზადეთ მინა და წყალი...

მტრის მეომრები, ეს ზრახვები და ეს გველები რამდენჯერ უნდა მოვიხელოთ გულის ხერელებში.

ან როდის შევძლებ, რომ შევიდე ჩემს გულის სახლში – ნეფის ქორწილში მიმოვიხედო ჩემი გულის სახლის კედლებით, დაჯდე ჩემ გულის სახლის ტახტზე, ვით დედოფალი და ვთქვა: მზე ჩემთან, დაბლა მთვარეც და ვარსკვლავები. წარვედით ჩემგან მტრის მეო-



მარნო – უკეთურნო გულის სიტყვებო, ჩემი მოთხორბის შემარცხვენელნო, ჩამოვედ ამ თქვენს სამტრედეში თეთრო მტრედებო, მამათქვენია ამ ქორწილში ნეფე ნათელი, დედათქვენია ეს სამტრედე – თქვენით იხარებს, ჩამოვედ ამ თქვენს სამტრედეში თეთრო მტრედებო, ამ სამტრედეში თქვენ ხელახლა დაიბადებით.

ალილო და ო ალილო და... ეჩდოხუთსუ დეკემბერსუ ქრისტექ დებად ბეთლემსია ო ალილო და... ჭყვიშეფ იკვირუანდესუ სასანაული ვძირითია ო ალილო და... ო ალილო და... მურიცხები ბარჩხალანდეს, ანათენდეს ბეთლემსია ო ალილო და ო ალილო და...

ვინ განაგებს ამ ჩვენს სიყვარულს, ან რატომ არის უთვალავი ცდომილებები ამ სიყვარულის სახელით და ამ სიყვარულში...

ვისაც ვუყვარდი, ის არ მიყვარდა, მე სხვა მიყვარდა და იმან, ვისაც მე ვუყვარდი წლების მერე გადამიყვარა, სხვა შეიყვარა. ვინც მე შევიყვარე, იმანაც სხვა შეიყვარა, ამიტომ გადავიყვარე ის, ვინც მიყვარდა და შევიყვარე ის, ვისაც ვუყვარდი, გადავუყვარდი და სხვა შეუყვარდა. ამასობაში იმან, ვინც მე მიყვარდა, გადაიყვარა ის, ვინც უყვარდა და შემიყვარა მე – ვისაც მიყვარდა. მეც გადავწყვიტე გადამეყვარებინა ის, ვისაც ვუყვარდი, გადავუყვარდი და სხვა შეუყვარდა და შემეყვარებინა ის, ვინც მიყვარდა, ვისაც სხვა უყვარდა და ვინც შემიყვარა. მაგრამ რომ დავთიქრდი, სულ დავიბენი, ამერიდა და ვეღარ გავიგე, ვინ მიყვარდა და ვინ არ მიყვარდა. ვის ვუყვარდი და ვის არ ვუყვარდი, რამდენად იყო ჩემი ნება გადაყვარება ან შეევარება, ან რისთვის იყო ეს ანგარიში: ამას ვუყვარვარ, იმას კი არა. და ვთქვი: როგორ გადავიყვარო ვისაც ვუყვარდი, გადავუყვარდი და სხვა შეუყვარდა და როგორ შევიყვარო მხოლოდ ის, ვისაც არ ვუყვარდი, სხვა უყვარდა და მე შემიყვარა. და ჰა, იყოს ეს სიყვარულიც, ის სიყვარულიც, სხვა სიყვარულიც და ჰავდეს იგი იმ სიყვარულს, ზეციდან რომ დაგვცერის მარად, რადგან ძნელია ადამიანის ყოფნა მიწაზე, რადგან ძნელია ეს სიყვარული და როცა ასე გადავწყვიტე, თავადმა მკითხა (იმ დიდ გზაზე ლამპრით ხელში გზას რომ ვადექი, ზამთრის ჩიტებიც ღობე-ებზე როცა გალობდნენ, თავადმა მკითხა): გიყუარმეა? – თქვი – გიყუარ მეა? – მე ვუპასუხე: ჰა, უფალო, უწყი... რაოდნენ.

ალილო და ო ალილო და... ალუსია მალუსია ღუჯ მიკობუ კალესია ო ალილო და... ჩქიმ მენძელი, ჯგირ მენძელი ჭიჭეს ქიმიკანთესია ო ალილო და ქრისტეს შობამ მეგახვამანთ შობაში მახორობელ ვორდათ-ოო.

არა, არ მოიკოჭლებდა ჩემი მასპინძელი, ის ყველაზე კარგი მასპინძელი იყო, რომელიც კი მიწაზე დამხვდა. ყველაზე დიდი მასპინძელი და მასნავლებელი ამ უცნაურ სამფლობელოსი. მისით გავყევი მე, ივდითი

გზას მონდომებით და შეუპოვრად, თვალახელილი ბრმის სიხარულით, რათა ჩემს მახვილს, როგორც ელვას, მტრის ქედი ორად გადაეკვეთა.

\* \* \*

ამის შემდეგ იოანი ისევ ნინ გამიძღვა და ჩვენ გამქვაბულიდან გვირაბში შევედით. წუთით მომეჩვენა, რომ ეს გვირაბი ძალიან ჰეგვადა თბილისის მეტროპოლიტენის ჩასასვლელებს. იმ ლამპრისა და იოანის შუქის წყალობით შევამჩნიე ფირნიში, რომელზეც ასეთი რამ ეწერა: შეხვალ – ინანებ, არ შეხვალ – მაინც ინანებ. მე ნინ ნარვდგი ნაბიჯი და იოანიმ მცითხა: სიძულვილისათვის თვისთა და ქვეყანათა ჩვენთასა შეხვალ-ა?

– ნუ იყოფინ! – მიუუგე მე გაბზარული ხმით – მხოლოდ შევას ბოროტი რეჟიმის მიერ ჩვენ ზედაცა მომავალისა ვნებისა და დახრცევისათვის მოღვაწებისა-გან...

აი, ასე, ჩემი სიმშვიდის დიდი მწვანე კუბოდან, რომლის შესახებ ზოგიერთს სიტყვიერად უკვე ვუამბე, კლდის ჭრილში შესვლისა და იმ გამოქვაბულის გავლის შემდეგ, რომელშიც მამაი იოანი დიდხანს იყო დაყუდებული, აღმოჩნდი გვირაბში.

დამავინყდა მეთქვა, რომ გვირაბის შესასვლელშივე მომინია გამეყიდა ჩემი სამოსის ლილები: ნება და თვითნებობა, ისინი მე ოქროზე გავცვალე. სამაგიეროდ, ჩემი მასნავლებლის, იოანის პატივსაცემად ვიყიდე სათნოების ყავილები: მორჩილება და სიმდაბლე, რომლებიც შემეძლო იმ ლილების ნაცვლად ლილკილოებში ჩამებნია. შემდეგ და ახლაც ბევრს ეპარება ეჭვი, ვიყიდე თუ არა მე ეს ყვავილები დანამდვილებით. მეც არაერთხელ შევეჭვდი, რადგან ის ყვავილები შემდეგ ვეღარსად ვნახე. მაგრამ ბუნდოვნად ჩამრჩა სხოვნაში, როგორ გადავიხადე ოქრო გვირაბის შესასვლელთან. თან რომ ორი ლილი ახლაც მაკლია სამოსზე? იმ დაეჭვებულ ადამიანებს რაც შეხება, რა უნდა ვთქვა? მე ბედმა გამილიმა, რომ ვიპოვე ისეთი მასნავლებელი, როგორიც იყო და არის იოანი, რომლის იმედით ლილებს კი არა, სიცოცხლესაც დავთმობდი. მათ კი ბედმა არ გაუღიმათ.

– ახლა რა ვწნა? – ვკითხე მასნავლებელს.

– ემსგავსე მოგზაურს, – მითხრა მან, – ფარულად გამოსცადე საქმე მუნ მყოფი სენთა შენთა... შეხედე.

და მე დავინახე მცირე შემოლობილში მდგარი ჯარისკაცი. არა, ის ურორა არ იყო, ძველ ბუშლატში გახვეული, მოკლე ბათინკებში მიჭერილი, მოკრუჩჩებული ფეხის თითებით, დაჩანაკავებული, მშეერ-მწყურვალი, ძალიან ჰეგვადა შევას რეჟიმის ჯარისკაცს, ისეთს, როგორიც მე კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის გადმოღმა ვნახე. კვერცხს რომ ეძებდა მეზობლებში, ნაჩუქარი ფულით რომ ეყიდა და ერბოკვერცხი შეეწვა.

– ვინაა ეს? – ვკითხე მასნავლებელს.

– ეს შენი სინდისია, – მითხრა მასნავლებელმა, შენი პირადი მცველი, შენი გუშაგი, შენი სულის ჯარისკაცი.

ამ დროს ჯარისკაცმაც მომერა თვალი, ჩემსკენ გადმოდგა სუსტი ნაბიჯები, ერთი, მეორე და შემოღობილთან წაიქცა.

– მოკვდა... – აღმომხდა მე.

– არა, – თქვა მასნავლებელმა, – უბრალოდ დაიღალა, რადგან მარტო დარჩა, როგორც პატიმარი. ის ხომ მთელი ცხოვრება გეძახდა თავისთან, გიხმობდა, გამხილებდა, არ გესმოდა და გეგონა შენი სიწმიდის გამო. დაცხრომილ იყო. ახლა კი მოსწყინდა, დაიღალა, ამიტომ აღარ გამხილებს.

ინვა ჩემი მეგობარი, ჩემი პირადი მცველი, ჩემი გუშაგიც და მეომარიც, ინვა დასუსტებული, მისავათებული, ძალაგამოლეული.

მინდოდა მივვარდნოდი, ფეხზე წამომეუენებინა, მინდოდა მეთქვა მილიონი სიტყვა, რომ ვიყავი ბრმა და ყრუ, როცა ზურგი ვაქციი, როცა არ მოგუსმინა, რომ ვიყავი მისი მინის ტალახი, მისი საცოდავი ნაწილი, მისი დაუვიწყებელი ტკივილი, მისი სამაჩაბლო და აფხაზეთი, დაკარგული, განნირული და გასხვისებული. მილიონს ვეტყოდი, მაგრამ მასნავლებელმა შემაჩერა და ხელით მანიშნა რაღაც არსებაზე. ხესაც ჰავავდა, ქალსაც ჰავავდა ჩამოყრილი ტოტებით თუ წინ გადმოხრილი თავიდან გადმოშვებული თმებით.

– ეს ვინ ქალია?

– ეს ქალი არ არის, ეს შენი სინანულია, – მითხრა მასნავლებელმა. მე შევხედე და მომენტა ეს სინანული. მერე, როცა „ქალმა“ ჩემს პირად მცველს მტკრიანი კალთები დაუბერტყა და მის შუბლს შეეხო, მაშინ ვიფიქრე: ეს ვინ ყოფილა, ეს სინანული?

და მე გულში ზეიმით ვთქვი: რაკი ჩემი პირადი მცველი გადარჩა, მისი თანხლებით მე გავივლი ყველა საფეხურს ამ გვირაბში და უსათუოდ გავალ შუქნიშანთან, როგორც ნამდვილი მწერალი.

აი, ასე დაიწყო ეს ყველაფერი.

\* \* \*

ასე შევაბიჯე სიზმრიდან სიზმარში და არც მახსოვს, რა დრო გავიდა, როცა დარაჯმა მითხრა: – გამოვედ, შეიღები გიხმობენ.

მე მიმოვიხედე ამ გვირაბში, სიზმრის სიზმარში და ვთქვი: აპა, დედა ჩემი და აპა, მამა ჩემი და აპა, შვილები ჩემი.

– დედა, სახალხო მოძრაობაა საქართველოში, ჩვენ კი კუბოში ვართ, – თქვეს შვილებმა.

– ყველაზე დიდ ომს ადამიანი თავის თავთან იგებს. მე საკუთარ თავთან ანგარიშსწორების დრო დამიდგა. თქვენ კი, თუ ეს მოძრაობა დამარცხდა, თუ დამარცხდა, გავა დრო და სამნი მიხვალთ ერთის ნაცვლად და ხმას მისცემთ შევას ბოროტი რეჟიმის წინააღმდეგ, – ვუთხარი მე.

\* \* \*

ჩავდგი თუ არა ფეხი ესალატორზე, უფრო სწორად იმ დროს, როცა გადავწყვიტე გავმხდარიყავი ნამდვილი მწერალი და დამეწერა ნამდვილი მოთხრო-

ბა, იოანიმ მითხრა ჩემს და ჩემი მოთხრობის მტრებზე: მტრის მეომარი – ცათა შინა შფოთის ამტებნი პირველ გონების დაბნელებად მოისწრაფიან და მერმე ვინადგან გონება დაგიბნელონ, რაიცა ენებოს აქმნევენ. რამეთუ უკეთუ გონების თვალი არა დაგიყვნიან, ვერ წარგიპარონ საუნჯე იგი. არ გაიკარო, არ თანაუგრძნო, არ შეითვისო ეს გველები, იქცევიან ასიათასად, დაგინგრევენ კეთილწყობილ სულის სამტრედეს, თავს წამოყოფენ მუდმივ ჩვევად და ხასიათად და გამაფრთხილა, განსაკუთრებით შევბრძოლებოდი ეკლიან ბალახთან ჩასაფრებულ მზვაობრობის გველს. – არ დაუთმო მზაკვარს, – მითხრა იოანიმ, – მაშინაც, როცა ლამაზად შეიმოსები და მაშინაც, როცა ძევლმანებს შეიმოსავა; მაშინაც, როცა მითხრობის წერას დაიწყებ და მაშინაც, როცა ამას ყველაფერს განასრულებ. თუნდაც მარადის გამარცხებდეს, მარადის მზად იყოს შენი ქუსლი მისი თავის გასაჭეჭყად, რამდენჯერაც არ უნდა წამოყოს თავი წყუულმა, რადგან მის კისერზეა პოეტთა გულისშემაწუხებელი სევდები, სიგიურები და თვითმკველელობები. – და მასნავლა, როგორ გავმკლავებოდი ამ გველებს. პირველად პირადი დაცვა უნდა გამეძლიერებინა, რადგან ამ საქმეს მხოლოდ ერთი ჯარისკაცი – სინდისი არ ეყოფოდა, სხვა მშველელებიც მჭირდებოდა – მაცნე ჯარისკაცები – სახელებად სიფხიზლე და გონიერება და სამტრედეს წინ აღმართული ორი გოდოლი, ბორბლებიანი ორი კოშკი მტრის მეომრებზე საკადრისის მისაგებელად.

და როს ივლითის მახვილივით აღმართები, – მითხრა იოანიმ, – და ეს მახვილი როს მიაგებს შენს მტერს მისაგებს, შენი ლოცვები – ეს მტრედები და ეს ფურცლები გაფრინდებიან თავადისაკენ.

ავიღე ისევ ჩემი ლამპარი, გავუდექი გზას, თან მტკიცედ გადავწყვიტე შევბრძოლებოდი ჩემი მოთხრობის მტრებს, როცა ჩემსკენ დაიძვრებოდნენ. მხოლოდ მტრედები, თეთრი ფურცლები, აღარც მტრები და არც მეგობრები, – ვთქვი ჩემთვის.

მაგრამ არ მახსოვს, რა დრო გავიდა, ან როდის და როგორ შემოსრიალდა, ვით ძილბურანი და ტკბილად მიჩრუბულა: სამოსლითა შეგმოსავ ჭრელითა თითოვერით და შენ რომ ლიტერატურული კაფე მოგზონს, იქ მოგზობ ამ მოთხრობის პრეზენტაციას, ჩაგაცმევ ფეხზე სანდლებ, შეგაბამ ფარლულა სამაჯურებ ხელთგაგიყრი, ბეჭდებ და საყურეებ გაგიკეთებ, იქნები ივლითივით ამაყი ქალი – ქალდეველთა შთამომავალი.

მივდივარ, თუ მძინავს, თუ რაღაცნაირი ძილბურანია და ვტკბები... ივლითივით ამაყი ქალი.

თითქოს ვილაცამ ხელი მკრა. უთუოდ ერთ-ერთი გუშაგი იყო. სანყალი! ალბათ რამდენ ხანს მეჯაჯგურა, სანამ შემაცხიზლებდა. გავახილე თვალი, ვხედავ ლამპარი დაქრობის პირასა. თურმე მძარცვას ეს გველი – მტრისგან მოგზავნილი მსტომარი, მტრებს ბნელში. მაშინვე გამოვფხიზლდი და გუნებაში ვთქვი:

იოანი, მიშველე, ზეთი მითავდება. ჩემმა მასწავლებელმა თუ გულისხმაჲყო – მაშინვე აინთო ლამპარი. მე სად მახსოვდა მახვილი, ხმალი, ხაჯალი, თოფი და არც შურდული გოლიათის დამმარცხებელი, რისხევით ავყვირდი: წა-დი, წა-დი, გა-და-დე-ქი, გა-და-დე-ქი.

და ვთქვი: ვუპოვო იქნებ წამალი ამ ჩემს სამეფოს, როცა ის ზვავობს, ავდგე და დავაწერო კედელსა ზე-და კატაკომბისასა სახელები სრულთა მწერალთა.

ავდექი, მივანათე ლამპარი გვირაბის კედელს და დავაწერე დიდი ასოებით შემდეგი სახელები: იოანი, სვიმეონი, სილუანი, თეოფანი, სემუელი, უილიამი და პერმანი. მერე დავბრუნდი ჩემს თავში და ვუთხარ ჩემს თავს: – გვალე, წარვიდე სამხილებელისა მი-მართ, მივიდეთ და აღმოვიკითხოთ სახელები იგი.

მივედით სამხილებელ კედელთან და ამოვიკითხეთ და მაშინ ვუთხარი ჩემს თავს: პოლი საწყალობელო და პოლი უგუნურო, რაჟამს ესე ყოველი მოიგნი, რაც მათ მოიგეს, მაშინ ჯერეთ შორსვე ხარ ნამდვილი მწერლობისაგან, ვითარც ნეკნის ნარჩენი, ხოლო ვინათგან ფრჩილისოდენი ამათგანი ჯერეთ არა გაქვს, ვითარ ზვაობ?

## ავტორის მესამე დარაჯის გულისიტყვები

ჩვენ არ ვიცოდით, რას ფიქრობდა იოანი, ან რა-ტომ გამოიყოლა ამ გვირაბში ქალი, რომელიც ვერ ხედებოდა, რომ ეს გზა თავის ეკალ-ბარდით მხოლოდ რჩეულთათვის გამზადებულა. და საერთოდაც, ეს გვირაბი არ იყო, უფრო გრძელ, დახვეულ და უცნაურ ბალს ჰგავდა და ეს ბალი მოუვლელი, სავსე გველებით, სავსე მსტოვრებით წინ გადაუშალა იოანიმ ავ-ტორს. ქალი კი უცნაურად იქცეოდა, ხშირად არათუ ვერ ამჩნევდა ბალის ბინადრებს, უფრო მეტიც, გაურბოდა მათ დანახვას და სანაცვლოდ აკვიატებულ სიტყვების სახლში იმაღლებოდა. ვინ აღიმართებოდა, ვინ ივდითი, რის მახვილი?! ქალი საწყალი მსტოვართა წრეში და ეს მსტოვრებიც – ცათა შინა შფოთის ამ-ტეხნი – ჰადესს ბინადარი ძალები, მარად მზად-მყოფი წვდომოდნენ ყელში.

\* \* \*

მალე შენს ბალში შევალთ, – მითხრა იოანიმ, – და როცა იმ ბალს იხილავ, ალარ გეცლება საჯარეში გა-მოსასვლელად, არც წყაროსთან ჩამოსაჯდომად, რა-თა განკითხვის ქვიშა მიაყარო გამვლელ-გამომ-ვლელს. ხეთა შრიალი, ბალის სუნთქვა დაიძრება რადგან გულამდე. შეიყუუბი შენს სამტრედები, კარს მიიხურავ და ხეობიდან დაძრულ ქარებს მიაურადე. მივდიოდი და მივიჩქაროდი, რათა მენახა ჩემი ბა-ლი, სადაც იდგა ჩემი ბალი, სადაც იდგა ჩემი ცხოვრების ხე, ჩემი სიცოცხლის შრიალა ხე და ყველაფერი

მეწეოდა ამ ბალისკენ: არიადნეს გორგალიც, ნატ-ვრისთვალიც, მფრინავი ხალიჩაც.

– მოვედით, – თქა იოანიმ, – აი, ბალიც.

მაგრამ სად იყო ბალი, რის ბალი, ერთი გაძრცვილი, გავერანებული ადგილი იყო გამხმარი ტირიფებით, გამხმარ-გაშეშებული ყვავილებით და ქვენარ-მავლებით.

შევცბუნდი, გავწითლდი, როგორც მჩვეოდა და ვთქვი: ეს არის ჩემი ბალი?

იოანიმ შემხედა, მერე შორს გაიხედა და თქვა – ეს.

მოვიჩქაროდ გახარებული, ბალი მქონდა მეგონა ცვარდანამული თუ ნამგადაკრეფილი, როგორც პოე-ტები იტყონენ ხოლმე. ხორჩ ყვითელ-მწვანეში არქ-ული, ფერად-ფერადიც, გულგასახარად სურნელია-ნი, ეს კი, ეს ჩამხმარი, ეს უდაბური, გველებით სავსე ჩემი ბალი როგორ იქნება?

იოანიმ – დიდმა მასწავლებელმა კვლავ შემომხედა თავის ყოვლისმხედველი თვალებით და დაბეჯითებით გამიმეორა – შენია.

და მაშინ ვთქვი: რისთვის მოვსულვარ მე ამ მინაზე, მაშინ, როდესაც მინა გადახმა და ახლა უნდა პასუხი ვაგო როგორც ფოთოლმა, ანდა ბალახმა.

– არა, – მითხრა იოანიმ, – დრო არაფერ შუაშია, ეს ბალი შენი დაუდევრობის გამო გადახმა, რადგან აღ-ზევდი შენს ფიქრებში, შეჭამე შენი ფოთლები, დაღუ-პე ნაყოფი და დარჩი გამხმარი ხესავით.

მაშინ ვთქვი: აქ დაგსვამ წერტილს, გავბრუნდები უკან და მუხლებში ჩაგვუარდები ჩემს მკითხველს, რადგანაც სული გავუმნარ უნუგეშო ისტორიებით, რადგან შეცდომებით აიგოს ჩემი ცხოვრების წიგნი, რადგან შეცდომა იყო ეს გზაც, ეს გვირაბიც, ეს ბა-ლიც, შეცდომა იყო ჩემი მწერლობა და ეს მოთხობაც არის შეცდომა. შეცდომა იყო ბრძის ხეტიალიც, შეც-დომა არის თვალის ახელაც, აღარ მაქეს ძალა, მე ისევ ბრძმა ვარ, მე ამ ბრძოლაში აღარ შემოვალ.

– არ დანებდები, – თქვა იოანიმ, – მტრის დანებება კვლავ ძეგლად გაცემეს, რაც უნდა ყველა მზემ გა-დიმზეოს და მთვარეებმაც გადაიმთვარონ, შენ მწე-რალი ხარ და გეკისრება მტრისთვის მოჭრილი თავები თვალო.

ასე გავყევი დიდ მასწავლებელს ჩემს სათნოებათა ბალში გულმოკლული.

\* \* \*

ეს ტირიფები სინანულის ტირიფებია, – თქვა იოანიმ, – უწყლობითა და უცრემლობით ფესვებგამხმარი, ეს ქრისტესცრემლა გადამხმარი გლოვის ყვავილია, ეს ქრისტესსისხლას ყვავილები კი სისხლის ხსენებაა, თავადის სისხლის და სულ სხვა სისხლის და რამდენჯერაც არ უნდა მოკვედეთ, იმ სისხლს მაინც ვერ გადავიხდით, ვერ გადავიხდით, ვერ გადავიხდით. ეს დუმფარები დუმილის ყვავილებია – მისი თვალების გუბურებიდან გადმორგული და ეს მსხვრევადი თეთრი შროშნები – სიმშვიდისა და სისპეტაკის სათ-

ნოებანი. აქ კი შეხედე – მორცხვი მიმოზა. და იოანიმ პატარა, ხმობაშემდგარი მცენარის წინ დამაყენა, რომლის მოგრძო ფოთლები მართლაც ჰგავდნენ მიმოზის ფოთლებს – დააკვირდი, ნახე როგორ გგავს. უთხარი რამე, აბა, ერთი უსაყვედურე!

მზად ვიყავ მთელი ჩემი ჯავრი მასზე მეყარა და ამიტომაც მივმართე ყვავილს: ურცხვო, ბოროტო, ცოდვილო მონავ, ნუთუ ვერ ხვდები, დედამინას როგორ ამძიმებ? აგჭრი, აგუნავ შავტარიანი დანითა, ჩაგაგდებ გარესკნელის მდუღარე ქვაბსა, ნაკუნებს... ნაფოტებს გავატან სტიქსის წყალსა... ვუთხარი ეს რისხვით და რას ვხედავ: მოიხარა ეს საწყალი მცენარე, მოიყუჭა, მოკუჭა ფოთლები, დაპატარავდა და ლამის მინაში ჩაძვრა საწყალი.

და აქ მოულოდნელად გამახსენდა, რომ ეს შავტარიანი დანა, ქვაბი, მდუღარე, ხარშვა – ჯადოსნური ატრიბუტიკის ნანილი იყო, იმ ჯადოსნობის, რომლის მსგავსი არაერთხელ გამეგონა და წამეკითხა. ეს სიყვარულზე მოძალადენი, სიყვარულის



მხატვარი ლევან მუხაშვილი

ძირის გამხმობის ხომ ყველგან იყვნენ. კედლის ხვრელების სიბინძურით ამომქოლნი და კაცის ბოტასებში წიპწების ჩამერებელი. ნეტა ისინი საპრეზიდენტო არჩევნებში თუ მონაბილეობდნენ? მე ვიცნობდი ერთ ქალს, მასზე ამბობდნენ, მიცვალებულთან ბოლო იმიტომ რჩება, რომ ყინულის დნობისას ჩამოწვეთილი წყალი ქილით ხელს გააყოლოსო. მე არ მინახავს, მართლა იპარავდა თუ არა მიცვალებულის წყალს, მაგრამ ვხედავდი, ნელ-ნელა როგორ გაუცივდა თვალები, როგორ წაეწეტა ნიკაპი და ზღაპრის ერთ ცნობილ, უსიმპათიო პერსონაჟს და ემგვანა.

ეს და კიდევ ბევრი რამ იმ დროს და სხვა დროს გამახსენდა და ეს ბატარა მცენარე მაშნაც და მერეც ისე შემეცოდა, როგორც გადაგრილებულ თონეს ცეცხლში ჩაბუგული ჩალა და ვუთხარი: ხელში აგიღებს ჩემი თავადი, დიდი ქალაქის ხუროთმოძღვარი ქალაქის ნიში მიგიჩენს ადგილს, თუკი გაუძლებ ყინვებს და თოვლებს, თუკი გაუძლებ წვიმებს და ქარებს და თუ გაუძლებ მზეებს და დღეებს ან ბრალიანებს, ან უბრალოებს. ვუთხარი ეს და რას ვხედავ: წამოიმართა ნელ-ნელა ეს პატარა მცენარე, ასწია ეს პანია ტოტები და გაიმართა ნელში.

ახლა ამას შეხედე, – მითხრა იოანიმ და ბუერას ფოთლები დამანახა. უცნაური იყო, რომ ამ ბაღში, სადაც ყველაფერი ჩამხმარ-ჩათუშულიყო, როგორ მწვანედ, ხორციანად, სავსედ და ქედმაღლურად გამოიყურებოდნენ ეს ფოთლები.

ეს ბუერა შენი დიდების წყურვილია, რომლის ჩრდილქვემაც დასუბულა მორცხვი მიმოზა და გარს უვლიან მზვაობრობის მწვანე გველები, ისინი, ვისზეც გაფრთხილებდი განსაკუთრებით და თუ გინდა ძირი გაუხმო, თვითშეფასება ამოძირკვე – სიბლის სათავე – უკუაქციე სხვათა შეფასებებიც, რომლებიც, როგორც თვითშეფასება, არასოდეს არ არის ზუსტი და დაელოდე, თუ რას გეტყვის შენი თავადი.

ახლა დაიხარე და ეს მოთხარე, მის სანაცვლოდ ეს ნერგი დარგე, – მითხრა იოანიმ და რაღაც დაბალი, პატარა ნერგი მომანოდა.

მე დავიხარე, დიდხანს ვეჯაჯვურე ამ ლონიერ მცენარეს, მერე სანაცევროდ ამოვაგდე ისე, რომ კინაღამ წავიქეცი და როცა მინაში სანაცევროდ

ჩარჩენილ ფესვს დავაკვირდი, გამეცინა – ეს ვეება მცენარე ჩემი თავმოყვარეობის პატარა, ჭიებით შეჭმულ და დამპალ ფესვზე ამოზრდილიყო.

ამის მერე წყნარად, ნელ-ნელა და გულმოდგინედ ვმუშაობდი. ამოვთხარე დიდი ორმო. შიგ შავი მინა ჩავყარე. ორივე ხელით ავიღე ნერგი, მივბრუნდი აღმოსავლეთისკენ პირით და ვთქვი: სახელითა მამისათა... მერე ჩავუშვი ნერგი ორმში, დავაყარე მინა, მოვუტყებნე თავი და ვთქვი: იხარებს.

იმ ბალის მოვლა, რომელიც იოანიმ დამაკისრა, უძნელესი საქმე იყო. ეს ნიშნავდა გამეცოცხლებინა სათხოების ყველა მკვდარი ყვავილი, ამომეთხარა ვნებათა სარეველები, გამენადგურებინა ქვენარმავლები, რომლებიც ირგვლივ ყველაფერს შეხამავდნენ და თავნაწყვეტილი ბალის იქით გადამეყარა და მე ავმოქმედდი. ოღონდ ეს ამოქმედება უფრო უშედეგო მინყდომ-მოწყდომას ჰგავდა და ცოტა ხანში მივხვდი მთელი ჩემი საქმიანობის უაზრობას. მაშინ გადავწყვიტე ამომერჩია რამდენიმე, მხოლოდ რამდენიმე, რომელთაც თავს დაატყდებოდათ ივდითის მახვილი, რაც ნელში გასტეხდა მტერს. მერე კი მათი დამარცხება აღარ იყო სათუო და ეს ნიშნავდა, რომ ჩემი მოთხოვობა უსათუოდ შედგებოდა.

ეს იყო უმძიმესი საქმე, უძნელესი, მათ შორის, რომელიც კი მე ოდესმე მიკეთებია. თავბეჭდს ვიწყევ-ლიდი ამ გვირაბში, ამ ბაღში შემოსვლისთვის, იმის-თვის, რომ ხელი მოვკიდე ისეთ საქმეს, რომელიც მა-ვალდებულებდა მტრისათვის თავები კიდეც მომექრა, კიდეც დამტოვალა და ალმენერა. ეს მოითხოვდა ჩემ-ში ბევრ ივდითს, მე კი ერთი ივდითიც არ ვიყავი. ბე-რჯერ გადავწყვიტე უკანვე გავბრუნებულიყავ ჩევუ-ლებრივ სიმსუბუქეში, სადაც აღვწერდი მზეში ტყემ-ლის ხის ყვავილობას, მაგრამ რაღაც ძალა კვლავ ნინ მიბიძებდა და რა იყო ეს რაღაც ძალა, თუ არა ის, რომ გვირაბის თავში ჩემი ხუროთმოძვარი მელოდა, ჩემი მთავარსარდალი, ჩემი თავადი და სანამ მისი სისხლი, მისი ხორცი, მისი ოფლი, მისი ცრემლი ჩემში ბრუნავდა, ამ კატაკომბში უსახელოდ ჩამარხვა არ მსურდა.

ასე გადავწყვიტე კიდევ ერთხელ და მარადის დავ-დარაჯებოდი ჩემი გულის ზღურბლზე შემოპარულ მტრის პარტიზანებს, ამ საიდუმლო განმზრახველებს მკრეხელური, მრუში ზრახვების, რომელთაგან ზოგი-ერთი ჩემში მტრის მიერ საგანგებოდ იბადებოდნენ ნარმოდენებად, ვარაუდებად, სურვილებად, მოგო-ნებებად და მათზე მიმეტანა იერიში.

სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველისაგან (რომელმაც მომცა კომპასი ჩემი მასწავლებლის საპოვნელად) ვი-ცოდი, რომ გულის ეს ზრახვები, საერთოდ ყოველ-გვარი სახის ოცნება და განსაუთრებით ფარტაზიები მაბნელებდნენ და ჩემში ხურავდნენ იმ კარს, რომელ-შიც რიგრიგობით წითელფეხება პარია არსებები უნ-და შემოსულიყვნენ. მათ ნისკარტებით უნდა მოეტა-ნათ სატრფიალო ბარათები თავადისაგან, იქნებ მო-დიოდნენ კიდეც, აკაკუნებდნენ, აკაკუნებდნენ და ბა-რათები უკანვე მიჰქონდათ. მე რას გავიგებდი ჩემი საავტორო უფლების მქონე სერიალებით გართული.

არადა უამათოდ, ოცნებათაგან თავისუფალს, სუფთა გონებით, არაფერს რომ არ გამოსახავს, რო-გორიც იყო ჩევნი საერთო მშობლების გონება, სანამ მცურავი არ ჩაუსახლდათ, სირბილი, ფრენაც კი შე-მეძლო თავადის გზებზე. ოცნებათაგან თავისუფალს ხომ ჩევულებრივი მგზავრი აღარ მეთქმოდა. უფრო მდევარი ვიქენებოდი მძიმე ტვირთჩამოხსნილი, მტვრინანფეხსაცმლიანი, ტვიროსისა და სიდონის გზებზე ნაფრხვენებისთვის ჩასაფრებული და დავიწ-ყება-გახსენებისთვის ემაუსის გზებზე მავალი.

ასე ნელ-ნელა დავიწყე დაკვირვება და უცნაური რამ შევამჩნიე. ეს ჩემებური სერიალები – ოცნებათა ხატები მიაღწევდნენ სრულ გამომსახველობას თუ არა, ისეთივე მოსაწყენი და უგემურნი ხდებოდნენ, როგორც არაერთი ფუჭი საგანი ჩევნის გარშემო, მა-შინ, როდესაც თავადის სახე არასოდეს ხდებოდა მო-საწყენი, უბრალოდ, ზოგჯერ მის სახეს სავადრო ღრუბლები ეფარებოდნენ. მთავარი იყო მოთმინება და გაძლება ამ ფშუტე ნეტარების მოთხოვნილები-სადმი, რომელსაც თავადის სახისგან განსხვავებით

არც სიხარული მოჰქონდა, არც სიმშვიდე – პირიქი-თაც, ამ ფანტაზიებს, ოცნების მრავალრიცხვან ხა-ტებს ჩემი ნებართვით პადესის გველი ქმნიდა (მისი ავტორი, ხელმოცარული ხელოსანი), როცა ჩემში ხა-ტავდა და ხალისობდა, ყოველივე ეს რას მომიტანდა იმედგაცრუებისა და სასონარკვეთილების გარდა?

ხელლამპრიანი მგზავრიდან ასე ვიქეცი მთავარ დარაჯად.

ერთი ამას შეხედე, მითხრა მეორე დარაჯმა: მე შევწყვიტე ხუროთმოძღვართან საუბარი, რადგან მა-ინც უგულისყური იყო და რას ვხედავ: მე რომ აგერ საუბრებს აღვავლენ და თან ერთი ფილარმონია ხალ-ხი მშეერ-მწყურვალი მწვანე მოლზე მიცდის, ეს ჩემი რაციო დადის და დაიძურნება მანანწალა ძალლივით, ხან მწერალთა სახლში შეეხეტება, ხან გასტრონომში შესუნსულდება, ხან ნაგავსაყრელზე გადის, ხან ერ-თგან ამოკრავს დრუნჩს, ხან მეორეგან, რა უნდა მექ-ნა – მოვეიდე ხელი საყელურში, წამოვათრიე შინ და კვლავ საუბარი განვაგრძე. გავიხედე მეორე წუთში, გაუწყვეტია საყელური და გარბის. ისევ მოვათრევ – ისევ გარბის და ასე დაუსრულებლად.

– გონებაგაუფანტველ საუბრებს მე რას შევძლებ, ან როდის შევძლებ, – ვამბობ უიმედოდ.

– ოდესმე შევძლებ, – ამბობს იოანი, – არათუ მად-ლით, სასყიდელი იგი მოქმედსა მას შეერაცხების თა-ნანადებით.

\* \* \*

– მასწავლე, როგორ გავარჩიო – ამ გულისსიტ-ყვებს და ზოგ გულისთქმას ნათლის საუფლო ბადებს, თუ ბნელის, – ვთხოვე იოანის.

გულს თვალები აქვს, – მითხრა იოანიმ, – და იმ თვალებით განიკითხავს იმ გულისსიტყვებს. როცა გექნება ის თავდადება, რაც იმ ბრმას ჰქონდა, შენი გუ-ლის სახლს თვალები მაშინ ახელება, მაშინ გაარჩევ.

და აი, ერთხელ, ხშირად თუ იშვიათად, როცა ჩა-საფრდნენ ჩემი გუშაგები, არც მე ჩამეძინა და ამო-ცურდა შავპალტორიანი კაცის სახე ვერცხლისფერი საფეთქლებით და ელვამ დამკრა. ან სხვა რამემ. ელ-ვა იყოს, ელვად სახელსდებდა მას იოანი და ეს იყო ერთადერთი რამ, რომელიც ჩემმა მასწავლებელმა ვერ ამოხსნა, ეს ელვა, რომელიც დაგკრავს და გაგივ-ლის, ვერც სადმე შეასწრებ და ვერც დაემალები, ვერც ჩაუსაფრდები და ვერც მოიხელობს, რადგან არ იცი, როდის მოვა და როდის გიმტრობს.

და ამოცურდა შავპალტორიანი კაცის სახე ვერ-ცხლისფერი საფეთქლებით და ჩემმა გუშაგებმა შეა-ჩერეს ჩემებური სერიალის მარადმოძრავი ლენტები და უკან გააბრუნეს სიძვის გველი და მეც ჩემს მგრძნობელობით ნებას ცხრა კარი გადაუკეტე და აღარ მივეცი ძალა ჩემთვის ძვირფასი ხატის დაბნე-ლება-გაბინძურების და ამ ხატის ვერცხლისფერ სა-ფეთქლებს ვუთხარი, რადგან სიყვარულის ძირი ჯერ არ გამხმარა, მე გიპოვე შენ, შენ ჩემი ცხოვრების წა-

მალი ხარ, შენ თავადის ანარეკლი ხარ და აქ დავსვი წერტილი, რადგან მწერლობას ვაპირებდი და როგორც ვხვდებოდი, მწერლობაში მთავარი წერტილის დასმის ხელოვნბა იყო და მიუუბრუნდი ჰადესის გველს, მივაშვირე თითო, სამჯერ მბრძანებლურად დავუძახე: გადადექი, გადადექი, გადადექი. და მარ-თლუკუნ სატანა... ის გადადგა.

\* \* \*

და ამის მერეც და მანამდეც ბევრი ვიარე, როგორც  
იყდითმა, არაერთხელ ავმაღლდი ჩემი სულის ბეთული-  
აზე, მერე დავგეშვი, მერე ავმაღლდი ერთხელ და ბევ-  
რჯერ. მთის კენწეროზე საყდარი ვნახე, საყდარში შე-  
ველ, ჩემი სულის ზარებს ჩამოვკარ. მაშინ ამღერდნენ ჩვენებური, ძველებური, ძველი ზარები, მე-6 საუკუნის  
წვერის წმიდა გიორგის საყდრის ზარების მსგავსი, ღრუბლებში ჩაფლული საყდრის, მომთავრო და პატა-  
რა ზომისანი, ალაგ მწვანით, ალაგ ვერცხლისფრით,  
ალაგ ჟანგით დაფარული, შიგნიდანც ამოტკეჩილი,  
მაინც ხმაეთილი და ხმაეთილობით ჩრდილოეთის ქა-  
რისგან დაწუნებულნი, ოცდაშვიდის ნაცვლად ამღერ-  
და ორი და მაინც ხომ ამღერდა ორი და იმღერეს ჩემმა  
ზარებმა ორ ხმაში და თქვეს: ქრისტე მოდის, ქრისტე  
მოდის, მოდის, მოდის, მოდის, მოდის... ქრისტე მოდის,  
ქრისტე მოდის, მოდის, მოდის, მოდის, მოდის...

\* \* \*

იმ სანეტარო დღეს კი გუშაგმა მითხრა: ოლოფერ-ნე კარავშია. ივლითს ელის.

— შემიყავნე!.. — ვუთხარი მე გუშაგს, გუშაგმა ხელი მომკიდა და მთავარი წიგნის 462-ე გვერდზე შემიძლა.

ოლოფერნე იჯდა, მენამულ კარავში სპილენძის-ფრად ელავდნენ მისი შიშველი მხრები.

– მოვედი, – კუთხარი მე, – იყდითი მოვიდა.  
მაშინ აღმური ავარდა ოლოფერნეს დაბანგული,  
სპილენძისფერი სხეულიდან, ხოლო წითლად ანთე-  
ბული, გამბურლველი თვალებიდან ჩემს მხარეს მი-  
ჰითხვი თვალი ა გამო ართო.

ମାଶିନ ମିମିତିତା ଲୋକ୍ୟାଜାନିକ୍ୟାତିରେ - ସିଦ୍ଧ୍ୟରେ ଗ୍ରେଲିଂ  
ରେମ୍ସ ଡାରାଜିଥେ, ରେମ୍ସ ସ୍କୁଲିସ ପିରାଗେଲ ଜୀବନିସକ୍ଷାତ୍ତ୍ୟେ ଏହା  
ମାତ୍ରଦ୍ୱରା ମିଠାରାକାରିତା ଏହା ଅଣିଲେ, ଅଣିଲେ ଏହା ଜୀବନ ଆତ୍ମି-  
ଯେତି ଏହା ଶେଖିବାରେ ରେମ୍ସ ସ୍କୁଲିସ ପିରାଗେଲ ଜୀବନିସକ୍ଷାତ୍ତ୍ୟେ, ରେମ୍ସ  
ମାତ୍ରଦ୍ୱରା ମିଠାରାକାରିତା ଏହା ଅଣିଲେ, ଅଣିଲେ ଏହା ଜୀବନ ଆତ୍ମି-  
ଯେତି ଏହା ଶେଖିବାରେ ରେମ୍ସ ସ୍କୁଲିସ ପିରାଗେଲ ଜୀବନିସକ୍ଷାତ୍ତ୍ୟେ, ରେମ୍ସ

— აღილე, აღილე! — მითხვა ჩურჩულით, მაცდურად.

მაშინ მე ვიხადე მახვილი, იმ წუთს და მას შემდეგაც ბევრჯერ და უსასრულოდ დაგვჰქარ კისერზე ოლოფერნეს – სიძვის გველს და წარვკვეთე თავი და გადავაგორე გვამი სანოლიდან და სვეტებიდან ჩამოვაგდე გაგვალაპი და ვთქვი:

— ისმინეთ ჩემი ძმებო, მზერლებო... აიღეთ ამ სიძვის კერპის მოკვეთილი თავი და გამოჰკიდეთ ოქვენი გალავნის ქონგურებზე... მაშინ გათენდება, მზე ამა-ანათებს ქვიყანაზე და გაანათებს თქვენს საპრძოლო

აღჭურვილობას. მაშინ სიყვარული გვიცნობს, ვე-ლარსად დავეკარგებით და მისი ძირი აღარ გახმება.

\* \* \*

— ნუ მიიჩქარი მოთხრობის დასასრულისკენ. მოთხრობა თვითონ დაასრულებს თავის თავს. შენ შენს ხელსაქმეს ნუ ააჩქარებ, რადგან უკვე მგზავრი აღარ ხარ, შენ ამ ბალის ბინადარი ხარ. გაიხედე და თავადის დაქსოვილი ფარდაგები იხილე, მისი სიტყვით დაქსოვილი ხალიჩები იხილე. მისი სიტყვით შემოსილი ცა და მიწა იხილე, რადგან ის არის უპირველესი ხელოვანი, მისია პირველი სიტყვა და გეშინოდეს სიტყვის, — ეს მითხრა იოანიმ, ჩემმა მასწავლებელმა. მე დიდხანს ვფიქრობდი, მერე გადავიტხიე დაქცეული სანთელი 30-ე თავზე და წიგნი დავხურე.

ვიჯექი და ვესლოვდი იმ ბაღში, რომელშიც ჩემი გულის სახლი იყო ჩადგმული, ვესლოვდი ჩემს სამოსელს, ველოდი კაკუნს და როცა ფერები შემომაკლდებოდა, ვდგებოდა, ხახვის ნაფცევენებში ვხარშავდი ძაფებს, ატმის ფოთლებშიც ვხარშავდი, კონახურის ტოტებშიც ვხარშავდი, რომ პირველ ფერებს დავახლოებოდი. დროდადრო სიტყვებითაც ვესლოვდი, რათა დიდი მონატრების უამს, როცა თავადი მკითხავდა: – და რაია არსებაი შენი? მე ამეღო და გამწოდებინა ეს ფურცლები.

შენიშვნა:

ადრე, ათო-თორმეტი წლის ნინ ქუთაისში, მნერალთა სახლში ერთი ხანდაზმული, ყოჩაღი ქალი დაღივიდა – ცენტრალური გასტრონომის გამყიდველი – ჟენია დეიდა. მარსიანიც იცნობდა იმ ქალს. თავის ხილვებზე ბევრს გვიამბობდა, თან უამრავი რვეული მოპერნდა ჟენია დეიდას და მაკითხებდა. მაშინ ესა თუ ის ფერნომენი მკითხველთა დიდ დაინტერესებას და მითქმა-მოთვემას იწვევდა და მისი ხილვების შესახებ მორწდილი წერილიც დაწერე. რამდენიმე ადამიანი წერილის წაკითხვის შემდეგ შითხო, რაც ექამენი ხილშია. მაშინ კი კუციანო, რა იყო ხილი, ძალიან შეეჭრული და დამენანა მისთვის ჟენია დეიდა. გავიდა ძრონ და როცა სვიმერი ახალი ღვთისსმეტყველის მკაცრ შეფასებას მოუსმინე ხიბლის შესახებ, დავრჩნმუნდი, რომ თუ ამ სახადს მხოლოდ წმინდანები განერენ, ჩემი კეთილი ჟენია დეიდა – ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურინი ცენტრალური გასტრონომის ერთ-ერთი სექციის დაბლზე თავდადებული ასი, თუნდ ორასი და თუნდ ათასი „უფალო შემინვალეთი“ რას განერებოდა, ანუ გადაურჩებოდა, ანუ განერიდებოდა.

უნია დეიდას სქილიოს ეს მდაბალი ადგილი იმიტომ მი-  
უჩინებ, რომ მის ერთ-ერთ რვეულში ასეთი რამ მაქვს ამო-  
კითხული: ჩვენგან ნასულები მწვანე მოლზე სხედან და ჩვენს  
ლოცვას ელიან. თუ მოვიხესნიერთ – მათ ნინ გვმრიელი ტრა-  
პეზი გაიშლება თუ არადა, როგორც ძალლებს – პურს ხელუ-  
კუღლმ ესვრიან. მე არ ვიკოდი, იშლებოდა თუ არა მათოვის  
მაღლის ტაპეზი, იგდენებ, ისხდენებ, პურს ხელნარმა ესრიღ-  
ნენ თუ ხელუკუღლმა, ეს მთავარი არც იყო. მთავარი იყო ის,  
რომ ჩვენი უმწეო მიცვალებული ჩვენგან კაშირს მართო-  
ელოდნენ და უჩვენოდ მართლაც გაუჭირდებოდათ. მათ ხომ  
თავის დროზე მძიმე ცხოვრება ერგოთ. ვინ დამბეზღდებელი  
იყო და ვინ დაპეზღებული, ვინ მოუსავლეთში გადაკარგული  
და ვინ გადამკარგველი. ერთი ჩემი მეგვარე – ეკლესიიდან  
ზარის ჩამომგდები ხომ ყველას თვალნინ ცოცხლად შექამეს  
მატლებმა.

## მაია ჯალიაშვილი

# ერთი მიჯნურობის ამპავი

„რაი არს სიკვდილი?“ – ეკითხება იოდასაფი ზანდანს. ეს ადამიანის ყველაზე დიდი თავსატეხია და ამიტომაც ბრძენთა შორის გამორჩეულიც მხოლოდ იგავური თუ ქარაგული ხატოვანებითა თუ ბუნდოვანებით ახერხებდნენ პასუხის მოხელებას. ჭეშმარიტი ქრისტიანისთვის კი ეს ენიგმა ცხადი და გამჭვირვალეა. სიკვდილი არის მკვდრეთით აღდგომისა და მერმისი საუკუნო ცხოვრების მოლოდინი. („მრნამსი“) მაგრამ ამგვარი თავდაჯერებულობის მოსაპოვებლად ათასგვარ გულისითმასთან დიდი ბრძოლების გადახდა საჭირო. იმ ძნელ გზაზე შედგომაა აუცილებელი, რომელსაც ტანჯვა-ნამებით საკუთარი თავის შემეცნებისებენ მისყავსარ. სული სათნოებათა საჭურველით უნდა შეიარაღდეს და შეებრძოლოს დემონების ლაშქარს, თვალებიდან, ბაგებიდან, ფიქრიდნ, წარმოსახვებიდან რომ უტევენ ადამიანს. ამ მოთხოვნაში სულის ამგვარი ბრძოლებია აღწერილი. ავტორი გვიყენება საკუთარ გულსა და გონებაში მოგზაურობის ამბავს, ამიტომაც მისი თავგადასავალი მისტიკურ-ალევორიულია. ამ შემთხვევაში მას გაკვალული გზა აქვს, ამაზე წერდნენ კლასიკოსები, მაგრამ სხვათა გამოცდილება მას ვერ იხსნის და ვერ გადაარჩენს, თვითონ უნდა იგემოს გულისითმის სასტიკ მტერთან შებმის სიმწარე, გამოსცადოს დამარცხების სირცხვილი და არ დაკარგოს გამარჯვების იმედი.

ავტორი წერს თავის დაძაბუნებულსა და წარსანებულდად განწირულ სულზე, რომელსაც ერთი საუკეთესო მახვილი – ლოცვა უგურურებით დაბლაგვებია. არადა, რამდენი წაუკითხავს, რამდენჯერ დაუგდა ყური სვიმეონ ახალი ლვილისმეტყველისთვის, რომელიც უქადაგებდა, რომ უთვალაფილერიან სამყაროში გაფანტულობა ყურადღების მოკრებით უნდა დაიძლიოს. სწორედ ყურადღება მენინავესავით უნდა წარუძღვეს ადამიანს მტერთა მოსაგერიებლად, პირველად სწორედ ის უნდა ჩაებას ცოდვებთან ორთაბრძოლაში და წინ აღუდგეს ბოროტ გულისთქმებს. ყურადღებას კი ლოცვა უნდა მოჰყეს, რათა ღონებით დამიანს ძალა მიეცეს. „შენი ლოცვები – ეს მტრედები და ეს ფურცლები გაფრინდებიან თავადისაკენ“. რა უნდა დაიუნჯოს გონებამ? ზეცად თვალმიპყრილს როდის ჩაეღვინობა სულში ლვილისკენ ლტოლვა და სიყვარული, რომელმაც შეიძლება ჟამითა-ჟამად ააცრემლოს და ააქვთინოს კიდევ? როგორ უნდა დააღწიოს კაცმა თავი სიბლს, რომელიც იმათაც კი დამუქრებიათ, რომელთაც ხორციელო თვალებით ნათელი უხილავთ, ლვთაებრივი კეთილსურნელება შეუყნოსავთ. ამაზე ფიქრი და განსჯაა მოთხოვნაში.

ავტორი ისწრაფვის ლვთისაკენ, რადგან მის გარეშე არსებობა უბადრულებად და არარაობად მიაჩნია, ამიტომ ხშირად „მიდის“ ბიბლიაში, „მთავარ წიგნში“, რომლის ფურცლებზე მოგზაურობა საკუთარ გულს, გონებასა და სულს შეამეცნებინებს. რა გაამართლებს მის ამქვეყნად არსებობას? ლმერთმა თავი ამ სამყაროში სიტყვით განაცხადა, ე.ი. მწერლობა საღვთო საქმეა. შემოქმედება სიტყვის ხუროთმოძღვრება. „მასწავლე, როგორ გავხდე მწერალი“, – ეს თხოვნა ვედრებას ემსავავსება. იოანი, რომელიც იოანე ლვილისმეტყველზე, ქრისტეს უსაყვარლეს მონაფეზე მიგვანიშნებს, ამზადებს მის გულში უფლის გზას, ეხმარება თვითგანწმენდასა და თვითშემცნებაში. მოთხოვნა ჰერმან ჰესს ზღაპრების სტილშია დაწერილი. გმირი გაივლის ერთგვარი ინიციაციის გზას და გასხვივს-ნდება, დარწმუნდება რა, რომ ყველაფრისგან უნდა განიძარცოს, რათა იმ ერთის, თავადის სიყვარულის ღირსი შეიქმნას.

სიმშვიდის დიდი მწვანე კუბო, საიდანაც თავდაღწევას ცდილობს გმირი, ერთგვარი მცენარეული არსებობაა, სულიერი სიკვდილია, როდესაც არ იცნობ საკუთარ თავს, ე.ი. არც სამყაროს იცნობ. ეს უნებობა და უნებისყოფობაა. მწერლობა კი გამოვიდებაა, სულიერი სიცოცხლეა, მეორედ შებაა, შემოქმედს მიმსავავსება, დიდი ნება და ნებისყოფაა. მასწავლებელი, მოძღვარი შემეცნების გზაზე აუცილებელია, რადგან ქრისტიანობა მოძღვარ-მონაფის ურთიერთობაა, გამუდმებული სწავლებაა სრულყოფისათვის. გმირი მასწავლებლის ძებნაში გაივლის არა ცხრა მთას, როგორც ზღაპარშია, არამედ სამ მთასა და ოთხ ცას, ეს კი სიბილურად კვლავ სრულყოფილებაზე მიანიშნებს, რადგან ციფრი შვიდი სწორედ ამას გამოხატავს. ამავე დროს, სამი თავისთავად დამებას გულისხმობს, ოთხი კი ადამიანური არსების გამომხატველია (მე, ფიზიკური სხეული, ასტრალური სხეული, ეთერული სხეული). სულის სიღრმეებში ფათერაკიანი ხეტიალისას მოულოდნელი და უცნაური შეხვედრებია საკუთარ სინდისთან, ვენებთან, სურილებთან, პატივმოყვარეობასთან, სიამაყესთან, ერთი სიტყვით, ყოველივე იმასთან, რისგანაც იქსოვება ადამიანის მიწიერი არსებობა. სულის ლაპირინთებში ხეტიალისას რემინისცენტრიებია ძველი და ახალი აღთქმის სხვადასხვა ეპიზოდისა, ქრისტეს შობისა, გველის მიერ პერანგის გახდისა (რაც, აგრეთვე, ხელახლა დაბადებას გამოხატავს). ყოველივე ეს მიანიშნებს გმირის მდიდარ სულიერ სამყაროზე. მომენტია ლვთის სიყვარულის ძიების ამგვარი გამოხატვა: „როდის შეგძლებ, რომ შევიდე ჩემი გულის სახლში – ნეფის ქორწილში“. რა თქმა უნდა, ესეც ნასაზრდოებია სახარებით, „სასუფეველი გულთა თქვენთა შინა არს“. რა აპროვებს გმირს? ვნებები და უკეთური სიტყვები, უზნეო სიზმრები და ქარაფშუტული ოცნებები. ძნელია ლვთის სიყვარული. ამიტომ ჩაეკითხა მოძღვარი პეტრეს ასეთი დაუინებით: „გიყუარ მეა“. ეს სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს, თანაც უდიდესს, საკუთარი თავის შენირვას. მერედა, როგორია ეს „საკუთარი თავი?“ მოთხოვნაში სულიერი სიძაბუნის ალეგორიულ სახედ გაპარტახებული ბალი იხატება, მიძინებული სინდისის სახედ კი დაღლილ ჯარისკაცი. რა ესაქმება მოთხოვნაში გმირს დროსთან, მატერიალურ საგნებსა და მოვლენებთან, როცა საკუთარ თავთან აქვს

ომი გაჩაღებული, ამიტომ თუ ვინმეს სამგზის შესძახებს, გადადებიო, ისევ სიძვის ან ჰადესის გველებს, მის ცდუნებას რომ ლამობენ. მწერლობადაც მხოლოდ ამის ასახვა ულირს, როგორც ფოლკნერს უყვარდა ხშირად გამეორება, „გულის ჭიდილისა“. რას მოიხილავს მწერლობამოწყურებული „მოგზაური“ საკუთარი სულის ლაბირინთებში? გაძრცვილ, გავერანებულ, გამხმარ ბალს, სადაც მხოლოდ ერთი მცენარე – ბუერა ხარობს, მწვანედ, ხორციანად, სავსედ და ქედმაღლურად. ეს მისი დიდების წყურვილის მეტაფორული სახეა. როგორ უნდა დაიძლოს განდიდების ეს საოცარი წყურვილი. წმინდა მამათა სწავლება შემწედ ევლინება, საჭიროა

უკუგდება საკუთარი თუ სხვების შეფასებებისა. ერთადერთი შემფასებელი უფალი შეიძლება იყოს და ადამიანი მუდამ მის წინაშე უნდა იდგეს. მთელ არსებას მოდებულ ათასგვარ ენებათა სარეველებს მხოლოდ ივდითის მახვილი თუ მოერევა და მოთხობაში ლამაზად ჩაიქარება ბიძლიური ივდითის რემინიცენცია. მე

პირადად ივდითი ყოველთვის ჯორჯონეს ნახატით მახსენდება. მენაბულკაბიანი ივდითი ნაზად თავდახრილი იცქირება ქვემოთ, მარცხენა ფეხი ოლოფერნის მოკვეთილ თავზე უდევს, დაშვებულ მარჯვენაში მახვილი უჭი-

რავს, ირგვლივ ყველაფერი მშვიდია და ჰარმონიული: „ბოროტსა სძლია კეთილმან“. მხატვარმა ლეგენდის დრამატული კულმინაცია კი არ დახატა, არმედ ლირიკული ჰეფი ენდი. ამ მოთხობაში კი სწორედ ამ კულმინაციის გახსენებაა მთავარი, რადგან ასეთივე თავგამეტება სჭირდება გმირს მანკიერ და ავ ვნებებთან ბრძოლაში.

მოთხობა აღსარებას ჰგავს. „შეცდომებით აივსო ჩე-მი ცხოვრების ნიგნი, რადგან შეცდომა იყო ეს გზაც, ეს გვირაბიც, ეს ბალიც, შეცდომა იყო ჩემი მწერლობა და ეს მოთხობა“ ამ მონაცემთში სასოწარკვეთილება იხატება, შეძლებს კი გმირი, რომელიც მწერლის ალტერ-ეგოა, თავისი თავის გადალახვა? არადა, როგორ აწუხებს გადაუხდელი ვალი მისთვის დაღვრილი სისხლისა, „ძალიან დიდ ფასად არის ნაყიდი“ და თვითონ კი ცოდვათა მონა გამხდარა. არცაა გასაკვირი, „უსალმუნებს“ რომ დავანებოთ თავი, „გალობანი სიხანულის“ ავტორიც წუხდა, ცოდვათა ჩემთა მონად მივყიდე თავიო. სატრანიალო ბარათები კი

უხვად მოდიოდა თავადისაგან, მაგრამ გულის ჩაკეტილ კარში ვერ აღწევდნენ. ნეტავ რატომ უჭირს ადამიანს იმ ერთი, უკვდავი სიყვარულისთვის წარმავალი სიყვარულების დათმობა? გმირი ამჩნევს, რომ ყველაფერი იცვითება, მოსაწყენი და მომაბეზრებელი ხდება, გარდა „თავადის სახისა“. უკვირს, ან თვითონ და ან სხვა მწერლები სხვაგვარი სიყვარულის წერაზე როგორ იხარჯებიან, როცა ერთადერთი გამოთქმისა და აღწერის ლირსი მხოლოდ ის, ღვთის მიჯნურობაა, რომელსაც „ჭკვიანნი ვერ მიჰვედებიან, ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან“. რა უნდა იხილოს თვალმა ღვთის სიტყვით დაქსოვილ ხალიჩებზე, მისი სიტყვით შემოსილ ცასა და მიწაზე უკეთესი. მხოლოდ საკუთარ თავთან ბრძოლის ამსახველი ეს ფურცლები მიაჩნია გმირს ლირსად, რომ თავის გასამართლებლად გაუწოდოს უფალს უკანასკნელ სამსჯავროზე. ფურცლები, რომელებიც ასახავენ დაცუ-მასა და ნამოდგომას, სასოწარკვეთილებასა და სასორებას, დიდ ომს საკუთარ თავთან გულში ღვთის სიყვარულისთვის ადგილის გასათავისუფლებლად, იქიდან კი ათასგარი ადამიანური უკეთურების განსაღებენად, ნებების განმავლობაში რომ დაგროვებულან შერის, სიძვის, ამპარტავნების

### დიდი პრიტანეთის ლიტერატურული პრემია

ბრიტანელი მწერალი ზეიტი სმიტი გახდა ლიტერატურული პრემიის „ორეინჯ პრაიზის“ მე-11 ლაურეატი მესამე რომანისათვის „სილამაზეზე“. ლონდონში გამართულ დაჯილდობების ცერემონიალზე სმიტმა 30 000 სტერლინგი და „ძესის“ ბრინჯაოს ქანდაკება მიიღო. ფიურის თავმჯდომარებ, მარტი კერინბ, ალნიშანა: სმიტის წიგნი ძალზე ხანგრძლივი და ცხარე დისეუსის შედეგად შეირჩაო. მსაჯული ამ ნანარმოებზე იმიტომ შეერებულან, რომ მასში „ხასიათების ბრწყინვალე აღწერა ასტატურად აგებულ თავისუფალ სიუჟეტს ერწყმის“.

ზეიტი სმიტი ჩრდილო-დასავლეთ ლონდონში დაიბადა 1975 წელს და დღემდე ამ რაიონში ცხოვრობს. ავტორია რომანებისა, „თეთრი კბილები“ და „ავტოგრაფომანი“, რომლებიც ამ პრემიის შორტლისტებში შედიოდა. რომანი „სილამაზეზე“ კი ბუკერი-2005-ის შორტ-ლისტში მოხვდა.

საუკეთესო დებიუტისათვის პრემია მიენიჭა ინგლისელ ნაომი ოტიდერმანს რომანისათვის „დაუმორჩილებლობა“.

ლიტერატურული პრემია „ორეინჯი“ ბრიტანეთში საგანგებოდ ინგლისურენვანი მწერალი ქალებისათვის დაწესდა და ჟიურიშიც მხოლოდ ქალები მონანილებენ.

„ჩვენ გვასურდა ქალთა კრიტიკული აზროვნება ისევე წარმოგვეჩინა, როგორც მათი ლიტერატურული ნიჭი“ — ალნიშნულია პრემიის ოფიციალურ საიტზე.

და სხვა ამგვარების სახით. მოთხოვობაში აღწეროლი განცდები ძალიან ჰგავს ღვთის სიყვარულის გზაზე ახლად შემდგარი ადამიანის ფიქრებს. სამწუხაროდ, მერე ეს მეზნებარება იკლებს ხოლმე. „ადამიანი მახეთა შორის მიმოვალს“ (ზირაქს სიბრძნე) და მათგან მხოლოდ ღვთის მიჯნურობა იხსნის. კარგია, რომ მწერალმა სწორედ ეს აღძეჭდა მოთხოვობაში, რათა ყოველთვის გაიხსენოს ხოლმე, როგორ მოედო მის სულს ღვთის სიყვარულის ცეცხლი, როგორ აანთო, ააგიზგიზა და გადაბუგა, რათა ფერფლიდან ახლად აღმდგარიყო და თვალახილუს ეხილა უხილავი შეეგრძნოს სიკედილ-სიცოცხლის ერთიანობა.

„ჩვენგან წასული მწვანე მოლზე სხედან და ჩვენს ლოცვას ელიან“ — ასე სჯერა მწერალს. ეს მოლოდინი ამართლებს ცოცხალთა ყოფას, აზრსა და მნიშვნელობას სძენს ყოფით უთავბოლობაში ჩაკარგულ ადამიანს, თან იმ მადლიან ნეტარებასაც განაცდევინებს ცოდვილს, სხვის-თვის ხელის განვედენას რომ მოაქვს.



\* \* \*

... და ეს ხმა წვეთია, გაფანტულ ხმებიდან  
რომ ვერ გამოარჩევ, თუმცა ოკეანეც  
ტალღების დედაა, ფიქრით ეხები და  
უკანვე გაბრუნებს სივრცე მოკრიალე.

ვარსკვლავმა თვალები რომ გადამისერა,  
მას მერე მზერიდან გამჭოლი მდის სხივი,  
რომელიც ისრუტავს დროს და მყისიერად  
დედდება უძველეს სიტყვათა სისხლივით.

## გივი ალხაზიშვილი

### ქორონიკონი

დროს მოაქვს, დრო ისევ მოიტანს,  
თითქოსდა შეისწავლა გამოწვლილვით –  
საკუთარ წრესაზე მბრუნავი მოედანი,  
მგონი, არაერთხელ სახელგამოცვლილი.

ქველებიც არიან, ჭადრიდან ჭადარზე  
დაფრენენ ყვავების ახალი თაობებიც,  
ქუჩში ხელი აქვს გაწვდილი კათარზის  
და შენ გეშინია გულის დაობების.

მრავალი წელია, ფანჯრები უმზერენ  
ცვალებად ტანსაცმელს, ცვალებად ჰაბიტუსებს,  
რუსული მაყუთით ნაყიდ მაუზერებს  
და კედელს, სადაც მრავალჯერ აიტუზე.

შენც ხომ ერთ-ერთი ხარ, ერთი – მილიონში,  
ვინც თვალი გაუსწორა სულით დაობლებას,  
ჭარბობს სისხლისფერი შენს მელანში,  
გრძურია სიტყვებით დროის დაუფლება.

რა ხავსისფერია სიძველე კრამიტის...  
აბანოთუბანი, კალა, სოლოლაკი...  
მივალ მაჩაბელზე, ვწუხვარ, აქ რა მინდა  
და ყურებს მიბურღავს მე სოლო ლაქის.

... ოთხმოცდაცამეტი, დღე: – მარტის ცამეტი,  
რატომდაც სულ ბოლო იმედსაც ამაცლის,  
მინა რა ცოტაა, სანაცვლოდ ცა მეტი,  
დაგვმარცვლავს, ჰაერში გაგვაბნევს დამარცვლით.

....  
არ ახსოვს თოლიები მტკვარზე ბარათაშვილს,  
ორიათასხუთის ივნისის ცამეტია,  
მისი ვებერთელა წიგნი კარადაში  
ვეღარ შევმალე და გულში ჩამეტია.

თუმცალა სიბერის ედება ხმას ხავსი  
და ბზარი ხრინიან ბგერების გამოა,  
ასე რომ გაღრმავდა. თვალში კი ხასხასი  
იმ მოლის, რომელიც ჩემს მერე ამოვა.

მიდის პროცესია. ვინ სად რას ეჩვევა,  
ის სხვაგან, მე სხვაგან, შენ აქვე,  
დროს შევეკითხები: რა გქვია, შე ჩემა?  
უსიტყვოდ ჩამიღლის გულგრილი მენაგვე.

ქარში მოტეხილი იფნის რტოც ასეა,  
სულებს მოანგრიეს სხეულთა კარკასი,  
მიდის მიხაკების, ვარდების პროცესია,  
უამი იფერფლება სიტყვების კარგვაში.

წუთებო, დღეებო, ნაბიჯით იარ!  
მიიღეთ სხეული მზეში განბანილი,  
შეხედეთ, ბალახი რარიგ ბეჯითია,  
ყველას ეფინება გულზე საბანივით.

\* \* \*

ქელების სუფრისკენ ქაოსურ მსვლელობას  
აცილებს ჭივჭავთა უდურტული,  
დინება, დინება ცნობილ მსანსვლელების,  
დროდადრო მშიერი ტიპების ბჟუტური.

ქალს სკამი დაუთმეს, რატომდაც ითაკილა,  
სხებსაც გაერიდა, გაურბის საქმროებს,  
მგონი, ქალბატონი არის ითაკელი,  
დეკოლტეს ღიმილს თვალები ვერ აქრობენ.

სკამების ჭრიალი, ჩხაკუნი დანა-ჩანგლის,  
მწუხარე თვალებში ღიმილის ჩამალვა,  
შევკრთები ამ სცენით მრავალჯერ დანაჩაგრი,  
ღია სარკმელივით გავყურებ ამ ალვას,

რომელიც ირწევა ნიავის სუნთქვისას  
და ყველა ჩვენთაგანს შეიგრძნობს ფესვებად  
და აქ მყოფ მარადებს – უსილავ გულთმისანს,  
უცნობი თვალები ამ ხალხით ევსება,

რომელიც თანდათან მიემგზავრებიან  
და გზას დაეძებენ საუფლოს,  
ჩვენი ბაგები შიშის ბზარებია,  
ვიხსენებთ, ვივინებთ, ვსაუბრობთ.

ჭიქიდან ჭიქამდე ანარეკლს ქარვისფერს  
გახედავს ხორბლისფერ თვალებით კოლიო  
და იმ ხმას, რომელსაც არავინ არ ისმენს,  
გულდასმით ინახავს ხსოვნათა სქოლიო.

## შუადღე

რაც დამალულია და რასაც დრო ფარავს  
გულში ძერს ჟამი-ჟამ, გული – მონა ხსოვნის,  
ივსება შრიალით და როგორც დომფალა  
ჰკიდია სამყაროს ძაფით მონაქსოვი.

დროს კლავენ ეზოში შემთვრალი კაცები,  
დახლართულ ლიანდაგს იშენებს დომინო  
და ვიღაც, შემკრთალი მრავალჯერ დაცემით,  
მიჰყვება შუადღის სევდიან დომინორს.

მზე გაფუებულა და ზეცა ვარცლია.  
ქალაქელ ბეღურებს, გვრიტებს და ყვანჩალებს,  
არ უნდათ იცოდნენ დროს როგორ მარცვლავენ  
ესენი და ლოთი, აქვე რომ ჩანჩალებს.

სხივი რომელილაც, რომ გაენდო მინას,  
იბრნყინებს, შეამჩნევს: ლარნაკში ვარდია  
და კორპუსების წინ ნარდი და დომინო,  
დაჰყურებს ბოგანო მაგიდას ნარდიანს.

დასიცხულ ქალაქში ბოგანო ბოგინობს,  
შეამჩნევს სახლს იქით დამწვარი სერია,  
დალამდი, დალამდი, გენვევი ლოგინო,  
რომ გავყვე ძილსა და სიზმრების სერიალს.

\* \* \*

ჩვეულებრივი ბინდი არი,  
ბინდმა დამურების ფრთები ხომ მოისხა,  
რომ ისე გავიგონო ჟამი მიმდინარი,  
როგორც ბავშვობაში ჰობოის ხმა.

დაუვინყარ ხსოვნას ვინ იშორებს,  
მე რომ მოვიშორო ფრაგმენტები

ტაქტის უდერადობის. ხელი დირიჟორის  
გამაბნევს, რადგან სხეულში არ ვეტევი.

ქალაქელი გლეხი – ჩემი მეზობელი  
ღამეულ მუსიკას არ უსმენს,  
საუბრობს იგავებით ეს ცრუ ეზოპელი  
იმ დროზე, რომელიც ყუთივით დალურსმნეს.

ჯერ გულში იღვიძებს დარდი დაფეხვილი  
და მერე თანდათან იქცევა სხეულად,  
იცინის კიბის ყველა საფეხური,  
მბჟუტავ სინათლეში ჩახვეულა.

და ცხოვრობს კორპუსი და ლიფტის საკნები  
კოშმარულ სიზმრების წყვდიადში ჩადიან.  
რაღაცას ამბობენ ნაცნობი საგნები  
და რასაც განვიცდი, ორთქლივით მჩატეა.

რა საკვირველია, შენ რომ გამახსენდე,  
ბინდმა დამურების ფრთები ხომ მოისხა  
და წაშლილ სიტყვათა გაფანტულ აქცენტებს  
ისევ გააცოცხლებს შორი ჰობოის ხმა.

და მახსოვს თანდათან ჩავლილი საღამო,  
წყვეტილი სიტყვები და რბილი ლასები,  
სადღაც გამლილია წიგნი სააღაპო,  
სია მომლოდინე უცნობი არსების.

## საღამოს ლოცვა

ქრება ბოლო სიტყვა გულში თქმული ლოცვის –  
ყვავილთან ფარფატი პეპლის  
ფრთებია დუმილის, ხილული წამია  
ჩემში ჩანეული ფერფლის.

უცხო სახეები, მზერა უთვალავი,  
მშვიდი, მგლოვიარე, მკაცრი,  
გულში შეღწეული თრთოლვა გადამდები  
უცნობ წინაპართა ნაცრის.

ფერფლის გამოხედვა და ფერფლის თითებით  
დავწვდები ჭიქას და დავცლი:  
ასე იძხოდა ოდესლაც მესკა,  
ასე იზრდებოდა გორაკზე ანწლი.

ფერფლით და ნამწვავით სავსეა საფერფლე,  
ჭერზე რომ დაცურავს ჩრდილების ფარფლია,  
ჩემი იდაყვები, შენი მოძრაობა,  
მისი გაღიმება ფერფლია, ფერფლია.

ამაოდ დავშვრები სიტყვათა მძებნელი,  
ბგერებს ვაკონინებ, იმ ენას ვერ ვფლობ,

რაც შენ მაგრძნობინე, სახელი ვერ დავარქვი  
შენს ჩურჩულს ბაგეთა ფერფლო.

მე დუმილს ვაგრძელებ, დუმილში ვინახავ  
მრავალთა დათმენილ კვნესას  
და უთქმელ სიტყვაზე აცმული მზის ძაფით  
დაკონკილ სამოსელს ვკემსავ.

## ალექსანდრა ყაზბეგის სიკვდილი

აეროსტატი, რომელშიც ვირი ჩასვეს,  
მუშტაითიდან მაშინ გაუშვეს, როცა მიხედვის საავადმყოფოში ალექსანდრე ყაზბეგი სულს ღაფავდა.

ჩვენი ოცნება, როგორც ვირი აეროსტატში –  
მოწყდა მიწას და აედევნა ხალხის ყიუინა,  
როცა აფრინდა.  
ინვა შეშლილი და ბნელ დუმილს სიტყვის ნაწყვეტი  
კანრავდა ზოგჯერ, ამოჰყავდა მზე არაფრიდან.

თვალს აყილებდა მიხედვის საავადმყოფო  
ბურთს საპეროს,  
ლაჟვარდებში ვირს უცნობილესს – ბრიყვს და  
გრძელყურას.  
ინვა შეშლილი საკუთარი ღამის წყვდიადში  
და ვარსკვლავებით ამოჭმული ზეცა ეხურა.

იყო ქალაქი ბედნიერი და უხაროდა,  
აეროსტატი და სახედარს ფრენა თანდათან  
რომ იპარავდა.  
ინვა შეშლილი, ტალღებივით ხტოდნენ კუნთები  
და მძიმე სუნთქვას რუხი ფარდით გრძნობდა პალატა.

ამ ურიამულის, ამ ყაყანის და საოცრების  
ახლოს სუნთქავდა მწუხარება, მუდამ საკუთარ  
თავის მშთანთქმელი.  
ინვა შეშლილი, მოისმოდა ჩიტის გალობა –  
საიქიოსკენ მიმავალის ბოლო სათქმელი.

გაოცებული დაჟყურებდა ქალაქს მაღლიდან  
ვირი ყველაფრის მომთმენი და თან სიჯიუტის  
დიდი ოსტატი  
და მითრინავდა გაურკვეველ მიმართულებით  
ჩვენი ოცნება – სახედარი აეროსტატით.

## 306 იცის გთკვარო...

რას იტყვის მტკვარი? უთქმელობას წაიდუდუნებს,  
ტალღის დგაფუნი ვერ ასცდება ჯებირს ბეტონის,  
ვერ შეადარებს ჭავლის ბრწყინვას ძეელ სათუთუნეს –  
ვერცხლისფერ კოლოფს, ეგ თვალები უიმედონი.

გაქრა განწყობა ძველებური, საელეგიო  
და ჰერაკლიტეს მდინარეში სჩრია ხელები,  
ეიმედება მეთევზეთა მეჩხერ ლეგიონს  
მრავალ ანკესზე წამოცმული ჭიაყელები.

ჯებირზე სუფრა უმწირესი, სახელდახელო,  
ჩაანაცვლებენ ქაფქაფა ლუდს სითხით მწარეთი,  
თვალის მოხუჭვა, გარინდება, მერე ახელა  
და ზედაპირზე ფერალური ყოფის ბნეარედი.

ვინ იცის მტკვარო, ეგ ტალღები რას ირეკლავენ?  
ჭადრებს და ხიდებს, რესტორნების მაძლარ  
კონტურებს  
და ცასთან ერთად შენს ტალღებზე ხატავს რეკლამებს  
იგი, დღედაღამ შენს დინებას ვინც აკონტროლებს.

გახსოვდა, მაგრამ დაგავიწყდა თვითონ მეფენიც,  
რომ ალიძვროდნენ მიწისთვის და იქცნენ მიწადა,  
მე შენს ტალღებზე მსურდა გული გადამეფინა,  
მაგრამ მიდიან და არც ერთმა არ დამიცადა.

ახალი ხმების და მიმქრალი ხმების სინთეზი  
და ცვალებადი უცვლელობის ტყუილ-მართალი,  
შეუბლალავი და გაცვლილი ვერცხლზე სინდისი,  
შენი დინება მშობლიური და უმართავი...

რასაც იჭერენ მეთევზენი – ისევ იჭერენ,  
ზოგიერთები ერთობიან სხვათა დაჭერით,  
სისხლი სიტყვიდან მომდინარი ვერ შევიჩერე  
და წავიფარე ჭრილობაზე ზეცის ნაჭერი.

მხოლოდ თვალებით ნაღვლიანით, ხმით კი არ კვნესენ;  
დუდუნებს მტკვარი, უთქმელობის ამბავს რომ ჰყვება,  
დროის მორევში გადაშვებულს ვგავართ ანკესებს  
და წუთს მომავალს, არვინ იცის, რა ამოჰყება.

\* \* \*

დასრულდა მიწის ამობელტვა,  
წრუპავს შუალვინოს, ისვენებს მბარავი,  
ისმის ძლისპირული მგალობელთა –  
ბგერები სამოთხეში შემპარავი.

აგრძელებს სივრცე ჩვეულ ლივლივს,  
ეს შენი სულია, შენი სული,  
ის წონასწორობას ეძებს შვეულივით,  
გადაკრიალდება თვალი შენისლული.

საკუთარ ხელისგულში დაეძებ სამალავს  
და ამ სამალავში ვერ გაილურსები,  
უკვე მერამდენედ შეიგრძენ სამანად  
და უსამანობად ხელი ნალურსმევი.

შორი ჰორიზონტის განგმირულ ფერდიდან  
გადმოჩქეფს მზის სისხლი, გულს გილბობს  
დასალბობელს  
და ბერიკაცი და საბრალო ბერდედა,  
ვინ იცის, ამჟამად, თვალებით რას ამბობენ.

## დაო სიღონია

როგორ შეეპარა დაისი დუნიას,  
მზის ჩასვლა – ტყივილზე სული შენაბერი,  
დაო სიღონია, დაო სიღონია,  
ჩემს სარკმელს მოადგა საღამო – შინაბერა.

რა უკურნებელი სიმდორეა –  
წუთებს რომ ისრუტავს კვლავშობილს,  
დაო სიღონია, დაო სიღონია,  
გზა, მე რომ მივდივარ არის კლავიშები.

ბგერიდან ბგერამდე ქაოსი ტოლია  
დაღუპვის. სიმწყობრეში სუნთქავს სასწაული,  
დაო სიღონია, დაო სიღონია,  
თვალწინ მიდი-მოდის ყველა ასწლეული.

ბგერები, ბგერები სიტყვებად შეერებილი,  
სიტყვის ნათებაში ჩამავალ მზის დონეა,  
ისევ იკანრება წარსული ეკლებივით,  
დაო სიღონია, დაო სიღონია.

შენი გახსენება, ასეთი მარტივი,  
ის დროა, რომელიც დღეს აკმეეს,  
ბალის სიგრილეში ჩაივლი ლანდივით,  
თვალებით მოძებნი ჩემ სარკმელს.

\* \* \*

ეს შენი ცა არი, თვალებით სადაც გინდა  
ნახვალ და ბოლოს მზერას მეჯიხურის  
იქ გადაეყრები, სადაც ჩანს მთაწმინდა  
წუხანდელ ყინვისგან კალთებშეჭირხლული.

გადაშლი გაზეთს და თავს იგრძნობ პეტიტად,  
სადღაც გაგისხლტება განცდა მშვენიერი,  
კენკავ განცხადებებს შრიფტების ფეტვიდან  
და ვიღაც გკარნახობს: ეს ცა შენი არი.

იქ, ორი ღრუბელი ერთმანეთისაკენ  
მიინებს ზოზინით, ესწრაფვის ერთობას,  
მტკვარი კი – ქალაქის ერთადერთი სარკე,  
აღმოსავლეთისაკენ დინებით ერთობა.

ფიქრობენ თვალები მზერით გადაღლილი  
სადმე შეისვენონ, ოღონდაც აქ არა,  
ხესთან მათხოვარი იდგა თავდახრილი,  
აღარ ჩანს, საკუთარ თვალებში გამქრალა.

შეშლილი მიდის და მის წყვეტილ ლექციას,  
ნერვიულ მიმოხვრას დასცინის გლეხუჭა,  
ხომ ჯობდა ცოტა ხნით, რომ გვერდი გექცია,  
ანდა ყველაფრისთვის თვალი მოგეხუჭა.

თუმცა თვალის ფსკერზეც ცეკვავენ ლაქები,  
ნერები იდლაბნება ფერადი დავლური,  
იღლები გაბნეულ ციტატის ლაგებით  
და ქალის სხეულის შიშველი მთავრულით.

ეს ცაა შენი თვალების მომპარველი,  
იგრიღლებ გამშრალ ყელს „ყაზბეგის“ ყლუპითაც,  
შენს ფიქრებს აწყობილს შავი ნონპარელით –  
ვიღაც აკვირდება სამყაროს ლუპიდან.

\* \* \*

გადამავიწყდა შენი სახელი;  
შენითლებული მზის ლალებითა  
მიფენილია კლდეზე ძახველი,  
სისხლის ცრემლებად მდის თვალებიდან.

ზვრები, ბალები, მთების კონტური,  
ვის შეიძლება რომ არ უყვარდეს,  
მაგრამ მომბეზრდა თავის კანტური  
და გზა, რომელიც მაუკულმართებს.

და თვალებიდან გამობუტული,  
როცა იმედი გამოასხივებს,  
მიმავიწყდება ძველი ბჟუტური,  
ნლები, რომლებიც ჩამომასხიპეს.

საით მიდიხარ, მოხველ საიდან,  
ბერი, მებრძოლი და კირითხურო?!  
იქცა ცხოვრება ოხერ საიტად  
და თითქოს ვცოცხლობ, როცა ვკითხულობ.

ვარ განდეგილი და უამსოფლოს  
მაინც შემთხრა სული მედგრული,  
ნეტავ, არ მქონდეს სულაც სამშობლო,  
ანდა არ იყოს ასე ბედერული.

# გივი ალხაზიშვილის ნონასწორობა

გივი ალხაზიშვილის პოეზია საიმედოდ მყარია. ეს სიმყარე წონასწორობას ეფუძნება და წონასწორობას ასახავს. წონასწორობა ორ მხარეს, ორ ფრთას, ორ სწრაფვას შორის თანაფარდობას ნიშნავს და მოითხოვს. გივი ალხაზიშვილის პოეზია ინარჩუნებს წონასწორობას მემკვიდრეობის ერთგულებასა და განახლების სულისკვეთებას, ევროპულ ტრადიციასა და ეროვნულ პოეზიას, კლასიკასა და მოდერნიზმს, ემოციასა და განსჯას, მედიტაციასა და ყოფას, მოწესრიგებულ ლექსსა და ვერლიბრს შორის.

გივი ალხაზიშვილი განუწყვეტლივ სინჯავს აუთვისებელს და, ამავე დროს, ენდობა არჩეულს. მამინაც კი, როცა იგი მემკვიდრად დგას საკუთარ სამყიფელში, მისი მზერა და სმენა მიმართულია დაუძლეველი სივრცისაკენ, მაგრამ იგი არასოდეს სწყდება იქაურობას, სადაც იგი გულდაგულ დგას, და ესეცაა ამოხსნა, თუ რატომ არ კარგავს იგი წონასწორობას.

შემთხვევითი არც ისაა, რომ ძნელად თუ განისაზღვროს ან დაისაზღვროს, რომელ შემოქმედებით თაობას ანდა შემოქმედებით ჯგუფს ეკუთვნის გივი ალხაზიშვილი. აქაც იგი წონასწორობას ინარჩუნებს, – პიროვნულადაც, პოეტიკითაც, პოეტური აზროვნების სტილითაც: იგი იმდენადვეა ახლოს მასზე უფროსებთან, რამდენადაც მასზე ახალგაზრდებთან; რამდენადაც „არქაისტებთან“, იმდენადვე „ნოვატორებთან“...

ადვილად ვერ იპოვით თანამედროვე ქართულ პოეზიაში ისეთ სტრიქონებს, სადაც ასე პლასტიკურად, ხელშესახებად იყოს დახატული გარემო და ადვილად ვერ იპოვით ისეთ სტრიქონებს, სადაც ასე უშუალო იყოს მეტაფიზიკური გაჭრანი და ჭვრეტანი.

ქართულ პოეზიაში გივი ალხაზიშვილისათვის განსაკუთრებული საფიცარია დავით გურამიშვილის სახელი (მას პირველის მოყვარულთა წრეში საკმაოდ გახმაურებული ციკლიც კი ეკუთვნის: „ქაცვიას დღიურიდა“, – გადახაზილი გურამიშვილის პოემასთან, რომელსაც „მხიარული ზაფხული“ ანუ, სახალხოდ, „ქაცვია მწყემსი“ ეწოდება). ამდენად, მისთვის, როგორც გურამიშვილის დამფასებლისა და ამყოლისათვის, ბუნებრივია მიწიერი ეროტიკის შეხამბა, შერწყმა, შეწყობა სულიერ-რელიგიურ ზეალსვლებთან.

გივი ალხაზიშვილი დღეს ახალ მნიშვნელოვან მოსაბრუნთან დგას: მისი პიროვნული, რელიგიური, პოეტური ძიებანი მისგან ახალ გამოვლენას, ახალ ენას, ახალ ხატებს მოითხოვს. მისი ბოლო ხანის ლექსები დასტურია, რომ იგი ამ მიმართულებით შეუპოვრად და შედეგიანად მიემართება.

თუმცა გივი ალხაზიშვილის პიროვნულ და პოეტურ წონასწორობას არაფერი ემუქრება: აღმოსავლეთისა და დასავლეთის სულიერ და კულტურულ გასაყარზე დამიმართება მონაპოვრის სიღრმისული გაცნობიერება და სიახლის ხალასი გრძნობა პოეტისათვის წონასწორობის შენარჩუნების განუხრელ სანინდრად ქცეულა.

## მერაბ ლალანიძე

### ენრიკე ვილა-მატასი

## ორი ჩანაწერი

### ყველაზე საშიში მომენტი

**გაღვიძებისას ვის არ შეშინებია,  
მთლად იგივე ალარა ვარო**

ვიცი, რომ ბევრი დაზაფრულა უეცარი ელლით სახლში, შეხაპის მიღებისას, როცა ჰიჩკოის „ფსიქოს“ პერსონაჟი ქალიშვილის მკვლელობა წამოხსნებია. ისეთებიც ვიცი, ჩემი თავის ჩათვლით, გაღვიძებისას მოუღლოდნელ პანიკას რომ შეუპყრია, რადგან ამ დროს თავი კაფეას „პროცესის“ პირველ სცენასთან დაუკავშირებით, სადაც ახლად გამოღვიძებულ იოზეფ კ-ს ამცნობენ, რომ იგი დაპატიმრებულია. ვგონებ, გუმინ მივხვდი, თუ რატომ მიტ-

რიალებს ეს სცენა თავში, როცა ვიღვიძებ. ოთახში უცხოთა შემოქრის მაინცდამაინც არ უნდა მეშინოდეს (თუმცა არც მთლად უმაგისობაა), ვინაიდან ყოველ ღამე კარს საგულდაგულოდ ვეეტავ. ვფიქრობ, ეს შიში თავად გაღვიძების ფაქტთანაა ძალზე ინტიმურად დაკავშირებული. კარგად რომ დავიფიქრდეთ, პანიკას გვგვრის ის, რომ ვიძინებთ და საკუთარ თავს ვეყრებით, გაღვიძებისას კი აღმოგაჩენთ, რომ გარშემო ყველაფერი ისეთივე აბსურდული ანდა ამოუხსნელია, როგორც უწინ, იმ შემთხვევაშიც კი, როცა გუმანი გვეუპნება, ყველაფერმა ადგილი იცვალაო.

გაღვიძება ყოველდღიურად შეგვახსენებს, რომ ჩვენ საიდუმლოთი ვართ შექმნილი. წმინდა პავლეს ერთ გამონათევამს („მე ყოველდღე ვკვდები“) ბორსესი ასე განავრციბს: კაცმა რომ თქვას, ჩვენ ყოველდღე ვკვდებით და ყოველდღე ვიბადებით. ჩვენ შობისა და გარდაცვალების უწყვეტ პროცესში ვიმყოფებით. ამიტომ არცერთი მეტაფიზიკური პრობლემა არ გვაღელვებს ისე, როგორც დროისა. სხვები ასტრაციაა, დრო კი ჩვენი პრობლემაა. ვინა ვარ? ვინაა თვითეული ჩვენგანი?

არსება, რომელიც ჩვენ ვიყავით და რომელიც დაძინებისას განგვეშორა, კვლავ გვიბრუნდება გაღვიძების უამს, მაგრამ შეუძლებელია, იგი აბსოლუტურად იგივე

იყოს, რაც გუშინ. ალბათ ამიტომ, როცა ჩვენს გაყრის ცი-ებცხელებით ატანილ დროში ვინმე მოურიდებელი მეტით-ხება, ცოლთან გაყრა ხომ არ გიფიქრიათო, მივუვებ ხოლ-მე: იმაზე მეტად როგორ გავეყარო, ვიდრე საკუთარ თავს ვეყრები ყოველ ცისმარე-მეტქი. იმათ კი, ვინც განმორე-ბას უყურებს, როგორც მხოლოდდამხოლოდ პარტნიორი-საგან განცალკევების ფაქტს, დრამის განსამუხტავად ვუდი აღვინის ერთ ფრაზას მივაშველებდი: „ჩემი ცოლი სხესათან წავიდა. მეც ავდექი და მივატოვე.“ მე კი ეს ფრაზა მეტარება, დავინახო განმორების დრამატულო-ბის არსი: ჩვენ არ შეგვიძლია, ბოლომდე გავეყაროთ სა-კუთარ თავს, ჩვენ ამას მხოლოდ სხვებთან ვახერხებთ.

გალვიძების კაეშანი. ეტყობა, ჯერ კიდევ იმ წიგნის შთაბეჭდილების ქვეშა ვარ, რომლის კითხვაც წუხელ და-ვამთავრე, ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ჩემ თავს განვშორდე-ბოდი და დავიძინებდი. წიგნს . ჟევია და მისი ავტორი რო-ბერტო კალასო. ავტორი ფიქრის თხრობის შესანიშნავ ნიმუშს გვთავაზობს და ამ თხრობისას კაფეას რომანებს ეხმანება და დიალოგს უმართავს მათ. წიგნის ერთ თავ-ში, რომელიც საუკეთესოთა რიცხვშია, მწერალი აანალი-ზებს „პროცესის“ დასწყისს, სადაც კაფეას ჯერ დაუწე-რია და შემდეგ ამოუშლია ასეთი სიტყვები: სიმარდეა სა-ჭირო, რათა თვალის გახელისას ყველაფერი მოხელოო იმ კონდიციამდე, შეიძლება ითქვას, რომელშიც წინა დღეს დატოვე.

შემდეგ კი, როცა იოზეფ კ. მცველებს ელაპარაკება, საკუთარ თავს ეუბნება იმას, რაც სხვა შემთხვევებშიც უფიქრია, იმას, რომ გალვიძება „ყველაზე საშიშ მომენტია“ და დასძენს: „თუ მოახერხებ ისე დასძლიო ეს მომენტი, რომ არ მოსწყდე ადგილს, სადაც იმყოფები, დარჩე-ნილ დღეზე შეგიძლია გული დაიმშვიდო“. რობერტო კა-ლასო „პროცესში“ იძულებითი გაღვიძების ისტორიას ხე-დავს. იოზეფ კ. ის ადამიანია, ვისთვისაც ალარაფერი და-უბრუნდება თავის ადგილს. იგი ის ადამიანია, რომელიც ყოველდღიურად შიშნარევი მოლოდინით ხელახლა გა-ნიცდის თავის ამ ქვეწად მოვლინებას, ამ იძულებით გა-მოვიძებას. როგორც ერთი სატი იტყოდა, ჩვენ ქვეყანას ვევლინებით ძალზე ახალგაზრდები ძალზე ბებერ დროში. და სწორედ დროს გულისხმობსო კაფეა, გვიცხადებს კა-ლასო, იმ მოკლე და განცალკევებით მდგარ იღუმალ ფრა-ზაში, რითაც იწყება მისი „დღიური“: „მაყურებლები ქვავ-დებიან, როცა მატარებელი გაივლის“. მატარებელი დროა, რომელიც არ გვანცალკევებით მდგარ იღუმალ ფრა-ზაში, რითაც იწყება მისი „დღიური“: „მაყურებლები ქვავ-

უარი მწერლის ცხოვრების მწარე რეალობაა. მახსოვს, როგორ დამიბრუნეს ჩემი ერთი პირველ ხელნაწერთაგა-ნი, რომელშიც რომანის საუკეთესო მეტაფორები ფლო-მასტერით ისე აეჭრელებინა და ისე საგულდაგულოდ შე-ეცვალა ანონიმ ავტორს, რომ ჩემი ალარაფერი დარჩენი-ლიყო. ასეთი უარი არასოდეს დაგავიწყდება. ყოველდღი-ურად ასობით ადამიანი ითრუნება იმის გამო, რომ ხელ-ნაწერს უკან უბრუნებენ. თუმცა უამრავი ტაქტიკური ხერხი არსებობს იმისათვის, რომ უარყოფის ეფექტი დას-ძლიო. ერთი მათგანი ცნობილ უსამართლობათა გახსენე-ბაში მდგომარეობს. მაგალითად ისიც იკმარებდა, ანდრე ჟიდმა მარსელ პრუსტის „დაკარგული დროის ძიებაში“ რომ დაიწუნა. ანდა ის, რომ ჯოისის „დუბლინელები“ ოც-დაორმა გამომცემელმა გასატუმრა უარით. თუ გნებავთ ის მოკლე წერილი გაიხსენეთ, ოსკარ უაილდმა რომ მიი-ღო „ლედი უინდერმერის მარაოსთან“ დაკარგშირებით: „ძვირფასო ბატონო, წავიკითხე თქვენი ხელნაწერი. ვწუხ-ვარ, ძვირფასო ბატონო...“

საგამომცემლო უარმა შობა სტანდარტული ნეგატი-ური წერილი, ერთგვარი ახალი ქანრი. სტანდარტული წერილები, რომლებსაც ჩვენში შეხვდებით, ყოველთვის როდია თავაზიანი. ისეთებიც მსმენია, ჭრილობის მიყენე-ბას რომ ისახავენ მიზნად. ახალგაზრდა კანადელი მწე-რალი კევინ ჩინგი (ზეგატური წერილების მიღების ექ-სპერტი) გვეუბნება, რომ ზოგჯერ სასტიკი უარი სიტყვა-უთემელადაც შეიძლება გტკიცონ და მაგალითად ერთი მეგობარი მოჰყავს, რომელსაც The New Yorker-ში გაუგ-ზავნია ლექსი. ლექსი უკან დანაკუნძული, ნამცეცებად ქცეული დაუბრუნეს. ცოტა ხნის წინ ჩინგს წინაპრების სამშობლოში, ჩინგთში, უმოგზაურია და მეგობარს შეხ-ვედრია, რომელიც ცრემლებამდე მიუყვანია ერთი ეკო-ნომიკური უურნალიდან მიღებულ წერილს: „თქვენი ხელ-ნაწერი აუნერელი ენთუზიაზმით წავიკითხეთ. თუ ჩვენ მას გამოვაქვეყნებთ, შეუძლებელი გახდება ამიერიდან ნაკლები ხარისხის ნამუშევრის დაბეჭდვა. და ვინაიდან ნარმოუდგენელად გვეჩვენება უახლეს ათასწლეულში ვიხილოთ რამე ისეთი, თქვენს ნაშრომს რომ ალემატოს, იძულებული ვართ, ჩვენდა სავალალოდ, უკან დაგიბრუ-ნოთ თქვენი ღვთაებრივი ქმნილება და უმორჩილესად გთხოვთ, ყურადღება არ მიაქციოთ ჩვენს სიბეცესა და გაუბედაობას“.

ბევრ უარყოფილ მწერალს ჰგონია, რომ ის, ვისაც წიგ-ნებს უქეყენებენ, ბედნერია, რომ მისთვის უცხოა უარი. მაგრამ ასე არ ხდება. წებისმიერი ცნობილი მწერალი ერ-თხელ მაინც შესვახებია უარს, რომელიც შესაძლოა გან-სხვავდება თავაზიანი თუ ავისმოსურნე წერილის მიღები-საგან, მაგრამ ნაკლებად მძიმე ნამდვილად არ არის. სა-ზოგადოდ, სერიოზული მწერალი არ ესწრაფების კარჩაკე-ტილობას, მას სურს, კველას მოსწონდეს, მთელ მსოფლი-ოში აღიარონ. ცალკეულ ნარმატებს იგი ფარდობითად განიხილავს, სამაგირეოდ, რომელიმე ქმნილების სულ მცირე მარცხიც მისთვის მთელი შემოქმედების მარცხის ტოლფასია. სხვაგარად ვერ ახსნი პიერ პაოლო პაზოლი-ნის სასონარევათასა და უნუგში მწუხარებას, რაც რე-ჟისორს მოჰყვარა ერთი პატარა იტალიური სოფლის სამ-რევლო ბიულეტენში დაბეჭდილმა ნეგატიურმა გამოხმა-

## უარყოფილთა კლუბი

მწერალი ბრძანდებით ან გიცდიათ მაინც, გენერათ ? ორივე შემთხვევაში თქვენ აუცილებლად დაგიდგებოდათ უარყოფის მომენტი. ერთ მშვენიერ დღეს რომელიმე სა-გამომცემლო სახლიდან მოგივიდოდათ თავაზიანი წერილი, სადაც ამოიკითხავდით: „ძვირფასო ბატონო, თქვენმა ხელნაწერმა ჩვენზე სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდი-ნა, მაგრამ....“

ურებამ. ნეგატიური კრიტიკა (მაშინაც კი, როცა კრიტიკოსი სახელგანთქმული სულელია) ის უმნიშვნელო ჯილდოა, რომელიც შეიძლება ვერც მოიპოვოს მწერალმა, ეს ის კულტურული დანამატია, რომელშიც მას არც კი მოიხსენიებენ და, თითქოს ეს არ კმაროდეს, სამ გვერდს უთმობენ რომელიმე არარაობას; ყოველივე ეს ცნობილი მწერლისათვის სწორედ რომ უგულებელყოფაა, უარია, რომელიც მოსვენებას უკარგავს.

ასე რომ, უარი ცნობილ მწერალთა თანმდევიცაა და იმათიც, ვის ნაწერებსაც დღის სინათლე სულ არ უნა-

ხავთ. ერთნიცა და მეორენიც უარყოფილთა კლუბის მუდმივი წევრები არიან. ამ კლუბის საიდუმლო ადგილ-სამყოფელში ღამლამობით მოჩვენებები ჯაჭვებს აჩხრია-ლებენ და გუგუნებენ: „ვწუხვართ, ძვირფასო ბატონო.“ სავსე მოვარის ჟამს კი შესაძლოა ჟიდი და პრუსტი დაინა-ხოთ, რომლებიც ჯერ კიდევ კამათობენ უარყოფილი ხელნაწერის ღირსებებზე.

**ფრანგულიდან თარგმნა  
ნიმო ციმაკურიძე**

### პედი კაცისა

შორენა ლებანიძე

## ოცდაათცლიანი გარტოობის ერთი დღე შპაცდაუს ციხეში

\*

ციურერის პირად გდივანს  
ეართველი ეპიზო ჰყავდა

ოდესალაც მილიონნახევრიანი საბჭოთა ჯარის მთავარი ექიმი ვლადიმერ სანიკიძე სამამულო ომისშემ-დგომ წლებში დასავლეთ ბერლინის შპანდაუს ციხის ერთადერთ პატიმარს, ადოლფ ჰიტლერის პირად მდივანსა და პარტიულ მოადგილეს რუდოლფ ჰესს მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ სანიკიძის სახელი საქართველოს ომის ვეტერანთა კლინიკურ ჰოსპიტალს ჰქვია.

1962 წელი. გერმანია.

აღმოსავლეთ ბერლინის კარლპორსტის რაიონიდან საოცნებულო სექტორების გამყოფ ზღუდემდე რამდენიმე კილომეტრია. ფრიდრიხშტასეზე გაჭიმულ ეკლიას მავთულხლართს ზოგან ბეტონის კედელი ცვლის. კედლის ასაშენებლად ცენტრალური ქუჩის გასწვრივ ამნებები ჩაურიგებიათ. ამნეთი დამვებულ ფილებს მინაში ღრმად ჩასმულ ფოლადის საყრდენებზე მუშათა გასამხედროებული რაზმები ადულებენ. უშლაგბაუმო, უკომპურო საგუშა-გოსთან ე.წ. რეინის დარაბას საჯარისო ნაწილები ქმნიან. „დარაბა“ მხოლოდ საზღვრის გადაკვეთის ყველა ფორმა-ლობის დაცვის შემდეგ იღება. გზა მოკავშირეთა კონტრო-ლირებადი ტერიტორიისკენ ხსნილია.

„ელიზაბეტ ჰოსპიტლის“ მთავარი ექიმის მანქანა ბრიტანული სექტორის კვარტალში მიქრის. ეკლიანი მავთულ-ხლართს კვალზე მეტროს ამოქოლილი გვირაბები, ელექტრომატარებლების გაუქმებული სადგურები, გადაკეტილი ხიდები, დაცარიელებული დანერებულებები და ფასადშეცვლილი კორპუსებია. საბჭოთა საოცნებაციო ზონის საზღვრისპირა შენობებს დასავლეთის მხარეს გაჭრილი სარკმლები ამოგმანული აქვთ, მიზეზით: დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქებს კაპიტალისტური სამყაროს-კენ გახედვაც კი ეკრძალებათ.

აღმოსავლეთ გერმანიის ხელისუფლება მკაცრ კონტროლს ლტოლვილთა ნაკადის შესამცირებლად აწესებს (ბერლინის კედლის მომიჯნავე უბნებში საკომენდანტო რეჟიმიც კი მოქმედებს). კადრების გადინებას, ზოგადად, ფედერაციული რესპუბლიკისადმი მოსახლეობის სწრაფვას დასავლეთში მიღწეული „ეკონომიკური სასწაული“, ფასეულობების მსგავსება, მისაღები ფორმაცია განაპირობებს. თავსმოხვეული სოციალისტური იდეოლოგისაგან ნებისმიერ, თვით სიცოცხლის გარისკვის, ფასად გაქცევის პროცესს შეუქცევადი ხასიათი აქვს: სასაზღვრო კორპუსების მესამე-მეოთხე სართულებიდან მოკავშირების კუთვნილ ბერნაუერშტრასეზე ჩამოხტომისას იღუპებიან იდა ზიმანი, ოლგა ზეგლერი, ბერნდ ლიუნზერი. ობერბაუმის ხიდის მახლობლად, მდინარე შპრეები იძირება უდიდეულიერი. ბრანდენბურგის ჭიშკართან ცხრილავენ პეტერ ფეხტნერს. ტელტოვის არბის გადაცურვისას საგუშაგოდან ესვრიან გიუნტერ ლიტფინს, როლანდ ჰოფე.

დასავლეთში ემიგრირებულთა ზუსტი სტატისტიკა გასაღდუმლობულია. სოციალისტური ბანაკი ღიად საუბრობს მხოლოდ უკუპროცესებზე. ფედერაციულიდან დემოკრატიული რესპუბლიკისკენ კადრების გადინების ერთეულ შემთხვევებს საბჭოთა პროპაგანდა ყოფილი ნაციისტებისადმი მოკავშირების შემწყნარებლობითა და კომუნისტების დევნა-შევიწროებით ასაბუთებს.

პოლიტიკური კრიზისი სსრკ-სა და აშშ-ს შორის სამხედრო კონფრონტაციის საფრთხეს ზრდის. „ელიზაბეტ ჰოსპიტლის“ ხელმძღვანელი, გერმანიაში დასლოცირებული საბჭოთა ჯარების მთავარი ექიმი ვლადიმერ სანიკიძე, სხვა უცხოელი დიპლომატების მსგავსად, ორი (კაპიტალისტური და სოციალისტური) სამყაროს იდეოლოგიური განხეთქილების უნებური მონმებ ხდება. 1961 წლის 13 აგვისტოს ღამეს მობილიზებული სამხედრო-საინჟინრო

ქვედანაყოფები მის თვალწინ ინ-  
ყებენ პნევმატური ჩაქუჩებით  
ქვაფენილის აყრას: ფრიდრიხ-  
ებერტ შტრასეზე, პოტსდამერ  
პლატცზე, უნტერ დენ ლინდენ-  
ზე, რომ შემდეგ ბარიკადებად აღ-  
მართული ასფალტის ნატეხების  
გასწრივ დასავლურ-აღმოსავ-  
ლურ სექტორებს შორის ეკლიანი  
სასაზღვრო მავთულლობები გაჭი-  
მონ. მის თვალწინ მიემართება  
სატვირთო მანქანების კოლონა  
და ჯავშმანტექნიკა ქალაქის მთელ  
შიდა პერიმეტრზე ცოცხალი ძა-  
ლისა და სამშენებლო მასალების


გასანანილებლად. მის თვალწინ იკავებენ პოზიციებს და  
კეტავენ გადასასვლელ ჰუნტებს სასაზღვრო-სამიქალა-  
ქო პოლიციის ნანილები, საბრძოლო ბატალიონები. დი-  
ლით კი მისი თანადასწრებითვე ორად გახლებილი დედაქა-  
ლაქის გამყოფი ზღუდის გარღვევას ამაოდ ცდილობენ  
მოულოდნელობისგან გაოგნებული, სასოწარკვეთილი  
ბერლინებები.

ვლადიმერ სანიკიძე იცის, რომ „დარაბის“ ჩაქეტვის  
იდეა დემოკრატიულ რესპუბლიკში მოსალოდნელმა ეკო-  
ნომიკურმა კრიზისმა მოამზია. კრიზისს ნინაპირობას  
კადრების გადინების უწყვეტი, მზარდი, უმართავი პრო-  
ცესი ქმნიდა. მის აღსაკვეთად საბჭოთა პროპაგანდა,  
მკაცრი სავიზო რეჟიმი, კანონით დაწესებული შეზღუდვები  
და რეპრესიები აღარ კმაროდა. საჭირო იყო ზღუდე! და  
გერმანელი კომუნისტების ლიდერს ვალტერ ულბრიხტს  
მოსკოვის კრემლმა კედლის აგება დაავალა.

\* \* \*

კარლპორსტის რაიონში, სადაც ქართველი ფსიქონევ-  
როლოგის ოჯახი, მეორე წელიწადია, ცხოვრიბს, მავ-  
თულლობები არ გადის, თუმცა, ვარეშე თვალისფერის შეუმ-  
ჩნეველი სასაზღვრო კონტროლი ყოველ ნაბიჯზე იგ-  
რძნობა. საბჭოთა დიპლომატების კორპუსს მეზობელი შე-  
ნობებისგან მაღალი გალავანი მიჯნავს. ჭიშკრიდან ეზოში  
და ეზოდან კორპუსში შესასვლელად სტუმარსა თუ მას-  
პინძელს ჯერ საგუშაგოს, შემდეგ კომენდანტის რთახის  
გავლა უწევს. სათანადო დიკუმენტაციის (საშვის, პირა-  
დობის მოწმობის) ნარუდენნლად ქუჩის გადაკვეთაც კი  
აკრძალულია. სანიკიძები, სხვა ოფიციალური პირების  
მსგავსად, გერმანიის მკვიდრ მოსახლეობასთან კონ-  
ტაქტს მაქსიმალურად ერიდებიან.

„ელიზაბეტ ჰოსპიტლის“ მთავარი ექიმის სანაცნობო  
წრე საბჭოელი და აღმოსავლეთ ბერლინელი კოლეგებით  
შემოიფარგლება. თუმცა, ხდება გამონაკლისებიც. პერი-  
ოდულად დასავლეთ ბერლინის შპანდაუს რაიონიდან  
შეტყობინება მოდის – ნიურნბერგის სასამართლოს მიერ  
მუდმივ პატიმრობამისჯილი სამხედრო დამნაშავე რუ-  
დოლფ ჰესი, ჯანმრთელობის გაუარესების მოტივით, ინ-  
გლისურ ასასანოლიან ჰოსპიტალში გადაყვანას ითხოვს.  
გადაწყვეტილება ჰესისთვის მკურნალობის დანიშვნა-არ-  
დანიშვნის თაობაზე ოთხი ქვეყნის – მოკავშირებისა და  
სსრკ-ს – შეიარაღებული ძალების მთავარმა ექიმებმა უნ-



ვლადიმერ სანიკიძე

და მიიღონ. საჭიროა კონსილიუ-  
მი!

კონსილიუმზე საბჭოთა კავ-  
შირს, წესისამებრ, ვლადიმერ სა-  
ნიკიძე ნარმოადგენს. ბრიტანულ  
სექტორში მოქცეულ შპანდაუს  
საერთაშორისო ციხემდე მას  
გერმანელი რაცისტი მაცილებს.  
ციხეს, რომელსაც უცხო სახელ-  
მნიშვნელო რიცხვმრავალი პერსო-  
ნალი ემსახურება, მხოლოდ ერთი  
პატიმარი ჰყავს – აღოლფ ჰიტ-  
ლერის პირადი მდივანი და პარ-  
ტიული მოადგილე რუდოლფ ჰე-  
სი.

ფიურერის ერთგული თანამებრძოლის შესახებ ქარ-  
თველმა ექიმმა იცის, რომ სამამულო ომის დაწყებამდე ჰე-  
სი, ჩერჩილის მთავრობისთვის მოკავშირების შესათავა-  
ზებლად, ინგლისში ჩაფრინდა. ბრიტანელებმა დააპატიმ-  
რეს, ხოლო ჰიტლერმა, ნაცისტური პარტიის ხელმძღვანე-  
ლობასთან შეუთანხმებელი ინიციატივის გამო, გიუად გა-  
მოაცხადა. ნიურნბერგის საერთაშორისო ტრიბუნალმა  
კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის ბრალ-  
დება მოუხსნა, მიზეზით: ჰესს ებრაელთა მასობრივი ჟღე-  
ტის, დაცყრობილი მოსახლეობის განადგურების ბრძანე-  
ბები არ გაუცია. ის მხოლოდ ესესის იდეოლოგი, პოლიტი-  
კური (და არა სამხედრო) ფიგურა იყო.

ფიურერის ერთგული თანამებრძოლის შესახებ ქარ-  
თველმა ექიმმა ჯერ კიდევ არ იცის, რომ ნაცისტი ესესე-  
ლი, 30-წლიანი პატიმრობის შემდეგ, 80-ს გადაცილებუ-  
ლი გარდაიცვლება შპანდაუს ციხეში. მისი გამოსვენების  
ამსახურ ფოტოკადრებსა და ვიდეომასალას გავრცე-  
ლებენ საინფორმაციო სააგენტოები, ხოლო დაკრძალვის  
ადგილს საგანგებოდ გაასაიდუმლოებენ შესაბამისი უწ-  
ესებები. ვლადიმერ სანიკიძე კი ბერლინიდან გამომგზავ-  
რების, მოსკოვისა და ამერიკავეკისის სამხედრო ოლქე-  
ბის, საქართველოს ომის ვეტერანთა ჰოსპიტლის მთავარ  
ექიმად დანიშვნის შემდეგაც არაერთხელ დაუსვამენ კით-  
ხვას:

– როგორ გაუძლო რუდოლფ ჰესმა მუდმივ ფსიქოლო-  
გიურ ტერორს და რამ გაატარებინა სიცოცხლის თითქმის  
ნახევარი სრულ მარტინბასა და სიჩუმეში?

პასუხად ვლადიმერ სანიკიძე გაიხსენებს 1962 წლის  
ერთ თითქმისდა არაფრით გამორჩეულ დღეს, როცა საბ-  
ჭოთა დიპლომატის მანქანა ფრიდრიხშტრასეზე ბეტონის  
ფილებით ჩანაცვლებულ ეკლიან ზღუდეს გასცდა და გეზი  
შპანდაუს რაიონისკენ აიღო.

\* \* \*

ჰესს ხელბორკილი შესანეს და კონსილიუმისთვის გან-  
კუთვნილი ოთახისკენ გაუძღვნენ. შინნაქსოვ სვიტერსა  
და ხაკის შარვალში მაღალი, ხმელ-ხმელი, სპორტულად  
აღნაგი ჩანდა. ასაკი არ ეტყობოდა. 60 წლისას ჭალარა  
მხოლოდ საფეხულებთან გამორჩეოდა. შავგვრემანი იყო,  
კუშტახიანი, მკაცრად მოუმული ბაგებით და სქელ  
ნარბებქვეშ შემაღლული ვინწრო, მოუსვენარი, ღრმად ჩამ-  
ჯდარი თვალებით. უნდო, ქედმაღლური მზერა და ბოხი,

ოდნავ დახშული ხმა ჰქონდა. კითხვებს ისე ძუნად, უხალისოდ და სასხვათაშორისოდ პასუხობდა, თითქოს საკუთარი ბედი არც ანაღვლებდა. სინამდვილეში, გულისყური ოთხი თეთრხალათინი მამაკაცისკენ ჰქონდა მიპყრობილი. სურდა, ამოეცნ, დართავდნენ თუ არა ჰოსპიტალში გადასვლის ნებას.

ექიმებს გადაწყვეტილების მიღება უჭირდათ. პროფესიული კეთილსინდისიერება მათ კუჭის წყლულით, ნევროზითა და არითმით დაავადებული პაციენტის შესაბამის გარემოში მკურნალბას კარნახობდა, რაც პოლიტიკურ-დიპლომატიურ მოსაზრებებს ენინალმდეგებოდა. გამორიცხული არ იყო, ჰოსპიტალში გადაყვანის ნებართვა შესაბამის უწყებებს სამხედრო დამნაშავისაბადი კეთილგანწყობად შეეფასებინათ. პაციენტის ჯანმრთელობაზე ზრუნვისთვის პირადი უსაფრთხოება რომ არ გადაეყოლებინათ, კონსილიუმის მონაწილეები ყოველ ფრაზას საგულდაგულოდ სწონდნენ. მათი საუბარი სიტყვასიტყვით იწერებოდა ფირზე, რომელიც შემდეგ ოთხი ქვეყნის სადაზვერვო სამსახურებს უნდა მოესმინათ.

ჰეს მოთმინება ალარ ჰყოფნიდა, ნრიალებდა, თითებს იმტკრევდა. ვლადიმერ სანიკიძეს ნიურნბერგის პროცესის ვიდეოკადრები გაახსენდა. სასიკვდილო განაჩენის მოლოდინში თითქოს ერთ ადგილას მილურსმული გერინგის, რიბენტორპის, კაიტელის, კალტენბრუნერის, როზენბერგის ფონზე განსაკუთრებულად ფორიაქობდა, არარსებულ კედლებს აწყდებოდა, სკამზე ნინ, უკან, ნინ, უკან ირწეოდა სამუდამი მარტოობამისჯილი რუდოლფ ჰესი.

ის აბლაც განაჩენს, ექიმების არჩევანს ელოდა: ან კვლავ ბენელი საკანი, ან ჰოსპიტლის თეთრი, ნათელი პალატა. არჩევანი იგვიანებდა.

– ჰესის შემსედვრე, ვფიქრობდი, უფლება რომ მისცენ, ალპათ, ყველას დაუყოვნებლივ გაგვუშავს მეთქი, – ამბობს წლების შემდეგ ვლადიმერ სანიკიძე, – განსაკუთრებით მე ვძლევდი. ზედ არ მიყურებდა, ხმას არ მცემდა. შემნიშნავდა თუ არა, ზიზღით ხელს გაასავსავებდა და ზურგს შემაქცევდა. სასტიკი გამომეტყველება ჰქონდა. სახეზე გულგრილობა ალბეჭდვოდა. იხტიბარგაუტეხელი კაცის იერით, ამაყად თავაწეული დაბიჯებდა. შინაგან სიმტკიცეს გამუდმებული ვარჯიშისა და შრომის წყალობით ინარჩუნებდა: ცი-



ხის ეზოში მიწას ამუშავებდა, ყვავილებს რგავდა და უვლიდა, ფიცრულებს, აგურის კედლებს აშენებდა და ანგრევდა, ჩხირკედელაობდა. საღამოობით საკნის გვერდით მოწყობილ პატარა ბიბლიოთეკაში წიგნებს კითხულობდა, ახლობლებს წერილებს სწერდა, მათ მიღებაზე კი კატეგორიულ უარს აცხადებდა. . . იმ დღეს ვკითხ: „ოჯახის წევრების ნახვაც არ გინდათ?“ უარის ნიშნად თავი გააქნია. „რატომ?“ „რუდოლფ ჰესი პატივაყრილ სამხედრო დამბაშავედ კი არა, ძლევამოსილი ფიურერის ლირსეულ თანამებრძოლად უნდა დარჩეს ხალხის მესიერებაში,“ – წელში გაიმართა, ხმაში ფოლადი ჩაეღვარა და თვალებიც ისე გაუნათდა, თითქოს, ხელგანვდილი, სამხედრო სალმის სათქმელად ემზადებოდა.

– ზიგ ჰაილ! – ალბათ, გულში დაასრულა მცირე მონოლოგი პატიმარმა, რომელსაც კვლავ საკანში დაბრუნების გადაწყვეტილება გამოუტანეს, და გასასვლელისკენ მტკიცე ნაბიჯით გაემართა.

\* \* \*

**P. S.** ვლადიმერ სანიკიძემ აღმოსავლეთ ბერლინში რვა წელიწადი იმსახურა. მანამდე ურონტზე იბრძოდა, უფრო ადრე ტამბოვის ჰოსპიტლის ქირურგიულ განყოფილებაში მუშაობდა. განყოფილებას პროცესორი ვოინო-იასენეცკი ხელმძღვანელობდა. მას თეთრ ხალათქვეშ ოქროს ჯვარი მოუჩანდა და მკერდზე ქათქათა წვერი სცემდა. სამსახურში მისვლამდე, უთენია, მონასტერში წირვა-ლოცვას აღავლენდა. უბრალოდ, მორჩუნე მართლმადიდებელი და საეკლესიო მრევლის წევრი კი არა, სასულიერო პირი იყო.

ტამბოვში ქართველმა ფსიქონევროლოგმა 1944 წლამდე დაჰყო. მერე საავიაციო პოლეის მთავარი ექიმობა ჩააბარეს. ერთ-ერთი სამხედრო პერსონალისას, საზენიტო არტილერიის ცეცხლში მოხვედრილი, თვითმფრინავიდან გადასტა და ეკალ-ბარდში ჩაიჩეხა.

ვლადიმერ სანიკიძის ცხოვრებაში ბევრი სანტერესი ეპიზოდია, მაგრამ განსაკუთრებული – მხოლოდ ერთადერთი: ბერლინი, 1961-1969 წლები...



ბერლინის კედლელთან დაკავშირებული ფაქტობრივი მასალა გამოყენებულია გერმანისტ თენციზ ხაჭაპურიძის წიგნიდან – „ბერლინის კედლელი და მისი ქართული პარალელები“. წიგნის ავტორს დიდ მადლობას ვუხდით კონსულტაციისთვის.

ვოლფგანგ ბაუერი

## სიზმრების ჟოკეი

**სიზმრების ჟოკეი – ბალთაზარ ფოგელი**

**კარლა – სტუდიის ასისტენტი**

**კარლი – ხმის ოპერატორი (ტექნიკოსი)**

**ქალის უცნაური ხმა**

**ბოსი**

**ლუი ეგერი**

**ქალბატონი ფინი ეგერი**

**ქალბატონი მოსვიტცერი**

**მთავარი ექიმი**

**პეჩინა – მედიცინის სტუდენტი**

**კაცის ხმა**

**მსმენელები (ის, ვინც გადაცემაში რეკავს)**

როდესაც „სიზმრების ჟოკეი“ ეთერში გადის, ყველა მსმენელი შინ ზის, იმისათვის, რომ მას (ჟოკეის) და რადომსმენელებს თავისი სიზმრები უამბოს. ამ პიესაში კი ეს სიზმრები დამიუკიდებლად იწყებენ არსებობას.

ვოლფგანგ ბაუერი: „მე მიყვარს სიუჟეტის სპეციფიკურ გარემოში განლაგება (თეატრისა – თეატრში, ფილმისა – ფილმში და სხვა), რადგან, ჩემი აზრით, ფორმა და შინაარსი ისეთი ცნებებია, რომლებიც ერთმანეთს ერწყმის და მთლიანობას ქმნის. ასე რომ, გადაცემის „სიზმრების ჟოკეი“ მთავარი თემა ანუ სიზმრები, საბოლოოდ რადიოპიესას ფორმას მიღებს და თვითონაც სიზმარი აღმოჩნდება.

\*\*\*

რადიოპიესამ „სიზმრების ჟოკეი“ პირდაპირი ეთერის შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს მსმენელზე. პიესაში ჩართულია სიზმრების ჟოკეის პირადული საუბრებიც იმ სტუდიადან, სადაც იგი მუშაობს. ფაქტობრივად კი, როგორც რადიოპიესის მსვლელობისას შევიტყობთ, ყველაფერი ეს სიზმარი.

**რადიოპიესის მუსიკალური ქუდი**

**აღმავალი ტონი**

**ტექსტი:** „სიზმრების ჟოკეი – პირდაპირ ეთერში სიზმრების სამყაროდან!“

**სიზმრების ჟოკეი:** ქალბატონებო და ბატონებო! აი, მე ისევ თქვენთან ვარ: ბალთაზარ ფოგელი, თქვენი ერთგული სიზმრების ჟოკეი! აბა, დაგესიზმრათ გასულ დღეს თუ დამეს რაიმე ამაღლელვებელი? მე უკვე მოუთმენლად ველი თქვენს ზარებს... როგორც ყოველ კვირას, დღესაც შეგიძლიათ მე და ჩემს მსმენელებს თქვენი ცხელ-ცხელი სიზმრები მოგვიყეთ... მათგვის კი, ვინც ჩვენი ნომერი ჯერ არ იცის, ვიმეორებ: ვენის კოდი 50101, ნომერი 8451.

**სიზმრების ჟოკეი:** ...  
თქვენ უკვე შეგიძლიათ  
დარეკოთ!

**მუსიკა**

**სიზმრების ჟოკეი:** ვენის  
კოდი 50101... 8451.

(სტუდიაში ტელეფონი  
რეკავს).

აი, ვიღაც უკვე საზზეა...

**ზარი პირდაპირ ეთერში  
გადის.**

... ალო? ვის ვესაუბრები? ალო?.. არის მანდ ვინმე?.. ალო!

**ხმა: ალო?**

**სიზმრების ჟოკეი:** დიახ? ვის ვესაუბრები?

**ხმა: დიახ...**

**სიზმრების ჟოკეი:** დიახ, ვინ ლაპარაკობს?

**იდუმალი ხმა:** უნდა ვთქვა?

**სიზმრების ჟოკეი:** არა, არ არის აუცილებელი.

**ხმა:** დიახ, თუ შეიძლება... ასე მირჩევნია.

**სიზმრების ჟოკეი:** როგორც გენებოთ, ქალბატონო... ჩვენი გადაცემა ხომ სიზმრებზეა და არა მათ ავტორებზე... კეთილი, დაინტერესონ...

**ხმა:** კარგად ხართ?

**სიზმრების ჟოკეი:** გმადლობთ, თქვენ?

**ხმა (პატის შემდეგ):** ახლა რა უნდა გითხრათ... ვიფიქრე, რომ თქვენთვის ჩემი სიზმრები უნდა მომეყოლა...

**სიზმრების ჟოკეი:** აბა, რა... მხოლოდ სიზმარი... დაინტერესონ...

**ხმა:** ჰომ... სწორედ ახლა მეძინა...

**სიზმრების ჟოკეი:** ძილი ჩვენი მოვალეობაა, ისე ხომ სიზმრები არ დაგვესიზმრებოდა...

**ხმა:** დიახ, დიახ... ასეა... იცით, რადიოს გამორთვა დამავინვედა და ამიტომ გამეღვიძა.

**სიზმრების ჟოკეი:** გასაგებია... და მაშინვე ჩვენთან დარეკეთ, არა? ასე ვთქვათ დირეტისიმა!\* ჰაჰაჰა!

**ხმა:** არა... დარეკევით არ დამირეკეავს...

**სიზმრების ჟოკეი:** კი მაგრამ, პატივცემულო ქალბატონო, რომ არ დაგერეუათ, ხაზზე ხომ არც იქნებოდით! გამოფენიზლდით, ქალბატონო! ჰეი!

**ხმა:** ეს ხდებოდა ყინულზე... ყველაფერი ყინულზე ხდებოდა...

**სიზმრების ჟოკეი:** ყინულზე? ჰომ, ძალიან ზამთრულად ულერს...

**ხმა:** დიახ, საკმაოდ... მაგრამ დარეკევით მე არ დამირეკეავს...

**სიზმრების ჟოკეი:** ჰო, კეთილი, მაშინ ზებუნებრივი ძალები გქონიათ... მოგვიყევით...

**ხმა:** ტელეფონი არ გამაჩინა... ტბაზე ტელეფონი საერთოდ არ არის... არც ზებუნებრივი ძალები მაქვა... იცით, ტბა გაყინულია... და დათოვლილი... ჩვენი სახლი ტბაზე დგას... ჩვეულებრივი სახლია... განმარტოე

\* ეგრევი



ბული... გარშემო აქ ტელეფონი არსად არის... ციგურებითაც კი ვერ მივალნევდი ტელეფონამდე... ჯერ თოვლი უნდა გადამეხვეტა გზიდან... ახლა ქარი ქრის და ყინულიც მოაწმინდება... მზე და მოვარე ერთდროულად ანათებენ... ისე კი ღამეა... არა... აქ ღამე და დღე ერთდროულადა... კაცმა არ იცის, ეს რა სინათლეა... (პაუზა)

**სიზმრების ჟოკეი:** გამოიყენეთ თქვენი დრო, ძალიან საინტერესოდ ჟღერს!

**ხმა:** ეს სრულიად უინტერესო ადგილია... მე ხომ დიდი ხანია აქ ცხოვრობ... ყოველთვის მიკვირს, გაზაფხულზე ტბა რომ დნება, სახლი არ იძირება... მაგრამ თურმე ეს შესაძლებელია... ნამდვილად კარგად ხართ?

**სიზმრების ჟოკეი (ოდნავ გაღიზიანებული):** ჯერ კი-დევ კარგად ვარ, გმადლობთ...

**ხმა:** თქვენ ხომ ჩემი მეზობელი ხართ...

**სიზმრების ჟოკეი (ირონიულად):** აბა რა, თქვენც ბურგასეზე ცხოვრობთ?

**ხმა:** არავითარი გასე... თქვენ ყინულის ქვეშ ცხოვრობთ... ზაფხულობით კი წყალში... თქვენ წყალქვეშა ინტერვიუს იღებთ ჩემგან... ენა გამუდმებით გებმებათ, იმიტომ, რომ ამდენს ლაპარაკობთ...

**სიზმრების ჟოკეი:** მართლა, ყლუპ, აი, ისევ გადამეყლაპა წყალი!

**ხმა:** მოდით ჩემთან, ლუდი დავლიოთ... თქვენ ხომ კარგად იცნობთ ჩემს ბინაშიც ხართ?

**სიზმრების ჟოკეი:** არც ისე... მეგონა წყლის ქვეშ ვიყავი... არა?

**ხმა:** დიახ... მაგრამ ამავე დროს ჩემს ბინაშიც ხართ... მე თქვენ ბარძაყებზე გეფერებით...

**სიზმრების ჟოკეი:** აპა... დიახ, დიახ რაღაცას ვგრძნობ...

**ხმა (მკაფედ):** ვერაფერსაც ვერ გრძნობთ, ბატონო ფოგელ... აქ საერთოდ ვერავინ ვერაფერს გრძნობს... აქ ყველაფერი გაყინულია... ლუდიც კი გაყინულია... ლუდი უნდა დალრღნათ, თორემ გამბედაობა არ გეყოფათ, რომ თქვენი „სიზმრების გადაცემა“ განაგრძოთ! თქვენ ყავისფერი ლუდის ნატეხები გჭირდებათ, გესმით?

**სიზმრების ჟოკეი:** ცხადია, მესმის... უკვე კბილებიც კი ამტკივდა... მომიყევით ბოლომდე... როგორ მთავრდება თქვენი სიზმარი...

**ხმა:** ეგ არ ვიცი... ჯერ არ დამიმთავრებია... საერთოდ შესაძლებელია სიზმრის დამთავრება?

**სიზმრების ჟოკეი (გაბრაზებული):** ეგ ჩემთვის სულერთია... ჩემს გადაცემაში სიზმრებს ყოველთვის აქვს დასასრული, თანაც უეცარი.

**ხმა:** გაყინული ლუდი ინვის (პაუზა).

**სიზმრების ჟოკეი:** ეს მართლაც სიზმარსა ჰგავს, ჰა-ჰაჰა!

**ხმა:** კი მაგრამ, სიზმარი არ უნდა მომეყოლა?

**სიზმრების ჟოკეი:** აბა რა!

**ხმა:** თქვით რამე...

**სიზმრების ჟოკეი (ენის ბორძისით):** კეიი მაგრამ... რრა უუნდა ვვილა – ვთქვა, თქვენ... მმეე...

**ხმა:** ცეცხლისაგან უკვე პირიც გეწვით... გამოფხიზ-ლდით? გეწნოთ ეს სიზმარი, რას იტყვით?

**სიზმრების ჟოკეი:** (არ პასუხობს):

**ხმა:** სიზმარში ბინები ყოველთვის ერთნაირია... სიზმრის სამყარო ეფერთწოდებული რეალური სამყაროს მსგავსია... თქვენ ახლა ორგაზმს განიცდით...

სტუდია! ძირითადი რადიოკავშირი. ყრუდ ისმის ქალის გაურკვეველი ლაპარაკი. სიზმრების ჟოკეი აღელვებულია, ელაპარაკება თავის ასისტენტს.

**ხმა (ფონად):** ბატონო სიზმრების ჟოკეი? ბატონო ფო-გელ? მე თქვენი აღარ მესმის...

**სიზმრების ჟოკეი:** კარლა, გესმის ჩემი?

**კარლა:** ჰორ, ის მართლაც ძალიან დამღლელია...

**სიზმრების ჟოკეი:** ეს სიგიურა... ბოლოს მომიღებს...

**კარლა:** ხომ არ გავთიშო?

**სიზმრების ჟოკეი:** სხვა ზარები უკვე არის?

**კარლა:** უამრავია... რამდენიმე უკვე ანერვიულდა ამ ბებრის სულელური მონაჩრის გამო...

**სიზმრების ჟოკეი:** ერთი-ორი წამი კიდევ აცადე და მერე მოაშორე, ვიტყვი, ხაზს დაემართა რაღაც-მეთქი...

**კარლა:** კარგი ბალთლ, გადი ისევ ეთერში.

პირდაპირი ეთერი:

ხმა დაშინებით აგრძელებდა ლაპარაკს, მომდევნო წინადადებები ყრუდ მოისმის.

**ხმა:** თქვენი გავარვარებული პირით მთელ ჩემს წყლის სახლს დამიწვათ! თქვენ თავი გაეცით! ბატონო ფო-გელ! ეს არ უნდა გექნათ! ათასობით ადამიანი უსმენს თქვენს გადაცემას, მთელი ქვეყნის წინაშე არ უნდა გამოგეხქენებინეთ! ჩემს სარდაფში ჩაგკეტავთ და ჩაგაქრობთ...

(ისმის ტელეფონის გათიშვის ხმა, სიზმრების ჟოკეი ისევ ხაზზე).

**სიზმრების ჟოკეი:** მაპატიეთ, პატივცემულო მსმენელებო... მაგრამ, ვშიშობ, ქალბატონთან კავშირი განყდა... ველარაფერს გავხდებით... ვიდრე მომდევნო მსმენელს გავესაუბრებოდე, მოვუსმინოთ მუსიკას. მუსიკა. მასთან ერთად შორიდან ისმის ქალის შემზარევი ხმა.

**ხმა (ჩუმად, ზებუნებრივად):** სამწუხაროდ... სამწუხაროდ... სამწუხაროდ არ მოგწონვართ... (მღერის)... მაგრამ ჩემს გამოთიშვას მაინც ვერ შეძლებთ... რადგან მე ტელეფონი არ გამაჩინია... ტელეფონი არ გამაჩინია... ჩემს სიზმრებს ხაზი არ სჭირდება... საერთოდ გაყვანილობის გარეშე ვცხოვრობ, აქ, ჩემს ტბაზე, სიზმარში...

და იცით რატომ? იმიტომ, რომ ისიც შესანსლეს... ახლა ის განმარტივებული ხის სახით შუა ტბაში დგას და განუწყვეტლივ ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო, რადგან არ იცის სად იმყოფება... სასონარკვეტილი ეძებს თავის „ვოდვა მარტინის“, გესმით ჩემი, სიზმრე-

ბის უკეთე? ეპერი, ჩვენ ორნი უკვე ვეშვებით ბნელ სარ-  
დაფში?

სტუდია

**სიზმრების უკეთე (ტექნიკოსს):** მოაშორეთ ეს ქალი  
ეთერიდან!

**კარლა:** არ გამოდის და რა ვქნა!

**კარლი:** უკვე ყველაფერი ვცადეთ, ბალთლ... ვერაფ-  
რით ვერ გავთიშეთ...

**სიზმრების უკეთე:** ეს აპსურდია!

**კარლი:** ეს გადაცემა შენი იდეა იყო...

**სიზმრების უკეთე:** შეამონმეთ ხალხი, ვიდრე ეთერში  
გაუშვებდეთ, გასაგებია?

**კარლი:** ასეც ვიქცევით...

**სიზმრების უკეთე:** ჯერ კარგად გამოელაპარაკეთ...  
და მიხვდებით, ვინ ვინ არის!

**კარლა:** ასეც ვიქცევით, ბალთლ... მაგრამ ამ ქალს აქ  
საერთოდაც არ დაურევავს.

**სიზმრების უკეთე:** რა, ბოლო გინდათ მომიღით?

**კარლი:** ასეა და რა ვქნათ... ის უბრალოდ ხაზზე იყო  
და მორჩა!

**კარლა:** სხვათა შორის, ახლაც ხაზზეა...

(სტუდიაში ისევ ისმის ქალის ჩუმი ხმა)

**სიზმრების უკეთე:** ბოლოს და ბოლოს იღონეთ რამე,  
მე უკვე ალარ შემიძლია!

**კარლი (ისმის სტვენა):** აი, ასე... მე მგონი უკვე გამოვ-  
რთე!

**სიზმრების უკეთე:** მადლობა ღმერთს. შემდეგი ვინ  
არის?

**კარლა:** ერთი ბატონია შტირიის მიონხევიდან.

**სიზმრების უკეთე:** ნორმალურია?

**კარლა:** ხო, ფერმერია... ნორმალური ეთქმის...

**სიზმრების უკეთე:** კეთილი... მუსიკა კიდევ რამდენ  
ხანს გრძელდება?

**კარლი:** რამდენ ხანსაც გინდა...

**სიზმრების უკეთე:** ერთი სიგარეტი მომიტანე, რა!

**კარლა:** სტუდიაშია, შენთან.

**სიზმრების უკეთე:** აბა, სადა?

**კარლა:** შენს საწოლზე.

**სიზმრების უკეთე:** რომელ საწოლზე?

**კარლი:** მარცხნივ... მარცხნივაა შენი საწოლი...

**სიზმრების უკეთე:** ჰო, ვხედავ უკვე... აგერ არის...

**კარლა:** უკვე შემოვუშვა ის კაცი ეთერში?

**სიზმრების უკეთე:** ხო... მაგრამ მოიცა... როდიდან  
გაჩნდა სტუდიაში საწოლი?

**კარლა:** ყოველთვის იყო.

**სიზმრების უკეთე:** რაა, ყოველთვის? ხო... მაგრამ...  
ეს...

**კარლა:** ეს შენი ბავშვობის საწოლია... ის შენი ხელნა-  
წერებისთვის მოიტანე...

**სიზმრების უკეთე:** ჰო, ჰო... ძალიან პრაქტიკულია...  
გადაცემის მთელი მასალა აქ მიწყვია.

**კარლი:** შეფისთვის ეს სასაცილოა...

**სიზმრების უკეთე:** რატომ?

**კარლა:** მაგარია, ბიჭებო, მაგარი...

**კარლი:** მისი აზრით, ეს სულელური იდეაა.

**სიზმრების უკეთე:** ჩემს სტუდიას ისე მოვაწყობ, რო-  
გორც მინდა! კეთილა! ახლა გავალ ისევ ეთერში...

**კარლი:** ყურადღება!

ისმის ტელეფონის რეკვა.

ცოცხალი ეთერი

**სიზმრების უკეთე:** გამარჯობათ? ვის ვესაუბრები?

**ეგერი:** ეგერ-ლუისი ვარ...

**სიზმრების უკეთე:** ბატონი ლუის ეგერი?

**ეგერი:** ხო... ეგერ-ლუისი...

**სიზმრების უკეთე:** საიდან რეკავთ, ბატონო ეგერ-ლუის?

**ეგერი:** მიონხევიდან...

**სიზმრების უკეთე:** მიონხევიდან... ხოო? სად მდება-  
რეობს მიონხევი? შეგიძლიათ უთხრათ მსმენელებს?

**ეგერი:** შტირიაში.

**სიზმრების უკეთე:** ულამაზეს შტირიაში, მშვენიერია,  
ბატონო ეგერ... შეიძლება ლუისი დაგიძახოთ?

**ეგერი:** რატომაც არა.

**სიზმრების უკეთე:** კეთილი. თქვენს სიზმარზე რას  
გვეტყვით?

**ეგერი:** ტელეფონით ისე კარგად ვერ მოგიყვებით, მაგ-  
რამ...

**ქალბატონი ეგერი:** უთხარი ერთი! უთხარი!

**სიზმრების უკეთე:** კიდევ ვინმეა ხაზზე?

**ეგერი:** ხო.

**სიზმრების უკეთე:** ეს ალბათ ქალბატონი ეგერია?

**ქალბატონი ეგერი:** მიდი, უთხარი!

**ეგერი:** ხო რა, ჩემი ცოლია.

**სიზმრების უკეთე:** მერე შემოგვიერთდეს, მანდ არ  
არის, ტელეფონთან?.. იმედია თქვენ მაინც გაქვთ ტე-  
ლეფონი?!?

**ეგერი:** ჰო... აბა, ისე როგორ დაგირეკავდით! დამანე-  
ბე, ქალო, თავი!

**სიზმრების უკეთე:** რა უნდა თქვენს ცოლს. რა უნდა  
მითხრათ ასეთი? იქნებ თვითონ ქალბატონი ეგერი და-  
მელაპარაკოს?

**ეგერი:** ხო... (ცოლს)... შენ დაელაპარაკე, ფინი...

**სიზმრების უკეთე:** აბა, გისმენთ, ფინი, რა ხდება, მო-  
მიყევით... თორებ სხვებსაც ხომ უნდათ ეთერში გას-  
ვლა...

**ქალბატონი ეგერი:** ის ქალი მასთან წევს და მერე მისი  
თესლი თან მიაქვს მფრინავ თეფზე!

**ეგერი:** ეგრეა...

**სიზმრების უკეთე:** რა ბრძანეთ? ეს ზედმეტად ინტი-  
მურად ხომ არ უდერს, ქალბატონო ფინი... იქნებ უფ-  
რო გასაგებად გეთქვათ?

**ქალბატონი ეგერი:** ის ყოველ ლამე მოდის და ლუის-  
თან წევს... მე კიდე აღარ ვიცი, რა ვიღონო... მერე გაქ-  
რება ხოლმე...

**სიზმრების უკეთე:** ყველაფერი ეს დაგესიზმრათ?

**ქალბატონი ეგერი:** არა, სიზმარი არ არის, მაგრამ  
სიზმარივითაა.

**ეგერი:** ეგრეა, ზუსტად ეგრეა!

**სიზმრების უოკეი:** და როგორ გამოიყურება ეგ თქვენი... „მფრინავი თეფში“?.. მწვანე კაცუნები ხომ არ გამოდიან იქიდან? ალბათ თავზე ანტენები აქვთ?

**ეგერი (ცოლს):** უთხარი, მიდი!

**ქალბატონი ეგერი:** ის ანათებს... ის ქალი მაგით მიდის ხოლმე... ჩემი ქმარი კიდე ღონეგამოცლილია!

**ეგერი:** აბა, აბა... ღონეგამოცლილი სულაც არა ვარ... **ქალბატონი ეგერი:** თესლი ხო ნამდვილად აღარა გაქვს ხოლმე!

**ეგერი:** ხო, ეგ ეგრეა...

**სიზმრების უოკეი:** კეთილი, მითხარით ერთი, როგორ გამოიყურება ეს მშვენიერი ქალი, ბატონო ეგერ? შეგიძლიათ ეს ვამპირი აგვინტეროთ?

**ქალბატონი ეგერი (ქმარს):** მიდი, ახლა შენ უთხარი!

**ეგერი:** ქერაა.

**სიზმრების უოკეი:** ანგელოზივით ქერა?

**ეგერი:** სულ სლიკინაა, თითქოს, რეზინისა იყოს. მაგიურებს, რა!

**სიზმრების უოკეი:** ასეთი ლამაზია?

**ეგერი:** ხო.

**ქალბატონი ეგერი (შორიდან):** მე რო მითხარი, ლამაზი არ არიო...

**ეგერი:** თავი დამანებე!

**სიზმრების უოკეი:** კეთილი და რა აცვია ამ საოცნებო ქალს?

**ქალბატონი ეგერი:** მიდი, უთხარი...

**ეგერი (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ):** არაფერი.

**სიზმრების უოკეი (ჩაახველებს):** ჰო... და რა ენაზე ლაპარაკობს.

**ეგერი:** ის გერმანულად... ისეთივე ხმა აქვს, როგორც...

**სიზმრების უოკეი:** როგორიც ვის? ალბათ მერლინ მონროს?

**ეგერი:** არა.

**ქალბატონი ეგერი:** მიდი, უთხარი!

**ეგერი:** როგორიც იმ ქალს, აი, შენთან რომ დარეკა, რა...

**სიზმრების უოკეი (ღრმად ჩაისუნთქებს):** ჰოოო... ესე იგი როგორიც...

**ეგერი:** როგორიც იმ ქალს...

**სიზმრების უოკეი:** ესე იგი იმ ქალს გულისხმობთ, ტელეფონი რომ არ გააჩნია და ცოტა ხნის წინათ ეთერში იყო... აი, ის, გაყინული ტბიდან... ქალბატონი ჯეიმს ბონდი, არა...

**ეგერი:** ხო... ეგ იყო... იმიტომ, რომ მეც ვიცი მაგის ბინა როგორია...

**სიზმრების უოკეი:** მართლა?

**ეგერი:** მაგასთან ხშირად ვარ ხოლმე... მაგის სახლში, ტბაზე...

**სიზმრების უოკეი:** და იქამდე მფრინავი თეფშით მიდიხართ, არა?

**ეგერი:** ხო... ეგრეა.

**სიზმრების უოკეი:** მერე მფრინავი თეფშის დაშვებისას ტბა არა დნება?

**ეგერი:** მაგას ვერ ვხედავ.

**სიზმრების უოკეი:** გასაგებია... თქვენ ეს ხომ მხოლოდ გესიზმრებათ...

**ეგერი:** ხო.

**სიზმრების უოკეი:** მერე რა ხდება მის სახლში?

**ეგერი:** საბავშვო საწოლში მაწვენს.

**სიზმრების უოკეი (ძეშინებული):** საბავშვო საწოლში?!!!

**ქალბატონი ეგერი:** მიდი, უთხარი!

**ეგერი:** მერე „მწველის“.

**სიზმრების უოკეი:** ჰო... ჰო... ეგ უკვე ვიცით...

**ეგერი:** თან რადიოსაც ვუსმენთ...

**სიზმრების უოკეი:** ჰო... წყნარი მუსიკა...

**ეგერი:** არა.

**ქალბატონი ეგერი:** მიდი, უთხარი!

**ეგერი:** ჩვენ სიზმრების უოკეის ვუსმენთ ხოლმე.

**სიზმრების უოკეი:** მშვენიერია... მშვენიერი... ესე იგი ყველაფერი ეს ჩემი გადაცემის დროს ხდება, ასეა?

**ეგერი:** ხო... იმიტო, რო სახლში რადიო არა გვაქ... მარტი ტელევიზორი გვაქ...

**სიზმრების უოკეი:** მართლა? აბა, ახლა როგორ მის-მენთ, ბატონო ეგერ-ლუის?

(პაუზა)

**სიზმრების უოკეი:** ლუის? ისევ მანდა ხართ... თუ უკვე აფრინდა თქვენი მფრინავი თეფში?

**ეგერი:** მე იმასთან ერთად ვარ!

**ქალბატონი ეგერი:** ხო... ისევ იმასთან არი.

**სიზმრების უოკეი:** ჰა... ჰა... ჰა! შეუძლებელია... იმ ქალბატონს ხომ არ გააჩნია ტელეფონი, ჰა, ლუის... შე ბებერო ცულლუტო... ჩემი გასულელება გინდა, არა?

**ეგერი:** არა (კვენესის) არა... არა... მე არავის გასულე-ლება არ მინდა... არა...

**სიზმრების უოკეი:** კეთილი, კეთილი... საკმარისია, გმადლობთ... საკმარისია, გვეყოფა... გინდათ იბაქი-ბუქოთ, არა... თქვე პატარა ტრაბახავ!..

**ხმა:** (ქალისა, რომელსაც ტელეფონი არ გააჩნია): იგი სულაც არ არის ტრაბახა, ჩემთან ერთად რადიოს მოს-მენა უყყარს, მას მე ვუყყარვარ, ჩვენს ლუისს... არა, ლუისლ?

**ეგერი:** ხო... ხოოო...

**ხმა:** ძალიან ვუყვარვარ... ახლა რადიოში ვართ, არა, ლუისლ?

**ქალბატონი ეგერი (სიზმრების უოკეის):** იღონეთ რა-მე, ბატონო სიზმრების უოკეი, ისევ ჩაავლო თავის კლანჭები, ვერაფერს იზამთ? პოლიციას დაურეკეთ, ბატონო...

**ეგერი (ყვირის):** არა, არავითარი პოლიცია... ეს ისეთი მშვენიერია...

**ხმა:** დიახ... ეს მშვენიერი სიზმარია... ეს მშვენიერი სიზმარი იყო თქვენი გადაცემისათვის, თქვენ რას იტყვით, ბალთაზარ ფოგელ? ახლა იქნებ ფრენკ სი-ნატრა გაგეშვარ? თუ შეიძლება!

**უკრავენ სინატრას ფირფიტას**  
**ამასობაში ახალი ზარია**

**სიზმრების ჟოკეი:** დიახ, გისმენთ? ვისთან მაქვს საქმი?

**კაცის ხმა:** არც არავისთან! თქვენი გადაცემა თავის მოქრანა და მეტი არაფერ!

**სიზმრების ჟოკეი:** კი მაგრამ რატომ?

**კაცის ხმა** (ყრუდ ისმის სასწრაფო დახმარების სირენის ხმა): გესმით?

**სიზმრების ჟოკეი:** სასწრაფო დახმარების მანქანაა?

**კაცის ხმა:** ჩემი ცოლი ეს-ესაა ფანჯრიდან გადახტა! ეს თქვენი ბრალია! თქვენი გადაცემის ბრალია! თქვენ უნდა განადგურდეთ!

**სიზმრების ჟოკეი:** დამშვიდდით...

**კაცის ხმა:** შე უკანალო, შენა! (თიშავს)

### სტუდია. მუსიკა

**კარლა** (ყრუდ მოისმის კარლას გაურკვეველი ლაპარაკი ტელეფონზე. ელაპარაკება მსმენელებს)

**სიზმრების ჟოკეი** (კარლას): რა ხდება... ყველას რატომ უშვებ ეთერში? ხომ გითხარი ხალხი შეარჩიე მეთქი?

**კარლა:** ერთი წუთით თუ შეიძლება... ჩვენი ბრალი არ არის... ყველა ძალიან ზრდილობიანად გვეუბნება, სიზმრის მოყოლა მინდაო. ერთი წუთი მაცადე, რა... დიახ, კეთილი, მოითმინეთ თუ შეიძლება... ჩემი ბრალი არ არის, გაიგე... ეს რაღაც უაზრობაა... ტელეფონი სულ დაკავებულია... ბა რა, ბრაზიან მსმენელებს ეთერში არ ვუშვებ...

**სიზმრების ჟოკეი:** აბა ეს ბოლო ვინ იყო? ცოლზე რომ ლაპარაკობდა?

**კარლა:** ეგ კაცი ძალიან ზრდილობიანად გაგვეცნო...

**კარლი:** ბალთლ... გირეკავენ!..

**სიზმრების ჟოკეი:** რა? ცოტა ხანი მუსიკა გაუშვი რა... რამე უნდა დავლიო...

**კარლი:** არა, პირადად შენ გირეკავენ.

**სიზმრების ჟოკეი:** ვინ?

**კარლი:** ბოსია... მანქანიდან რეკავს...

**სიზმრების ჟოკეი:** შემაერთე... ღმერთო!.. გამარჯობათ?

**ბოსი:** მითხარით ერთი, ბატონო ფოგელ, ხომ არ გაგიშდით? მანქანაში ვზივარ, თქვენს გადაცემას ვუსმენ და ყურებს არ ვუჯერებ... უამრავი ხალხი მირეკავს და მეკითხება, რა ხდება... ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ხალხი ეთერში სიზმრებს მოყვებოდა...

**სიზმრების ჟოკეი:** ყვებიან კიდეც...

**ბოსი:** ეს უკვე სიზმრები აღარ არის... ეს... ეს რაღაც აბდაუბდაა... ხალხი შეწუხდა... მათ დაიჯერეს, რომ რაღაც ზებუნებრივი ხდება...

**სიზმრების ჟოკეი:** კი, მაგრამ, ძვირფასო ბატონო დოქტორ ფრაინფელს... ეს ხომ ჩემი ბრალი არ არის... შეიძლება რადიოტალდებს მოუვიდა რამე... თანაც ეს პირდაპირი ეთერია... აქ ყველანაირი სიურპრიზისათვის მზად უნდა იყო...

**ბოსი:** მომისმინეთ და შეიგნეთ... წინა გადაცემა ხომ უპრობლემოდ გავიდა ეთერში... მართალია... რეიტინ-

გი ყოველ წუთს იზრდება, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს... ასე რომ, გააგრძელეთ... და კიდევ ერთი: მოაშორეთ ეგ თქვენი სისხლიანი საბავშვო საწოლი სტუდიიდან... მანდ აღარ იყოს, გასაგებია?

**სიზმრების ჟოკეი:** კეთილი, დოქტორ... ახლავე მოვაშორებთ...

**ბოსი:** ნახვამდის (თიშავს).

**სიზმრების ჟოკეი** (კარლას): ამანაც გააფრინა...

**კარლა** (ჯერ რადიომსმენებს): ერთი წუთით თუ შეიძლება: მცე გისმენდით, ბალთლ... საბავშვო საწოლი უკვე გავიტანეთ... ქიმწმენდაშია...

**კარლი:** კეთილი, მეგობრებო, გავაგრძელოთ... ძალიან ბევრი ზარია...

**სიზმრების ჟოკეი** (სვამს ერთ ყლუპს, უკიდებს სიგარეცს): კარგი... დავიწყოთ, დამაკავშირეთ მსმენელს!

### პირდაპირი ეთერი

**სიზმრების ჟოკეი:** გამარჯობა, ვის ვესაუბრები? გამარჯობათ... გამარჯობათ... გამარჯობათ...

**პერინა:** მე რობერტ პერინა მქვია, ვენელი ვარ, მესამე კურსის სტუდენტი, მედიცინას ვსწავლობ.

**სიზმრების ჟოკეი** (გახარებული): ანუ მომავალი ექიმი, სწორედ ის, რაც ჩვენ გვჭირდება, ბატონო...

**პერინა:** პერინა...

**სიზმრების ჟოკეი:** როგორ?

**პერინა:** პერინა...

**სიზმრების ჟოკეი:** ბატონო პერინა... თქვენი სიზმარი მედიცინას ხომ არ ეხება?

**პერინა:** მაპატიეთ... სანამ დავიწყებდე...

**სიზმრების ჟოკეი:** გისმენთ?

**პერინა:** მითხარით, ეს პირდაპირი ეთერია?

**სიზმრების ჟოკეი:** დიახ, რა თქმა უნდა, ბატონო პერინა, არ იცოდით? რადიოს არ უსმენთ?

**პერინა:** დიახ, დიახ... ახლა უკვე მესმის...

**სიზმრების ჟოკეი:** თუ შეიძლება რადიოს ოდნავ ჩაუწიეთ...

**პერინა:** ... უფრო რადიოპიესას ჰგავდა.

**სიზმრების ჟოკეი:** თუ ღმერთი გწამთ... სიზმრების ჟოკეი ყველთვის პირდაპირ ეთერშია... ჩემი გადაცემა ჯერ არასოდეს არ მოგისმენიათ?

**პერინა:** დიახ, გამიგია რაღაც... ახლა, თუ შეიძლება, სიზმარის მოგიყვებით... და კიდევ... მართალია, ბმვ-ს შესახებ რაც თქვით?

**სიზმრების ჟოკეი:** აბა რა, წლის მიწურულს, ჩვენს ბოლო გადაცემაში, ყიური გადაწყვეტს, თუ ვისი სიზმარი იყო ყველაზე საინტერესო. გამარჯვებული ახალთახალ ბმვ-ს მიიღებს!

**პერინა:** მაგარია. ესე იგი... საავადმყოფოსკენ ჩემი ბმვ-თი გავემგზავრები.

**სიზმრების ჟოკეი:** თქვენ რა, ახლა იგონებთ სიზმარის... თუ...

**პერინა:** არა, დამესიზმრა...

**სიზმრების ჟოკეი:** ბმვ უკვე გყავთ?

**პერინა:** არა, უბრალოდ დამესიზმრა... ამიტომაც გკითხეთ... იქნებ მოვიგო თქვენი ბმვ... არა, ნამდვილად დამესიზმრა... მოკლედ, ჩემი ბმვ-თი მივდივარ საავადმყოფოსკენ... უცბად მოტორი გამოირთო... ბოლი აუვიდა... მეც გადმოვედით...

**სიზმრების უოკეი:** იმედია, ეს რეკლამა არ არის...

**პერინა:** არა, სიზმარია, თუ შეიძლება ნუ მანყვეტი-ნებთ... თორემ ყველაფერი მავინყდება... რადიატორს ვხსნი, ბოლი ამოღის...

**სიზმრების უოკეი:** ბმვ-დან.

**პერინა:** შიშინებს... როგორც ჩანს, რადიატორში რა-ლაც გაფუჭდა... საბარეულიდან ვიღებ ხელსაწყოს პა-ტარა ყუთს და ვინყებ რადიატორის შეკეთებას... აქვე უნდა გითხრათ, რომ ჯერ არ ვარ ექიმი და არცერთ ოპერაციაში მონანილეობა არ მიმიღია...

**სიზმრების უოკეი:** და არც ბმვ გყავთ...

**პერინა:** არა. ესე იგი: კიდევ ცოტა ხანს ვიქექები მო-ტორში... ყველაფერი ეს იმ საავადმყოფოს მახლობ-ლად ხდება, სადაც პრაქტიკას გავდიოდი... ზუსტად ჩემს გვერდით ტბაა... მხოლოდ სიზმარში... სინამდვი-ლეში იქ ტბა, ცხადია, არ არის... წესით ტბის ადგილას მანქანების სადგომი უნდა იყოს... და უცბად ვხედავ, ერთი ჩემი ნაცნობი, მთავარი ექიმი ციგურებით მოს-რიალებს ტბაზე... როგორც ჩანს, ზამთარია... სისხლი-ანი ხელები აქვს... თუმცა საოპერაციო ხელთათმანები აცყიდა... „ექიმო პერინა!“ მეძახის... მაგრამ მე ხომ ჯერ არა ვარ ექიმი...

**სიზმრების უოკეი:** აბა რა, მესამე კურსზე...

**პერინა:** აბა რა... მაგრამ ის მაინც ექიმს მიწოდებს... თითქოს კოლეგები ვიყოთ... „როგორც იქნა შეგვედით, ბატონი კოლეგა... სასწრაფოდ თქვენი ხელსაწყოები მჭირდება“... ამბობს ძალიან სწრაფად... „რისთვის“, ვეკითხები... „სასწრაფოდ ოპერაცია უნდა გავაკეთო“, მეუბნება... მე კი ვპასუხობ: „კეთილი, მაგრამ, ბატონი ექიმო, ეს ხომ მანქანის ხელსაწყოებია“... „არა უმაგს“, ამბობს იგი, „ომის დროს ყოველთვის მანქანის ხელ-საწყოებით ვაკეთებდი ოპერაციებს, ვიცი მათი გამო-ყენება, მათი საშუალებით ოპერაცია უფრო სწრაფიც კია...“ „მაგრამ საავადმყოფო ხომ აქვეა...“ ვამბობ „არა, არა!“ მპასუხობს... „ეს საავადმყოფო კი არა, ავ-სტრიის რადიოა... საავადმყოფო აქედან შორსაა... ჩვენ უოკეის უნდა დაველოდოთ... „ჩვენ“, ამბობს ისე, თითქოს მისი ასისტენტი ვიყო. შემდეგ ტბაზე მარხილი ჩნდება. მარხილიდან უოკეი ხტება და ამბობს: „იჩქა-რეთ, სიზმარი იწყება, სინათლე უკვე ჩააქრეს, ქალმა სიმღერა უკვე დაიწყო! იჩქარეთ... სწრაფად უნდა ვია-როთ, რადგან მე უკვე ნარკოზში ვარ... ჯერ არ უნდა ჩამეძინოს!“

შემდეგ სამივე მივემგზავრებით... მაგრამ უოკეი სულ უფრო და უფრო სუსტდება და იფიტება... რადიოგადა-ცემის შესახებ რაღაცას ბუტბუტებს... „რადიოს შენო-ბა ხომ სხვა მხარეს არის“, ამბობს შეშფოთებული ექი-მი. „ახლა უკვე აქვე, ყინულზე მოგვინევს უოკეის გაჭ-რა!“ ცხენი უკვე დაოთხილია. უოკეი უგონოდაა, ქი-რურგი და მე ცხენს ველარ ვაოკებთ. „ცხენი ბმვ-ზე

სწრაფად მიქრის!“ ამბობს ქირურგი. „გამოხრახნეთ, სანამ მომკვდარა!“ მიყვირის, „სიზმარი უკვე დაიწყო, უოკეი კი თავის ადგილზე არ არის!“ ახლა უკვე ვხედავ, უოკეის შუბლზე დიდ ხრახნის. „ეს ხრახნი?“ ვეკითხები ექიმს. „დიახ, ეს!“ ამბობს ექიმი და ციგურებით მისრო-ალებს. „სად მიდიხართ?“ ვეკითხები. „ლუისთან მივ-დივარ, მიონხეგში! იქ უკვე დაეშვა მფრინავი თეფში!“ მომაძახა, „იქ შეჯიბრი ტარდება ფიგურულ სრიალში!“ უოკეი ხრიალებს, მე კი შუბლიდან ხრახნს ვაძრობ...

**სტუდია** (ყრუდ ისმის რადიომსმენელების გაურკვევე-ლი ხმები. მოვკიანებით ისინი გავლენ ეთერში).

**კარლა:** ბალთლ?

**კარლი:** რა იყო?

**კარლა:** კარლ, ბალთლს რა დაემართა?

**პერინა:** ისევ ეთერში ვარ?

**კარლა:** დიახ, დიახ, რა თქმა უნდა, გისმენთ.

**პერინა:** მისმენთ...

**კარლი:** ძალა მოკირიბე, ბალთლ...

(სტუდიიდან ისმის ხმაური, შემდეგ კარლაა მიკრო-ფონთან)

**კარლა:** ბატონმა ფოგელმა... რა უნდა ვთქვა?.. ბატონ-მა ფოგელმა უბრალოდ სხვა სტუდიაში გადაინაცვლა, ახლავე დაბრუნდება ეთერში...

**კარლი:** ბალთლ...

**პერინა:** გავაგრძელო?

**კარლა:** დიახ, თუ შეიძლება! დიახ... არა, ერთი წუთით! კარლ, გესმის, რა ვქნა, ტექნიკური პრობლემა გვაქვს!

**სტუდიაში აურზაურია.** ისმის რადიომსმენელების ერთმანეთში არეული ხმები. ბევრის ტექსტი გაუგე-ბარია. შემდეგ ტექსტების ფრაგმენტთა გარკვევა შეიძლება. ისინი გრძელი ტექსტების ნაწილებია.

**I მსმენელი ქალი:** გამარჯობათ, ღვთის გულისათვის მთავარ ექიმს თავი დაანებეთ, მე სხვაც ვიცი, ის ჰომე-ოპატია...

**კარლა** (მსმენელი ქალის ლაპარაკთან ერთად): გამა-გიუს უკვე, რა ვუყო ბალთლს...

**მსმენელი კაცი:** სიამოვნებით მოგითხობდით ჩემს თეორიას ნამდვილი სიზმრის... სიზმრის გამოგონების შესახებ...

**II მსმენელი ქალი:** ... ვერაფერი გამიგია, არის ხაზზე ვინმე?

**II მსმენელი კაცი:** ... მე ფრჩხილების პრობლემა მაწუ-ხებს. უკვე დიდი ხანია, ხელსაწყოების ჩანთის შეხედ-ვასაც კი ვერ ვიტან.

**II მსმენელი ქალი:** ... ეს ისე უცცრად მოხდა, რაღაც ელგის მაგვარი იყო... და უნდა მოგიყვეთ...

**III მსმენელი კაცი:** ... ეს ვოლფგანგ ბაუერი იყო, არა? ზუსტად ვიცი, ყოველთვის ასეთ სისულელებს წერს...

### სტუდია

**კარლა:** კარლ, რა ხდება?

**კარლი:** წარმოდგენა არა მაქვს... სატელეფონო სადგურში უკვე დავრჩივე... როგორც ჩანს, რამდენიმე ხაზი ერთმანეთში...

**კარლა:** არა, მე ბალთლს ვგულისხმობ, რა ვუყოთ... მგონი გული წაუვიდა...

**პერინა:** მისმენთ?

**კარლი:** ბალთლ... გახვალ ისევ ეთერში?

**პერინა:** მისმენთ? არის მანდ ვინმე?

**სიზმრების ჟოკეი:** მუსიკა ჩართეთ... თავი ისე მტკიცა...

**პერინა:** მისმენთ?

**კარლი:** კეთილი, მგონი ისევ ცოცხალია...

**კარლა:** არა, ბალთლ, ჯერ ამ სტუდენტს უნდა მოუსმინო ბოლომდე... ასე არ გამოვა. ბალთლ, თქვი რამე...

**სიზმრების ჟოკეი:** რა ერქვა...

**კარლა:** პერინა, მიდი ბალთლ, მოიკრიბე ძალა და გადი ეთერში...

**პერინა:** ხაზზე ვარ თუ არა?

**სიზმრების ჟოკეი:** კარგი.... გავაგრძელოთ!

**პერინა:** მისმენთ...

### ცოცხალი ეთერი

**სიზმრების ჟოკეი:** ბატონო პერინა!

**პერინა:** დიახ, რა მოხდა? უკვე მეგონა, რომ ჩემი ტელეფონი გაფუჭდა... შეიძლება ბოლოსდაბოლოს გავაგრძელო თუ არა?

**სიზმრების ჟოკეი:** გისმენთ!

**პერინა:** ესე იგი... უოკეის შუბლიდან ხრახნს ვაძრობ... უოკეი ფხიზლდება და ამბობს: ბატონო პერინა! თქვენ ბმვ მოიგეთ.

**სიზმრების ჟოკეი:** არა, არა!

**პერინა:** „ზეთის გამოცვლადა გჭირდებათ, აი, აქ!..“ ამბობს ის და მანვდის შტირული გოგრის ზეთს. „ჩამასხით თავში...“ (ხანგრძლივი პაუზა).

**სიზმრების ჟოკეი:** და შემდეგ?

**პერინა:** ამ დროს მეღვიძება ოფლად გაღვრილს... იცით, ეს სიზმარი სულ უფრო და უფრო ხშირად მე-სიზმრება. დასასრული წინასწარ ვიცი.

**სიზმრების ჟოკეი:** ყველაფერი ეს მართლა დაგესიზმრათ?

**პერინა:** დიახ... ქალბატონი ეგერი დამემონმება.

**სიზმრების ჟოკეი:** ქალბატონი ეგერი? მიონხეგიდან? ჰაჰაჰა (ისტერიულად იცინის).

**პერინა:** დიახ, მიონხეგიდან, ის ახლა ჩემს გვერდით დგას. გისმენთ, ქალბატონი ეგერ!

**ქალბატონი ეგერი:** ხო, ბატონი პერინა მართალია... მართლა დაესიზმრა...

**სიზმრების ჟოკეი (შემცრთალი):** კი მაგრამ, სად ხართ ახლა, ქალბატონი ეგერ?

**ქალბატონი ეგერი:** მიონხეგში. ბატონი ქირურგიც ესა მოვიდა რა, ესა შაშხს ჭამს გოგრის ზეთით, იმიტო რო მერე ევემოთ, მფრინავ თეფშთან ციგურებით უნდა ის-რიალოს რა... და ყველა უყურებს...

ჩემი ქმარი, ლუისი...

**სიზმრების ჟოკეი:**

აჰა... ესე იგი... ჰო, კარგი... მუსიკა გაუშვით... „სიზ-მრების მუსიკა!“

(სიზმრების მომ-გვრელი მუსიკა)

**პერინა:** ნახვამ-დის... გოგრის ზეთს ყურადღება მიაქციეთ, ბატონი ჟოკეი!

მუსიკა.  
სტუდია

**სიზმრების ჟოკეი (კარლს):** გაუშვი მუსიკა?

**კარლი:** უკვე გავუშვი.

**სიზმრების ჟოკეი:** მითხარით ერთი, როგორ აღმოჩნდა ყველა რადიომსმენელი უცრად მიონხეგში?

**კარლი:** ხდება ხოლმე... 30 წელია რადიოში ვმუშაობ... არაფერი აღარ მიკირს...

**სიზმრების ჟოკეი:** კარგი, მაგრამ ამდენი განსხვავებული ადამიანი... ლუის-ეგერთან... ეგ კიდევ არაფერი... მაგრამ ეს მთავარი ექიმი... და სტუდენტი.


**კარლა:** სტუდენტი მიონხეგში არ ყოფილა... მას მხოლოდ დაესიზმრა... მე მგონი ცოტა დაიბენი, არა, ბალთლ...

**სიზმრების ჟოკეი:** მიდი რა, კარლა, ვისკი მომიტანე, ვიდრე მუსიკა ჩართული...

**კარლი:** ახლავე... ბოთლით მოგიტან...

**სიზმრების ჟოკეი (კარლს):** შემდეგი ვინ არის, კარლ?

**კარლი:** უამრავი ხალხი რეკავს... ერთ ქალს დაესიზმრა, რომ მარსზე რძეს ანარმობს. მითხრა, თორმეტი ძუძუ მაქვს, მაგრამ მხოლოდ ორიდან მოდის რძე მარსელებისთვისო... მითხრა, მედიცინის სტუდენტმა ძუ-



მახტვარი გიორგი ვეფხვაძე

ძუების შეკეთება შემომთავაზაო, მაგრამ თურმე ეს ქალი მას არ ენდობა... სტუდენტი ხომ ჯერ მესამე კურსზეა... ძუების მხოლოდ მთავარ ექიმს ანდობს, მაგრამ იგი ახლა ფიგურული სრიალის შეჯიბრებაზეა წასული... ამ ქალმა მითხრა, რომ ეს სიზმარი არ ესმის და შენ ის უნდა აუხსნა... მან თქვა, რომ შენ სიზმრების მცოდნე ხარ, რომ მხოლოდ შენ განდობს თავის თორმეტივე ძუებს...

**სიზმრების ჟოკეი:** არა, ეგ არ შემოუშვა, ცოტა ხნის წინათ არ მოვისმინეთ მაგის მსგავსი სიზმარი?... დღეს საერთოდ ყველაფერი ერთმანეთის მსგავსია...

**კარლა (შემოდის):** აი, ბალთლ, ჩემო ტკბილო, შენი ვისეი... ახლა ნამდვილად გჭირდება... მართალია სამსახურში სმა აკრძალულია, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ვერავინ გვხედავს.

**სიზმრების ჟოკეი:** ეს რადიოს უპირატესობაა, ტელევიზიასთან შედარებით.

**კარლა:** სხვაგან ხომ ვერ შევძლებდი ასე სიარულს...

**სიზმრების ჟოკეი (გულგახეთქილი):** შენ რა, შიშველი ხარ?

**კარლა:** რატომ უნდა ვიყო რადიოში ჩაცმული, როცა ვერავინ მხედავს?!

**სიზმრების ჟოკეი:** თანაც ელეგანტური ყვითელი თეთრეული გაცვია...

**კარლი (მიკროფონის გარეთ):** გადაცემის დროს ჩვენ ყოველთვის სექსი გვაქვს!

**კარლა:** კარლ...

**კარლი:** ამას ხომ ვერავინ ამჩნევს!

**სიზმრების ჟოკეი:** ყოველთვის?

**კარლა:** დღეს შენი ჯერია, ჩემო პატარა ჟოკეი, ბალთი... მოდი ჩემთან, ბევრი დრო გვაქვს... (კარლმა გრძელი სიმღერა ჩართო) მოდი აქ... დანექი...

**სიზმრების ჟოკეი:** ერთი ყლუპი ვისკი დამალევინე...

**კარლა:** ეკეთილი. ახლა პერანგი გავიხადოთ... კარგია, ჭკვიანი ბიჭი ხარ, ბალთი.... ახლა ქვემოთ... შარვალიც... ვერავინ გვხედავს...

**კარლი:** ჩემს გარდა... მაგრამ მე იქით გავიხედავ... (უხერხულად) ეს რა არის... ძვირფასო, მგონი რეგულატორი გაფუჭდა.

**კარლა:** მოდი, ბალთლ, ტახტზე დანექი... აქ ადრე შენი ბავშვობის საწოლი იდგა, გახსოვს?

**სიზმრების ჟოკეი:** როგორ არა... ახლა ქიმწმენდაშია...

**კარლა:** მართალია... მოდი ჩემთან, ჩემო ჟოკეი...

**კარლი:** პრობლემა მაქს, რაღაც გაიჭედა.

**კარლა:** მოდი ჩემთან... ვითომ შენი ფაშატი ვარ... შენი ყვითელი ფაშატი... აი, ასე... კარგია...

**კარლი:** შეუძლებელია...

**სიზმრების ჟოკეი:** კარგია... ძალიან კარგია... მაგრამ, მე მგონი, უნდა ვიჩეროთ...

**კარლი (მიკროფონის გარეთ):** რადიომსმენელებთან კი მოგაგვარე საქმე, მაგრამ რეგულატორს დაემართა რაღაც...

**სიზმრების ჟოკეი (კვერცხით):** რას? რეგულატორს?..

**კარლა:** გაჩუმდი, ბალთლ, ჩაეფალი! (კვერცხის)

**კარლი:** არა, რეგულატორი არ ყოფილა... რაღაც სხვა ამბავია... ღმერთო... ეს უნდა შეკეთდეს... ღმერთო, შეუძლებელია. მე მგონი სტუდიის გამთიში კლავიში... (ხმამაღლალი კვერცხისა)

**კარლი:** იმედია, მუსიკაა ეთერში... რა ჯანდაბაა, რა ოხობაა... ამ შუალამეს ხომ არცერთი ტექნიკოსი არ იქნება ადგილზე...

**კარლა (კვერცხის):** მიყვარხარ, სიზმრების ჟოკეი... მიყვარხარ... გადაცემის დროს ალერსი უბრალოდ მაგიუბებს... აი, ასეეე!

(კარლის სტუდიიდან ისმის ტელეფონის ზარი)

**კარლი (იღებს ტელეფონის ყურმილს):** გისმენთ? ვინ?! დიახ, ბატონი დოქტორო, დიახ, ბოს... ახლავე გადავცემ! (სიზმრების ჟოკეის) ბალთლ! მაპატიე, რომ გიშლი... ბალთლ, ბოსი რეკვეს... შენ ვირეკვეს!

**სიზმრების ჟოკეი:** ... ახლავე... მოიცა... ახლავე...

**კარლი (ისევ ბოსს):** არ ვიცი... მგონი გამთიში მექანიზმი გაფუჭდა... ღამე ხომ არავინ ადგილზე არ არის... დიახ, ბოს... ახლავე გადავცემ ყურმილს... (სიზმრების ჟოკეის) ბალთლ, წითელ ღილაკს დააჭირე და ბოსს დაულაპარავე!

**სიზმრების ჟოკეი:** კეთილი... სად არის... ვიპოვე (ბოსს დაუუავშირდა) გამარჯობათ?

**კარლა:** არა, არ შეწყვიტო...

**ბოსი:** მე ვარ... თქვენ რა, გაგიშდით, ბატონი ფოგელი... რას სჩადით?

**სიზმრების ჟოკეი:** არაფერს...

**ბოსი:** ამას ეძახით არაფერს?

**სიზმრების ჟოკეი:** რას გულისხმობთ?

**ბოსი:** თქვენ ხომ ხაზზე ხართ! იდიოტო!

**სიზმრების ჟოკეი:** ახლა ხომ მუსიკა ჩართული!

**კარლი (იძახის):** ვშიშობ, მართალს ამბობს. თქვენ ეთერში იყავით... მაგრამ ახლა უკვე მივხვდი, რა მოხდა... ახლავე გამოვასწორებ.

**ბოსი:** გამთიში გაფუჭდა... იცით, რა სკანდალი ატყდებოდა... მე რომ მანქანში შემთხვევით რადიოსთვის არ მომესმინა, ნამდვილი პორნოგადაცემა იქნებოდა... თქვენც და თქვენს ასისტენტსაც სამსახურიდან გაგაფებთ!.. ბატონობ კარლ! ბატონობ კარლ!

**სიზმრების ჟოკეი:** მაგრამ ბატონი დოქტორო...

**კარლი:** დიახ, გისმენთ, ბოსს!

**ბოსი:** ისინი ისევ ეთერში არიან? ჩემი ლაპარაკი უკვე აღარ მესმის...

**კარლი:** უკვე შევაკეთეთ... ეტყობა, გაყვანილობას შემთხვევით მარტინი დაესხა და...

**ბოსი:** რას გულისხმობთ, მარტინი?

**კარლი:** დიახ, მარტინის სუნი ასდის.

**ბოსი:** თქვენ რა ჯეიმს ბონდივით ლაპარაკობთ!

**სიზმრების ჟოკეი:** ჩემი ბრალი არ არის, ბოს... ხომ გესმით... პირდაპირ ეთერში ყველაფერი შეიძლება მოხდეს...

**ბოსი:** მართლა?.. ჩემს კარლაზე რაღას იტყვით! როგორც კი შანსი მიეცემა, მაშინვე თავის ყვითელ ელეგანტურ საცვლებს იცვამს, არა?..

**სიზმრების უოკეი:** დიახ... იცვამდა... იცვამს... ყველა-ფერი უნდა გავარკვიოთ, ბოს... სად შეიძლება გნა-ხოთ?

**ბოსი:** ახლა შეუძლებელია... ჩემი მანქანით ყინულსა და თოვლზე მივდივარ... მერე იმ სულელურ გაყინულ ტბაზეც მომიწევს გადასვლა...

**სიზმრების უოკეი:** საით მიდიხართ?

**ბოსი:** გაყინული ტბისკენ, იმ მომღერალთან მივდივარ... ხმა (პირველი ქალის): ჩემთან... მშვენიერ ხმასთან...

**სიზმრების უოკეი:** რა ხმა, რის ხმა?

**ბოსი:** ერთი მომღერალი ქალი დავიტირავე... უმიკრო-ფონოდ შეუძლია რადიოში სიმღერა... ეს მილიონებს დაგვაზოგინებს!

**სიზმრების უოკეი:** ბოს... უნდა დავილაპარაკოთ... ჩე-მი ბრალი არ არის...

**ბოსი:** თქვენი ბრალი არ არის? თქვენ ხომ ოპერაცია უნდა გაგიკეთონ! ერთი ხრახნი გაკლიათ თავში!.. ნახ-ვამდის.

**სიზმრების უოკეი:** ბოს, სად შეიძლება გნახოთ, ყვე-ლაფერი უნდა გავარკვიოთ! ბოს...

**ბოსი:** აზრი არა აქვს... მაგრამ ხვალ მაინც მომაკით-ხეთ აქ... რა ერქვა იმ სოროს... მოითმინეთ... გზასაც უნდა ვადევნო თვალი... იცით, ზუსტად ახლა ერთ ხეს-თან გავიარე... პაპაჭა... ნამდვილი როჯერ მური იყო... ძალიან ჰეგვდა...

**სიზმრების უოკეი:** როდის მოგაკითხოთ... ხვალ... ახ-ლავე წამოვალ...

**ბოსი:** პო, გამახსენდა... იმ სოროს მიონხევი ერქვა... ღამე ლუის-ეგერის პატარა სასტუმროში უნდა გავა-თენ!...

**სიზმრების უოკეი:** დიახ... ეგერ-ლუისი... რაღაც მეც-ნობა, მგონი იქ ერთხელ ვყოფილვარ...

**ბოსი:** ნახვამდის... ეთერში დაბრუნდით... მსმენელებს გაესაუბრეთ!

**სიზმრების უოკეი:** დიახ, ბოს! (კარლს) შემდეგი მსმე-ნელი გაუშვი ეთერში, კარლ... ჩემარა... ნებისმიერი.

**კარლი:** კეთილი... კიდევ ათი წამი!

**კარლა (უოკეის):** მაგარი იყო, ბალთლ...

**კარლი:** მოემზადე! ვუშვებ!

### ცოცხალი ეთერი

**სიზმრების უოკეი:** გამარჯობათ, ვის ვესაუბრები?

**ქალი:** გამარჯობათ.

**სიზმრების უოკეი:** დიახ, გისმენთ?

**ქალი:** მარია მოსვიტცერი ვარ შტირიის ვოიცხერგი-დან. შეიძლება ჯერ გადაცემის შესახებ ვისაუბრო?

**სიზმრების უოკეი:** დიახ, გისმენთ ქალბატონი მოს-ვიტცერ...

**ქალი:** მე მარია მოსვიტცერი მქვია, შტირიის ვოიც-ხერგში ვცხოვრობ, გულგასე №2-ში... იცით... თქვენს გადაცემას ვუსმენდი და მინდა გითხრათ, რომ ძალიან მომენონა.

**სიზმრების უოკეი (გულზე მოეშვა):** ჩვენ ყველა ღონეს ვხმარობთ...

**ქალი:** მართალია, ყველა მსმენელის მონაყოლი ვერ გა-ვიგე... ზოგიერთი სიზმარი ძალიან... ძალიან... როგორ გითხრათ... ძალიან ფანტასტიკური იყო...

**სიზმრების უოკეი:** სიზმრები ხომ ყოველთვის ფან-ტასტიკურია, ქალბატონ მოსვიტცერ...

**ქალი:** დიახ, ალბათ... მაგრამ მინდოდა მეტქვა, რომ ერთი სიზმარი განსაკუთრებით მომენონა... იმიტომ, რომ ძალიან მეცნობა, ის მე ძალიან ხშირად (პოეტუ-რად) მესი მიმრება...

**სიზმრების უოკეი:** ახლა არ მითხრათ, მოინხევის ამ-ბავი მეცნობაორ...

**ქალი:** არა, ის არა. იმ სიზმარს ვგულისხმობ, რომელ-შიც ქალი-დიჯეი დისკ-უოკეისთან ერთად...

**სიზმრების უოკეი:** თქვენ ალბათ სიზმრების უოკეის გულისხმობთ...

**ქალი:** დიახ, დიახ... ის ქალი, წითელი ელეგანტური საცვლებით...

**სიზმრების უოკეი:** წითელი?

**ქალი:** თუ ყვითელი... დიახ, ყვითელი... ყვითელი საც-ვლები რომ აცვია, უოკეის ვისკის მოუტანს და შემდეგ შეაცდენს... ეს ნამდვილ სიზმარს ჰგავდა... გამოგო-ნილს კი არა... ქალი ტახტზე რომ დაწვა და კაცმა...

**სიზმრების უოკეი:** დიახ, დიახ... ნამდვილად... ძალიან ლამაზი სიზმარია...

**ქალი:** ... როგორ კვენესოდნენ... მეც სულ ასეთი რამეე-ბი მესიზმრება... შემდეგ ბოსმა რომ დარეკა, რადგან თურმე მასაც ჰქონია ადრე ამ ქალთან რაღაც-რაღა-ცები... იცით, იცით... ჩემთანაც ასეა... როგორ გით-ხრათ, მეც მაქვს ჩემს ბოსთან ურთიერთობა... რო-გორც ამბობენ, სამახსურებრივი რომანი... ჩემი მეგო-ბარი ბიჭი კი დისკ-უოკეია...

**სიზმრების უოკეი:** სიზმრების უოკეი!

**ქალი:** არა... ჩემი მეგობარი ბიჭი დისკ-უოკეია, მარტი-ნი-კლუბში...

**სიზმრების უოკეი:** სად?

**ქალი:** მარტინი-კლუბში, ვოიცბერგში... აი იქ, ჩვენ-თან, ტბაზე...

**სიზმრების უოკეი:** და თქვენ ეს გესიზმრებათ ხოლ-მე...

**ქალი:** დიახ, მეც იგივე მესიზმრება... შემდეგ ბოსი მი-რეკას შინ და მლანძაგას... მეც იძულებული ვარ სა-მუშაოს დაცუბრუნდე... შემდეგ მეღვიძება...

**სიზმრების უოკეი:** ძლივს არ მოვისმინე ერთი გონივ-რული სიზმარი...

**ქალი:** მაგრამ მე წითელი საცვლები მეცვა... თუ გაინ-ტერესებთ... ჩემს ბოსს წითელი საცვლები უფრო მოს-ნონს... თუმცა ბოსი „წითელი“ სულაც არ არის... პა-პა... პოლიტიკურად... მე ვგულისხმობ... მიხვდით, რა-საც ვგულისხმობ, ბატონ ფოგელ?

**სიზმრების უოკეი:** გასაგებია, ქალბატონო...

**ქალი:** მარია მოსვიტცერი...

**სიზმრების უოკეი:** დიახ... ქალბატონ მარია მოსვიტ-ცერ, ჩვენი დრო ნელ-ნელა ინურება... ალბათ კიდევ ერთ მსმენელსაც გავიყვანთ ეთერში... მომავალ შეხ-ვედრამდე...

**ქალი:** ჩემი მისამართი ხომ ჩაიწერეთ?  
**სიზმრების უოკეი:** რა თქმა უნდა, ჩავიწერეთ...  
**ქალი:** გულგასე №2, ვოიცბერგი... მე-3 სართული, ბინა №7.  
**სიზმრების უოკეი:** გმადლობთ, ქალბატონო მოსვიტცერ... დიდი მაღლობა... ახლა უკვე ნამდვილად გვაქვს თქვენი მისამართი...  
**ქალი (უკვე გათიშვეს):** სამწუხაროდ, ტელეფონი არ გამარინა...

### მუსიკა სტუდია

**სიზმრების უოკეი (თავისთვის):** მალე მოვრჩებით... (კარლას) შენ რას იტყვი... კარლა? კარლ?.. სადა ხარ? (ტელეფონი რეაცია) კარლ, შემდეგი მსმენელი გამოუშვი... კარლ! არავინ არის მანდ?.. რა ხდება? მე თვითონ უნდა ავიღო ყურმილი... გამარჯობათ? დიახ, მოითმინეთ... თვითონ უნდა გაგიყვანოთ ეთერში... იმიტომ, რომ აქ არავინ არის... ერთი წუთი! ნეტა სად არის ის ღილაკი... აქ ხომ არანაირი აპარატურა არ არის... ეს ხომ სასტუმროა, ჩვეულებრივი სასტუმრო...  
**ეგერ-ლუისი (შემოდის):** ააა... დილა მშვიდობისა, ბატონო ფოგელ... როგორ გებინათ?  
**სიზმრების უოკეი:** მოიცადეთ... მოიცადეთ... ჩემს სტუდიაში როგორ აღმოჩნდით?! ვინ ბრძანდებით?  
**ეგერი:** ეგერ-ლუისი ვარ, ველარ მცნობთ თუ რა?  
**სიზმრების უოკეი:** გამარჯობათ! სადა ვარ?  
**ეგერი:** მიონხევგმი, ეგერ-ლუისის სასტუმროში.  
**სიზმრების უოკეი:** იქ, გარეთ, ტბაა, არა?

**ეგერი:** ლუდი ხო არ გინდათ?  
**სიზმრების უოკეი:** დიახ, არა! მე ხომ ეთერში ვარ...  
**ეგერ-ლუისი:** ბოსიც ახლავე მოვა...  
**ბოსი (შემოდის):** დილა მშვიდობისა, ბატონო ფოგელ... მომწონს თქვენი პუნქტუალობა... რაღაცები უნდა შევცვალოთ... დღეს ხომ უკვე პირველად გავდივართ ეთერში მიონხევიდან, ეგერ-ლუისის სასტუმროდან...  
**სიზმრების უოკეი:** კი მაგრამ, ეს როგორ მოხდა? მე ხომ ეთერში ვიყავი?  
**ბოსი:** დღეიდან ყოველთვის სოფლიდან გვექნება გადაცემა... სოფლებს უფრო უნდა დავუახლოვდეთ. ამით ჩვენი რეიტინგი აიწევს...  
**ეგერ-ლუისი:** შაში გენდომებათ, ბატონო ფოგელ?  
**სიზმრების უოკეი:** შაში? ამ შუალამისას? არა... ჩემი ტექნიკისები სად არიან...  
**ბოსი:** კარლა და კარლი ბოსელში არიან...  
**ეგერ-ლუისი:** ხო, ქვემოთ, ძროხებთან რა... ხალხი ძროხის მოფუნვის ხმას რო გაიგონებს, ესეც აამაღლებს რეიტინგს, არა?  
**სიზმრების უოკეი:** კი მაგრამ, მე ხომ ვენიდან... არგენტინურსტრასედან მიმყავს გადაცემა...  
**ბოსი:** ეგ ხალხისგან ძალიან შორსაა... მუუუუ... ბატონი ფოგელ... ერთი ამ შშვენიერ ტბას გახედეთ...

ისმის კარლისა და კარლას ხმა. ისინი ხმის გამაძლიერებლით ლაპარაკობენ.  
**კარლა:** ჩვენ მზად ვართ. გესმის ჩვენი, ბალთლ?  
**კარლა:** გესმის ჩვენა?  
**სიზმრების უოკეი:** დიახ, მესმის... მაგრამ...  
**კარლა:** მაშინ დავიწყოთ... მიდი ბალთლ!  
**სიზმრების უოკეი:** კი მაგრამ, ჩემი მიკროფონი სად არის?  
**ბოსი:** აქ არის, ბატონო ფოგელ... ყველაფერი ოდნავ მოშორებით მოგიწყვეთ... ეს იმიტომ, რომ ჩემს კარლასთან აღარ იალერსით...  
**სიზმრების უოკეი:** ... მაპატიეთ, ბოს... მაგრამ ეს ხომ მიკროფონი არ არის!  
**ბოსი:** ... მართალია, აქ ყველაფერს სოფლური იერი აქვს, მაგრამ ეს ჩვენს რეიტინგს ნამდვილად წაადგება.  
**სიზმრების უოკეი:** ეს ხომ... კარაქის სადლვებია!  
**ეგერ-ლუისი:** ეგრეა, სადლვებია, კაი აკუსტიკა აქეს... აბა, ერთი ჩასძახე...  
**ბოსი:** ეს ცოტა ძეველმოძურია... მაგრამ ბავშვობაში ხომ ჩვენც ამით ვთამაშობდით ტელეფონობანას...  
**ეგერ-ლუისი:** ჩასძახეთ ერთი რამე! ცოტა კი ყარს... სამაგიეროდ, კარგად ისმის!..  
**სიზმრების უოკეი (სადლვებში ჩასძახებს):** ეჰეე? (ექვე) ეჰეე? არის მანდ ვინძე?  
**დამახინჯებული** ხმა პასუხობს.  
**ხმა:** გამარჯობათ? გადაცემაში „სიზმრების უოკეი“ ვარ?  
**სიზმრების უოკეი:** დიახ, მაგრამ თქვენი კარგად არ მესმის...  
**ხმა:** მე კი ძალიან კარგად მესმის.  
**სიზმრების უოკეი:** კეთილი, მაშინ... ცოტა სასაცილოა, ამ ყოფაში...  
**კარლა** (ბოსის გამაძლიერებლით): შესანიშნავია, ბალთლ, ძალიან კარგია...  
**ბოსი:** სხვანაარად არც შეიძლება იყოს!  
**სიზმრების უოკეი:** კეთილი... გისმენთ... რა დაგესიზმრათ... ბატონო...  
**ხმა** (შესამჩნევი ხდება, რომ ეს თვით სიზმრების უოკეის დამახინჯებული ხმა): მე, ბატონი ფოგელი... ბალთაზარ ფოგელი ვარ, გესმით ჩემი მაგ სადლვებიდან?  
**სიზმრების უოკეი (თავისთვის):** რა იდიოტობა! დიახ... მესმის... მაგრამ შორიდან...  
**ხმა** (უოკეისი): მაშინ სადლვებისკენ უფრო მეტად დაიხარეთ!  
**სიზმრების უოკეი:** ახლავე ვცდი (მისი ხმა უფრო მოგუდულად ისმის). კარგია?  
**ხმა:** უკეთესია!  
**სიზმრების უოკეი:** თითქმის ჩემნაირი ხმა გაქვთ!  
**ხმა:** რა თქმა უნდა... მაგრამ ცოტა განსხვავებულია, რადგანაც კარაქის სადლვებში ვზივარ...  
**ბოსი:** სოფელში ჩვენი რეიტინგი ძალიან აიწევს!  
**სიზმრების უოკეი:** მეც, მეც სოფელში მიკრეს თავი...  
**ხმა:** მიშველეთ... ჰაერი აღარ მყოფნის! თავი სადლვებში გამეჩირა!

**სიზმრების ჟოკეი: მეც!**

**ეგერ-ლუისი:** მთავარი ექიმი მოვიყვანოთ?

**ხმა:** დაახ, მოიყვანეთ! როგორმე უნდა გამომაღებინოს აქედან თავი!

**კარლი (ჩაერთვება):** მუსიკა გავუშვა?

**ბოსი:** არა. ყველაფერი გაუშვით ეთერში, მოსახლეობაზე გავლენას მოახდენს! ეს მწვერვალი იქნება!

**სიზმრების ჟოკეი:** ვიხრჩობი! ჩეარა ექიმი ან სტუდენტი მოიყვანეთ! უთხარით, რომ ბმვ-ს მოიგებენ! აუცილებლად!

**სიზმრების ჟოკეისა და მსმენელის ხმა:** ერთმანეთში ირევა.

**ორივე:** ჩეარა! ჩეარა! ვიხრჩობი... ვერაფერს ვხედავ...

**ბოსი:** ძნელია პირდაპირ ეთერში მუშაობა... მადლობა ღმერთს, ბოსი ვარ და კარაქის სადღვებში თავის გაყიფა არ მიხდება... აი, ბატონი ექიმიც მოპრძანდა... ცოტა სწრაფად... გადაცემა იწყება... უკვე ახალი ამბებია ეთერში...

**მთავარი ექიმი:** სადღვებს ჩემი ციგურით ფრთხილად გავხსნი...

ვოლფგანგ ბაუერი დაიბა-  
და 1941 წლის 18 მარტს ქალაქ

გრაცში (შტაიერმარკი). იგი

გახლდათ დრამატურგი, რა-  
დიო და ტელესპექტაკულების, აგრეთვე ლექსებისა და მოთ-  
ხობების ავტორი, გრაცის მწერალთა გაერთიანებისა და  
„შთადფარქს“ ფორუმის წევრი. თანამშრომლობდა გ. ფალ-  
კთან. თავიდან პოპ და როკულტურის გავლენის ქვეშ მყოფა  
ბაუერმა, როგორც ბიურგერული საზოგადოების პროვოკა-  
ტორმა, „მეჯიქ ავთენუუნით“ გარდატეხა განიცადა.

მის პიესებში ირონიულადაა წარმოსახული საზოგადოებ-  
რივ-კრიტიკული თემები, ნანილობრივ აბსურდული თეატრის  
ელემენტებითაც.

„წელი მაშინ უნდა დაიწყო, როდესაც სიუჟეტი ჯერ ჩამო-  
ყალიბდებული არა გაქვს, როდესაც თეორი ლაქები ჯერ კიდევ  
არსებობენ. ეს არის მუშაობის ჩემი მეთოდი“, – იტყვის ერ-  
თვან ვოლფგანგ ბაუერი.

27 წლისა იყო, როდესაც „მეჯიქ ავთენუუნ“ დაწერა და  
ამით ავსტრიელ, წარმატებულ, თანამედროვე დრამატურგთა  
შორის თავი დაიმკიდრა. ეს პიესა დაიდგა 1968 – პანვერში  
სტუდენტების აჯანყების წელს. იგი დღესაც შედის თეატრის  
პროგრამაში. „მეჯიქ ავთენუუნი“, როგორც „ფრანგულტერ  
ალგემანე ცაითუნგმა“ თავის დროზე უწოდა – „ანტისამოც-  
დარვანელთა პიესაში“, მოთხოვბილია თუ როგორ გადალახა  
ოთხსა ახალგაზრდამ მათ ყოველდღიური, ალკოჰოლის, წარ-  
კოტიკების, ძალადობისა და მოწყებილობისაგან შემდგარი ყო-  
ფის ზღვაზე, ერთ-ერთ რეალურ-სიურრეალისტურ საცამოს.

ადრინდელი, დაუღდმელი „მიკროდრამები“, აპსურდულ-  
სიურრეალისტური მოკლე ტექსტები, რომლებიც ცაცენას  
მკითხველთა წარმოსახვაში ეძებენ და მისა ერთადერთი 1967  
წელს დაწერილი რომანი „ცხელი თავი“, ქაოსური ეპისტოლუ-  
რი თხზულება, რომელშიც პაინტისა და ფრანკის აზრები მუდ-  
მივად ერთმანეთს ჰკვეთს, სწორედ ბაუერის წარმატების  
ნლებში გახდება ცნობილი.

მომდევნო წლებში ბაუერის ტექსტები უფრო ექსპერიმენ-  
ტული ხდება, რასაც თეატრები არცთუ ისე მონონებით ხვდე-  
ბიან, მათ უკვე წაცნობი და გამოცდილი რაზ სურდათ.

ახლა ვოლფგანგ ბაუერის პირადი ცხოვრება უფრო მეტ  
ყურადღებას იპყრობდა, ვიდრე მისი პიესები.

**სიზმრების ჟოკეი და ხმა:** ფრთხილად, ფრთხილად,  
ფრთხილად...

**ეგერ-ლუისი:** ჩეარა, ჩეარა, მალე ყველანი ეთერში აღ-  
მოვჩნდებით... რადიოს აუნიე, ფინი.

**ქალბატონი ეგერი:** ხო... გესმის ახლა?

**ეგერ-ლუისი:** ხო, კაია!

ისმის გადაცემის „სიზმრების ჟოკეი“ მუსიკალური ქუ-  
დი, შემდეგ კი სიზმრების ჟოკეი როგორც ყოველგველოვის:  
უკვე ეთერში ვართ.

**სიზმრების ჟოკეი:** ქალბატონებო და ბატონებო! აი, მე  
ისევ თქვენთან ვარ: ბალთაზარ ფოგელი, თქვენი ერ-  
თვული სიზმრების ჟოკეი. აბა, დაგესიზმრათ გასულ  
დღელამები რამე ამაღლევებელი? მე უკვე მოუთმენლად  
ველი თქვენს ზარებს... როგორც ყოველ კვირას, დღე-  
საც შეგიძლიათ ჩვენს მსმენელებს თქვენი ცხელ-ცხელი  
სიზმრები მოუყვეთ... მათთვის კი, ვინც ჩვენი ნომერი  
არ იცის, ვიმეორებ: ვენის კოდი 50101, ნომერი 8451.

## გერმანულიდან თარგმნა სრული სალუქვაძემ

მიუხედავად იმისა, რომ  
კვლავაც აგრძელებდა მუშაო-  
ბას და ისეთი პიესები როგო-  
რიცაა „საიდან მოვდივართ?

რანი ვართ? საით მივდივართ?“ 1982, „ბატონი ფაუსტი თამა-  
შობს რულეტს“, 1987, „ბრაიან დე პალმას ლიმილი“, 1991, „სა-  
სადილო“, 1993 და „კაფე ტამაზოჩი“ კვლავაც იდგმებოდა, ავ-  
ტორმა უნინდელი წარმატება ველარ დაბრუნა. ბოლო წლებ-  
ში ბაუერი, ფინანსური პრობლემების გამო, იძულებული გახ-  
და შეკვეთებიც კი მიიღო; მაგალითად, 1991 წელს შტაიერული  
გამოფენისათვის შექმნა კატალოგი თემაზე „სპორტი-დანიშ-  
ნულება და მისწაფება“, წერდა ასევე პრიალყდიანი უურნა-  
ლებისათვის.

„არც მეტი, არც წაკლები – ჯოჯოხეთური ხუმრობა,  
დარბაზში – სიცილი, თავის ქნევა, დაბრეულობა, ბოლოს –  
ზრდილობიანი ტაში, რომელსაც სტვენა გადაფარავს“ (წარუეტი „ჰერ ფაუსტ შფილთ რულეთე“-ს კრიტიკიდან  
1987).

ან ვოლფგანგ ბაუერის სიტყვებით რომ ვთქვათ: „იქნებ  
მთელი წანარმოები პიესაა, რომელიც მრავალი თავისაგან  
შედგება“.

1994 წელს მიენიჭა ავსტრიის სახელმწიფო პრემია.  
გარდაიცვალა გულის შეტევით 2005 წლის 26 აგვისტოს.

მისი სახელი და პიესა ქართულ თეატრალურ სივრცეშიც  
გამოჩინდა.

ამ თავმარმანი მიხედვით რეჟისორმა ზურაბ კანდელაკმა  
ხორცი შეასხა კიდევ ერთ წარმატებულ რადიოსპექტაკლს,  
რომლის პრემიერაც საქართველოს რადიოს ეთერით გამარ-  
თა 2005 წლის 26 მარტს.

სპექტაკლი მონანილებები: გია ჯოხაძე, ნიკა წერედია-  
ნი, კახა გოგიძე, გივი ჩუგუაშვილი, რევაზ თავართეილაძე, ნა-  
ნა ხურიათი, ზაზა ლებანიძე, სანდრო ჯანგირაშვილი. ხმის რე-  
ჟისორია გიორგი ცაგარეიშვილი.

პიესის განმეორებითი დაბეჭდვა გათვალისწინებულია  
„რადიოპიესების“ მესამე კრებულში, რომლის გამოცდებაც  
ცოტა შეგვიძლია მიზეზთა და მიზეზთა გამო, მაგრამ მთავა-  
რია, რომ წარმატებული დასაწყისი წაადრევად არ ჩაიფერ-  
ფლოს და ქართულ კულტურას შეუნარჩუნდეს ეს მრავალ-  
მხრივ საგულისხმო სერიაც.

როსტომ ჩხეიძე

## გასამა თვალი ჩვემში

მუცალი ეპიზოდურად გამოჩნდებოდა „ალუდა ქეთე-ლაურის“ ეპიკურ ქარგაში.

მაგრამ მოშულარის არსებას კი სულიანხორციანად შეარყევდა და პოემის ეთიკურ მრწამსსაც განსაზღვრავდა და ვაჟა-ფშაველას მხატვრულ ძიებათა ერთ არსებით საყრდენისაც.

თუმც სად მუცალი და სად ნიკოს კაზანძაკისა და მისი მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის თხზულება „ალსარება გრეკოსთან“, რომელიც უპირველესად ნეტარი ავგუსტინეს „ალსარებანს“ უნდა გვახსენებდეს?

ერთიმეორეს ხელს არ უშლის.

იყოს ისიც – მუცალი, ისე, სასხვათაშორისოდ, წამიერ გაელვებად, მაგრამ მაინც.

ამ ჩანაწერის ეთიკურ სულისკვეთებას სხვა პერსონა-ჟები უფრო განსაზღვრავენ, მაგრამ უნებლიერ წამოგონებასაც აქვს თავისი უჩევეულო ხიბლი.

გივი მარგველაშვილს ძალიან დააკლდებოდა გულს მუცალის ასეთი სწრაფი გაქრობა, შეებრალებოდა სიუ-ჟეტს მიღმა გადატყორცნილი გმირი და ამ „უსამართლო-ბის“ გამოსწორებას იმით შეეცდებოდა, რომ ვეება რომანის მთავარ გმირად მუცალს აქცევდა, ვაჟას პოემიდან აქ გადმოასახლებდა და თავბრუდამხევე თავგადასავალთა შეუალებელი გაისტუმრებდა. ალუდა ქეთელაურსაც გვერდით ამოუყენებდა და მკვლელი და მსხვერპლი აქილევსისა და პატროკლეს, ტარიელისა და ავთანდილის, როლანდისა და ოლივეის განმეორებად იქცეოდნენ ზღაპრულ-ფანტასტიკური იერით შემოგარსულ გარემოში, ჩვენს ტრაგიულ სინამდვილეს რომ აირეკლავდა.

პოსტმოდერნული მხატვრული ძიებებისათვის ნიშან-დობლივია ცნობილ პერსონაჟთა, ზოგჯერ სულაც მეორე-ხარისხოვანთა, გადაყვანა-გადმოყვანა ერთი მნერლის თხზულებიდან მეორე მნერლის ნანარმოებში და ადრე თუ გვიან იქნებ „პაკურის“ ბალადაც იქცეს ბიძგად რომელიმე შემოქმედის ნარმოსახვისა, თანაც ბაკურის თვალით კი არ გაიაზროს ის უმატორესი ტრაგიზმით აღსავს ამბავი, არამედ იმ პატარა ბიჭისა, ვისაც ვაჟა-ფშაველა ცალკე არც ახსენებდა და მხოლოდ იგულისხმებდა ბაკურის ცოლ-შვილში, ოჯახის მეთაურის ხელით რომ ელოდათ დახოცა.

თვითონ ვაჟა ამ ამბავს ერთ-ერთ მეომარს მოაყოლებდა.

ასე ერთივნა – ეპიკოსი საფიხვნოზე თაშეყრილ ხევ-სურებს შეერეოდა, ყურს შორისახლოდან მიუგდებდა დია-ლოგს და ჩაინიშნავდა მის პოეტურ სტენოგრამას, ანტიკური ტრაგედიის სიუჟეტურ ბირთვად მისწრება რომ იქნებოდა.

გვამბე, ელიზბარაო, რა ამბავ მოხდა ელოსაო, – შეს-თხოვდნენ ბაკურის თანამებრძოლს; და ისიც, ჯერ საკუ-

თარი თავის ყველრებას რომ მოჰყვებოდა, ყელში შხამად ამოსულ ფიქრებს გადაუმლიდა და სირცხვილით თვალს ვერ გაუსწორებდა თვისტომთ, რაკილა იმ სასტიკებას ცოცხალი გადაურჩა და ტყვეობაც გამოვლო, ხელშესახე-ბად ალადგენდა იმ ტრაგედიის სურათებს, განსაკუთრე-ბით მაინც ორ სტრიქონში ჩაწურულ შემაძრნუნებელ მოქ-მედებას.

შვიდ დღეს რომ იგერიებს ბაკურის ციხე-ეზო ქისტე-ბის დიდალ ჯარს, მერვე დღეს კი ტყვია-წამალი გაუთვ-დებათ და სხვა გზა აღარა რჩებათ, ცოლ-შვილით მტერს უნდა დარჩნენ და სირცხვილი ზიდონ, ცეცხლად, ოხვრად და კვნესად გადაქცეული ბაკური ხელს გაივლებს ხმალზე და:

„ისევ მე დაგხოცო!“ – და ცოლ-შვილს  
თავები დასჭრა წამზედა.

თვითონ კი ქისტებს გადაერევა და თორმეტს ერთურ-თზე რომ მიაწვენს ციხის კარს, თვითონაც სამუდამო ძი-ლით დაიძინებს.

ადამიანური გონიერისათვის აუხსნელია ეს: ისევ მე დაგხოცო...

იქნებ ქისტებს მაინცდამაინც წამებით არ ამოეჭუჭათ, რასაც მართლაც ემჯობნებოდა უცცარი სიკვდილი?

მაგრამ ბაკურისათვის მთვარი ეს არ არის.

სირცხვილის ზიდგას ურჩევნია დედაბუდიანად გაუ-ლეტვა.

თვისტომნი აგერ ელიზბარს არ უთვლიან სირცხვილად ტყვეობაში ყოფნას („ერთმაც არ დაგგმო, ღვთის მადლმა, არ მოგიხსენა ავადა“) და თითქოს გადამეტებულია ბაკუ-რის განცდები, მისი სულიერი ჭიდილი სცილდება რეალო-ბას... მაგრამ ასეთი ახსნა ძალიან გაამარტივებს წუთი-სოფლის ტრაგიკულ შინაარსს და მოუნდომებს ადამიანუ-რი წარმოსახვის ნაჭუჭში გამოჭედვას იმისა, რისი ამოც-ნობაც მხოლოდ ღვთისური კანონების მიხედვით შეიძლება.

აუხსნელია გზანი უფლისანი?

ნუ დავიგინყებთ, რომ არსებობით არსებობს ეს გზანი.

და ვერცერთი პიროვნება ვერ გადალახავს თავის ბუ-ნებას.

პოსტმოდერნულ ქმნილებას იქნებ ხელიდანაც გას-ხლტომოდა ეს იდუმალება, მაგრამ იქნებ კიდეც შეენარ-ჩუნებინა მთავარი ძარღვი, ის ფარული სიმძაფრე, თხრო-ბის აჩქარებულ რიტმში რომ ფეთქავს, ყოველ შემთხვევა-ში, იმ პატარა ბიჭის თვალით დაგვანახვებდნენ იმ ორომ-ტრიალს, სტრიქონებს შორის რომ იგულისხმებოდა.

და ვიდრე უსახელო და ნაგულისხმევი პერსონაჟი თა-ნამედროვე რომანის მთავარ გმირად იქცეოდეს, მისი მზე-რა ნიკოს კაზანძაკისის წიგნიდანაც – „ალსარება გრეკოს-თან“ – შემოგვანათებს, უცნაურად მმვიდი, აუმდვრევე-ლი, წუთისოფლის უღრმესი შრის ხილვით ნააღრევად დაბრძენებული ყმაწვილის მზერა.

თუკი აუცილებელი გახდებოდა, სწორედ ასეთი სიმ-შვიდითა და აუმდვრევლობით გაუსწორებდა თვალს მამის მოქნეულ ხმალს ეს პატარა ბიჭიც, მისი და-ძმანიც, დედა-მისიც. ამ მორალზე ამორზდილიყო მათი შეგნება, და თუ ოჯახის მეთაურს ყოფამნის შეატყობინები, თვითონვე უბიძ-გებდნენ სამისოდ. მერე რა, რომ პატარები იყვნენ და არ მოეთხოვებოდათ დიდალი ჯარის მოგერიება. ჩაბარებით

ვერ ჩაბარდებოდნენ – სირცხვილი წელში ვერც მათ გა-  
მართავდა.

ამ რწმენით გაუღენთილა ის ორიოდ სტრიქონი.

ეს რწმენა მსჯვალავს ნიკოს კაზანძაკისის სიყმანვი-  
ლის იმ ეპიზოდსაც, როდესაც მეგალოს კასტროსში, კუნ-  
ძულ კრეტას მთავარ ქალაქში, თურქები საშინელ ხოცვა-  
ულებას გაუმართავენ ბერძნებს. ქალაქს ოთხი კარიბჭე  
ჰქონდა, მზის ჩასვლისთანავე რო იკეტებოდა და მცირე-  
რიცხოვანი ქრისტიანები თითქოს ხაფუნგში ემწყვდო-  
ნენ. ეს კი ნიშანავდა, რომ ადრე თუ გვიან თურქები მათ  
დარბევას განიზრახავდნენ და კიდევ აღასრულებდნენ.

ასე იხილავდნენ კრეტელი ყმანვილები მწვანე მინის,  
დახუნძლული ვენახის, ზღვისა და ყანის, დედის ლიმილის  
მიღმა ცხოვრების ნამდვილ სახესაც – თავის ქალაქს. თუ-  
კი „არაფერი ისე არა ჰეგავს ღვთის თვალს, როგორც ბავ-  
შვისა, რომელიც პირველად უცქერის და ქმნის სამყაროს“,  
და ეს სინამდვილე ხელშესხებად განეცადათ.

და, აი, კაზანძაკისების ოჯახი შინ გამოკეტილა, ერ-  
თმანეთს მიწებებული დედაშვილი. კარს მიღმა გაცოფე-  
ბული თურქები მიმოდიან, იმუქრებიან, ამტვრევენ კარებს  
და ულეტენ ქრისტიანებს. მოისმის დაჭრილთა ხები და  
ხრიალი, ძალების ყეფა და რალაცნაირი გმინვა ჰაერში,  
თითქოს მიწისძვრააო. ოჯახის მეთაური კარს უკან დგას  
გატენილი თოფით და ელოდება. ხელში მოგრძო ქვა უჭი-  
რავს და მასზე ლესაც გრძელ, შავტარიან დანას.

დღო თითქოს ჩერდება.

ლოდინი უსასრულოდ იჭიმება.

და მამა:

– თუ თურქები კარს შემოამტვრევენ და შემოიჭრებიან,  
ჯერ თქვენ დაგხოცავთ, რომ იმათ არ ჩაუვარდეთ ხელში.

დაძაბული, მოზიდული სიმშვიდე ჩაგუბებულა მის არ-  
სებასა და ყოველ მოძრაობაში. ასე აღიქვამს პატარა ბიჭი,  
ვინც დედასა და დასთან ერთად თანახმა მორჩილად შეა-  
გებოს მექრდი მამის მოქნეულ დანას. ამ სცენას ვინმეც  
რომ შესწრებოდა ელიზბარასაცით, ის უსათუოდ ასე გაიხ-  
სენებდა: ცეცხლად გადიტცა კაზანძაკისი-უფროსი, მარ-  
ტო ოხვრად და კვენესადათ.

ბიჭი უფლებას არ აძლევს თავს შეერთეს ანდა მამის  
მოძრაობაში შეამჩნიოს ოდნავი სისუსტეც კი, გამოწვეუ-  
ლი თუნდ ცოლ-შვილის გამეტებით.

მაგრამ კაზანძაკისების ოჯახს, ბაურისაგან განსხვა-  
ვებით, უფალი დაიფარავს. ღამე ჩაივლის, გმინვა შეწყდე-  
ბა და სიკვდილი განეშორებათ... და არ გიკვირს, თუკი  
უხილავი ხილულად გადაიქცეოდა, ნიკოს კაზანძაკის  
თვალდათვალ დაინახავდა, როგორ ევსებოდა სული და  
სულ რამდენიმე საათში იგრძნობდა დაკაცებას.

და კიდევ ერთი უჩვეულო განცდა:

„მაშინ პირველად, ჩუმად, ჩემს შიგნეულში ჩავარდა  
თესლი, რომელიც მოგვიანებით უნდა გაფურჩქნულიყო  
და გამოელო ნაყოფი, მესამე თვალი ჩემში, დაუბინდავი,  
დღედაღამ გახელილი, დაცლილი შიშისა და იმედისაგან“.

უჩვეულობას უკეთ სხვა რა გამოხატავდა, თუ არა  
ფრაზის პარადოქსული იერი.

იმ მესამე თვალის ახელას ნამიერად თუ შეიგრძნობდა  
ბაკურის ვაჟი, თუმც რომანის ფურცლებზე გადასახლე-  
ბული ახალ სიუჟეტში მოექცეოდა და ამ შემისა და იმედი-  
საგან დაცლილი მზერით განჭვრეტდა და გაიაზრებდა  
სამყაროს.

იქნებ ისაკაც ეს მესამე თვალი აეხილა, როდესაც  
სამსხვერპლოდ დანვენილს მამამ დანა მოუღრია, თით-  
ქოს ბატკანი ყოფილიყოს, და ვიდრე ღმერთი ხელს შეუჩე-  
რებდა აპრაამს, ისაკს ეჭვიც არ ეპარებოდა, სასიკვდი-  
ლოდ ვარ გამეტებულიო. ბავშვობის ეს დრამატული ეპი-  
ზოდი გახდის ისაკს უტყვესა და უტემელს, და ძველი ალ-  
თქმა არაფერს გვამცნობს მის მზერასა თუ სულიერ ხედ-  
ვაზე გარდა იმისა, რომ ადვილად მოტყუფდება და ვერ გა-  
არჩევს ვაჟებიდან რომელია უცროსი და რომელი – უმ-  
ცროსი. და პირმშობის იაკობს უბოძებს, ესავის ნაც-  
ვლად.

სიბერიისა ვეღარ შეინარჩუნა მესამე თვალი თუ... არც  
ახელია, რაკილა ყველაფერი უცროდ მოხდა და არამცთუ  
მამის საქციელის იდუმალ საწყისს ვერ ჩახვდა, გარეგნუ-  
ლი მხარეც სრულიად გაუგებარი დარჩა მისთვის?..

ნიკოს კაზანძაკისისათვის კი დედის რძესთან ერთადაა  
შესისლობორცებული, რომ თუმც „მძიმე რამაა კრეტელად  
დაბადება“, მაინცდამაინც ამ მხარის შვილობა განსაკუთ-  
რებულ მოვალეობასაც აკისრებს – ის, რაც სადღაც გუ-  
ლის სილრმეში ჩაბუდებიათ დიდ და ძლევამოსილ სახელ-  
მწიფოთა მოქალაქებს, უკადურესად უმძაფრდებათ იმ  
ადამიანებს, რომელთა ქვეყანაც ყოფნა-არყოფნის  
ზღვარზეა და ყოველ წუთს გამოსაგლეჯი და ალსადგენი  
აქვთ ის თავისებურებანი და ნიშატი, ურომლისოდაც ერი  
ბრძოლი იქცევა და იოლადადაც შეერწყმის ამა თუ იმ დიდ სა-  
ხელმიწოვან.

ეს შეგნება ბავშვობისასაც ძალდაუტანებლად გიბიძ-  
გებს ამაყი გულგრილობით გაუსწორო თვალი მამის მოქ-  
ნეულ დანას, რადგანაც: სიამაყე, დაუმორჩილებლობის  
წყურვილი, თვითმყოფადობის შენარჩუნების უინი შენს  
შემდგომაც განაგრძობს სიცოცხლეს და იდუმალი მად-  
ლით დაკირავს მიწას.

ვიდრე უსახელო – და სულაც ნაგულისხმევი – პერსო-  
ნაჟი თანამედროვე რომანის მთავარ გმირად იქცეოდეს,  
მისი მზერა ნიკოს კაზანძაკისის წიგნიდანაც შემოგვანა-  
თებსო...

რაოდენ მშობლიურია ეს მზერა ჩვენთვის, და აღარც  
ისაა ძნელი ამოსაცნობი, რატომ ერტყა წელზე ბერძენ  
მწერალს ძველი ქართული ვერცხლის ქამარი, ანდა რატომ  
იგრძნეს იდუმალი ლტოლვა და სულიერ სიახლოვე ერ-  
თმანეთან კაზანძაკისმა და გრიგოლ რობაქიძემ, ან კი-  
დევ – რატომ იქცნენ „გველის პერანგის“ ავტორიცა და  
ცისფერანელებიც ბერძენი მწერლის რომანის („ტოდა  
რაბა“) პერსონაჟებად.

გარეგნულ ეგზოტიკურობაზე მეტად ულრმესი ძაფები  
იჩენდა თავს და იქ, სივრცეებში გათანაბრების ის ღვთაებ-  
რივი კანონი, ერთნაირად რომ განაცდევინებდა თუნდაც  
ლოცვას ქართველ შემოქმედოაც, ბერძენ მწერალსაც  
და... ვაჟა-ფშაველას უსახელო პერსონაჟსაც – არცერთი-  
სათვის არ იქნებოდა ეს ექსტაზური ყოფა გლახაკის წუნუ-  
ნი, სასიყვარულო აღსარება თუ ვაჭრუეანული ანგარიშგე-  
ბა, არამედ პატაკი ჯარისკაციასა სარდლის წინაშე –

„აი, ეს გავაკეთე დღეს. აი, როგორ ვიბრძოლე, რომ გა-  
მარჯვებისკენ გადამეხარა ბრძოლის სასწორი ჩემს ნა-  
ნილში, ასეთი დაბრკოლებები შემხვდა. აი, ასე მაქვს გან-  
ზრახული ბრძოლის გაგრძელება ხვალ“.

და თავისი ცხოვრების წიგნს კაზანძაკისი ასეც დაასა-  
თაურებდა: „პატაკი გრეკოსთან“.

თამარ მესხი ამ საუკეთესო ბიოგრაფიული რომანის „აღსარებით“ და ამ ცვლილების მიზეზს ასე განმარტავდა: ნიკოს კაზანძაკისისათვის პატაკი აღსარებაა, ხოლო აღსარება – პატაკი, და თუ მაინც „აღსარება“ ავირჩიეთ სათაურად, ეს ამ ნანარმობების არსმა განსაზღვრა და თვითონ მწერლის სიტყვებმარ –

„მოგზაურობა და აღსარება (შემოქმედება კი უმაღლესი და ყველაზე სარწმუნო სახეა აღსარებისა) არის ჩემიცხოვრების ორი უდიდესი სიხარული“.

ამასაც დასძენდა:

„წერილები გრეკოსადმი“ მაფორიაქებს. ეს იქნება ჩემი აღსარება პაპასთან... არ მინდა ისე წავიდე ამქვეყნად, ვიდრე არ დაველაპარაკები; რაც უფრო მეტად გადის დრო, მითუფრო ვგრძნობ, რომ იგია ჩემი წინაპარი“.

უანრობრივად ეს ბიოგრაფიული ქმნილება სწორედაც აღსარების ყაიდისაა, სულიერი სწრაფვის, ჭიდლის, აქეთ-იქით მიმონცდომის შეუფერადებელი სურათი, დაუკებელი ლტოლვა პიროვნებისა, ვინც ვერ კმარობს მზამზარეულად ბოძებულ რწმენას ღვთისა, ვერ ეგუება ზედაპირულად შეთვისებულ ღმერთის და არსებობის მიზნად დაუსახავს ღვთისმაძიებლობა – თუნდაც ეჭვებით, თუნდაც ღრმა სკეპსისით, თუნდაც უშორესი გზების მოვლითა და ყოველგვარი რელიგიური მიმდინარეობის მოსინჯვით. დაე მტანჯველი იყოს ეს არჩევანი, დაე მუდმივად ემუქრებოდეს გზიდან გადაცდენის, გადაჩეხვის საფრთხე, დაე მცდარი ბილიკები ერთორთმანეთს მიეწყოს...

სამაგიეროდ, ეს მისი ბედისწერაა, მის გულისგულში გამოვლილი და ყოველი მიზნებაც მითუფრო ძვირფასი – პირადად მისთვისაც და საკაცობრიო ცხოვრებისთვისაც, რადგანაც ღმერთსმოკლებულ სწამდვილები ღვთისმაძიებლობა ქმნის საყრდენს იმ უამის დასაბრუნებლად, როდესაც მოისმოდა ასე მკაფიოდ უფლის სიტყვა დედამინაზე.

მაშინ შევიგრძნობთ, რომ ყოველ ჩვენგანს ჰქონია თავთავისი სინა.

ღმერთსმოკლებული სინამდვილე ნაკლებად შობს აღსარების უანრს, როგორც მონუმენტურ ქმნილებას, თორებ ეს მოტივი და განწყობილება ბევრგან შეგვხვდება მიმოფანტული. და, აი, ნიკოს კაზანძაკისი სულიერი მზადყოფნითაც და ამ უანრის აღდეგნის ნადილითაც ქმნის ნარმოსახვით დიალოგს ელ გრეკოსთან – ოთხი საუკუნის წინანდელ მხატვართან, ესპანელად რომ მოიხსენიებდნენ, მაგრამ ნარმოშით ბერძენი გახლდათ, კრეტელი, და სულიერი ხიდიც ძალაუნებურად გაბამოდა: პატაკს გრეკოს ვაბარებ, რადგან ისიც იმავე კრეტული მიწისგანაა მოზელი, რომლითაც მეო.

ნარმოსახვითი მეგზური დასჭირებია ღვთისმაძიებლობის მღელვარე გზაზე და ელ გრეკო მისთვის ვერგილიუსივითაა, ეგაა, ხილული აჩრდილი აქ უხილავად გადაქცეულა, რაკილა ისეთი ხელშესახები აღარაა მიღმური სამყარო მეოცე საუკუნის მწერლისათვის, როგორც მუა საუკუნეთა ეპიკოსისათვის გახლდათ. დანტესთან ამიტომაა ყოველგვარი მიჯნა მოშლილი და ორივ ქვეყანა ერთნაირი სიცხადით განცდილი, რაც კაზანძაკისისათვის მეტად შორეული გამხდარა.

ნეტარ ავგუსტინეს აკი მეგზურიც არა სჭირდებოდა და უშეულოდ ღმერთან გააბამდა დიალოგს, თუმც დრო-

ებით ზურგიც შეექცია მისთვის და მანიქეიზმში ისე ჩაფლულიყო, აღარც ეგონა, ოდესმე ქრისტეს ნიადს თუ დაუბრუნდებოდა. ეს მისთვის აღმოჩნდა ჯერ მიუღებელი მზამზარეულად ბოძებული ღმერთიც და რწმენაც, ჯერ ის შეუდგა ქრისტიანობის გამოტარებას გულისგულში და ამ მძიმე, მტანჯველ გზაზე ქრისტეს უარყოფაც კი მოუწია... თითქოს უდაბნოში ყოფნა გაგრძელებოდეს შვიდ წელიწადს, თითქოს გველებაპის მუცელში იმყოფებოდეს მითოსური გმირივით, ვინც ბოლოსდაბოლოს უნდა ამოსჭრას ის წიაღი და დაუბრუნდეს სამზეოს ფერნაცვალი, სულ სხვა ადამიანად...

ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებათა“ გაცნობა ნიუანსობრივად წარმოგვისახავს თვალწინ უძლები ძის მოგზაურობისა და დაბრუნების მთელს პანორამას, და ბაჩინა ბრეგვაძის წყალობით ქართულ ენობრივ სამოსელში მოქცეული ღვთისმაძიებლობის ეს ქრონიკა ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, ზეციური კარიბჭის გაღებას რომ გაგრძნობინებს, რაღაც მიღმურის სუნთქვას, წმიდა თხხოვის მადლსა და სულისევთებას.

ნიკოს კაზანძაკისის „აღსარება გრეკოსთან“ სწორედ ნეტარი ავგუსტინეს „აღსარებანს“ შეტოქებია, და თუმც მისთვის მიუღნეველია ის სიმაღლე შინაგანი ექსპრესიონაც და სტილური არტისტიზმითაც, თავისთავად შეტოქებაც ბევრს ნიშნავს, მის გვერდით არა ქრება, უსარგებლობა არ იქცევა და თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს მხატვრულ ძალითაც, თორებ ჯერ მარტო იმ სიახლის თვალსაზრისითაც საგულისხმო იქნებოდა, ღმერთსმოკლებულ სინამდვილეში ადამიანის მიუსაფრონობასა და სოცარიელის ანაბარად დარჩენას რომ წარმოსახავს, და თვითონ თუ ვერ იდებს თავს ახალი უამის წინასწარებულის სამოსელის მოსხმას, სამაგიეროდ, იერს გამოკვეთს ამ წინასწარმეტყველისა, სისხლითა და ხორცით აღვისილ იერს.

ნეტარი ავგუსტინეს ქმნილებაში მერთალია მისი ბიოგრაფია, „აღსარებანის“ კომპოზიციურ ქარგას კი მასზე აგებს, მაგრამ ეს მაინც უპირველესად ღვთისმეტყველის, ფილოსოფოსის თხზულებაა და თვალშისაცემი ამიტომაცაა სულიერი ძიებანი, თვითშემეცნების გზა, მღელვარე ფიქრი, განსჯა, ისევე, როგორც ნიკოს კაზანძაკისის „ასკეზაში“, რომელიც თავისებურ წინასახედ წარმოგვიდგება გრეკოსთან მიწერილი ამ ვრცელზე ვრცელი უსტარისა. აქ ძალიან დაინურა ის, რაც ბელეტრისტისათვის უქმარი აღმოჩნდა, აქ – თავისთავად საგულისხმო ფილოსოფიურ ტრაქტატში, ოღონდ ეს მაინც გზის დასასრულს მოპოვებული შეხედულებანი გახლდათ, თვითონ გზა კი ჯერაც აღსადგენი იყო – გზა თვითშემეცნებისა და სულიერი ძიებისა, ოღონდ, ნეტარი ავგუსტინესაგან განსხვავებით, მწერლის ბიოგრაფიაც არანაკლებ უნდა გამოკვეთილიყო, გარეგანი და შინაგანი გზები, გარეგანი და შინაგანი თავგადასაველები თანაბრად წარმოსახულიყო და ისეთი ფაქტი მონაცელებით გადასულიყო თუ გადადუღებულიყო ერთმანეთში, ამ რანგის შემოქმედის ერთ საუკეთესო ქმნილებას რომ შეპფეროდა.

„ასკეზასაც“ თამარ მესხი შემოიტანდა ქართულ ენობრივ გარეგოში, როგორც მანამდე რომანს „გველი და შროშანი“, და ორიგინალურ წიგნსაც მიუძღვნიდა ნიკოს კაზანძაკისის სამ მოგზაურობას საქართველოში – „დიდი ხანძრის მენამული ანარეკლი“, დაყრდნობილს მწერლის

პირად ბარათებსა, სხვა დოკუმენტურ მასალებსა და იმ ფრაგმენტებზე მისი თხზულებებიდან, ჩვენი ქვეყანა სადაც ჩნდებოდა დამოუკიდებლობის წამიერი გაელვებითა თუ კვლავაც რუსეთის განაპირა პროვინციად დაკნინებული.

მონოგრაფიის შუაგულში კაზანძაკისისა და გრიგოლ რობაქიძის ურთიერთობა და მიმოწერა მოქცეულა, მონათესავე სულებისათვის ნიშანდობლივი ურთიერთნდობა, საქართველოში მოგზაურობაზე ერთგვარი ფონია ამ ამაღლებული ურთიერთობის გამოსაკვეთად; და ალარც ის გაცბუნებს, რომ რობაქიძე ისევე უხსნის გულს და ანდობს აღსარებას ბერძენ თანამოკალმეს, როგორც კაზანძაკისისათვის გრეკო აღმოჩნდება. ოღონდ ვიდრე ეს მონათესავე სულებიც მონახავდნენ ერთმანეთს, კაზანძაკისი პოლიტიკურ-დიპლომატიური მისით უნდა მოადგეს საქართველოს სანაპიროს და ბათუმში დაყოვნდეს, რათა თავი მოყუაროს დევნილ პონტოელ ბერძნებს და სამშობლოში დაბადრუნოს.

ამ მწვავე პოლიტიკური რეალობის აღწერისას მწერალი უკან დგომას ამჯობინებს და ისე მოგვითხრობს ამბავს, თითქოს დიდი ორგანიზაციული ტალანტი სულაც არა სჭირდებოდეს ამ რთული დავალების აღსრულებას და თითქოს სხვაც შეძლებდა... მაგრამ საბერძნეთის ხელისუფლებას უკეთ მოეხსენებოდა ამ პოლიტიკურ მისის განსაკუთრებული სირთულე და ამიტომც გამოიძახებდნენ თვითშემცნებაში ჩაძირულ კაცს და არა რომელიმე პოლიტიკურ მოღვაწეს.

დავალება დავალებად, ოღონდ კაზანძაკისისათვის ეს მოგზაურობა არ აღმოჩნდებოდა განცალკევებული და ისე ბუნებრივად ჩართავდა თავისი რიცხვებისა და სულიერ ძიებათა პროცესს ისე მარჯვედ დაუკავშირდება, ფიქრი გიჩნდება, ხელისუფლებას რომ არ მოენდომებინა მისი გამოგზავნა კავკასიასა თუ საქართველოში, ამ გზას იგი ისედაც ვერ აცდებოდათ.

კავკასიაში მოგზაურობის ამ ფრაგმენტს ბიოგრაფიული რომანიდან თავის მონოგრაფიაში გადმოიტანდა თამარ მესხი, რათა მერე სულაც თარგმნისათვის მოეკიდა ხელი და წარმატებითაც დაესრულებინა. ფილოლოგიური განათლება არა კმარიდა, „აღსარება გრეკოსთან“ ქართული მწერლობის განუყოფელ ნაწილად რომ ქცეულიყო – რელიგიური და ფილოსოფიური განათლება არანაკლებ სჭირდებოდა, უამრავი ცნებისა თუ ფაქტიზი ნიუანსობრივი დეტალებისათვის ზუსტი შესატყვისები რომ დაძებნილიყო.

თუმც ვრცელი არ არის მაძიებელი კაცის თვალით დანახული ბუდიზმი და მის ზოგიერთ თავისებურებაზე მსჯელობა, კიდევ უფრო მოკლეა ისლამთან შეხვედრის სურათები, მაგრამ გრძნობ, ძირისძირობამდე რომ გარკვეულა მწერალი ამ რელიგიურ მიმდინარებები და მთარგმნელის მოვალეობა ამ ღრმა წვდომის შენარჩუნება



ნიკოს კაზანძაკისი

გახლდათ. ვინც ჩახედულია ამ რელიგიურ აღმსარებლობებში, და მათთან ერთად ნიცხვანიზმზეც აქვს წარმოდგენა, დედანთან შედარების გარეშეც მიხვდება, რომ შეუძლებელია აქ რაიმე გამოტოვებული, შეცვლილი ან გაბუნდოვანებული იყოს... მაგრამ რაკილა უფრო მეცნიერი თარგმნის, ვიდრე ხელოვანი, ტექსტის სანდოობასთან ერთად უკვე ველარ იგრძნობა სტილურ-ენობრივი ექსპრესის მთელი ძალმოსილება, რაც მაინც ილანდება და სულის მდუღარებას შორეულად გაგრძნობინებს. მთარგმნელის მონოგრაფიის სათაურს რომ დავესესხოთ, მეტაფორულად „აღსარება გრეკოსთან“ ქართული ვერსია ასეც განისაზღვრება – დიდი ხანძრის მეწაბული ანარეკლი.

კაზანძაკისი თავის სულიერ წინაპართან ხიდს რომ გასდებდა, მასთან სიახლოეს იმ მხრივაც იგრძნობდა, რომ ორივე ეპოქა – მისიც და წინაპრისაც – ერთნაირად შფოთობის აღმოჩნდებოდა, როგორც გარდამავალი დროები. ხელოვანის სულიერი ჭიდილი ასეთ უამს გამორჩეული სიძლიერით იყვეთებოდა და ეს სავსებით კმაროდა, რათა ასეთი პიროვნებანი... გიუებად შეერაცხათ –

„რადგანაც გიუად ითვლება ის, ვინც სხვაზე ოცდაოთხის საათითა ადრე ხედავს. გიუად ითვლებოდა გრეკო ირ საუკუნე-ნახევრის განმავლობაში. და მხოლოდ ახლა, როდესაც გაცნობიერებულად განვიცდით მის შფოთვას, გრეკოს ჩვენს მეთაურად ვალიარებთ. როდესაც ახალ განმნასწორებულობას მივაღწევთ, რის საპოვნელადაც ვიბრძვით, გრეკო ევლავ გაუგებარი გახდება მშვიდი და განმნასწორებული თაობებისათვის“.

მოვგიანებით?

კვლავ გამოანათებდა და „გაპყვებოდა ადამიანის მღელვარებათა რიტმს დედამიწის ზურგზე“.

გადამდებია ეპოქის შფოთვარე, თანაც ეპოქის, რევოლუციათა დაუსრულებელი ნაკადებით რომ აღიბეჭდებოდა, ძევლის შემუსწრის იმ დაუკებელი უინით, ამ ნაკადს უკანმოუხედავად რომ ასდევდი და არაფრისდიდებით აღარ გინდოდა გაგეთვალისწინებინა ის ტრაგიზმი, რაც უწყინარი სახით განხორციელებულ რევოლუციებს მოსდევდა. მერე დატრიალდებოდა ყოველნაირი უბედურება... თვალწინაფრანგეთის მაგალითი გედო, გულუბრყილობისა და მზაკვრობის უცნაური წაზავი, ადამიანთა თანასწორობასა და საუკეთესო საზოგადოების შექმნას რომ ქადაგებდა, სინამდვილეში კი თუ რაიმეს არღვევდა – ზნეობას, სამართლიანობას, წესრიგს... და თუ სასიკეთოც მოპყვებოდა – ნაპოლეონ ბონაპარტეს მოვლინება და ევროპული კონსტიტუციის გამოცხადება – მის პაროდიას რუსეთში სიკეთის ნასახიც აღარ გამზნდა... მხოლოდ სისხლში ჩაიძირებოდა ყველაფერი და იქიდან განახლებული სამყარო რომ ამოზიდებოდა, სინათლე კი არა, სიბრძე ამოჰყვებოდა, კარიკატურა ქრისტიანული ახალი მიწის და ახალი ზეცისა.

კარიკატურულ სინამდვილეში კი ადამიანი განარდენას გაძლებს?

გასაძლები არც არაფერიაო, – დარწმუნებული გახდათ ნიკოს კაზანძაკისი, გრიგოლ რობაქიძესავით რომ გადასდებოდა ეპოქის სნეულება და, ამხელა სულიერი ძალის კაცი, ამ კერძო ისტორიული მოვლენის გააზრებისას ზედაპირზე ჩარჩებოდა, გარდაქმნათა გარეები ხიბლი ისე დაატყვევებდა, ვერც ვეძარასდროს დააღწევდა თავს და ერთიდაერთი ირწმუნებდა: ლენინიც ქრისტეა, ოლონდ წითელი. არსიც იგივეა, მარადიული არსი ადამიანისა, შექმნილი იმედისა და შიშისაგან. მხოლოდ სახეები იცვლებიან.

ეს განცდა მაშინაც დაეუფლება, მავზოლეუმში პროლეტარიატის ბელადის ცხედარს რომ დასცექრის; და სიცოცხლის მიმწერის დროსაც, აღსარებად რომ დადგება გრეკოს წინაშე, თოხ გადამწყვეტ საფეხურს გამოარჩევს თავისი სულიერი აღმასვლისა, ყოველ მათგანს მისთვის ამ წმინდა სახელებით რომ მოიხსენიებს: ქრისტე, ბუდა, ლენინი, ოდისევის.

ის, რაც დღესდღეობით ერთმანეთში ულვთოდ არეულ სიბრტყებად მოჩანს, ბერძენი მწერლისათვის ბუნებრიობა და ჰარმონია, და ძალაუნებურად ამოტივტივდება მეხსიერებაში გრიგოლ რობაქიძის მიერ ლენინისადმი აღვლენილი ხოტბა-დითირამბები „გველის პერანგსა“ და გამოსათხოვარ წერილში, წრფელი და არა პოლიტიკური კონიუნქტურით გამოწვეული.

როგორი უნდა ყოფილიყო წყურვილი სიახლისა, როგორ დამთრგუნველობით მოქმედებდა ადამიანთა, მითუმეტეს, ამხელა ერუდიტთა, ფსიქიკაზე გარსშემოჯარული რეალობა, როგორი დაუკოებელი უინით მიისწრაფონენ ცვლილებებისაკენ, რომ ისტორიული შემთხვეულება დაუფიქრებლად შეერაცხათ დიად მოვლენად და მიღწევად და ამ გრანდიოზული შფოთისა და მღელვარების ტალღაზე ამოტივტივდებული კაცი მხსნელად ეღიარებინათ...

ასე ძირისძირობამდე იყო გარკვეული ქრისტიანულ მოძღვრებაში, ხელშესახებად განიცდიდე იესოს ამქვეყნიურ ბიოგრაფიას, ჭვრეტდე მის მონუმენტურ სახებას და... ლენინს, მის ამ საცოდავ კარიკატურას, გვერდით უყვენებდე... გამაოგნებელია, მაგრამ ეპოქის სულისკვეთებას კი ყველაზე მყაფიოდ და დამაჯერებლად გვიხსნის...

პირველი შთაბეჭდლება ისეთი მომზუსხველი ყოფილა როგორც ბერძენი, ისე ქართველი მწერლისათვის, რომ ლენინის ფონზე ნაკლებმინშვენელოვნადაც კი შეაფასებდნენ სტალინის პირვენებას ერძოდ და მეტაფორულ-სიმბოლურ სახეს ზოგადად, მიუხედავად იმისა, რომ ის კიდევ უფრო მეტად შეეცდებოდა ჩანაცვლებოდა იესო ქრისტეს და თავისი ცხოვრების მატიანე სახარების ქარგაზე გაეწყო.

ერეულე ტატიშვილი იმ ეპოქის სულის ახსნას რომ შეეცდებოდა ბუდას, ქრისტეს, ნიცეს (მაშინდელი საერთო-იდეურ-ესტეტიკური ორიენტირები!) მოძღვრებათა მიხედვით, სამყაროს ბრუნვა-ტრიალს იმ ფილოსოფიურ-რელიგიურ ფორმულას გამოიქცნიდა: ღმერთი რომ დაბერდა, იესო ქრისტეში განახლდა, ახლა კი, იესო ქრისტეს დაბერებისას, მისი განახლების აუცილებლობა მოახლოებულა და ეს განახლებაც უთუობებოდებოდა. კი მაგრამ, როგორ? ამას უკვე დავთიური კანონები განმარტავდა, მაგრამ „რაღაც“ რომ მოახლოებულიყო, დიდი განახლების წყურვილს რომ მოეცვა სამყარო, ყველა გრძნობდა და მხსნე-

ლის ნაცვლად მოვლენილ ცრუმხსნელთ ამიტომაც ჩაუცვივდნენ ასე უდრტებინველად ხელში.

ფრიდრიშ ნიცეს სწორედ ამ „რაღაცის“ მოვლინებას წინასწარმეტყველებდა და სასოწარკვეთილი ძახილით მიანიშნებდა კაცობრიობას, რომ არ ცდუნებულიყვნენ და ცრუმებისა მესიად არ ეღიარებინათ. მაგრამ ეს ძახილი ამაოდ ჩაიკარგებოდა ლმერთსმოკლებულ რეალობასა და მითოსმოკლებულ დროში და ცდუნებას აყოლილი კაზანძაკისი და რობაქიძე ამ მხრივაც ჰპოვებდნენ ერთომანეთან საერთოს.

აქ ტყუვდებოდა ბერძენი მწერალი, თუმც „ესე იტყოდა ზარატუსტრასა“ და „ანტიტრისტეს“ გააზრებისას შეუმცდარად ალიარებდა ნიცეს არა ლვთისმგმობელად, არამედ ქრისტიანულ წმებულთა თანავარსკვლავედის წევრად, სულაც დიდმონამედ. აკი იაკობიც ერკინებოდა უფლის ანგელოზს, ხოლო იობი მწვავე დავას გაუმართავდა ლმერთს, მაგრამ არც იაკობი გამოუცალკევებიათ ამის გამო პატრიარქთა, უფლის გზის მაჩვენებელთა დასიდან და არც იობის წიგნი ამოუკლიათ ძველი აღთქმისათვის.

ის, რაც ზედაპირული გონებისათვის მკრეხელობასთან იგივდება, ჭეშმარიტ მორწმუნეთა თვალში სულ სსვაგარად წარმოსდგება, იმ განზომილებაში, რომელიც იდუმალი მადლისა და სალვთისმეტყველო განსწავლის გარეშე სრულიად შეუცნობელი რჩება.

ნიცეს ამბოხიც იესოს წინადმდეგ მხოლოდ ამგვარად უნდა ახსნილიყო, თორემ ამოუცნობი დარჩებოდა მასი გამორჩეული მნიშვნელობა თავის დროზეც და შთამომავლობისთვისაც.

და კაზანძაკის ისეთი განცდა დაუფლებოდა, ნიცეში ჩემი ახალგაზრდობის კუველაზე კრიტიკულ, ყველაზე მმიერ წუთს ლომის საკვები შემაჭამა. ამიტომაც ველარ დატეულიყო თანამედროვე ადამიანის ჩარჩოებში, სადამდეც ის დაკინიბულიყო, და აღარც იმ ქრისტეს ეთაყვანებოდა, როგორადაც ის გადაექციათ. იქამდე ამაღლებასა და მასთან ზიარებას კი აღარ ესწრაფოდნენ, იმის დამდაბლება მოენდომებინათ და ასე გატოლება. ნიცეს ამ დაკინიბულ იესოს უარყოფა, ცრუმესის მოვლინებას ამცნობდა და აფრთხილებდა ადამიანებს, მაგრამ თვითონ ნიცეს ნაზრევიც ისე დაეკინებინათ და გადასხვაფერებინათ, რასაც ებრძოდა თავგამეტებით, იმის წინამორბედად სწორედ მას დასახავდნენ.

კაზანძაკის აზროვნებისთვისაც დაეჩნია კვალი საზოგადოებრივი ცნობიერების ამ საერთო რღვევას, მაგრამ ნიცეს დიდმონამეობა მანიც არ ეეჭვებოდა და უანგარიბითა და სინრფელით ძალდაუტნებლად წარმოიდგნდა ფრანჩესკო ასიზელის გვერდით, ვის ღვანელსა და პირვენებასაც ერთი შეხედვით შემაცბუნებელი, სინამდვილეში კი ასეთი ზუსტი და მარჯვე მეტაფორით განსაზღვრავდა: ზეციური დონ კიხოტი.

ეს გაიგივება – ასიზელი და ნიცეს – უფრო მართებულია, ნაგულისხმევი, მაგრამ არსად – პირდაპირ აღნიშნული, ვიდრე შეთანაბრება ასიზელისა ალბერტ შვაიცართან. ბოლოსდაბოლოს, ესეც ხომ ტრაგიკული ეპოქის კვალია ცნობიერებაზე და არა ზიარება ღვთაებრივი მადლით გასხვისნებულ ბიროვნებასთან – შვაიცარი ცალმხრივად გააზრებული ნიცესანური გმირია და არა მესიანისტური მადლით ცხებული, თავისებული ანარეკელი იესო ქრისტესი, მაგრამ ვერმეძლე აღსრულებად იმ ღვთიური დანიშნულის მცნებისთვის.

სა: არა ჰქმნა თავისა შენისაგან კერპიო. ამიტომაც: ევროპაში თუ ვერავის დააჯერებდა თავის მესიობაში, აფრიკელთათვის ხომ მაინც შეეძლო ჩაეგონებინა, თვითონ უფალი გამოგეცხადათ ჩემი სახითო. ისინიც ეთაყვანენ და შვაიცერმაც ასე მოიკლა ზეკაცობის ის ჭია, რაც ბოლშევიზმის ბელადებმა სისხლის მორევში ტრიალით დაიცხეს (შვაიცერის პიროვნული ხასიათისა და სიმბოლური სახების ახლებურ გააზრებას მკითხველი იპოვნის მერაბ ღალანიძის წიგნში „რწმენისა და იმედის გზაზე“).

სამყარომ ხომ სახე და ფერი იცვალა და მთავარიც ეს არისო, – მაინც შექსაროდა ხილულ რეალობას წიკოს კაზანძაკისი და ნამიერად ივინცებდა მისი საყვარელი ბიზანტიელი მისატიკოსის შეგონებას: რეალობას ვერ შევცვლით, მიტომ რეალობს აღქმა შევცვალოთ.

უღმერთობის ჟამი უნდა დასრულებულიყო და ამიტომაც ჭიანურდებოდა დიდი შემობრუნების მოახლოება, იმ სულიერი სინამდგილის ხელახლა მოპოვება, უფლის ხმა რომ მოისმოდა დედამინაზე და მოსე შიშით შეჰყურებდა აალებულ მაყვლის ბუჩქე... იესო ქრისტეს გამოჩენით მოთავებულიყო ის დრო, ანტიკური დმერთები ადამიანთა გვერდივერდთ რომ დააბიჯებდნენ მინაზე. ეს ყოველივე ფანტაზიებსა და ნარმოსახვებში დანამცეცდებოდა და დაიფანტებოდა, განიმქრეოდა იმ ჰაერში, ოდესმე კვლავ რომ უნდა მოეტანა დმერთის სუნთქვა; და რაც უფრო ახლოს იყო ის ეპოქა, მითურო დაუნდობელი და სასტიკი აღმოჩნდებოდა წინარე ხანა – როგორი დასათმობია დემონისათვის მიღწეული, და ისევ მცდელობა დათმობილის დასაბრუნებლად.

კაზანძაკისათვის სინა უპირველესად ლვთის ნაბიჯების წყალობით ბრწყინავდა და აქაც, ათონზეც, იერუსალიმშიც ამ ნაბიჯებს მიჰყვებოდა, არა გარდასულს, არამედ – თვალწინ მბრუნავსა და მისივე არსებაში შენოვილს. აღაფრთოვანებდა, რომ ქრისტე დასასრული კი არა, დასაწყისია, და რომ იგი არის „ბედნიერ გზავრობას გისურვებ!“ და არა „კეთილი იყოს შენი მობრძანება!“ – და სხვა გზას არ გიტოვებს მისაახლოებლად, გარდა ერთისა: რომ იბრძოლო ქრისტეს სისხლიან ნაკვალევს მიყოლიმა, გარდასახო შენში არსებული ადამიანი და აქციო იგი სულად, რათა შეერწყა ღმერთს.

აკი იკონიც ერკინებოდა უფლის ანგელოზს, ხოლო იობი მწვავე დავას გაუმართავდა ღმერთსო...

გრეკოსთან ალსარების მატიანეში იგავიცაა ჩართული, ერთგვარი პარაბოლა, ღმერთთან ბრძოლის ის მოტივი, წმინდანობის გზაზე რომ გაყენებს იმავე მიზეზით, რა მიზეზითაც თვითონ იესო ქრისტეშიც ძალუმად ლვიოდა ბრძოლის ჟიზი მამაღმერთთან. ნუთუ ეს ჟიზი ავადმყოფობის ნაირსახეობაა, რისგან განკურებაც აუცილებელია? ეს კითხვა ანუხებს კაზანძაკისის გონებასაც და იმ სულიერი მამისაც, ვისაც მთელი ცხოვრება ასკეტობაში გაულევია, უფალთან მიახლოების გარდა სხვა სწრაფვა არა ჰქონია და კიდეც გაუწირავს ყველა და ყველაფერი, რათა საკანში ჩაეტანილიყო იმ მატლად, პეპლად რომ უნდა გამოფრინდეს იქიდან. თავისთავად საგულისხმოა აბრეშუმის ჭიის ეს მეტაფორა, მაგრამ მას იოლად გადაფარავს იგავი, რომლის მიხედვითაც, იესო სრულიად უნდა განიკურნოს ღმერთთან ბრძოლის სენისაგან, იქცევ ჩვეულებრივ ადამიანად, წავიდეს გალილეაში და შესანიშნავი დურგალიც დადგეს, ნაზარეთის საუკეთესო დურგალი.

საუკეთესო დურგლის ხელობა და სახელი შენაცვლებია სამყაროს მხსნელის მისიას.

და ასევეტის მრნამსი და ცხოვრების სტილი ამ ჭიდილის ხელშესახებ განცდაში იღებს სათავეს.

კოლორიტული ისიც და სხვა სულიერი მამებიც, მძაფრად და რელიეფურად წარმოისახება მათი სულიერი გვემაც სულსა და სხეულს შორის და ის ათასფერადი ხასიათებიც, ბრწყინვალე გალერეად რომ წარმოგვიდება და ქმნის კაზანძაკისის ამ ბიოგრაფიული რომანის მთავარ ბირთვს, იმ საყრდენს, ურომლისონდაც თავისითავად ჩინებული ეპიზოდები თუ მონაკვეთები ცოტა არ იყოს დალავდებოდა და ვერაფრისძიდებოთ ვერ შეიძენდა მონუმენტურ სახეს, სათავაგადასახალო რომანი უფრო იქნებოდა, ვიდრე თვითშემეცნების ოდისეადა.

ასევეტთა გაცნობა-მონახულების გადმოცემისას მწერალი მაშინდელ დღიურებსაც იშველიებს, იქნებ დღიურენტურ მასალას, იქნებ მისტიფიკაციას, ყოველ შემთხვევაში წიგნის ეს თავები კველაზე მეტად ჩანს ბელეტრიზებული იმ ხელოვნებით, ხასიათთა ეს სამყარო მზის სინათლეზე რომ ამოზიდა და ანალიტიკურად დაანაწევრა, როგორც სულიერების შენარჩუნების ერთ-ერთი რეალური გზა ღმერთსმოკლებულ რეალობაში.

და ეძნელებოდეთ ეს თვით ასეტებსაც, თავისებურ ნიმუშად რომ წარმოსდგებიან ხალხის სულიერი გამძლეობის, თვითფლობის, უანგარობის – და რომელიმე მათგანს დაუსრულებლად ეცხადებოდეს ქალის მეტად ჩანს ბელეტრიზებული იმ ხელოვნებით, ხასიათთა ეს სამყარო მზის სინათლეზე რომ ამოზიდა და ანალიტიკურად დაანაწევრა, როგორც სულიერების შენარჩუნების ერთ-ერთი რეალური გზა ღმერთსმოკლებულ რეალობაში.

და ეძნელებოდეთ ეს თვით ასეტებსაც, თავისებურ ნიმუშად რომ წარმოსდგებიან ხალხის სულიერი გამძლეობის, თვითფლობის, უანგარობის – და რომელიმე მათგანს დაუსრულებლად ეცხადებოდეს ქალის მეტად ჩანს ბელეტრიზებული იმ ხელოვნებით, ხასიათთა ეს სამყარო მზის სინათლეზე რომ ამოზიდა და ანალიტიკურად დაანაწევრა, როგორც სულიერების შენარჩუნების ერთ-ერთი რეალური გზა ღმერთსმოკლებულ რეალობაში.

ქალთან შეხვედრის სცენა ვრცელი მოთხოვიბის, იქნებ რომანისაც, თავისებური ლიბრეტოა, ეპიზოდში ჩანწერილი დიდი ვნებები, სხვა სულიერი გვემანიც რომ გასდევს ფონად, ერთიერთმანეთს აქსებენ და ლამის გსრესენ სულის იდუმალ კუნძულთა ასეთი დაურიდებელი გადმოფარჩივებით, და ესეც ის მსატვრული ხერხია, მოულოდნელი ფინალით სულ სხვა განზომილებაში რომ გადაშეყავს მეითხველის წარმოსახვა, რეალურისა და ირეალურის იმ მიჯნაზე, სადაც კაზანძაკისი და მისი მეგობარი, ათონის წმინდა მთიდან მობრძონებული, ქრისტეშობის წინა დღეს ყველაზე უცნაური, ყველაზე მნიშვნელოვანი სასწაულის მომსწრენი უნდა გახდნენ –

შუაგულ ზამთარში, ერთ გაძარცულ ბალში აყვავებული ნუშის ხე დგას.

ასე იქცევა რეალობა სიმბოლოდ, სიმბოლო კი რეალობად გვეცხადება, თითქოს მართლაც სასწაულმიქმედ ხატის მეცნიერებდეთ, და თან მოაქეს ერთი ძალიან პატარა სიმღერის მელოდია:

– ვუთხარი ნუშის ხეს: „დაო, მიამბე რაიმე ღმერთზე“ – და ნუშის ხე აყვავდა.

სასწაული იმ უბრალოებითა და ხელშესახეობით უნდა მოგვევილინოს, როგორი უბრალოებითაც დააბიჯებდა ღმერთი მინაზე.

დაო, მიამბე რაიმე ღმერთზე...

და ნუშის ხე ყვავილებს ისხამს.

ხე რომანშიც და ამ მონაკვეთშიც ერთხელ კიდევ ისეენება განსაკუთრებული მონიშნებით. ეს უკვე კვიპაროსია,

ათონის მთის დიდი ლავრის ეზოში, და ჩვენთვის იმ მხრივაც გულისშემძრელი, რომ ეს კვიპაროსი... ექვთიმე ათონელს დაურგავს.

და მას შემდეგ ხარობს და ხარობს.

გადმოცემა ინახავს დამრგველის სახელს და კაზან-დაკისაც სახიერად ჩაბეჭდვია ცნობიერებაში. სხვა რა-შეხედა მხოლოდ და გაუარა... მაგრამ სიცოცხლის მიმწერზე ეს დეტალი დასაკარგავად ენანება და ძუნნად მოხაზულ პეიზაჟურ სურათებში საგანგებოდ ჩაურთავს. იმ ფონზეც კი არ მოეჩვენება ნაკლებმიშვნელოვნად, რომ თხრობა უშუალოდ გადადის მონასტრის განძსაცავზე, სადაც სიამაყით დაათვალიერებინებენ ბასილი დიდის თავის ქალას, თეოდორე სტრატელიტის ყბის ძვალს, იოანე ოქროპირის მარცხენა ხელს... ძვირფასი თვლებითა და მარგალიტით შემული ცნობილი ჯვრის ბუდეს, რომელშიც ჩასვენებულია ძელი პატიოსანის დიდი ნაჭერი...

გარეთ კი ორი კვიპაროსი შრიალებს, და „ქართველსა გულმან როგორ გაუძლოს“, თუკი იქ მოხვედრას ეღირსა, ერთ-ერთ მათგანს არ მიმართოს: დაო, მიამბე რაიმე ღმერთზეო.

და ნუ გაიკვირვებ, ხე მაშინვე თუ აყვავდება, და უკვე იმასაც მიხვდები, რა ამოძრავებს კიპარისის ტანს და ჩუმი შრიალი საიდან არი!..

\* \* \*

— ისევ მე დაგხოცო, — ხმალზე გაევლო ხელი ბაკურს და ცოლ-შვილისაკენ მინწვდა, და იქნებ არ მიგვეკარგოს იმ პატარა ბიჭის მზერა, ვისი ძერძენი თანატოლისთვისაც ეს წამი გადაიქცეოდა მესამე თვალის ამხელად და იდა-სევსივით ახეტიალებდა სულიერ გზებზე... ციკლოპის მძღვნარებასაც გამოექცეოდა, ლოტოფაგების ქვეყანა-საც მეხსიერების დაუკარგავად დაალწევდა თავს, სირი-ნოზთა მომაჯადოებელ გალობასაც არ ეცოუნებინებოდა, კირკეს ჯადოსნური ჯოხის შეხებასაც გადაურჩებოდა და ბოლოსდაბოლოს ქრისტეშობის წინადეს დათოვლილსა და გაძარცულ ბალში ნუშის ხეს მიაგნებდა.

და ჩუმი, იდუმალი მელოდია მონვდებოდა ყურს:

— დაო, მიამბე რაიმე ღმერთზე.

და ნუშის ხე აყვავდებოდა.

\* \* \*

რა ამოძრავებს კიპარისის ტანს, ჩუმი შრიალი საიდან არიო...

## სხვა რაკურსი

ილია სიმანჩუკი

# შტატგარეშე ავტორი — ანტონ ჩეხოვი

სტუდენტი-მედიკოსი ანტონ ჩეხოვი უცნაური ჩვევით გამოიჩინა: უნივერსიტეტიდან წამოსული გზად იუმორისტულ ჟურნალ „სტრეკოზას“ ყიდულობდა და ჟურნალებით ათვალიერებდა. ფურცლავდა, გათოშილ თითებს იორთულავდა და ბოლოში გასული ისევ თავიდნ ინყებდა.

საქმე ისაა, რომ ჟურნალის ბოლო ნაწილს „საფოსტო ჟუთი“ ერქვა და იქ რედაქციაში გაგზავნილ წერილებსა თუ შენიშვნებზე პასუხები იბეჭდებოდა. სწორედ ეს ნაწილი აინტერესებდა სტუდენტს. ყოველთვის ღელავდა, რადგან რედაქცია სულაც არ ებოდიშებოდა შტატგარეშე ავტორებს — პასუხები დაუნდობელი, ხანდახან კი სარკას-ტულიც იყო, მკითხველი რომ გაემხიარულებინათ.

და აი, ბოლოსდაბოლოს შეიძლებოდა დამშვიდებულიყო და გაეხარა. 1880 წლის თებერვალში „საფოსტო ჟუთში“ ანტონი კითხულობს: „ბატონ ა.ჩე-გს. სულაც არ არის ურიგო. გამოგზავნილს განვათავსებთ. დაგილოცავთ გზას მომავალი თანამშრომლობისაკენ“. სულ მალე კი „სტრეკოზას“ რედაქტორის, ცნობილ ჟურნალისტ იძოლიტე ვასილევსკისა-გან „პერსონალური“ წერილობითი პასუხიც მიიღო: „მოწყალეო ბატონი! რედაქციას პატივი აქვს გაცნობოთ, რომ

თქვენს მიერ გამოგზავნილი მოთხოვბა არცთუ ურიგოდაა დაწერილი და ის ჟურნალში განთავსდება. რედაქცია ასეთ ჰონორარს გთავაზობთ: სტრიქონში 5 კაპიკი...“ და მარტში მომავალი კლასიკოსის თრი მოთხოვბა გამოქვეყნდა.

ასე დაიწყო ანტონ პალლოვიჩის ურთიერთობა პრესას-თან. თანამშრომლობა — მხოლოდ და მხოლოდ შტატგარე-შე, რადგან იგი არასოდეს ყოფილა რომელიმე რედაქციის წევრი, მხოლოდ იბეჭდებოდა. ნადირობისას დამფრთხა-ლი ჩიტებივით აქეთ-იქით მიფრინავდა გაზებებსა და ჟურნალებში მისი კალმით შექმნილი მახვილი, მზიარული ნაკვესები, მოთხოვბები, პატარ-პატარა სცენები, იუმო-რესკები...

თუმცა დრო არცთუ სახალისოდ განაწყობდა. 1881 წელს ალექსანდრე II-ზე თავდასმისა, „ნაროდნაია ვოლი-ას“ განადგურებისა და ალექსანდრე III-ის გამეგების შემ-დეგ სასტიკი პოლიტიკური რეაქციის ხანა დადგა.

ცნობილმა პოეტ-სატირიკოსმა ნიკოლოზ პუშკარიოვ-მა გარისკა და იუმორისტული ჟურნალი „სვეტი ტენი“ გა-მოსცა, რითაც შეეცადა ქარაგმების საშუალებით გამოე-სახა, როგორ გაუსწორდნენ ნაროდოვოლცებს.

ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში, მთელ გვერდზე კარი-კატურა გაჩნდა: მაგიდის კიდეში ორი სამელნე იდგა, ორი ბატის ფრთით, მათ ზემოთ ლენგზზე კი წარწერა იყო ჩახუ-ჭუჭებული: „ჩვენი იარაღი თანამედროვე საკითხთა გადა-სანვევტად“. თუკი კარიკატურას ყურადღებით დააკვირ-დებოდით, ფრთები და წარწერა ერთმანეთს გადაბმულ ორ ბოძს მოგაგონებდათ. ეს გადაბმა მარჯვედ ჩახუჭუჭე-ბული ხელწერით იყო შესრულებული, ერთი ხვეული კი სახრჩობელას მარყუქს მიაგავდა...

ხელისუფლება პირდაპირ გაცოფდა: ჟურნალი დახუ-რეს, ცალობით გაყიდული შეაგრივეს და გაანადგურეს, დაუდევარი ცენზორი გააგდეს... პუშკარიოვი სიღატაკე-ში გარდაიცვალა.

ასეთ სიტუაციაში ძველ გამოცემებზე – მწვავე სატი-რიკულ „სვისტოკესა“ და „ისკრაზე“ მხოლოდ სევდიანი მოგონებალა რჩებოდა... ახლა რედაქტორები მხოლოდ გართობასა და იუმორს თუ შებედავდნენ. დაიწყო პრესის აშკარა კომერციალიზაცია. ცნობილი გილიაროვსკის თქმით, 80-იანი წლების ლეგალურ პრესაში ორი ბანაკი არსებულა: „ერთში – „რაინდები“ შიშითა და გადაკრული სიტყვით, მეორეში – „რაინდები“ შიშისა და გადაკრული სიტყვის გარეშე“ . იმ წლებში უურნალისტები დასახელებებისა თუ სახელების კალეიდოსკოპს მოგაგონებდათ. ერთ გაზეთსა თუ უურნალს მეორე ცვლილა, მეორეს – მესამე და ა.შ.

სახელი გაითქვა, მაგალითად, გამოჩენილმა საქმოსანმა გამომცემელმა პასტუხოვმა, ყოველდღიური, რეპორტიორთა ჩანაწერებითა და ინფორმაციებით შევსებული გაზეთის „მოსკოვსკი ლისტოკის“ გამოცემა რომ დაიწყო. ამას გარდა, ისეთ საგაზეთო ქალალდს უკვეთავდა, სათუთუნედაც რომ გამოდგებოდა. „მოსკოვსკი ლისტოკის“ ხალისით იტაცებდნენ. ვაჭრები თუ მენარმები იძულებულნი იყვნენ პასტუხოვი სუბსიდიებით მოექრთამათ, „ლისტოკის“ ფურცლებზე რომ არ აღმოჩენილიყნენ.

აი, ასეთ ქრელსა და დაუნდობელ სამყაროში აღმოჩნდა ახალგაზრდა ჩეხოვი. 1883 წლის მაისში იგი ძმას, ალექსანდრეს სწრაფა: „პასტუხოვს ვახშმად ვყავდი ტესტოვთან, სტრიქონში ექვს კაპიკს დამპირდა. მასთან თვეში ასს კი არა, ორასს გავაკეთებდი. მაგრამ, თვითონაც ხედავ, სჯობს ვიზიტზე უშარვლოდ მიხვიდე, ვიდრე მასთან იმუშაო... ფული აიღო სისაძალეში, გაამასხრო მთვრალი ვაჭარი... ჯანდაბას მისი თავი!“

მალე კი ჩეხოვით უფრო სოლიდური იუმორისტული უურნალის „ოსკოლკის“ გამომცემელი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ლეიკინი დაინტერესდა, რომელმაც ახალგაზრდა ავტორს ხელსაყრელი პირობები შესთავაზა: რვა კაპიკი სტრიქონში. ძალზედ საქმიან ლეიკინს შეეძლო ნებადართულის ზღვაზე სიარული, ენერგიულად აწარმოებდა უურნალს, საჭირო ავტორებს კი კარგადაც უხდიდა. გრძნობდა მასალაში საში ადგილებს, თვითონვე კვეცავდა, უშტატოებთან ახსნა-განმარტებისას კი ყველაფერს ცენზურას აპრალებდა. ამას გარდა, მარაგში ყოველთვის მოეპოვებოდა გვერდები, ასე რომ, ცენზურის დევნის პირობებშიც კი ადვილად პოულობდა გამოსავალს.

ჩეხოვი რწმუნდებოდა, რომ უურნალი საუკეთესო რანგისა იყო და სიხარულით თანამშრომლობდა ლეიკინთან. იმ ხანად „ოსკოლკი“ ასე თუ ისე ღირსეულ გამოცემად ითვლებოდა.

ანტონ პავლოვიჩმა უნივერსიტეტი დაამთავრა, ექიმი გახდა, მაგრამ შემოქმედებითი მოღვანეობა არ შეუწყვეტია. თანამშრომლობდა „ბუდილნიკთან“, „ზრიტელთან“, იბეჭდებოდა უურნალებითი: „სვეტი ი ტენი“, „რაზვლეჩენიე“, „მირსკო ტოლკ...“ თან გამუდმებით ფიქრობდა უურნალისტების მდგომარეობაზე, იქ მიმდინარე არა-ნორმალურ პროცესებზე. „მე, ძმაო, იმდენი გადავიტანე, ისე შევიძულე, – ისევ სწრაფა ალექსანდრეს, – მეგაზეთე, ე.ი. სულ ცოტა, თალღითი ხარ, რაშიც შენც არაერთხელ დარწმუნებულხარ. მათ მარაქაში ვარ, მათთან ვმუშაობ, ხელს ვართმევ და ვგლოვობ და ვმიმდიოვნებ, რომ ადრე თუ გვიან განვმარტოვდები. მე მეგაზეთე ვარ, რადგან ბევრს ვწერ, მაგრამ ეს დროებითაც...“

„ოსკოლკისთან“ რამდენიმე თვის თანამშრომლობამ ჩეხოვი აიძულა ლეიკინისათვის ორი თხოვნით მიერაობა. პირველი – მის მიერ უურნალში გაგზავნილ ნაწარმოებთა მოცულობის გაზრდა (ჩარჩოები კი ვიწრო იყო: არა უმეტეს 100 სტრიქონისა). და მეორე – არ მოეთხოვათ მისგან მხოლოდ სასაცილო მასალა. ჩეხოვი ცდილობდა ნიკოლაი ალექსანდროვიჩი დაერწმუნებინა, უურნალს არც სერიოზული მოთხოვობები აწყენსო.

ლეიკინისათვის გაგზავნილ წერილს ჩეხოვი კომპლიმენტებით იწყებს, შემდგომ კი გარევეით მიუთითებს ახალი ნომრის ნაკლოვანებებზე: თქვენი მოწინავე რომ არ სცოდვდეს, უურნალი ბრწყინვალე იქნებოდა. ბოლოსწინა ნომერში ვერც შეაგულმა ისახელა თავი...“ თან ურჩევს თუ რომელი საინტერესო, გამოსადევი ადამიანი შეიძლება მიინვიოს სათანამშრომლოდ და ნიჭიერ ავტორთა მთელ სიას ურთავს თან.

ანტონ პავლოვიჩი აგრძელებდა კრიტიკულ შენიშვნებს და ამან ცოტა არ იყოს მოულოდნელი შედეგი გამოიღო: ლეიკინმა შესთავაზა „ოსკოლკიში“ მუდმივი ფელტონი „მოსკოვური ცხოვრების ნამსხვრევები“ ნაეყვანა. ჩეხოვს ეს რომ მისწერა, გამომცემელმა ისიც შესჩივლა, ნინა ავტორები რუბრიკას ცუდად უძღვებოდნენ. ერთმა „აქტიორობა ამჯობინა“, მეორე „ორთქლის ნისქვილის საქმებით დაკავდა“ და მიუთითებდა: „მიმოხილვაში აუცილებელია ყოველივე იმაზე საუბარი, რაც თავის უსახურობით ნარმოჩინდება მოსკოვში, გამასხრება, გამათრახება, მაგრამ არაფრის ქება, არავითარი ლოლიავი...“ როცა ამის პასუხად ჩეხოვმა დაინტენუნა, მასალა ცოტაა, ლეიკინმა რეცეპტი მისცა: „მოვლენა მართლაც არც თუ ბევრია: უფრო სწორად, თან არის და თან განსაჯებლად ხელმისაწვდომია ცოტა. რა უნდა გაკეთდეს? საჭიროა მაშინვე მოიპოვოთ წვრილ-წვრილი ფაქტებიც. ტყავი გააძრეთ დარდიმანდ ვაჭრებსა და შფოთისთავებს და რაღა თქმა უნდა, დაასახელეთ მათი გვარები. ხანდახან ეს



ანტონ ჩეხოვი

კარგიცაა. ტყავი გააძრეთ მსახიობებს... კარგი იქნებოდა მოსკოვის ყველა კერძო თეატრი თუ კლუბი მწვავედ შეგეფასებინათ... აქ საჭიროა პაროდია, კარიკატურა და გვარები. შესანიშნავია, რომ ყველა ეს ცელქობა რაც უფრო სულელურია, მით უკეთესი გამოდის..."

რა საანტერესო რეცეპტია! ვინ უნდა გაშოლო - ნათელია. აი, რაც შეეხებათ ბატონ მინისტრებს თუ დუმის დეპუტატებს, რომ აღარაფერი ვთქვათ უფრო დიდ ჩინებზე - ციცი! ადვილი წარმოსალებენია, რამდენად რთული და, რაც მთავარია, ამაზრზენი იყო ჩეხოვისათვის ასეთ მითითებათა შესრულება... და საბრალო ავტორი ორ ცეცხლს შუა აღმოჩნდა... ერთი მხრივ, ლეიკინის ზენოლა, ღრმა, სერიიზულ თემათაგან ღლიცინისა და სიცილმქნელობისაკენ მიემართა კალამი, მეორე მხრივ კი, წმინდა იუმორისტიკიდან დრამატული, ტრაგიკული მოვლენების ასახვაზე გადასვლის მცდელობა აუცილებლად გახდებოდა ცენტრასთან, პოლიციასა და ხელასუფალთა სხვა წარმომადგენლებთან უსიამო შეხვედრების წინაპირობა. ანტონ პავლოვიჩი არაერთგზის ეცადა თავი დაელნია ამ გადაუქრელ წინააღმდეგობათათვის, და ყოველ ჯერზე წმინდებოდა, ეს მდგომარეობა, პრაქტიკულად, გამოუვალია.

რამდენიმე მეტ-ნაკლებად სოციალური ხასიათის ფელეტონი ჩეხოვს ცენტურამ გაუჩერა. ერთ მათგანში აღნერილია მოსკოვის დუმის მიერ მოწყობილი ძალლების თავშესაფარი, რომლისთვისაც 5 ათასი მანეთი გამოყოფილი და ავტორი მნარედ ხუმრობს: ბევრი ადამიანი ინანებს ძალლი რომ არ არისო. ცენტორმა ფელეტონი რომ უარყო, წააწერა: "... წერილი არ შეიძლება დაიშვას, როგორც მხილება, რომელიც უბრალოდ ფაქტების გადმოცემით კი არ შემოისაზღვრება, მათი განსჯაც ერთვის თანო"...

ლეიკინმა ამის შესხებ ჩეხოვს აცნობა და ასეთი პასუხი მიიღო: „ერთი მხრივ, საკუთარი შრომის წყალში გადაყრა გენანება, მეორე მხრივ - რაღაც სული გენუება, გზარავს... რა თქმა უნდა, თქვენ მართალი ხართ: უმჯობესია უსასრულოდ შეხვეცო. რაც ნებადართულია დღეს, ხვალ ამისათვის კომიტეტში მოგვინევს მისვლა, და ახლოა დრო, როცა ჩინი „ვაჭარი“ აკრალულ ხილად იქცევა"...

1883-1885 წლებში ანტონ პავლოვიჩი „ოსკოლკი მოსკოვსკო ჟიზნიში“ უძღვება საფელეტონო რუბრიკას, მაგრამ ბოლოს იძულებული ხდება ამასაც დაანებოს თავი. უურნალ-გაზეთების სამყარო, რომელშიც ჩეხოვმა შემოქმედების პირველი ნაბიჯები გადადგა, მართალია ძალიან ჭრელი და მრავალფეროვანი იყო, ძალზე მკაცრი და დაუნდობელი ერთიანი კანონები ჰქონდა. აუცილებელი მოთხოვნა - უკიდურესი ოპერატიულობა, შემდგომ - ლაკონურობა და რა თქმა უნდა, ყოველივე ამის შედეგად - ანაზღაურება კაპიკებში. ამიტომ ბევრი და სწრაფი წერა იყო საჭირო, თუ არადა - ღატაკის ხვედრი არ აგცდებოდა. ამასთან რედაქტორისა და გამომცემლის სრული მბრძანებლობა, მათზე კი ცენტურის ცოფიანი მრისხანება. ამ ვითარებაში როგორ შეძლებდი თავი დაგელნია ხალტურისა და მჯდაბნელობისათვის, თანაც მუდმივ სიღარიცეში.

და ჩეხოვიც არ ცრუობდა, როცა მოგვიანებით ამბობდა: „არ მიშანტაჟებია, არც პასკვილები მინერია, არც

დასმენები, არ მიმლიქვნელია, არც მიცრუია, არც შეურაცხყოფა მიმიყენებია, მოკლედ ბევრი მოთხრობა და მოწინავე წერილი მაქვს, რომელთაც უვარგისობის გამო გადავყრიდი, მაგრამ ერთი სტრიქონიც კი არ არის ისეთი, რომლის გამოც ახლა შემრცხებოდა...“

ჩეხოვის მოთხრობებისა და ფელეტონთა წიგნებმა მსხვილ პუბლიცისტთა ყურადღება მიიქციეს. მათი რეაქცია, შეიძლება ითქვას, ცალმხრივი იყო. ეს კი 1886 წლის ივნისში უურნალ „სუვერნი ვესტნიკში“ ცნობილი კრიტიკოსის ალექსანდრე სკაბიჩევსკის შეფასებაშიც გამოიხატა. უურნალი ხალხოსნებისა გახლდათ. მის სათავეში გამოჩენილი ხალხოსანი ნიკოლაი მიხაილოვსკი იდგა და უურნალის პოზიციის გამო ჩეხოვზე დარტყმა სრულიად გამიზნულად მოხდა. სკაბიჩევსკიმ გულაბდილად განაცხადა, ავტორი ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ წვრილმანებსა და სისულელებზე იხარჯება, მასხარას ზიზილ-პიპილოებით ირთვება და მთელი მის წიგნი „ახალგაზრდა ნიჭიერი კაცის თვითმკვლელობის ტრაგიკულ სანახაობას წარმოადგენს“.

ანტონ პავლოვიჩს სამუდამოდ დაამახსოვრდა ასეთი მწვავე რეცენზია და შემდეგ, ხშირად დაცინვით ყვებოდა, როგორ უწინასწარმეტყველა სკაბიჩევსკიმ ღლიბის ძირში სიკვდილი: ჩეხული ხვედრი „საგაზეთო კლოუნთა საამერიკოს“ ყველა წარმომადგენლისა.

საბედნიეროდ, კრიტიკოსს კოვზი წაცარში ჩაუვარდა და გაბლენძილი სულელის შთაბეჭდილება დატოვა. მითუმეტეს, იმ დროისათვის ჩეხოვი ლეიკინის რეკომენდაციით, „პეტერბურგსკაია გაზეტასთან“ თანამშრომლობს, მალე კი მიწვევას იღებს მსხვილი გამომცემლის - ალექსეი სუვორინისაგან, დიდ გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ რომ ედგა სათავეში.

ანტონ პავლოვიჩმა თავისი წანარმოებები სწორედ აქ გამოაქვეყნა ნამდვილი გვარით, განსხვავებით მრავალრიცხვან იუმორისტულ ფსევდონიმთაგან. პეტერბურგში სტუმრობა ჩეხოვმა ძმა ალექსანდრესადმი გაგზავნილ ბარათში აღწერა თავის ჩეხული მანერით: „ლეიკინთან დავდექ. შესანიშნავად გამიმასპინძლდა, მაგრამ ამ საქონელმა ლამის დამახრით თავის ტყუილებით... გავეცანი „პეტერბურგსკაია გაზეტას“ რედაქტიას, სადაც სპარსეთის შაჰივით მიმიღეს...“

მაგრამ ამ გარეგნულ წყალობას კატასტროფულად არ ყოფინიდა ფული! და ჩეხოვი იძულებული გახდა ისევ და ისევ მიჯდომოდა სანერ მაგიდას... აი, რას იტყობინება ერთ-ერთ კორესპონდენციაში: „ვწერ პიესას, მოთხრობას „რუსკაია მისლისათვის“, მოთხრობებს „ნოვოე ვრემიას“, „პეტერბურგსკაია გაზეტას“, „ოსკოლკის“, „ბუდილნიკის“ და სხვა ორგანოთათვის, ვწერ ბევრს და ხანგრძლივად და თავისუდმოგლევით. ჯერ ერთი არ დამიმთავრებია და მეორეს ვინყებ...“

ანტონ პავლოვიჩი დიდხანს რჩებოდა გაზეთის დღიურ მუშად.

ერთ-ერთ გამომცემელს ბარათი გაუგზავნა, რომელშიც წანატი იყო: კედელზე დამაგრებული ლამფის კაუჭზე ყულფში თავგაყრილი ადამიანი ეკიდა. წახატს მინანერი ჰქონდა: „თუკი თქვენ ჩემი ყოფის ეს მსატერული წარმოსახვა არ შეგძრავთ, მაშ გული არა გქონიათ..“ მაგრამ სხვადასხვა გამომცემელთა მიერ შეთავაზებულ გარიგე-

ბებზე არ მიდიოდა. ასე უარყო პასტუხოვის მაცდური და-პირებანი, ასე თქვა უარი ლეიკინთან მუდმივი ფელეტონის წაყვანაზე, ასევე უარით გაისტუმრა სუვოროვიც, როცა მისგან წინადადება მიიღო, „ნოვოე ვრემიასთა“ არა მხოლოდ როგორც ავტორმა ითანამშრომლე, რედაქტოის ლიტერატურული განყოფილების ხელმძღვანელობაც ითავვო.

„კარგი ნაცნობივით, – წერდა პასუხად, – ვიტრიალე გაზეთისა და ენციკლოპედიური ლექსიკონის გარშემო. დროგამოშვებით, თვეში ერთხელ, „შაბათობებს“ დავწერ, მაგრამ გაზეთში ფესვის მყარად გადგმას ვერავითარი ათასები ვერ გადამაწყვეტინებს, რომც მომკლათ, მა-ინც...“

აი, ასე სულდგმულობდა თითქოსდა მხიარული, გონებამახვილი, აზრებით თავგამოტენილი უკვე არამარტო უურნალისტთა მიერ აღიარებული ავტორი, არამედ პროზაიკოსი და დამწერი დრამატურგი... თანაც ჯერ 30 წლისაც არ გამხდარიყო და დაავადებას უკვე ძლიერ დაერია ხელი და სისხლიანი ხველით დაეჯილდოვებინა. არც ძმები ჰყავდა უკეთეს დღეში... „შეუძლოდა ვარ და ვერც გარშემო მყოფთაგან ვხედავ ვინძეს ბედნერს. აგაფონიდი (ასე ეძახდა ალექსანდრეს), ოჯახთან ერთად მოსკოვს სახლობს და ძლივს გააქვს თავი. ნიკოლაი... სერიოზულად და სახიფათოდაა ავად. უეცრად ძლიერი, სისხლიანი ღებინება დაეწყო. ძლივს შეუჩერეს. ტიფიანივით გამოხმა... რა არ გადამხდა ამ დღეებში, აქ კიდევ ეს უფულობა!..“ – წერდა ჩეხოვი ლეიკინს 1886 წლის სექტემბერში.

ჩეხოვს საგაზეთო ორომტრიალს არიდებდნენ. ანტონ გრიგოროვიჩს და იყანებ პოლონესის მისი ეს აშკარა ნიჭიერება ენანებოდათ და სქელტანიან უურნალებმი ინვეზ-დნენ. მწერალმა პოლონესის ასე უპასუხა: სულერთი არ არის, სად გალობს ბულბული, დიდ ხეზე თუ ბუჩქებში ჩამჯდარი? მოთხოვნა, ნიჭიერი ადამიანები მხოლოდ სქელტანიან უურნალებში უნდა მუშაობდნენო, დაწვრილ-მანებაა, ჩინოვნიკობის სუნი ასდის და ყველა ცრურნებენასავით მავნეა. ეს ცრურნებენა სულელური და სასაცილოა. ყოველივეს მაშინ ჰქონდა აზრი, როცა გამომცემლობათა სათავეში აშკარად გამოხსატული ნატურები იდ-გნენ ბელინსკების, გერცენებისა და მათ მსგავსთა სახით, რომელიც მხოლოდ ჰონორარს კი არ გასცემდნენ, იზიდავდნენ, ასწავლიდნენ და ზრდიდნენ კიდეც. ახლა კი, როდესაც ლიტერატურულ სახეთა ნაცვლად გამომცემლობათა სათავეში რაღაც ნაცრისფერი წრები და „ძალის საყელოიანები“\* ტრიალებენ. განსხვავება ყველაზე სქელ უურნალსა და იაფიასიან გაზეთს შორის მხოლოდ რაოდენობრივია ანუ მხატვრის თვალთახედვით არავითარ პატივისცემასა და ყურადღებას არ იმსახურებს. სქელ უურნალებთა თანამშრომლობაზე მხოლოდ ერთი რამის გამო ვერ იტყვი უარს: ვრცელი მასალა არ იჩება და მთლიანად იპეტდება. როდესაც რაიმე დიდს დავწერ, სქელ უურნალში გავაგზავნი, პატარებს კი იქ დავპეტდავ, სადაც ქარი და ჩემი თავისუფლება შეახეტებთ...“

პირად შემოქმედებით თავისუფლებას და დამოუკი-

დებლობას, ასევე იმას, არცერთ პარტიას რომ არ მიეკუთვნებოდა, ჩეხოვი ძალიან უფრთხილდებოდა. და მაშინაც, ახალგაზრდა მწერალთა გაერთიანებაში ჩართვას რომ სთავაზობდნენ, მათი სოლიდარობის, ურთიერთდახმარების, თანადგომის განსამტკიცებლად, გადაჭრით უარობდა. სამაგიეროდ სხვა, არაპროფესიონალური ნაცნობობანი ამდიდრებდნენ მწერლის ცხოვრებას. პირველი – სულიერი მეგობრობა ისაკ ლევიტანთან – მომავალში – სახელგანთქმულ ფერმწერთან. მეორე კი – ძმებ ჩაიკოვ-სკებთან.

საინტერესოა ისიც, რომ ჩეხოვი მოდესტ ჩაიკოვსკივით თვითონაც ლამის ლიბრეტისტი გახდა. პეტრე ჩაიკოვსკი დიდხანს ფიქრობდა ლერმონტოვის „ბელას“ სიუჟეტზე იპერა შეემნა და ჩეხოვსაც აქეზებდა ლიბრეტოზე ემუშავა. ანტონ პავლოვიჩმა კომპოზიტორს თავისი პორტრეტიც კი გაუგზავნა წარნერით: „პიოტრი ილიჩ ჩაიკოვსკის მომავალი ლიბრეტისტისაგან“. მაგრამ ამ ჩანაფიქრის განხორციელება არ ეწერა...

ჩეხოვისათვის ძალზე საინტერესო პიროვნება გახლდათ ალექსეი სერგეევიჩ სუვორინი. მსხვილი, სოლიდური გამომცემელი თავგომნებობდა, ხალხის შვილი ვარო, მამაჩემი, უბრალო ჯარისკაცი, ბოროდინოს ბრძოლაში მონაწილეობდაო, დარიბ-ლატაკი მოსკოვში რომ ჩამოვედი, ქალაქიდან შვილი ვერსის მოშორებით ვცხოვრობდი და ერთადერთ ფეხსაცმელს რომ გაფერთხილებოდი, ყოველდღე ფეხსიმველი მივდიოდი შინო...

სუვორინმა ჩეხოვი მოთაცფლა. მაშ როგორ, გამოცდილ გამომცემელს შესანიშნავად ესმოდა, როგორი ვარსკვლავი ჩაგარდნოდა ხელთ! სტუმრად მიპატიუებული მწერალი მოგვიანებით ძმას სწრდა ვიზიტის შთაბეჭდილებებზე: „როიალი, ფის-გარმონი, ტახტი, ლაქია ვასილი, სანოლი, ბუხარი, დიდბეჭული სანერი მაგიდა... პატარები თვალს არ მაცილებენ და ელიან, რომ რაღაც უჩვეულოდ ჭკვიანურს ვიტყვი... ვასილის ჩემზე უკეთ აცვია, კეთილშემობილური გარეგნობა აქვს...“

ალექსეი სერგეევიზე შეეცადა მოეხიბლა ძვირფასი სტუმარი. სრულიად სერიოზულად ისიც კი შესთავაზა, ერთ ხუთ-ექვს წელიწადს, ვიდრე ჩემი უმცროსი ქალიშვილი წამოიზრდებოდეს, ნურც დაქორწინდებიო. მზთვად კი „ნოვოე ვრემიას“ მთელი შემოსავლის ნახევარს დაჰპირდა.

დემოკრატებს შესანიშნავად ესმოდათ სუვორინისა და მისი გაზეთის ფასიც, რომელსაც სალტიკოვ-შეჩდრინ-მა ხელისუფლების მლიქენებობის გამო „რას ინებებთ?“ უწოდა. ასეთმა პოზიციამ გამომცემელი საფუძლებლიანად გაამდიდრა. ამიტომაც მოგების ნაწილი შეეძლო ქველ-მოქმედებაზე გაეხარჯა. ჩეხოვი განსაკუთრებით მისმა ერთმა საქციილმა მოხიბლა, რომელზეც ხაზგასმით წერდა: „სუვორინი, „ნოვოე ვრემიას“ გამომცემელი, გასაყიდად უქვებს პუშკინს... საარაკოდ იაფად – ორი მანეთი გადაგზავნით. ასეთი საქმეების მოგარება მხოლოდ ისეთ უდიდეს და გონიერ ადამიანს შეუძლია, როგორიც სუვორინია, არაფერს რომ არ იშურებს ლიტერატურისათვის...“

მეტიც, ჩეხოვი ლიბერალურ უურნალ „რუსკაია მისის“ რედაქციის წაეზიან, ხშირად მწვავედ რომ აკრიტიკებდნენ სუვორინის. ანტონ პავლოვიჩმა, ასე რომ აფასებდა

\* ჩეხოვის თანამედროვენი იყვნენ ძმები ვერნერები – გამომცემები. მათგან პეტრინ, უმცროს ვერნერს, ნაცრისფერბენ-ვინი პალტონი რომ იმოსებოდა, ჩეხოვმა „ძალის საყელო-იანი“ შეარქვა

თავის დამოუკიდებლობას, მიიჩნევდა, რუსეთის ლიტერატურისა და უურნალისტიკის ასეთ უდიდეს ქომაგთან მეგობრობა ამ თავისუფლებას კიდევ უფრო გაამყარებსო.

მაშინ ჩეხოვს ჯერ კიდევ ვერ შეეცნო სუვორინის სრული მუხტოლობა თუ გაიძვერობა, რომელიც ასე თსტატურად განამტკიცებდა ლეგენდას საკუთარ თავზე.

გამომცემელი კი, კარგად რომ ესმოდა ჩეხოვის ნიჭის მთელი სიღიადე, გულწრფელად შეეჩვია ანტონ პავლოვიჩს და ეს კავშირი რამდენიმე წელს გაგრძელდა.

მხოლოდ 1901 წელს აეხილება თვალი და ჩეხოვი ძმას, მიხაილს ეტყვის: „სუვორინი საშინლად ცრუა, განსაკუთრებით ე.ჩ. გულახდილობის წუთებში, ანუ გულწრფელად საუბრობს, შესაძლებელია, მაგრამ ვერ შეგვირდები, რომ ნახევარ საათში სწორედაც რომ საპირისპიროდ არ მოიქცევა...“

და აი, როდესაც ჩეხოვი სრულიად გათავისუფლდა სუვორინის ბანგისაგან, საბოლოოდ, „რუსკაია მისლის“ მიწვევას გამოეხმაურა. აქ უკვე თანამშრომლობდნენ გლებ უსაბენსკი, გარშინი, კოროლენკო, შემდეგ კი – გორკიც. და იწყება: „რუსკაია მისლის“ მუშაობა, ნაცნობობა და მეგობრული ურთიერთობანი გორკისთან, ჩეხოვის ჩართვა ტოლსტიონის ორბიტაში...“

წინ კი ანტონ პავლოვიჩ მთავარი უურნალისტური გმირობა ელოდა – „თვითშემოქმედებითი“ მოგზაურობა

მთელ ციმბირსა და სახალინზე. კაცმა უბრალოდ მიაფურთხა თავის სასიკედილო სენს. დახვეწილმა მხატვარმა, ფინერლოგმა, ღრმა, გულში ჩამწვდომი მოთხოვნებისა და პიესების ავტორმა დროებით უარი თქვა მხატვრულ შემოქმედებაზე, მხოლოდ – დოკუმენტურობა, ფოტოგრაფიული სიზუსტე, საშინელი ყოფისა თუ ადგილობრივ მკვიდრთა და გადასახლებულთა ბედის გათავისება. ავტორის ასეთი რეალისტობა ნებისმიერ, ფანტაზიის ყველაზე მახვილ ნაყოფზე საშიშია!

„სახალინის კუნძულს“ რაიმე შემაჯამებელი გვერდებიც კი არ აბოლივებს, და არც ფინალია პუბლიცისტური. დაბოლოება შოკის მომგვრელია: ამონანერები ალექსანდროვსკის ლაზარეთის აზგარიშიდან (აյ ექიმი ჩეხოვი თვითონ ილებდა პაციონტებს და ოპერაციებს ატარებდა!) თუ სახალინის სამოქალაქო უწყების სამკურნალო დაწესებულებათა „უწყისიდან“ მედიკამენტების შემოსავალსა და გასაგალზე, კანონის იმ მუხლებიდან, გადასახლებულთა ჯანმრთელობას რომ ეხება... და ეს ყველაფერი უურნალ „რუსკაია მისლის“ ქვეყნებოდ 1893-95 წლებში.

1904 წელს კი ჩეხოვი გარდაიცვალა. ასე რომ, თავის ხანმოკლე ცხოვრების ბოლოს იგი უურნალისტიკას დაუბრუნდა, მის ყველაზე მძიმე და სახიფათო ნაწილს: რეპორტიორობას, რომელიც ყველა დროში საფრთხილოა და საშიში.

## პილი

### ელისო ერისთავი

## რეზო ესაძის „ჭერი“

რეზო ესაძის „ჭერი“ კონტრაპუნქტია. ის ვიზუალური, სულიერი და აზრიბრივი თემების მრავალნახნაგოვან მიქსს წარმოადგენს. ფილმის პროლოგში ავტორი იუნება: „ეს არის ფილმი-მისტერია“. და იქვე: „მე გიჩვენებთ მასალას ფილმისას, რომელსაც მთელი ცხოვრება ვიღებდი და ვერ გადავიდე“.

რა ვერ გადაილო რეზო ესაძემ? ეს მხოლოდ მან იცის. ჩვენ კი შევეცადოთ ფილმში დანახული თემები სისტემური ანალიზის მეშვეობით ხმოვან-ხედვითი სტრუქტურის სახით განვიხილოთ. სიტყვა, „შევეცადოთ“ ხაზგასმით აღვნიშნე – მხოლოდ ავტორმა იცის, თუ რა და როგორ არის მის მიერ ფილმში წარმოდგენილი. ავტორმა თავიდანვე უარი განაცხადა თავისი ჩანაფიქრის გაშიფრვაზე. მან თავის ფილმს მასალა უწოდა. ეს არის მასალა, რომელიც სულიერ ტკივილის შრეთა განცდებს, ფაქტებსა და მათ უწყვეტ გარდაქმნებს წარმოგვიდგენს. ეს არის რეზო ესაძის სულიერი მონოლოგი, ჩვენი რეალობის ვერტიკალი და პორიზონტალი და ჩვენი ყოფის სივრცობრივი პარადოქსი. ეს არის რეზო ესაძის ხედვით, აზროვნებისა და

ტკივილის კონტრაპუნქტი, რომელიც მან „ჭერის“ სახელწოდებით წარმოგვიდგინა.

ავტორმა ამ ფილმს მასალა უწოდა. შევიძლია დავეთანხმოთ, ვინაიდან ფილმი არ ემორჩილება მონტაჟურ წყობას, სიუჟეტურ ალექმას და მისი ფორმა გახსნილი კომპაზიციების რიცხვს მიეკუთვნება.

ფილმს არ გააჩნია ფაბულა. ავტორის იმპროვიზებული აზროვნება და ექსპრესიული ბუნება ფილმის ზოგადი მეტყველებით წარიმართება. კომპოზიციის თემა პიროვნული იების, ცხოვრების არსის, საზოგადოებრივი ურთიერთობებისა და პირადი განცდების მარადიულობის უწყვეტი თემატური გარიაციებია, რომელიც ოთხ განშტოებად ყალიბდება:

- 1) რასაც ვხედავთ;
- 2) რასაც ხედავს ავტორი;
- 3) რასაც აღიქვამს რეზო ესაძე თავისი თავისა და გარემოსთან ურთიერთობაში;
- 4) ყოველი ჩამოთვლილი თემა სივრცობრივ ერთობლივითი.

ფილმის ხედვითი და აზრობრივი შრეები პლასტიკური უწყვეტობითა და მრავალმხრივი ხედვით არის წარმოდგენილი.

რეზო ესაძის „ჭერი“ არა მარტი ქართულ კინემატოგრაფში, არამედ ზოგად კინოს ისტორიაში ახალ უწევეულო ფორმას წარმოადგენს. აღბათ, შეიძლება პარალელთა პოვნა მსოფლიო კინემატოგრაფში: ფედერიკო ფელინის, ბერნარდო ბერტოლურის, ლუის ბუნუელისა და სხვა დიდოსტატთა ნამუშევრებში, სადაც მინაგანი მონოლოგი და ფინერლოგიური მიგნებები მრავალმხრივა წარმოდ

გენილი. ასევე შეიძლება ექსპერიმენტული კინოს გახსენება, რომელიც 50-იანი წლებიდან აურაცხელი რაოდენობის უწყვეტი შეგრძნების გადმოცემით, ხილვებითა და ალსარებებით არის გაჯერებული. რეზო ესაძის ფილმში ბევრი რამ შეიძლება სხვა ნამუშევრებს მოგვაგონებდეს, მაგრამ განუმეორებელია ინდივიდის ალსარება, გულის ტკივილი და ხედვა, მსოფლიო კინემატოგრაფის არც ერთი მაგალითი ჩვენ „ჭერის“ ავტორის ხედვასა და შემოქმედებით აზროვნებას ვერ შეგვიცვლის. ჩვენ საქმე გვაქვს ძალზე სპეციფიკურ კინემატოგრაფთან, რომელიც განუმეორებელია, ვინაიდან რეზო ესაძის ხედვა, ექსპრესიული აღქმა, პატრიოტიზმი, პიროვნების მარადიული ძიება, მშვენიერების ფასი და მისი უარყოფა, როგორც საზოგადოებრივი მორალი და კიდევ მრავალი სხვა არსებითი მიზეზი – მრავალნახნაგოვანი ვირტუალურ-რეალური ნაერთი. იგი რეზო ესაძის შინაგანი ბუნებაა.

ავტორი ამბობს, რომ ეს მისტერიაა, და რომ ყოველივე 1992-2002 წლების საქართველოში ხდება. ეს ჭეშმარიტებაა – ჩვენს წინაშე საქართველოს რეალობა, როული, წინააღმდეგობრივი, გულსატკენი, სიყალბისა და სიმართლის ნარევი. მაგრამ ეს კიდევ რეზო ესაძის არსებითი პრინციპები, მისი ექსპრესიული მონოლოგი და გროტესკია. ეს არის კინო და სინამდვილე, ხილვა და შეგრძნება, ისტორია და რეალობა, ცხოვრების პრობლემები და სულიერი ტკივილი. ძალიან ბევრი რამ ერთ მისტერიაშია მოთავსებული.

ავტორის მოქალაქეობრივი პოზიცია ფილმის პროლოგშია გამოტანილი: „სამოქალაქო ომი სულიერების მტერია. ეს უბედურებაა. მითუმეტეს, ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიცაა საქართველო“. ამ სიტყვებს თან სდევს დოკუმენტური ტიპის კადრები: ეზო, სახლიდან ყვირილი, კაცი ყავარჯინებით, ეზოს ამსახველი ყოფითი კადრები. შემდეგ ყოველი დეტალი მსხვილდება, ეზო და სახლი დიალოგში გადაიზრდება, ყველაფერი კი ზედხედით შუქდება. შემდეგ კვლავ ჩხუბი, უაზრო დიალოგი – ობიექტივი ვერ ასწრებს აბსურდის აღხეჭდვას: იგი ხან დეტალზე ჩერდება, ხან ზევით მიისწრაფის, ხან ქვევით, ხან ზედხედში ჩერდება.

კადრში დაღლილი შინაგანი ტკივილით აღსავსე ასაკოვანი კაცის სახეა (რეზო ესაძე) და თარიღი „1992-2002 წლები“.

ამ სახემ ჩვენი ქვეყნის უკუღმართობის და დეფორმირებული ურთიერთობების რეალობა მთელი არსებით შეითვისა და მომდევნო კადრების მეშვეობით ეს პარადოქსული სინამდვილე კინტრაპუნქტული მონოლოგის საშუალებით ხედვით-ხმოვანი ქსოვილით გამოხატა.



კონტრაპუნქტი – ლათინური სიტყვაა *punctum contra punctum* – წერტილი წერტილის წინააღმდეგ, ე.ო. ჟღერადი მახვილების ანუ თემების გამომსახველი ქსოვილია. კონტრაპუნქტი არსებობს მრავალმხრივი: რთული, ჰორიზონტალურად მოძრავი, ვერტიკალურად მოძრავი, ორმაგი, სამმაგი და ა.შ. ამ შემთხვევაში გვაქვს სინთეზური კონტრაპუნქტი: ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად მოძრავი პარალელური პოლირიტმული და პოლიმეტრული კომპოზიცია.

შევეცდები ჩამოვთვალო „ჭერის“ კონტრაპუნქტის ძირითადი თემები: ქუჩა და სახლი, თაობების გაუცხოება და შიდა სამყაროში ჩაკეტვა, ბავშვების უმანეოება და და-

ნაგვანებული გარემო, სიყვარული ობიექტის შეგრძნების გარეშე, ყალბი დიალოგები, ყოფა, სადაც ერთიმანეთისა არავის ესმის, თეატრის სამყარო მისი სიყვარულის გარეშე, გროტესკით აღსავს ურთიერთობები, ნილბები ყოფაში, სახლში, პიროვნულ ხედვაში და ადამიანის არსის უცვლელობაში. სინამდვილე და წარსული, რეალობა და აბსტრაქცია, სიყალბე და ჭეშმარიტება. ჩამოთვლილი თემები თითქოს და მრავალჯერ ნახსენებია, მაგრამ მათი სია, სამწუხაროდ, დიდი და მაინც არასრულია. რეჟი-

სორი, დღევანდელობის ანალიზით შეპყრობილი, თვითონვე ნილბის მატარებელი არსებაა. იგი ყველა ურთიერთობაში ორმხრივია – ჭეშმარიტი და ირონიული. ფსიქოლოგიური მოშლილობის მიუხედავად ცხოვრობს ხილვის ანალიზით და იგი თვითონ ყალბი და შეუცნობადია. ერთადერთი, რაც მასში პარმონიულ გამოხმაურებას ტოვებს – ბავშვები და დაღლილი ადამიანებია.

ფილმში უწყვეტად ისმის სროლის ხმა – ეს გარე სამყაროა, რომელიც თავისი კანონებითათუ უკანონობით ხედვითი ვერტიკალის კიდევ ერთი თემაა. ჩვენ გვესმის საუბრები ცხოვრებაზე (ბნელი კადრები), რომელიც ყალბი ინტიმურიებითა წარმართული. ეკრანი გვაჩვენებს სხვადასხვა მოგონებას: დედის ცრურნების რიტუალს, შეყვარებულ ახალგაზრდებს... გვესმის ჩივილი ამნეზიაზე – ეკრანი იყოფა სივრცულად და ჰორიზონტალურ-ვერტიკალური მოძრაობების ნაზავით. ამ დროს ისმის მუსიკა და მკვეთრი სროლის ხმა. დანგრეული შენობის ფოტო, მოძრავი ქსოვილის პლასტიკა, ვარდისფერი ტონირება, საათის უაზრო ფუნქციონირება და შემდეგ ავტორის სიტყვები: „ქალაქი, სადაც სუყოველთვის მანუხებდა ბავშვები, ნაგავი და სროლა“.

კადრები წაფენებით იცვლება და ბავშვების სახეზე დროებით შეჩერდება. შემდეგ კვლავ თეთრი ტილოს რჩევადი დინამიკა, საუბრები, ჩხუბი, ნაგავი და ბავშვები. ფილმის მსვლელობა შეუჩერებელი წაფენებით ვითარდე-

ბა, რაც კონტრაპუნქტული ულერადობის სტრუქტურას გვაწვდის: ორმაგი, სამმაგი ექსპოზიციები, მუსიკა, ყვირილი და სროლა. ვიზუალური და ხმოვანი მასალა ერთმანეთისაგან თემატურად დაცილებულია, ე.ი. წაფენები, რომლებიც მოვლენებს ვიზუალურად ამჟღავნებს, ვერტიკალურ კონტრაპუნქტში აისახება და ხმის სამმაგი ექსპოზიციით გვაწვდის.

ხმოვანება (გარე სამყარო) გამოსახულებასთან კონტრასტში და აზრობრივ განმარტებაში იმყოფება (სროლა, ჩხუბი, საქმის გარჩევა და ა.შ.). გამოსახული სამყარო ცვალებადი და გროტესკულია, ხმოვანი – აგრესიულობის შემომტანი.

„ჭერის“ ვიზუალური ტილო უწყვეტად მოძრაობაში და ტონალური ცვალებადობებით იმპროვიზაციულად ვითარდება. ბავშვები, დედასთან საუბრები, ნიღბის მოხსნა და მხოლოდ ვიზუალური გაახალგაზრდავება ან პირუკუ, ყალბი დიალოგები ნახევრად გაშექებულ თეატრში, ეკრანის სრული ჩაბნელება და ხმოვანების დატოვება, შუქის ნერტილების სხვადასხვა კოლორიტში საუბრის ფონზე გამოჩენა, ქსოვილის მუსიკალურ ფონზე რჩევა, დეტალთა გამსხვილება, აპარატის ვერტიკალური

და პორიზონტალური მოძრაობა, ოჯახური სცენების ულიმდამი ჩვენება, მათ წევრთა ურთიერთობების პარადოქსული გაორება და ა.შ. „ჭერის“ ხმოვანი რიგი – სროლა, ჩხუბი, გაუთავებელი უაზრო ლაპარაკი, გროტესკული დიალოგები და ფონური კლასიკური მუსიკა. ფილმის ხედვითი სტრუქტურა – მუდმივი წაფენების ხარჯზე ვითარდება, სადაც რომელიმე დეტალი მკეთრად გამოიკვეთება და დროებით ჩერდება და მსხვილდება. მოძრაობა ვერტიკალური მზერით პროცესის სხვადასხვა რაკურსს გამოყოფს, რაც დროდადრო მოულოდნელად რეალური კადრებით თითქოსდა ძირითად პრობლემებს ხაზს უსვამს. მაგალითად, ჭერის შედება დალლილი ახალგაზრდის მიერ, რომელიც ასაკოვანი მშობლების დეპრესიას ტკიფილით აღსავა პროტესტს გამოიუთქმას.

რეჟისორი პერმანენტულად გვაჩვენებს ოჯახს, სადაც ინვალიდი კაცი ხან მთავრობისგან გამოგზავნილ ძღვენს იღებს, ხან სტუმრებთან ურთიერთობს, ხან კი ცოლის პროტესტს ისმენს. მისი შევილი კი ამ ოჯახში ადგილს ვერ პოულობს და ომით მოცულ ქუჩაში დარბის, დიდი სიყვარულით რეზო ესაძე გვეჩერებს მთებს, ბუნების ამსახველ კადრებს, ბავშვებს და შეყვარებულთა შეხვედრას. თემებთან დაკავშირებით გამოვყოთ სარკის, საათის და ნიღბების სიმბოლიკა. სარკეში იხედება არჩილი (მთავარი გმირი), სარკის წატეხებში მოჩანს ხალხი, სხვადასხვა ადამიანის სახე, გადატრიალებული ყოფა. ნიღაბი, ვფიქ-

რობთ, ადამიანის გარეგნობის მაჩვენებელი სიმბოლოა, ვინაიდან ყველა, მიუხედავად განვლილი გზისა, ნიღბის მოხსნისას ისევ ის ჩჩება, რაც მასში ახალგაზრდა ასაკში არსებობდა. საათის თემა, ალბათ, დროის მაჩვენებელია ან მისი უაზრო სკლა. საათი მუშაობს, იმტვრევა, რეკავს – არაფერი არ იცვლება. კვლავ სროლა, ჩხუბი, გაუგებრობა, სიყალბე ყოველთვის სხვადასხვა სახით ერთმანეთს ეფინება და ამ კონტრაპუნქტით მხოლოდ მოჯადობული უაზრო ერთფეროვანი სამყარო რჩება. სამყარო, სადაც უაზროდ საუბრობენ, იხსენებენ, ეძებენ, ვერ პოულობენ და ყოველთვის ადგილზე დგანან.

რეზო ესაძის ფილმს მე კონტრაპუნქტულს ვუნიდებ, ვინაიდან თემების რაოდენობა, მათი ერთობლიობა, სახვითი ელემენტების კოლოროტი, კადრების მრავალმხრივი გაშუქება, მისი კომპოზიციური სიჭრელე – ცნობიერების წაკადის მონტაჟს წარმოადგენს, რომლის შინაარსობრივი და იდეოლოგიური ხაზი ხმოვანებში არის გადატანილი.

„მისტერია“ მას რეჟისორმა დაარქვა. ეს მისტერია მისი ფსიქიკითა და გონებით აღქმული გააზრებული სინამდვილეა – ტრაგიკული რეალობა, რომელიც რეზო ესაძე

უჩვეულო ფორმით სრულფასოვნად გამოხატა. საქართველოს კინემატოგრაფს ერთი განსხვავებული უანრის და წყობის ნამუშევარი შეემატა. ინტელექტუალური კინო დოკუმენტური ასახვით, ისტორიული მისტერია ფსიქოლოგიური წარმოსახვით, ხედვითი კონტრაპუნქტი მონოლოგის ტრანსფორმაციებით – ეს რეზო ესაძეა. ეს მისი პიროვნული თვისებების ჭეშმარიტად გამომსახველი წანარმოებია. ეს არის ავტობიოგრაფია ქვეყნის ტკიფილში ჩაძირული.

„ჭერი“ ღია კომპოზიციის ნიმუშია. მას თემა და იდეა გააჩნია, რომელიც იმპროვიზაციულად ვითარდება. იგი დროებით სხვა თემებით შეიცვლება, რომელიც ერთმანეთს ეფინება და ყოველი მათგანი თავისას იტყობინება. შემდევ კადრი რომელიმე აბიექტით მსხვილდება და კვლავ ახალი თემატური ნუსხით იცვლება. ფილმის პლატიკურ წყობაში ხშირად შუქის ლაქა ან ქსოვილის რჩევა იწყებს თხრობას, რაც კვლავ სხვა თემებით შეივსება. ყოველი თემა დღევანდელი საქართველოს ხალხის ყოფისა და საქმიანობის დოკუმენტია. ყოველი სიტუაცია ჩვენი დეფორმირებული ურთიერთობების მატიანეა. სროლა და სულიერი დაბნეულობა, სიცხადე და ამნეზია ფილმის ტონებია, რომელიც ერთმანეთის უარყოფით იბადებიან და უწყვეტი დინებით მიემართებიან.

ღია კომპოზიციები მეტნილად 60-იანი წლების შემდეგ ჩამოყალიბდა და ავტორის შეხედულებებისა და აზროვნების დოკუმენტად წარმოგვიდგა.



# სახიზათო ჩანაცერები – 30სთვის?

\*

იოსეგ ჭუმაშიძის  
ნიგნის განხილვა

პუბლიცისტური სტატიების საჯარო კითხვა ნაკლებ მოსალოდნელია, რომ ერთი მსახიობის თეატრად გადაიქცეს.

მაგრამ თუ სტატია სატირულ მინიატურებს მოგვაგნებს — ლაკონიზმით, ექსპრესით, სიმახვილითა და დახვეწილი იუმორით?

და თუ წამიეთხეველის დეკლამატორული ხელოვნება ძალაუტანებლად აპამს მიმზიდველ ძაფს აუდიტორიას-თან?

ერთი მსახიობის თეატრი სხვა კი არაფერია.

და „ჩვენი მწერლობის“ დარბაზი იმ დღეს ამიტომაც გადაიქცევა თეატრალურ სივრცედ, როდესაც იოსებ ჭუმბურიძე დროდადრო ცალკეულ მხატვრულ-დოკუმენტურ ნიმუშებს ჩაურთავს მისი უურნალისტური კრებულის განხილვას.

## როსტომ ჩეეიძე:

„თუ ვინმე ქმნის დღეს ქართული უურნალისტიკის სახეს, ერთი მათგანი, დამერნწმუნებით, საუკეთესო წარმომადგენელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ჩვენი მწერლობის, ჩვენი უურნალისტიკისა სოსო ჭუმბურიძე გამოვავთ.

თავისი სტილით, თავისი მანერით, სიღრმით, თავისი ზნეობრივი პოზიციით ბევრ რაიმეს განსაზღვრავს ჩვენი მოუგვარებელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

შემთხვევითი არაა წიგნის ეს სახელმწიფება – „სახიფათო ჩანაწერები“. ის მარტო მეტაფორა არ არის. თუმცა მეტაფორაც რომ იყოს, მაშინაც ორიგინალური და კოლორიტული იქნებოდა, და გამოხატავდა იმ გაბედულ პოზიციას, რაც ამ წიგნშია წარმოჩენილი.

ბატონ სოსოს, აი, ამ ჩანაწერების გამო თავსაც დაესწენ და ამიტომ პირდაპირაც უნდა აღვიქვათ წიგნის სათაურო.

ეს ჩანაწერები აქ მთლიანად არ არის თავმოყრილი, გარკვეული ნაწილი გამოქვეყნებული იყო მის ადრინდელ წიგნშიც, იძეჭდებოდა კვირიდან კვირამდე, დღიდან დღემდე გაზეთ „თბილისის“ ფურცლებზე. ოღონდ კრებულად თავმოყრილი სულ სხვა შთაბეჭდილებას იწვევს. უპირველესად კი იმ შთაბეჭდილებას – გაუძლო თუ არა ჩანაწერებმა დროს. ახლაც აქვს თუ არა უნინდელი ღირებულება, რათა გარეკანში მოექცეს და ხელახლი სიცოცხლე დაიწყოს.

მე ხშირად ვიმეორებ თამაზ ბიბილურის ფრაზას, რომელიც უპირისპირდებოდა მოარულ გამოთქმას: „გაზეთი

ერთი დღისაა“. თამაზი ამტკიცებდა, რომ გაზეთი არ არის ერთი დღისა. ერთი დღისა არის მხოლოდ კონიუნქტურული გაზეთი. იმ თვალსაზრისს, რომ გაზეთი არ არის ერთი დღისა, თამაზ ბიბილური ამტკიცებდა არა მარტო თეორიულად, არამედ უურნალისტური წერილებითაც.

სოსო ჭუმბურიძის წერილები ეხება უამრავ მტკიცნეულ პრობლემას ჩვენი დღევანდელობისა. ისინი აღტაცებას იჩვევენ თავისი გაბედულებით, გაბედულებაში მარტო პოლიტიკურ სითამამეს არა ვგულისხმობ. აუცილებელია, რომ ანგარიში არ გაუწიო არანაირ კონიუნქტურას, თუნდაც ლიტერატურულს, რაც ბევრად უარესი მგონია, ვიდრე პოლიტიკური კონიუნქტურას.

ეს წიგნი ამ მხრივაც საგულისხმოა, როდესაც ადამიანს, პირველ რიგში, საკუთარი თავისა არ გეშინია. საკუთარი აზრის გამოთქმა არ გეშინია. ზოგჯერ შეიძლება ცდებოდე, შემდეგში გადააფასო კიდეც შენი შეხედულება, მაგრამ მთავრობა არ შეეპუნ გარემოებებს. და ამ მხრივ სოსოს წერილება არის სანიმუშომ, ისევე, როგორც მისი რედაქტორული მოღვაწეობა. გაზეთმა „თბილისმა“ შეინარჩუნა თავისი სახე და ოდნავადაც არ გაყვითლებულა.

თვითონ ფორმაა ამ ჩანაწერებისა ორიგინალური. აქ თავმოყრილია 100-ზე მეტი ჩანაწერი, რაც გულისხმობს ამდენივე იდეას, თემას. და ძალიან ძნელი მოსაძიებელია თუნდაც ერთი. ყოველივე დახვეწილად არის მოქცეული მცირე ფორმაში და მთლიანობაში წარმოგვიდგება მხატვრულ-დოკუმენტურ პროზად, – ლიტერატურულ უანრად.

თავის დროზე ნიკო ლორთქიფანიძის „იყიდება საქართველო“ – დღეს უკვე კლასიკურ მინიატურად აღიარებული, დაიბეჭდა როგორც პუბლიცისტური სტატია. ავტორის განსაზღვრება იყო ამგვარი თუ რედაქტორისა, არ არის ცნობილი, გავიდა ხანი და მწერლის კრებულში შევიდა, როგორც მინიატურა – შედევრი ბელეტრისტული აზროვნებისა.

სოსოს წიგნში არაერთია ასეთი ჩანაწერი, რომელსაც უდავოდ მხატვრული ღირსება აქვს.

იმედია, ეს მხატვრულ-დოკუმენტური პროზა იქნება მხოლოდ ერთი რგოლი მისი მოღვაწეობის გზაზე.

გადავწყვიტეთ, რომ ბ-ნმა სოსომ თვითონვე წაგვიკითხოს რამდენიმე ნიმუში. და შემდეგ გამოვხატოთ ჩვენი აზრი იმ ფერმენტის შესახებ, რასაც ჰქვია სოსო ჭუმბურიძე დღევანდელ ქართულ უურნალისტიკაში“.

ზოგიერთი ნიმუში — მცირე ფორმის გამო — კიდეც ხომ არ ჩაგვერთო ამ რეპორტაჟში?

კარგი კი იქნებოდა... მაგრამ მაშინ თავყრილობის ეს ლიტერატურული ვერსია ძალიან გავიგრძელდებოდა და იძულებული შევიქნებოდით, გამოსვლები ძალიან შევვევვეცა.

არადა, ისეთი საგულისხმოა წიგნის ეს შეფასებანი, ჩვენი ცხოვრების საფირბოროტო კითხვებზე რომ დაგვაფიქრებს, ისევ საილუსტრაციო მასალის მოხმობაზე შევიქრით ხელი.

ბოლოსდაბოლოს, კიდევ არაერთხელ მოგვინევს საუბარი იოსებ ჭუმბურიძის დრამატულ, მწვავე თუ სულაც ლიტერული შეფერილობის სტატიებზე; და მთლიანადაც მაშინ დავიმოწმოთ.

### ვახტანგ დავითაძე:

„მე ბატონი სოსოს ნაწერები ზნეობის ნიმუშებად მიმაჩნია. არ არის საემარისი იყო ნიჭიერი, იყო პროფესიონალი. თუ სულით პოეტი არა ხარ, ღირებულ ნაწარმოებს ვერ შექმნი. ასევა ფერწერაში, ქანდაკებაში, კინომატოგრაფიში, ხელოვნების ნებისმიერ დარგში, მითუმეტეს, ლიტერატურაში.

ბატონი სოსო ამ სამივე თვისებით ხასიათდება. მისი წერილები განსაკუთრებული ქართულით, თავისებური მანერით არის დაწერილი. ავტორის გვარი რომ არ ეწეროს, მაიც ადვილად საცნობია. მის სტილს განსაკუთრებული სირბილე და დახვეწილობა ახასიათებს. აი, თუნდაც ეს ჩანაწერი უშანგი ჩხეიძეზე, მის საფლავზე, გულგრილად ვერ წაიკითხავთ.

მეთვალყურეა თავისი ქვეყნის პროცესებისა. ძალიან კარგად ხედავს კარგს, რაზედაც სიამოვნებით წერს, მაგრამ ცუდიც არასოდეს გამორჩება და როცა ცუდზე უხდება წერა, იგი არ იწყებს ლავირებას ან შელამაზებას. ამბობს სიმართლეს ისე, როგორც არის სინამდვილეში. და ჩვენს დღევანდელობაში იგი მოქალაქეობრივი კეთილსწოდისიერების იშვიათი მაგალითაცაა. მართალია საკუთარ თავის, საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე“.

### ნათელა არველაძე:

„მე მოვედი აქ ადამიანთან, რომელსაც შევადარებურთველ გლეხკაცს, რომელმაც ოცდათხუთმეტჯერ უნდა ჩაიმუხლოს ყოველ ვაზთან, რათა მიიღოს ყურძნი და დაწუროს ლვინო.“

ბ-ნი სოსო, აი, ასე, ოცდათხუთმეტჯერ ჩაიმუხლებს ყოველ ფრაზასთან, რათა დაწუროს და ის გასაოცარი სითხე მოგვანოდოს, რომელმაც ჩვენი დაბინდული გონება უნდა განმინდოს...

შეიძლება ადამიანმა ბევრი რამ გააკეთოს თავისი პროფესიისათვის, მაგრამ არიან პირვენები, რომელთაც თავიანთი მისია აქვთ შესასრულებელი თავ-თავის სფეროში, და ამითი იმეორებენ თავის მოძღვარს.

დღეს, როცა ჩვენ ვსაუბრობთ ბ-ნ სოსოზე, იმავდროულად ვლაპარაკობთ ბ-ნ ნოდარ ტაბიძეზეც, რადგანაც ბ-ნი სოსო სწორებ მისი ბუდიდან არის აფრენილი...“

ჩემი აზრით, სოსო ჭუმბურიძის სამივე წიგნი პუბლიცისტიკისა და მხატვრული პროზის საზღვარზეა და უფრო პროზისაკენ იხრება...“

### სოსო ჭუმბურიძე:

„ერთხელ, მაშინ ჯერ კიდევ დამწყები კორესპონდენტი ვიყავი, ერთი ცნობილი პროზაიკოსის გაერთივება გავპედე, ისე, მსუბუქი კრიტიკა იყო, მაგრამ მაიც ეწყინა. დამირეკა, გვქონდა ცოტა არასასიამოვნო საუბარი და ბოლოს მითხრა: აი, როცა შენც დაიწყებ მოთხოვნების და ნოველების წერას, მაშინ გაგახსენებ ამ წერილოს. მივუგე, ასეთი რამ არ მოხდება-მეთქი.“

გავიდა წლები და როცა გამოვაქვეყნებ მიხეილ თუმანიშვილზე ჩანახატი, დამირეკა და ნიმნისმოგებით მითხრა, ხომ გეუბნებოდი, აუცილებლად დაწერ პროზასო.

რა თქმა უნდა, ეს არ ყოფილა პროზა, ეს იყო ჩვეულებრივი ჩანახატი, პუბლიცისტიკა (დღეს ბევრს არ ესმის, რა

არის პუბლიცისტიკა, მათ შორის, უურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანსაც კი). მაგრამ ის, რასაც მე ვწერ, პუბლიცისტიკა, თუმცა იმას, რასაც აქ ვისმენ, ვიღებ, როგორც ძალიან დიდ შეფასებას და როგორც გარკვეულ ავანსსაც.

იმ პროზაიკოსმა მაშინაც დამირეკა, როცა დავპეტდე ჩანახატი „არქიტექტორის ქუდი“ და მისი პერსონაჟი, ბატონი ვახტანგი, რაკიდა აქ ბრძანდება, მინდა წაგიკითხოთ.“

### ცისანა კვინტრაძე-გოძიაშვილი:

„ძალიან მომზონს ის ჩანაწერი, სადაც სოსო წერს როგორ „ახრამუნებენ“ როსტომის წიგნებს! გირჩევთ თქვენც წაიკითხოთ.

ახლა, როგორ გავიცანი ეს ადამიანი.

რამდენიმე წლის წინათ მორიდებით შევაღე „თბილისის“ რედაქციის კარი, სტატია დავწერე გამოცდილ ჰედა-გოგსა და მეცნიერზე ეთერ გულთამაშვილზე... სოსომ დახედა წერილს და მითხრა, ქალბატონ ეთერს კარგად ვიცნობ და ძალიან დიდ პატივს ვცემო.“

ამის მერე ხშირად ვხვდებოდით ტაბიძეების ოჯახში. ბ-ნი ნოდარი, მოგეხსენებათ, სოსოს მასწავლებელი გახლავთ. მისი მეუღლე – ფიქრია ზანდუკელი კი ჩემი სიყრმის მეგობარი იყო. ერთი თვეა უკვე აღარ არის. ერთხელ საიუბილეო თარიღი იყო, მოვიდა სოსო და მოართვა მას ყვავილი – სუმბული. ისე მომწონდა ის ყვავილი და არ ვიცოდი, თუ სუმბული ერქვა. ფიქრის ძალიან მოეწონა ეს ყვავილი და დასძინა, ზვიად გამასახურდისა ძალიან უყარდა.“

### სოსო ჭუმბურიძე:

„იმიტომაც გაუსარდა“.

### ცისანა კვინტრაძე-გოძიაშვილი:

„სოსო ფიქრიას გამორჩევით უყვარდა, ნოდარისთვისაც არაერთხელ უთქვამს: შენ ბევრი შეგირდი გყოლია, მაგრამ სოსოსთანა არცერთით!“

ჩემი გამოსვლა მინდა დავამთავრო შესანიშნავი მწერლის, გოდერძი ჩიხელის სიტყვებით... ესეც აქ, ამ წიგნში ამოვიყოთხე. სოსო წერს, ამ არუელ დროში სასიხარულო ის არის, რომ შენნაირი ადამიანები კიდევ ხარობენ ქართული მოთხოვნებითა და ლექსითო! – მე მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი“.

### სოსო ჭუმბურიძე:

„ვიდრე ჩემი მეუღლე გზაშია, ერთ რამეს ვიტყვი...“

### ხმა დარბაზიდან:

„თქვენი მეუღლე უკვე აქ არის!“

### სოსო ჭუმბურიძე:

„უკვე აქ არის? რას ვიზამ, რახან დავინებე, გავაგრძელებ. ჩემი საყვარელი გამოთქმა – კაცს ცოლზე უფრო დიდი მტერი არა ჰყავს! ხუმრობა იქით იყოს და ჩემთვის ყველაზე დიდი კრიტიკოსი, დაუნდობელი კრიტიკოსი ჩემი მეუღლეა, რომელსაც მაშინვე არ ვეთანხმები, მაგრამ დრო რომ გავა, აუცილებლად ვეთანხმები ხოლმე.“

**როსტომ ჩხეიძე:**

„რაკიდა მოგისწრო, მოვიდა და იმი-  
ტომ ეთანხმები, არა?“

**სოსო ჭუმბურიძე:**

„როცა მან ეს წიგნი ნახა, მითხრა: ეს  
შენი „სახიფათო ჩანაწერები“ ნამეტანი  
მწარე გამოვიდა და არაფერი ანეიტრა-  
ლებსო. პირველ ორ წიგნში უფრო მეტი  
ფერებაა, ამ მესამეში – არა.“

შე კი ვფიქრობ, ვინც მოსაფერებე-  
ლია, ამ მესამე წიგნშიც – „სახიფათო  
ჩანაწერებშიც“ ვეფერები-მეოქი.

ამის დასტურად მინდა წავიკითხო  
ჩემი ერთი ჩანაწერი – „შედევრი“.“

**რევაზ სირაძე:**

„ბ-ნი სოსო, თვითონ, პატივს სცენს  
მკითხველს თავისი ლაკონურობით – ამ  
იშვიათი უნარით.“

შეგახსენებთ ორი დიდი ფრანგი მწერლის შეპასუხე-  
ბას – დროული მქონილი, უფრო მოკლედ მოგწერდო...“

ეს სტატია – „„შედევრი“ – რომ არ ყოფილიყო, მად-  
ლობა ღმერთს, ისედაც კარგი და ნაღდი წიგნია – ენბ-  
რივი კულტურით, აზროვნების კულტურით – დღეს ეს  
როგორ ფასობს, უჩემოდაც მოგხესენებათ, როცა ენად  
გაიკრიფა ქვეყანა და ეგ დარბასისლობა, ენობრივი დარ-  
ბაისლობა, კაცად კაცური დამოკიდებულება სანთლით  
საძებარია.

სტილი რა არის? სტილი არის ის, რომელიც არ იგ-  
რძნობათ – ნათქვამია.“

**გიორგი გოგოლაშვილი:**

„ბატონმა როსტომმა როცა რაოდენობაზე დაიწყო  
ლაპარაკი, ასეთი რამ გამახსენდა: ერთხელ სოსოსთან შე-  
ვედი და მაგიდაზე ედო ლექსების წიგნი – „100 შედევრი“,  
ავტორი არ მახსოვს.“

**როსტომ ჩხეიძე:**

„გალაკტიონი არ იყო, ბ-ნო გოგი?“

**გიორგი გოგოლაშვილი:**

„რა თქმა უნდა, არ იყო, და მაშინ სოსოს უუთხარი, კა-  
ცი რომ ასეთ წიგნს დაწერს, იმას ასამდე თვლა ნამდვი-  
ლად არ ეცოდინება-მეთქი. დავთვალეთ და მართლაც ალ-  
მოჩნდა 103 თუ 104 ლექსი. ესეც 100 შედევრი...“

**როსტომ ჩხეიძე:**

„იმ სამს იქნებ არ თვლიდა შედევრად...“

**გიორგი გოგოლაშვილი:**

„სოსომ მთხოვა დამენერა რამე და გაზეთში გამოქ-  
ვეყნდა პატარა წერილი, მაგრამ, აა, სოსოს წიგნში არ და-  
მითვლია არაფერი, იმიტომ, რომ მან იცის, რასაც წერს და  
როგორ წერს...“

ჩემთვის სათაური იყო აღმოჩენა – „სახიფათო ჩანაწე-  
რები“.“



იოსებ ჭუმბურიძე

ვისთვის არის სახიფათო ეს ჩანაწე-  
რები? ცხადია, ზნეობრივ საზოგადოე-  
ბაში და სამართლებრივ ქვეყანაში სა-  
ხიფათო უნდა იყოს იმისთვის, ვინც  
არის სამიზნე ამ ჩანაწერებისა. სამწუ-  
ხაროდ, ჩვენს რეალობაში იმათვის ეს  
სახიფათო არ არის...“

სახიფათო არის იმისთვის, ვისთვი-  
საც, წესით, არ უნდა ყოფილიყო – ავ-  
ტორისათვის.

აქ გაიხსენეს კიდევაც, სწორედ ავ-  
ტორი შეიქნა მსხვერპლი თავისივე შე-  
მოქმედებისა, გახსოვთ, ალბათ, ეს გახ-  
მაურებული ამბავი.

ჩვენდა საუბედუროდ, ეს ჩანაწერე-  
ბი სახიფათოა მკითხველისთვისაც კი,  
იმიტომ, რომ არიან ისეთი ადამიანები,  
საკმაოდ მაღალ ემელონებში, რომლე-  
ბიც იმასაც კი უთვალთვალებენ – ვინ  
ვის ელაპარაკება და ვინ ვის წიგნს კითხულობს.

ასე რომ, დღეს ჩვენ ყველანი შემჩნეული ვართ, რომ  
ამ სახიფათო წიგნს ვკითხულობთ... და თან სიამოვნებით  
ვუზიარებთ ერთმანეთს ჩვენს შთაბეჭდილებებს.

მე ვნატორბ იმ დროს, როცა სოსოს ირონიული შენიშ-  
ვნა, კრიტიკული ჩანაწერი გაკეთდება, ან იმ კაცს მოთ-  
ხოვდნენ პასუხს, ვისი მისამართითაც იქნება, ან იმ კაცს,  
ვინც ამას აკეთებს – დღეს კი ეს ყველაფერი ისე ჩაივლის,  
ვითომც არაფერი...“

**როსტომ ჩხეიძე:**

„ბალონსდაბოლოს, მკითხველს მაინც მოსთხოვდნენ  
პასუხს, რატომ კითხულობო...“

**გიორგი გოგოლაშვილი:**

„აი, თუნდაც ის ბოლო მინიატურა – „საწყენი და საში-  
ში“, ძალიან საინტერესოა, – პრეზიდენტის მრჩეველი ამ-  
ბობს – ენას ერისთვის არა აქვს მნიშვნელობათ – სოსო  
შენიშნავს, როცა ლიტერატური ამბობს ამას – ეს საწყე-  
ნია, მაგრამ როცა ამას ამბობს, პრეზიდენტის მრჩევე-  
ლი... თანაც რა დროს – როცა გაუქმდა ქართული ენის სა-  
ხელმიწოდ კომისია, გაუქმდა ქართული ენის პალატა,  
ქართული ენის ქვეკომიტეტი პარლამენტში, დაისურა  
ლიტერატურული გადაცემები რადიოში, ტელევიზიაში...  
აი, ამ ვითარებაში ის აცხადებს, რომ ენას არა აქვს ერის-  
თვის მნიშვნელობათ. სოსოს ეს პატარა მინიატურა, მკა-  
ხე შეძახილი დროულიც იყო და აუცილებელიც!“

ერთი სიტყვით, მე ვნატორბ იმ დროს, როცა ჩანაწერე-  
ბი სახიფათო იქნება არა ავტორის ან მკითხველისთვის,  
არამედ სამიზნისათვის. მადლობა სოსოს იმ გაბედულე-  
ბისათვის, რაც ჰქვია ამ წიგნის ავტორობას“.

**ლევან ბრეგაძე:**

„ბატონმა გოგიმ სწორად ჩამოთვალა, ვისთვის არის  
ეს წიგნი სახიფათო. ერთსაც მივუმატებდი. ამ წიგნის ქე-  
ბაც სახიფათოა. ისეთი მინიატურა, ვახტანგ დავითაიას  
და რეზო სირაძეს რომ ეძღვნება, ასეთი ცოტაა ამ წიგ-  
ნში. დანარჩენს კი სწორად ჰქვია ეს საერთო სახელწო-

დება. გამოდის, რომ ჩვენ ხელახლა უნდა გავაკრიტიკოთ ეს ადამიანები, რომელთაც ყველა ვიწონბთ. ამ კრიტიკული წიგნის დადებითად შემფასებელი ყოველთვის დადგება ამგვარი უხერხულობის წინაშე. როცა ვკითხულობდი, თან ვიქირობდი – უნდა ენყინოს თუ არა იმ ხალხს? ვიცი საკუთარი გამოცდილებით, აუცილებლად ეწყინებათ. ამას არაფერი ეშველება, არც ცივი წყალი უშველის.

ბევრი წელია კრიტიკას ვემსახურები და ასეთი რამ მაქვს შემჩნეული: როგორც უნდა გააკრიტიკო, თუ სტატია დიდია, 10-12 გვერდ მაინც, ეს არა წყინთ! ალბათ, ფიქრობენ, უშრომია, ჩემთვის დახარჯულაო, და ამას გიფასებენ. აი, ასეთი მოკლე, ასე ვთქვათ, გაუზავებელი კრიტიკა კი ძალიან გულზე ხვდებათ.

მაგრამ ეს უანრი ძალიან თანამედროვეა და ყოველთვის ჩანს, როგორი ოსტატია ავტორი. სხვათა შორის, თვითონ ვახტანგ დავითაიასაც აქვს ამგვარი ჩანანერები, ძალიან საინტერესო – იქაც არის ბევრი რამ სახიფათო.

ეს წიგნი იკითხება შეუნელებელი ინტერესით, სამი ამ-დენიც რომ იყოს, მაინც ასევე, თავაუღებლივ წაიკითხებოდა.

სოსო ჩემთვის ძვირფასი ადამიანია, მისი შეგულიანებით ბევრი რამ მაქვს ისეთი დაწერილი, სხვა დროს რომ არ ვიფიქრებდი.

ჩემთვის მოვინიშნე რაღაც-რაღაცებები. აი, ისიც, რაზეც ბატონი გოგი ბრძანებდა, დიდი ოსტატობით არის დაწერილი რეპლიკა გოგი გაჩერილაძეზე. ასევე, დათო ტურაშვილზეც, საერთოდ ფორმულირების, რეპლიკის მაღალი კულტურა ჩანს და სწორედ ეს არის ამ უანრში მთავარი.

ჩვენს თვალწინ მიმდინარეობდა ეს ამბები, რაზეც წიგნშია საუბარი. მაქვს შენიშვნები და ამასაც მოვახსენებ ბ-ნ სოსოს.

კიდევ ერთი რამ მიკვირს: არიან რედაქტორები, რომელთაც, რაც თავი მახსოვეს, არაფერი დაუწერიათ და არ დაუბრჭდავთ არც თავისაში, არც სხვა გაზირში“.

## ხმა დარბაზიდან:

„მომავალში აპირებენ!“

### ლევან ბრეგაძე:

„შეიძლება, ღმერთმა ქნას! მთავარი ისაა, რომ ასეთი შესანიშნავი რედაქტორი შესანიშნავი უურნალისტიცაა“.

### გივი გამრეკელი:

„უურნალისტი რამდენადმე უსწრებს მწერალს მოვლენათა შეფასებაში, შემდეგ მწერალიც ჩაერთვება და უკეთ დაწერს, ამ შემთხვევები მე არც ერთი მხარის უბირატესობაზე ლაპარაკი არ მინდა, იმიტომ, რომ ჩვენი დღევანდელი ავტორი გახლავთ, როგორც უურნალისტი, ისე მწერალი და მისი პრინციპი ასეთია: ვინც არა ჰგავს კახაბერსა, მე ვერ ვიტყვი კახაბერად.“

უამრავი პერსონაჟია ამ წიგნში, თითქმის ყველას ვიცნობ.

წიგნი დაწერილია საინტერესო პრინციპით. ისტორიკოსების პირველი დაუწერელი კანონი გახლავთ: ტყუილი არ თქვა და არ დაწერო.

მეორე დაუწერელი კანონი: სადაც შეგიძლია მართალი დაწერე და მართალი თქვი.

სოსო ჭუმბურიძე ისტორიკოსების ამ პრინციპის გამზიარებელია.

ძალიან მომენტონა ჩანახატები ანა კალანდაძეზე. მისი დიდი სახელის მიუხედავად, ვფიქრობ, ჩვენ მას სათანადოდ ვერ ვაფასებთ, თუმც იგი ერთ-ერთი უდიდესი პოეტი-ქალია. მოგეხსენებათ, ბოეტი ქალები საკმაოდ იშვიათია, – მე შემიძლია მხოლოდ ოთხი ჩამოვთვალი.

როცა ვწერთ მათზე, გულთბილად უნდა ვწეროთ, თუნდაც ასე, როგორც სოსოს წიგნშია.

მომენტონა ჩანახატები მიხეილ თუმანიშვილის შესახებ.

ამაღლვა ერთმა ჩანახატმა ერთი ახალგაზრდა უურნალისტის შესახებ, რომელმაც თავისი ბიბლიოთეკა დაკარგა აფხაზებთში. თითქოს სამუდამოდ დაკარგა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს უკლებლივ გამოუგზავნეს. ამაზე გამახსენდა შემოლი, რომელიც უკვე კალუგაში იყო ტყვედ და კარგს არაფერს ელოდა, – მას რუსებმა გაუგზავნეს თავისი ბიბლიოთეკა და ის აღტაცებული დარჩა.

ძალიან მომენტონა ავტორის ბოლო ფრაზა: ეს ბიბლიოთეკა აფხაზეთიდან ჩამოსული, შეიძლება მალე ისევ, ოჩამჩირეში დაბრუნდეს!

ამ უანრის – ჩანახატის, მინიატურის არაერთ მშვენიერ წარმომადგენლის იცნობს ქართული ლიტერატურა, – ჯაჯუ ჯორჯივა ჩემი შასწავლებელიც გახლდათ, ნიკო ლორთქიფანიძე ქართული მხერლობის მშვენება, და შეიძლება ითქვას, დღეს ყველაზე წარმატებულად ბ-ნი სოსო მოღვაწეობს ამ უანრში“.

### ცისანა გენდეხეაძე:

„ორ მომენტზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას: ერთი, რომ, პიკვირის კლუბის ჩანანერები“ ყოველთვის მაოცებდა იმის გამო, ყველა რომანზე უკეთესად რომ იკითხებოდა და ძალიან პოპულარული იყო. მეორე – ნოდარ ტაბიძე – უურნალისტის მაესტრო, როგორც მას უწოდეს, ყოველთვის აქებდა ბ-ნ სოსოს – ახლა დავრწმუნდი, თუ რატომაც.“

„სახიფათო ჩანანერები“ – მართლაც არ არის მხოლოდ უურნალისტური ჩანანერები. მე გახლავართ ლიტერატურათმცოდნე და სრულიად ვეთანხმები აზრს – ეს მწერლობაა.

ეს გახლავთ მინიატურა. ქრონოტოპს დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ერთ დროს ნარკვევმა, ვთქვათ, საფრონტო ნარკვევმა წამოინაა და დაჩრდილა რომანი, სხვა დროს პოეზიას ჰქონდა დიდი პრიორიტეტი...

ჩვენს არულ-დარულ, ძალიან მძიმე და აუტანელ პირობებში, როგორშიც დღეს ვართ, აი, ამგვარ მინიატურებს, ესკიზებს დიდი როლი ეკისრებათ... აქ ეროვნული ცნობიერება დავინახებ. მართალია, ჩვენი პირველი პრეზიდენტისადმი ცალკე მინიატურა არ მიგიძლვნიათ, მაგრამ ამ წიგნს თან სდევს სიფაქიზე, ეროვნულობა და მაღალი ზნეობა, სიწმინდე.

მინდა გითხრათ, ბ-ნ სოსო, სახიფათო არაფერია ამ ქვეყანაზე... თქვენს გვერდით გვიგულეთ ყოველთვის“.

### გივი ალხაზიშვილი:

„ეს კაცი ზის დღეს როგორც უამთაალმწერელი, წერს იმ სინამდვილეზე, რომელსაც ჩვენც ვხედავთ, მაგრამ

ბევრ რამეს ვიკინგებთ, ყურადღებას არ ვაქცევთ, გულს გარეთ ვტოვებთ, – გარკვეული დროის მერე ამას ყველა-ფერს უფრო მეტი მიძინვნელობა ექნება.

ბოლო ჩანანერი, რომელზეც ბ-ნი გოგი საუბრობდა – ენას ერისთვის მნიშვნელობა არა აქვსო! რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო – მხოლოდ პოეტური ფანტაზიის ნაყოფია, – განაცხადა გოგი გაჩერილაძე ჯაბრი კაშიას გადაცემაში. გოგი გაჩერილაძეს უყვარს არაორდინარული გამოთქმები და ზოგჯერ ვითარებასაც არ ითვალისწინებს“.

სოსო ჭუმბურიძე:

„იმ გადაცემაში მაქსიმალურად ჰქონდა გათვალისწინებული ვითარება“.

## გივი ალხაზიშვილი:

„კოტე ცუბანენიშვილს აქვს ხუმრობა: „ჩეჩეჩნ ვეჩენ“ მაგალითად, გოგი მიიჩნევდა, რომ ეს არის ქართული პოეზიის შედევრი. მე ვუთხარი, რომ ეს არ არის ქართული პოეზია და არც რუსულია. ხუმრობით იქვე ვუთარგმნე კადეც: „ჩეჩეჩნს ჩეჩეჩნ...“ ერთი სიტყვით, გოგი გაჩერილაძეს სწევევია ასეთი რამეები და ამაზე სერიოზულად საუბარი არა ლირს.

გივი მნელაძეცაა ნახსენები ჩანაწერებში და მინდა ვთქვა, რომ ის იყო ერთ-ერთი საუკეთესო პიროვნება, ჩი-

ნებული პოეტი, ერთი მშვენიერი კრებული შეიძლება გა-  
მოიცეს მისი ლექსებისა. ასევე ჰქონდა ფარული იუმორი  
და ზოგჯერ სარკაზმიც კი. სოსოს უნერია: ერთმა მწე-  
რალმა რუსთველის პრემია კი მიიღო, მაგრამ ლაურეატი  
ვერ გახდაო!

არ დავაკონკრეტებ, მაგრამ გივი ძხელაძის ნათევა-  
მია. ჩვენც არაერთი პრემიამინიჭებული მწერალი თუ  
არამნერალი ვიცით, რომლებიც ლაურეატები ვერ გახ-  
დნენ, ასეთი ნობელის პრემიამინიჭებულთა შორისაც  
არაერთია.

ამ წიგნში გაეცნობით მინიატურებს „პოზიტივიდან დამწერლიბამდე“ – გვარს არ დავასახელებ – მავანი არაპროფესიონალი, ასეთები ძევრნი არიან. ანდა „უხელობო კაცი“. გამოდის ტელევიზიით – ერთ დღეს აწერია პოლიტოლოგი, მეორე დღეს – ექსპერტი, მესამე დღეს – მწერალი, მეოთხე დღეს – გერმანისტი, შემდეგ სოციოლოგი და ა.შ. კვირის ბოლოს უნდა არკვიო, ნეტა ვინ არის?

თავყურილობა წიგნის ავტორის გამოსვლამ უნდა მოა-  
თავოს და კიდევ ერთი სატირული მინიატურის წაკითხვაშ.

და კიდევ ერთხელ გაგილვებს ფიქრი, კაცმა რომ  
თქვას, ერთი მსახიობის თეატრი სხვა რა არისო.

ଭାରତୀୟବିଦ୍ୟା

გიორგი გამსახურდია

საელი  
პატინიშვილი

დეტექტიურ რომანთა უმრავლესობა, ერთმნიშვნელოვნად კეთილისა და ბოროტის ჭიდილს ასახავს. ამა თუ იმ გმირის შინაგან კონფლიქტსა და სულიერ მარტვილობაზე არაფერობი ნათქვამი, ყოველ შემთხვევაში ისინი ხელს არ უშლიან ამ გმირებს დარჩენენ ბოლომდე კეთილნი ან ბოროტნი. მორის ლებლანის „არსენ ლუპენი, ჯენტლმენი-მძარცველი“, – რომელიც ნუუ ქადეიშვილის მშვენიერი თარგმანის წყალობით გახდა ჩვენი განსჯის საგანი – იმდენადაც საინტერესოა მკითხველისათვის, რომ მთავარი გმირი თანაბრად ავკარგიანია. თუმც კანონს არღვევს, მაგრამ მოტივი ანგარიბა არ გახლავთ. მისთვის ძარცვა აზარტია და ხერხი ხარბთა და გაზულუქებულთა დასაჯინად.

მთარგმნელი გვიმცნობს: „არსენ ლუპერი საზოგადოებაში ნამდვილი ჯენტლმენია, ცდილობს არ დაარღვიოს მისი წეს-ჩვეულებები და მაღალ წრეში გარკვეული ადგილი დაიჭიროს. იგი ათასნაირი ნილბით ევლინება საზოგადოებას. ხან არისტოკრატია, ხან მხატვარი, ექიმი, გემით მოგზაური, ექსინსპექტორი... მას აქვს გარდასახვის

უზვეულო უნარი, იუმორის დიდი გრძნობა, მჭევრმეტყველია, თავისი მიზანდასახულობით, თავდაჯერებულობით, გონებამახვილობით საერთო აღტაცებას იწვევს...” „...იგი მძარცველია და უპირისიპირდება მდიდარ არისტოკრატებს, უზნეო ფინანსისტებს, ბანკირებს, ძარცვას მათ ბინებს, ხელყოფს შანტაჟისტებს, მკვლელებს, სამაგიეროდ თვითონ მკვლელობას არ სჩადის“. ნამოქმედარს არასოდეს მალაკს, პირიქით, სავიზიტო ბარათებს ტოვებს შემთხვევის ადგილზე. ვინმე ბარონ შარმანის სახლში შეღწეულა, იქიდან ხელცარიელი ნამოსულა და დამცინავი წერილი დაუტოვებია: „არსენ ლუპენი, ჯენტლმენი-მძარცველი მხოლოდ მაშინ დაბრუნდება, როცა იაფ-ზასიან ავგაზს კარგი ხარისხის ავგაზით შე/კვლით!..“

არსენ ლუპენმა სისხლი გაუშრო გამომძიებელ განიმარს და მოსისხლე მტრად გადაიკიდა. განიმარი გამოცდილი მუშაკია, კარგი სახელიც დაუგდინა საფრანგეთის მასშტაბით, მაგრამ ლუპენს ვერაუერი მოუხერხს. მათი შეკონება, პოლიციელის უპირობო მარცხით სრულდება, ხოლო მისინაც კი, როდესაც გამარჯვება ერთი შეხედვით სამართალდამცავის მხარესაა, აღმოჩნდება, რომ ეს სიუჟეტიც, ძიების ამგვარი დინამიკაც, არსენ ლუპენის გეგმის ნაწილია. და მანც, რაში ძევს მის გამარჯვებათა საიდუმლო? თავად მძარცველი გვეუბნება: „დანაშაულში გასაკვევად არსებობს ერთი რამ, რაც ფაქტების განხილვას, დაკვირვებას, საზრიან დედუქციას და მსგავს რახარუხს აღემატება. ეს გახლავთ ინტუიცია... გონივრულობა... არ ვტრაბახობ, მაგრამ არსენ ლუპენს არც ერთი აკლიია და არც მეორე“. რახა-რუხიო? თუ დედუქცია რახა-რუხია, გამოიდის, რომ მსოფლიოს უდიდესი მაძებარი,

შერლოკ ჰოლმსი, რახა-რუხით იყო დაკავებული? საერთოდ, მორის ლებლანის ამ ნაწარმოებში, ერთგვარი გამოწვევა შეინიშნება კონან დოილის გმირისაბმი. ისინი რაღაცით ჰგვანან კიდევ ერთმანეთს, რადგან ნინასწარ ჭრებზე ამა თუ იმ მოვლენის დადგომას, მის განვითარებას. სრულიად უმნიშვნელო ნივთში ძირითად სამხილს ამოიცნიერ ხოლმე და სრული ბატონ-პატრონი არიან მიმდინარე პროცესებისა. როგორც გვახსოვს, შერლოკ ჰოლმსიც გვეცხადება სხვადასხვა ნიღბით. ვატსონი ერთგან აღნიშნავს, კიდევ კარგი ჰოლმსი ბოროტმოქმედი არ არის, თორებ რამდენ თავსატებს გაუჩინდა პოლიციას. აკი შეხვდებიან კიდევ ლებლანის არსენ ლუპენი და შერლოკ ჰოლმსი შარაგზაზე ერთმანეთს... თუმცა ყველაფრის ნინასწარ მოყოლა იქნებ არც ლირდეს მკითხველისათვის?..

არსენ ლუპენი, შერლოკ ჰოლმსისგან განსხვავებით, გარდა იმისა, რომ ბოროტმოქმედია, ავანტიურისტიც არის. ჩანს სწორედ ამგვარი ქმედება ანიჭებს საამოვნებას. რომ არა მსი არტისტული ხასიათი, ეს ნაწარმოები დაკარგავდა საკუთარ ხიბლს და ჩვეულებრივ, საინტერესო დეტექტიურ მონათხრობად აღიქმებოდა. აქედან მომდინარეობს მისი ემოციური სახეც, რომელიც თვალშისაცემი და დასამახსოვრებელია. ის ნელი ენტერდოუს გამოჩენისთანავე, გაქნილი ბოროტმოქმედიდან მგზნებარე შეყვარებულად გადაიქცევა. ვერაფერს უხერხებს განცდას, რომელიც ყველა ძირფასეულობაზე და ალმასზე მაღლა დგას. ეს ლირიკული თუ იუმორისტული ნაკადები, ჯენტლმენი-მძარცველის, მისი ხასიათის განუყოფელ ნაწილს ნაწილობრივ დაგენერენ.

„ნითელი აბრეშუმის კაშნე“-ში, პოლიციის ინსპექტორი განიმარი, სამსახურისაკენ მიმავალი, ერთი უჩვეულო ამბის მომსწრე გახდება. ქუჩაში ლარიბულად ჩაცმული მამაკაცი მოდის. ალაგ ჩერდება და ხან ფეხსაცმლის ზონარის შესაკრავად, ხან ხელჯონის ასაღებად, ხანაც სხვა მიზეზით ძირს იხრება, ჯიბიდან ფორთოხლის ქრექს იღებს და ტროტუარის კიდეზე დებს. ქუჩის ბოლოს, მოხუცს პატარა ბიჭუნა აედევნება და პარალელურად, სხვადასხვა სახლზე, ცარცით შემოხაზავს წრეს და შუაში ჯვარს დაუსვამს. ურთიერთშეთანხმება უეჭველი და თვალშისაცემია, რაც ინსპექტორის ინტერესსაც აორკეცებს. ის ფეხდაფეხ მიჰყვება წყვილს, რომელიც ძველი სახლის პარმალში გაუჩინარდება. სახლიდან ორთაბრძოლის და ბრახუნის ხმა მოისმის. განიმარი პროფესიული სიდინჯით შეპყვება სახლში უცნაურ პიროვნებებს. ამ დროს ოთახიდან მესამე პირი გამოდის. 28-30 წლის სათვალიანი ახალგაზრდა, რუსის იერსახით. ცოტა ხანში ირკვევა, რომ ეს უცნობი მამაკაცი არსენ ლუპენი, ხოლო მოხუცის და ბიჭუნას ტრიუქი მისი მოფიქრებული. ინსპექტორი გაგულისდება, მაგრამ ლუპენი განუმარტავს ოინის არსს: „რომ მომენტა, ან დამერეკა, არ შემხვდებოდი“. უპირატესობა იმთავითვე მძარცველის ხელთ გადა-



დის, რომელიც ირონიულად შენიშნავს: „მე კი დარწმუნებული ვიყავი, გასიამოვნებდი! ღმერთმანი ასეა! ვფიქრობდი, მე და ჩემს კეთილ მოხუცს, განიმარს, დიდი ხანია ერთმანეთი არ გვინახავს და სიხარულით კი-სერზე ჩამომეკიდება-მეთქი“.

აღმოჩნდება, რომ არსენ ლუპენს სურვილი აქვს დაეხმაროს გამოძიებას და ერთ მეტად უცნურ ამბავს მოჰყვება. იმ ღამით, მენავის ნავში, სენის სიღრმეში მოსახვედრად ხიდიდან გადმოსროლილი საგანი ჩავარდნილა. ის გაზითში გახვეული ფუთა აღმოჩნდა, რომელშიც გაზეთის ნაუწების გარდა, თოკის გრძელ ბოლოზე მიბჟული ბროლის სამელნე, შუშის ნამსხვრევები, მუყაოს პატარა კოლოფი და ნითელი აბრეშუმის კაშნეს ერთი ჩამონაჭერი (რეოს ფორმის ნას-

კვით) იღო. ამ ნივთმტკიცებაზე დაყრდნობით, ლუპენი შესაძური გამჭრიახობით დაასკვნის, რომ: „წუხელ, ცხრიდან თორმეტ საათამდე, კოხტად ჩაცმული, მონოკლიანი მამაკაცი, ბირჟის ბრირი სტუმარი, ბეზესა და ეკლერის მისართმევად ექსცენტრიულ ქალიშვილთან მისულა, ჯერ დანა ჩაურტყამს, მერე ყელზე ხელი წაუჭერია, რასაც სიკედილი მოჰყოლა“. ცხადია, განიმარი გაკვირვებულია, მაგრამ ლუპენი ნათქავის დასადასტურებლად ნივთებზე მიუთითებს. თურმე, ცხრა საათს იმიტომ ამბობს, რომ გაზეთის ნაგლეჯი გუშინდელ თარიღს და დასახელებას გვამცნობს: „ლამის გაზეთი“. მის ფურცლებზე მიწებებული ყვითელი ლენტი კი მიუთითებს, რომ შიკრიკს მიუტანია იგი აბონენტისთვის. ესე იგი ცხრა საათს გადაცილებული იყო, როდესაც კოხტად ჩაცმული მონოკლიანი მამაკაცი (შუშის ნატეხი, მონოკლიდან არის ამოგდებული, ხოლო მონოკლი ძირითადად არის სტორატებს ეკუთვნით) საკონდიტრო მაღაზიაში შევიდა, რაზეც მეტყველებს მუყაოს თხელი კოლოფის კიდეზე არსებული კრემის კვალი. ქალის ექსცენტრიულ გუშებას წითელი კაშნე ადასტურებს, რომელზეც მუქი წითელი წაკვალებად, რაზეც მაკატლით გადაუჭრია, მეორე ნაჭერი კი გარდაცვლილს შერჩენია მოკრუნჩხულ ხელში. აბონირებული გაზეთის და თოკის (მათრახის ნენელს რომ ჰეგვით, ლუპენი დაადგენს, რომ კაცს დოლი ჰყვარებია. სამხილები გაზეთში გაუხვევია და სიმძიმისთვის, მასზედ ბროლის სამელნე შეუბამს, შემდეგ კი ფუთა ხიდიდან გადაუგდია. ინსპექტორი განიმარი თავზარდაცემული უსმენს და მაინც ფრთხილობს, რადგან ვერ ხვდება, რა მიზნით უზიარებს ლუპენი საქმის არსს. „ვიფიქრე, ამ საქმეს ჩემს კეთილ განიმარს გადავცემ-მეთქი“, ამბობს ის და ნინასწარ ჭვრეტს, რომ ერთ თვეში პოლიციელი ამავე ადგილზე მოვა და კაშნეს მეორე ნაჭერს წამოიღებს შესადარებლად. მანამდე კი პირველი ნაწილი კაშნესი არსენ ლუპენთან დარჩება, ხოლო დანარჩენი სამხილები ძიებას

სამსახურში მისულ დარეტიანებულ განიმარს გამოსაძიებლად ახალ სისხლის სამართლის საქმეს გადასცემენ. ლუპენი მართალი აღმოჩნდება, სინამდვილეშიც სწორედ იმ თანამიმდევრობით განვითარებულა მოვლენები, როგორც მან ინინასნარმეტყველა. განიმარს სურს საკუთარი გამოცდილებით და ძალებით გახსნას საქმე: „უფლის წინაშე ვფიცავ, მკელელს ჩემი ხერხებით დავიჭრ და იმ არამზადის არცერთ მინიშნებას არ გამოვიყენებ“ – ფეხებს აპაკუნებს გაცოფებული პოლიციელი, მაგრამ რაც უფრო ღრმად შედის, მით უფრო აცნობიერებს არსენ ლუპენის უპირატესობას და იმას, რომ გვერდს ვერ აულის. ამ მინიშნებით განიმარი მკელელს დაიჭრს, მაგრამ მაინც ვერ დაიბრალებს სრულ წარმატებას, სინდისი ქენჯის და თანაც ისე წარიმართება საქმე, რომ ვინმე პრევაის წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულება არ გააჩნია, ყველაფერი კაშნეს იმ ბოლოზეა დამოკიდებული, მკელელის სისხლი რომ სცხია და არსენ ლუპენს უპყრია ხელთ. გამომძიებელს სხვა გზა არ აქვს, უნდა მივიდეს დათქმულ დროს და

აღიაროს მარცხი. ლუპენის გარეშე ძიება ვერაფერს გახდება. გამოცდილი განიმარი კვლავ შეხვდება მოწინააღმდეგებს: „განა არ გითხარი, ჩემს არგუმენტებს წყალი არ გაუვა-მეთქი?! არა, ნათლად მიხვდრის, გამჭრიახობის რა შედევრია, არა? პროფესიონალიზმის როგორი გამოვლინებაა, განიმარ! როგორი უნარი უნდა გქონდეს, ასე ღრმად ჩასწვდე სიტუაციას, მიხვდე, დანაშაულის აღმოჩენიდან შენს აქ მოსვლამდე, რა ვითარება შეიქმნება! მართლაც, სასწაულებრივი ნათელმხილველობაა! კაშნე მოიტანე?“ ჰყითხავს საკუთარი წარმატებით აღფრთოვანებული არტისტული გმირი პოლიციელს. მაგრამ რაში სჭირდება არსენ ლუპენს კაშნეს მეორე ბოლო? განიმარი სამხილს ამოიღებს და რომ შეადარებენ, უტყუარად მტკიცდება ორი ბოლოს იდენტურობა. ლუპენი ხელის ერთი მოძრაობით განიმარის მიერ მოტანილი კაშნეს ნასკვიდან თასმას მოარღვევს და დიდებული სიწმინდის, ოსტატურად თლილ ლურჯ თვალს ამოიღებს. თურმე მთელი ეს წარმოდგენა იძისთვის იყო მოწყობილი, რომ ჯენტლმენ-მძარცველს კაშნეს მეორე ბოლოში ძეირფასი სა-

ფირონი ეგულებოდა. გამომძიებელი ცოფებს ყრის, იარაღს მოიმარჯვებს და საფირონის დასაპრუნებლად შეპყვირებს: „ხელები მაღლა!“ „მოხუცი კატერინა, მოახლე, ჩემს დავალებას ასრულებს. სანამ შენ ყავას მიირთმევდი, მან ვაზნები დაგისველა“ – მიუგებს ლუპენი განიმარს, რომელსაც ბოლმა კინალამ დაახრჩობს. მიზანი მიღწეულია, საფირონი ლუპენის ხელთ არის. იგი იუმორის არ იშურებს და არწმუნებს პოლიციელს, რომ ამ ავანტიურამ პირადად მას დიდი სახელი მოუტანა და არ იქნება სამართლინი ლუპენის განირვა. თანაც: „ლუპენმა სიცოცხლე შეგინარჩუნა... დიახ, ბატონო ჩემო, სწორედ ამ თახში ვინ გაგაფრთხილა პრევაი ცაცია რომ იყო? შენ კი ასე მიხდი სამაგიროს? ვერაფერი ლაზათიანი საქციელია, განიმარ, მართლა ძალიან მატკინე გული. ამ საუბარში მძარცველი ნელ-ნელა დაუსხლტება ხელთ პოლიციელს, კარს ჩაუკეტავს და მღებავის ტანისამოსით გაერიდება ალყაშემორტყმულ სახლს. თანაც ერთ-ერთ პოლიციელს წერილს დაუტოვებს განიმარის თვის გადასაცემად და მოთხოვის ბო-

### კოლე ტოპინი ლიტერატურულ პრემიას მიიღოს

იოლანდიელი მხერლის კოლმ ტოპინის ნიგნმა „ოსტატი“, XIX საუკუნის ცნობილი რომანისტისა და კრიტიკოსის პერი ჯეიმზის ცხოვრებაზე რომ მოგვითხოვთ, მსოფლიოს ყველაზე დიდი ლიტერატურული პრემია დაიმსახურა (მხატვრული ნანარმოებისათვის ინგლისურ ენაზე).

ყოველწლიური პრემიის – „ინტერნეშენლ იმპაქ დაბლინ ლითერარი ანსერდ“ – შორტ-ლისტრში 10 მნერალი იყო, მაგრამ უიურიმ საუკეთესოდ ტოპინი დაასახელა, რომელიც ახლა 100 000 ევროს (68.000 ფუნქ სტერლინგს) მიიღებს.

თავზარდამცემი თანხაო – ამბობს ტოპინი, რომელსაც ცოტა ამოსუნთქვას სურს, შემდგომი რომანი რომ დანეროს. შეკითხვაზე, როგორ აპირებს გამარჯვების აღნიშვნას, მხერალმა მიუგო: მთელი დღე ფზიზელი უნდა ვიყო, რადგან საღმის საზიემო სადილი მელოდება, მაგრამ სმას დაახლოებით 11 საათისათვის დავინყებ და არ ვიცი, როდის გავჩერდებით.

იოლანდიის უექსფორდის საგრაფოს მკვიდრი ტოპინი 51 წლისაა. იგი პირველი იოლანდიელი, რომელმაც შილო დუბლინის საქალაქო საბჭოსა და ამერიკულ ფირმა „იმპაკი“ მიერ დაასხებული ჯილდო. პრემია უკვე 11 წელია არსებობს. ყოფილ ლაურეატებს შორის არიან ავსტრალიელი დევიდ მალუფი, ბრიტანელი ნიკოლა ბარეკი და ფრანგი მხერალი მიშელ უელბეგი.

შორტ-ლისტში შესული 10 პრეტენდენტი შეირჩა 43 ქვეყნის 180 ბიბლიოთეკის მიერ წამოყენებულ 132 წომინანტს შორის.

ლოს საბრალო ინსპექტორი წაიკითხავს: „ჩემო კარგო მეგობარო, მინდა გირჩიო, მეტისმეტ მიმნდობლობას წუ გამოიჩენ! როცა მავანი გეუბნება ვაზნები სველიაო, როგორი ნდობაც არ უნდა გქონდეს ამ მავანისადმი, თუნდაც არსენ ლუპენი ერქვას, ჭუას მოუხმე, თავს წუ გააცურებინებ, ჯერ გაისროლე და თუ მავანი ქუსლებზე შემოტრიალდება მარადისობისაკენ, საბუთად აი, რას მოგახსენებ: პირველი: ვაზნები სველი არ იყო. მეორე: ამ სანარმოში მოხუცი კატერინა უპატიოსნესი ქალია. მე კი, ჩემო მეგობარო, ჩემს ულრემს ბატიკისცემას გიდასტურებ! შენი ერთგული არსენ ლუპენი...“

ასეთი გამჭრიახი კაცია ამ ამშის გმირი. რა თქმა უნდა, ცდუნებას უნდა სძლიო კაცმა და წინასწარ არაფერი თქვა კონკრეტული დეტექტიური მოთხოვის სიუსეტზე, მაგრამ პოლიციის ინსპექტორი განიმარისა არ იყოს, ვერც ჩევენ დავიძვრინეთ თავი ასე იოლად არსენ ლუპენისგან. ვისაც ის წაუკითხავს ან წაიკითხავს, დაგვერწმუნება ან დარწმუნდება, რომ არაფერია ამ დამორჩილებაში დაუკერებელი.

უან-მარი გუსტავ ლე კლეზიო

## ორლამონდი

\*

განვითარის გაცოცხლება  
შეუძლებელია

ანაპი კამარიანი დიდი ფანჯრის ღიობზე შემომჯდარა. ამქვეყნად ყველაზე მეტად ეს ადგილი უყვარს, აქედან ყველაზე უკეთ მოჩანს ზღვა და ცა. სხვა არაფერი ზღვისა და ცის გარდა, თითქოს დედამიწამ და ადამიანებმა შეწყვიტეს არსებობათ. ეს ადგილი იმიტომ აირჩია, რომ სულ განცალკევებულია, – ისე მაღლაა, ისე საიდუმლობით მოცული, ვერავინ იპოვის. ციცაბო კლდეს მიკრული ზღვის ფრინველის ბუდესავით, მთელ სამყაროს რომ გადმოჰყურებს. ანაპი ძალიან კმაყოფილია, ეს ადგილი რომ იპოვა უკვე კარგა ხანია, ეგებ ორი-სამი წელიც, რაც მამამისის სიკედილის შემდეგ, დედა აფრიკიდან დაბრუნდა. პიერი ქვემოთ დარჩა, რადგან მაშინ თავბრუსხვევები ჰქონდა, ის კი მარტო შეუდგა ქვის კლდეებზე ცოცვას, თან ნაპრალებსა და გამოშვერილ ქიმებს ებლაუჭებოდა. ასე ამოაღნია სვეტებიან დერეფნებამდე. ყოველ ასვლაზე თავბრუ ოდნავ ესხმოდა, მაგრამ იმავე დროს გული ისე უძგერდა, რომ გაბრუებულს ძალა უათეცდებოდა და სიმაღლისაკენ კიდევ უფრო მეტად მიიჩნევდა.

რა სიამეს განიცდიდა, როცა კედლის სიმაღლემდე ამოსული, თითებით ფანჯრის კიდეს შეიგრძნობდა! მაშინვე ჩარჩოში ჩასრიალდებოდა, ზურგით ქვის ბოძს მიეყრდნობოდა, ფეხმოკეცილი შემოჯდებოდა და ცასა და ზღვას გაჰყურებდა – ისეთს, როგორიც არასოდეს ენახა: მონენდიდილი ჰორიზონტი ოდნავ გადახრილიყო, მოქუფრულ სივრცეში ქაფის შხეფებით მოარმიებული ტალღები თითქოს გარინდულიყვნენ. სწორედ ეს იყო მისი ოთახი, მისი სახლი, აქ ვერავინ შემოაღწევდა. როცა აქ ამოდიოდა, ქვემოთ, პიერი, ზღვის გასწვრივ მიუყვებოდა ფლატეს და კლდეებში, ჯოჯოებში ჩაცუცეული დარაჯობდა. ზოგჯერ მისი გამაყრუებელი სტენაც გაისმოდა, ან კიდევ ქარს გამოყოლილი ძაბილი: – ოპონ-ჰეე!..“

და ისიც პირზე ხელებს რუპორივით იდებდა და პასუხობდა:

„ოჰეე-ჰეე!..“

მაგრამ ერთმანეთს ვერ ხედავდნენ. როცა ანაპი აქ – თავის სახლში იყო, ცისა და ზღვის გარდა ვერაფერს ხედავდა.

მზე მისკენ მოიწევდა, მზის სხივები წალოს ანათებდა, ზღვაში გაჭრილი გრძელი გზა კი ცეცხლის ჩანჩქერს მიაგვდა. ესეც საამო საცქერი იყო. ამ დროს ალარაფერზე ფიქრობდა, შეიძლება ყველაფერი წამლილიყო. არაფერს ივიწყებდა, მაგრამ იმ სამყაროს, ადამიანებსა და საგნებს

აქ აზრი დაეკარგა. თითქოს თოლია ყოფილიყო, მოფუსფუსე ქალაქის ქუჩებს, ნაცრისფერ სახლებს, ნესტიან ბაღებს, სკოლებსა და საავადმყოფოებს ფრენა-ფრენით რომ უვლიდა.

ანაპი ზოგჯერ ავადმყოფ დედაზეც ფიქრობდა, ქალაქის ზემოთ, დიდ საავადმყოფოში რომ იწვა.

აქ, ზღვის ანაბარა მიტოვებულ კედელზე შემომჯდარს, მასზე ფიქრი გულს არ სტკენდა. ლურჯ ცას, მოკაფე ზღვას შეჰყურებდა, მზის სიმსურვალეს გრძნობდა, ძვალსა და რბილში რომ აღწევდა. ეს ყველაფერი დედისითვის უნდა გადაეცა პალატაძი, ხელს მაგრად სჭიდებდა, ზღვის სინათლე და ფერი დედის სხეულში აღწევდა.



\* \* \*

დედა მუდამ ეკითხებოდა: „კარგად სწავლობ?“ ანაპიც თავს უქნევდა. დედის გამზდარ და სიცხიან ხელს მავრად ებლაუჭებოდა, სევდიანად შეჰყურებდა მის სახეს, სახამ მისთვის ხაცნობ მკრთალ ლიმილს არ შენიშნავდა. დედას არავინ ეუბნებოდა ანაპი სამ თვეზე მეტია, თითქმის ყოველდღე გაკვეთილებს აცდენს და ზღვისა და ცის საცქერლად დადისო. გოგონას სახეზე დამწვარი ხორბლისფერი დასდებოდა, თვალები უცნაურად უციმიტებდა.

მხოლოდ პიერმა იცოდა მისი ადგილსამყოფელი. მაგრამ რომც ეცემათ, მაინც არ გასცემდა. დაუფიცა – მარჯვენა ხელი ასწია, მარცხენათი კი ხელი ჩასჭიდა. ყოველდღე, სკოლის შემდეგ, ზღვის ნაპირს ჩამონგრეულ კლდეებამდე მიუყვებოდა, ნამით ბურქებში ჩაიმალებოდა, გაუნდრევლად ელოდა, ფრთხოლობდა, იქნებ ვინმე მითვალთვალებსო, შემდეგ კი საჩვენებელი და ცერა თითოთ უსტკენდა. გამაყრუებელ სტენას ძველი თეატრის ნანგრევები და ექი ბასუზობდა. პიერი გულისძგერით ელოდა. ერთი წამის შემდეგ ანაპის სტკენა გაისმოდა – ციცაბოს წევრზე მეროლაცი ქარისაგან მისუსტებული, სწორედ პიერმა ასწავლა ანაპი ორი თითოთ სტკენა.

\* \* \*

ეს ყველაფერი კარგა ხანია, რაც დაიწყო და განა შეიძლება დღეს დამთავრდეს? ანაპი მაღალი ფანჯრის ღიობში შემომჯდარა და ზამთრის მზის სითბოს მიუხედავად ცახცახებს და პილებს ნერვულად აკრაჭუნებს. იცის, რომ მარტოა. იცის, რომ არავინ არის მასთან, თითქოს სიკედილს ელოდება. უნი ფიქრობდა, ძნელი არ არის სიკედილის მოლოდინიო. გულგრილი, კენჭივით მაგარი თუ იქნებოდი, შიში ვერ მოგერეოდა. დღეს კი თავის სამალავში განმარტოებულს, მთელი სხეული უძაგადებს. პიერი მაინც იყოს – გაამხნევებდა. ცდილობს დაუსტვინოს, მაგრამ ცახცახებს აუტანია, არ შეუძლია...

„ოჰეე-ჰეე!..“

მაგრამ მისი ხმა ქარში იკარგება.

სულგანაბული უსმენს. არ უნდა გამოეპაროს მნგრეველების მოსვლა. არ იცის, ვინ არიან ისინი. მაგრამ იცის, რომ სადაცა მოვლენ ორლამონდის კედლების ჩამოსან-გრევად.

ანაპი სულგანაბული უსმენს. უსმენს უცნაურ ხმაურს, ქარი რომ გამოსცემს ლითონის არმატურებზე, ცა-რიელ, დიდ დარბაზში, ქვის თაღებქვეშ მიხეთქებისას. ახსენდება, როგორ ამოვიდა პირველად მიტოვებულ თე-ატრში. ბეტონის გრძელი დერეფანი გაიარა. ცისა და ზღვის კაშკაშა სინათლის შემდეგ სიბრძლე ახრჩობდა. სახლ-ზმანებაში შეაბიჯა. მარმარილოს კიბები აიარა, მლეიმის შუქით განათებულ შიდა ეზოში შეყოვნდა. ჩა-მონგრეულ დეკორაციებს გახედა, ხვეულ ბორებს – ჩამ-სხვრეულ ვატრაჟებიან ჩარჩოებს რომ შესდეგო-მოდა, ამომშრალ შად-რევნიან ქვის აუზს და აცახცახდა, თითქოს პირველს ამოეცნო ამ თებაიდის\* იდუმალება. ასეთი უცნაური განცდა პირველად დაეუფლა. თითქოს ვიღაც მიმა-ლულიყო და უთვალ-თვალებდა. თავდაბირ-ველად შეკრთა, მაგრამ ეს მტრული მზერა რო-დი იყო, პირიქით, მშვი-დი, შორეული, სიზმა-რეული მზერა, რომელ-საც ყოველი მხრიდან გრძნობდა – გარს ევ-ლებოდა, იჭრებოდა მასში. უკან გაბრუნდა, მოზუზუნე ქარის მუსი-კას გაჰყვა, ქარისა, ლითონის არმატურებს მიტოვებული თეატრის ჭერს რომ ახეთქებდა. ნელი და გამაყრუებელი მუსიკა აფიქრებინებდა გარეთ, ცის თვალისმომჭრელ სინათლეში დაფვრინავო.

მოდიან, საცა მოვლენ. ორლამონდი უკვე მესრებითა და ეკლიანი მავთულებლართებითაა შემოფარგლული. პლაკატები გაუკრავთ, სასტიკი სიტყვები ბრძანებებივით წაგრძერიათ:

ფრთხილად მშენებლობაა  
სასიკვდილოა

კარიერებს აფეთქებენ

ყყითელი მანქანებით მოუყვანიათ. ამნე, უზარმაზარ კავს ქარი რომ ურჩევს, კომპრესორები, ბულდოზერები და მანქანა – დიდი შავლითონიანი სფეროთი. პიერი ამ-ბობს, კედლების ჩამოსანგრევად არისო, ქალაქში უნა-ხავს – ძლიერად იქნებს და სახლებს უმიზნებს. ისინიც ქვიშის სახლებივით ინგრევიან.

\* ეს სიტყვა ფრანგულ ენაში მადამ დე სევინემ (1674 წ.) დაამ-კვიდრა. ძველი ეგვიპტის მხარე, ქრისტიან ასკეტთა განსამარტოებელი

უკვე რამდენიმე დღეა, მანქანები აქ უყენიათ. ანაპი კი თავის სახლში, კედლის თავზე ელოდება. იცის, თუ წავა, მნგრეველები მანქანებს აამოძრავებენ და ყველა კედელს დაანგრევენ.

მალლიდან მათი ხმა მოისმის. ორლამონდში მთავარი გზით შემოდიან, ეკალპარდებით მოფენილ ტერასებიან ბალებს გადაკეთენ, რომელსაც მოხეტიალე კატები აფარებენ თავს. ანაპს ესმის მათი ჩექმების ბაკუნი ცე-მენტის სახურავებზე, მიტოვებული თეატრის დერეფ-ნებში. გაქცეულ კატებზე, ხვლიკებზე ფიქრობს, ათ-რთოლებული პირით ნაცრალებში რომ გარინდულან. გული უფრო ძლიერად და ხშირად უცემს, მასაც უნდა გაიქცეს, ციცაბოს ძირში, წაგრევებში ჩაიმალოს. მაგ-

რად ვერ ბედავს, ადგი-ლიდან ვერ იძვრის. ეშინია, მუშებმა არ და-ინახონ. ჩარჩოში იუნ-ტება, ფეხმორთხმულს ხელები სვიტრის ჯიბე-ებში ჩაუმალავს.

დრო მიიზლაზნება, როცა ნგრევა მოაქვს. თვალმოჭუტული ანაპი ცას შეჰყურებს – სა-ნუკარ ცას, ჩიტებით, ბუზებით და ობობას ქსელებით დაფარულს. შორეული ზღვა რკინის ფირფიტას მიაგავს – მაგრას, ლაპლაპას, მო-ელვარეს. ქარი ძლიე-რად უბერავს, ცივი ქა-რი - პატარა გოგონას სხეულს უყინავს და თვალებს ცრემლებით

უვსებს. ელოდება, ცახცახებს. უნდა, რომ რაღაცამ იფეთქოს, დიდი ყვითელი მანქანები აამოძრავდნენ, ბო-ლოსდაბოლოს მიახეთქონ ძველ კედლებს სანგრევი ურო, მაგრამ არაფერი ჩანს. მხოლოდ იქ, სადღაც, ტერა-სებზე, ძრავის ოდნავი, ყრუ გუგუნი და სამტვრევი – ჩა-ქურის ხმა გაისმის. მზე როგორც კი ზამთრის შუადლის წევულ ადგილს აღნევს, ანაპი სტვენას იწყებს და კვლავ მოუხმობს თავის მეგობარს: „ოპე-ჰეე!..“

მაგრამ არავინ პასუხისმას. შესაძლოა, მიხვდნენ, მას-თან რომ აპირებდა წასვლას და კლასში, სკოლის მაღალ კედლებში გამოკეტეს. შესაძლოა გამოტეხვა სურთ და დაკითხვას უწყობენ. მაგრამ აკი შეჰყიცა ანაპს – მარ-ჯვენა ხელი ასწია, მარცხენით კი ხელი ჩასჭიდა, იცის, რომ არ გათქვამს.

სიჩუმე ჩამონილილა მშენებლობაზე, შუადლეა. მნგრეველები საუზმობენ. ან იქნებ სამუდამოდ გაშირ-დნენ აქაურობას? ანაპი იმდენად დაიღალა ლოდინით, შიმშილითა და წყურვილით, რომ ვეღარ გაძლო და თავი მარჯვენა მხარზე ჩამოდო. მზე უთვალავ ვარსკვლავად ეფინება ზღვას, ცეცხლის გზას ხსნის, რომელზეც მიცუ-რავ, რომელსაც მიჰყვები.



მხატვარი მზია დედანაშვილი

შესაძლოა, ეს სიზმარიც იყოს. ვარსკვლავების გზის ბოლოს დედა ელოდება, ფეხზეა, ღია ნაცრისცერ კაბაში გამოწყობილა, შავ თმაზე, შიშველ მხრებზე ნათელი დასთამაშებს. შეცვლილია, ისეთი მსუბუქია, როგორც უწინ, პლაშიდან რომ ბრუნდებოდა და წყლის წვეთები ნელა, ლივლივით ჩამოსდიოდა მელავებზე. მშვენიერი და ბერიერია, თთქმოს არასოდეს არ უნდა მოკვდეს. სწორედ მის დასანახად ამოდის ანაპი, აქ, თავის სამალავში, კედლის თავზე. და კიდევ ეს მზერა, თვალს რომ არ აშორებს – უცნობი მოხუცი კაცის მზერა, მოხუცისა, აქ, ამ ნანგრევებში რომ ცხოვრობს. პირველად სწორედ მან ამოიყვანა ამ კამარიან ფანჯრამდე, ზღვის მთელ სივრცეს რომ გადაწყურებს. თვითონ კი სხვაგან არის, მშვიდი და შორეული, ოდნავ სევდიანიც. მუდამ ზღვას უწვენებს. ანაპს უყვარს მისი მზერის შეგრძნება, აქ, მასა და მის გარშემო ყველაფერს რომ ეფინება – ცემენტის ჭველ კედლებს, ჩამონგრეულ ტერასებს, დაკიდებულ ბაღებს, რომლებსაც ჭანგები და აკანთოები დაპატრონებიან.

რატომ მოინდოეს ყველაფრის დანგრევა? როცა  
ანაპმა პიერს უთხრა, სიკედილიც რომ მემუქრებოდეს,  
მაინც ზემოთ, სახლში დავორჩებიო, მან არაფერი უპასუხა.  
მაშინ დაიფიცა, არავისთვის გამოშულავნებინა მისი ად-  
გილსამყოფელი, გინდ ეცემათ, გიზდაც ფეხის გულები  
სანთლით დაეწვათ.

უკევი მდგრენი ხანია, აქაურობა მხოლოდ მას ეკუთვნის, სხვას არავის. თითოეული ქვა, თითოეული ქონდრის კონა, თითოეული ეკლის ბუჩქი მისთვის ახლობელია. თავ-დაპირველად ეშინოდა ორლამონდის – ამ დაუსახლებელი და უკაცრიელი ადგილის, რომლის მიტოვებული თეატრი ავი სულებით დასახლებულ სასახლეს მიაგავდა. პიერი აქ არასოდეს ამოსულა. მას ერჩივნა ქვემოთ, ნანგრევებში ჩამაღლულიყო და ეთვალთვალ. სწორედ პიერმა აკონიბა ანაჟს მნგრეველების პირველი გამოჩენა. ჯერ სულმოუთ-ქმელად მიაყარა, შემდეგ კი რამდენიმეჯერ გაუმეორა, რადგან გოგონას ვერ გაეგო, რაში იყო საქმე; მიხვდა თუ არა, მაშინვე ძლიერმა სიცივემ აიტანა, თავტრუ დახხვა, თითქოს გული მისდისო. შემდეგ ორლამონდისკენ გაექანა და დაინახა მესრები, ეკლიანი მავთულები, ნარჩერები, სულ მაღლა კი, მთავარ გზაზე შეყენებული დიდი, ყვითელი მანქანები, შემზარავ, ურჩხულისმსგავს მწერებს რომ მიაგავდა.

უეცრად აფეთქების ხმა მოესმა, საშინელი დარტყმები, ქვის კედელს რომ ანგრევს, თმას მტკრით უგსებს. თუკი ის ურო მძიმედ მიექანება, ძველი თეატრის კედლებს ეხეთქება. ანაპი ამას ელოდა, მაგრამ მაინც შიშისგან თავს ვერ იკავებს და ყვირის. მთელი ძალით ფანჯრის რაფას ებლა-უჭება, კედელს ეკვრის. დარტყმების ხმა მატულობს, ხან-გრძლივი, გაძნეული, მაგრამ იმდენად ძლიერი, რომ გო-გონას სხეული უცახცახებს, იტანჯება. ჩამონაგრული კედლები თავდაპირველად საშინელ ხმაურს გამოსცემს. მტკრის მჭახე სუნი ჰერში ტრიალებს. ნაცრისფერი ღრუ-ბელი, ცასა და ზღვას რომ აპფარებია, გუდავს მზეს, ანაპი უნდა დაიყიროს, კედელაფერი შეაჩეროს, მაგრამ შიში სძლევს და ზანზარი სიცარიელეს შეაგრძნებინება. კედ-ლების ნგრევის ხმა უფრო და უფრო ახლოვდება. უზარმა-

ზარი შავი სფერო ელავს, ეხეთქება, ინევა, ისევ ეხეთქება. ალბათ ყველაფერს დაანგრივენ, მთელ დედამიწას, კლებას, მთებს, შემდეგ კი მათ ნანგრევებსა და მტვრები ზღვა-სა და ცას ჩამარხსავენ. ანაპი ფანჯრის რაფაზე განოლილა, ელოდება დარტყმას, რომელმაც უნდა გაჭყლიტოს და ის სახლი დაანგრიოს, ასე რომ უყვარდა.

დარტყმის ხმა ახლოვდება. იმდენად ახლოსაა, რომ  
ფილტვებში გოგირდის მტკერსა და სუნს შეიგრძნობს, ნა-  
ჟერნელებს ხედავს, ზედ რომ აწვიმს. მთელი არსებით შე-  
იგრძნობს როგორ ეხეთქება მძიმე სხეული, ალაპბეჭზე,  
ჯიუტად, როგორ ანგრევს კედლებს, ყრის იატაკს, დრეკს  
არმატურას, ნელ-ნელა მიიჩვევს ქვის კედლისკენაც,  
ზღვისა და ცის ნინ რომ ალმართულა.

შემდეგ, არ ვიცი რატომ, ყველაფერი ჩერდება. ისევ სიჩუმეა, ყოვლისმომცველი კაეშნით დამძიმებული. ყველაფერს მტვერი ფარავს, როგორც უულკანის ამოხეთ-ქვის შემდეგ. ისმის ყვირილი, ძახილი. მნგრეველები კედელს ჩამოჰყოლიან, ფანჯარას შემოჰყურებენ. ანაპი ხვდება – პიერმა გასცა. მან უამბო, მან მოყვანა ისინი. ახლა ეძახიან, ელოდებიან, ის კი ადგილიდან არ იძვრის.

მის წინ კაცი დგას. კიბით ამოსულა. ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილი შეჰვეურებს. „აქ რას აკეთებდ?“ მშვიდად მი-მართავს, ხელს უწვდის. „წამო, წავიდეთ, აქ ვერ დარჩე-ბი“. ანაპი თავს აქნევს. სუნთქვაშევარულია, ვერაფერს პა-სუხობს. ნგრევის სასტიკი, შემაძრნუნებელი ხმაური სხე-ულში ჩარჩა, თითქოს ხმას ვერასოდეს ამოიღებს. კაცი იხრება, გოგონა ხელში აპყავს, ძალიან ძლიერია, სამუშაო ხალათი მტკრითა და სამშენებლო ნაგვით აქვს დაფარუ-ლი, ყვითელი ქუდი მზეზე უდღავს.

ახლა კი გრძნობს ანაპი დაღლილობას. თვალები უნებლიერ ეხუჭება, თითქოს უნდა ჩაექინოს. კიბეზე რომ ჩავლენ, კაცი მინაზე ჩამოსვამს, მუშები უქრავად დგანან, ხმას არ იღებენ, ყვითელი ქუდები თვალისმონჭრელად უელავთ. პიერი მათ გვერდით დგას, მას შეჰყურებს. უცნაურად ეღიმება, თითქოს იმანჭება. მიუხედავად ტკივილისა, ანაპი უნდა გადაიხარხაროს. მხრებს იჩეჩავს და ფიქრობს, სხვა ადგილს ვიპოვით.

მზე აცხვენებს. მშრალი მტვერია. ანაპი სიცივისაგან კანკალებს, ყვთიელჩაქანიანი კაცი ცდილობს სამუშაო ხალათი მხრებზე მოახუროს, ის კი ხელიდან უსხლტება, უარობს. აქ მყოფ კაცთაგან ერთ-ერთი მისი სკოლის ზედამ-ხედველია – უზომიდ განიერ ნაბლისფერ კოსტუმში გამოწყობილი. ისნი ერთად მიუკებიან ფერდობს. იქ, მთავარ გზაზე, პოლიციის ლარჯი, მსუბუქი მანქანა ელით.

ანაპილ იცის, რომ არაფერს იტყვის, არასოდეს, არა-ფერს. სანამ პოლიციის მანქანას მიუახლოვდება, ნახევ-რად შეტრიალდება, უკანასკნელად გახედავს ქვის კლდე-ებსა და მოლივლივე ზღვას, ორლამონდი აღარ არსებობს. მხოლოდ ძველი, მტვრის სფერი ნანგრევებია. მოხუცი კა-ცის მზერა ნელ-ნელა შორდება, ჩამქრალი ცეცხლის ბო-ლივით. მაგრამ მზის ანარეკლი ზღვაზე ისე ძლიერად ბრწყინვას გოგონას სახესა და დაბინდულ თვალებში, რომ ამჟანუად ვერანაირი ძალმომრებით ვერ ჩააჭრობ.

ფრანგულიდან თარგმნა  
სოფიო ბენდიაშვილეა

\* \* \*

60-70-იანი წლების ქართულ მწერლობაში გაჩნდებოდა ახალი ცნება-მეტაფორა: თავისი თავის ძეგლი.

ცნება იყო ახალი, თორემ მოვლენა ძეგლი და ძველთა ძეგლი. ეგა, მწერალი-ბობოლას სახებას ეს თავისებური ნიუანსიც შეემატებოდა, შინაგანი იუმორით აფეთქებული და განზოგადებისათვის აუცილებელი.

ძალიან იმატებდნენ თავისი თავის ძეგლები.

სულისკვეთება გარეგნობაზეც გადადიოდა და მართლა მოარულ ქანდაკებებივით დაუყვებოდნენ ხოლმე ქუჩებს, გამოჩნდებოდნენ დერეფნებში, ჩასხდებოდნენ პრეზიდიუმებში.

### ბევრი აჟყვა და გადაჟყვა და ძეგლებს ამონტაჟებს.

აქვს ვახტანგ ჯავახაძეს ასეთი სტრიქონები და გულუბრყვილო მეტოხელი თუ ვერ მიუხვდება, ნეტა რა ძეგლებს ამონტაჟებენო, განვუმრტავთ, რომ ეს საკუთარი თავის ძეგლებია, რადგანაც მთელი ლექსი იმ აზრითა და განცდით განმსჭვალულა: არ მოგატყუოს სიმაღლემ, არც მოგატყუოს ტაშმაო.

ნულარ დაითვლი ტაშებსო, — ამასაც შეაგონებდათ, მაგრამ დამონტაჟების ხმაურში არ ესმოდათ ეს შეგონება.

გივი ალხაზიშვილი ამ დასს მწერლებისა ცოცხალ ქანდაკებად მოიხსენიებდა და ერთი პანია სატირულ ლექსს მათი პორტრეტის გამოკვეთას მიუძღვიდა.

### მოდით, ცოცხალო ქანდაკებებო, სქელი წიგნების კვარცხლბეკებზე ყინჩად შემდგარნო, ჩამოიარეთ ტომების კიბე!

ისე დადიხართ, თითქოს მინას ნაბიჯს ამაღლით.

„მინასთან დაბრუნების“ 20-იანი წლების მონიდებას ახლა ასე ეცვალა სახე: ჩამოიარეთ ტომების კიბეო.

პოეტური სტრიქონები სხვაც არაერთი მოიკრიბება, მაგრამ სანიმუშოდ ეს ორიც კმარა, ზოგადი განწყობილება კი საერთოა — ირანით გაუდენილი, და ლექსების ამ ციკლში ის ავტორებიც გამოიწეოდნენ, თვითონვე რომ თამაშობდნენ საკუთარი თავის ძეგლებს, ეგა, სხვათა ასეთივე თამაში ძალიან არ ეპიტნავებოდათ და ძრახავდნენ ყველას, ვინც სქელი წიგნების კვარცხლბეკზე ნამოჭიმულიყო.

და ამ ციკლიდან მაინცადამაინც ეს სტრიქონები იქნებ იმიტომაც გამოირჩა, რომ მათ შემქმნელთ საკუთარი თა-



ვის ქანდაკებად გადაქცევის საშიროება არასაღებეს დამუქრებიათ.

თქვენი მონა-მორჩილიც ყოველთვის ირონიულად შეჰყურებდა მოარულ ძეგლებს და შეუძლებელია გულში არ გალიმებოდა, როდესაც, ვთქვათ, შოთა ნიშნიანიძის ახოვან ფიგურას მოჰკრავდა თვალს გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ.

ვერც მზე აშინებდა, ვერც ქარაშოტი, ვერც წვიმა, თოვლი ხომ სულ არა — იქ უნდა მდგარიყო გაუნძრევლად.

ერთადერთი ეს ანუხებდა: ძალიან მორიდებული ვარ, მორიდებულობა საერთოდ კი კარგია, მაგრამ გადამეტებული არაფერი ვარგაო.

იქ გავლა-გამოვლა ვის აღარ უძღბოდა, უურნალისტები და მწერლები სულ იქ ტრიალებდნენ და ყველას მკაფიოდ ებეჭდებოდა მექსიერებაში მისი ფიგურა, რომელიც ქანდაკებისა გან ლამის სულ ველარ გაერჩიათ.

მარტოსულად ასვეტილიყო.

ასე ერჩივნა.

ხან მაინც შემოირკალებოდა პატარ-პატარა ქანდაკებებით, არქიტექტორთა ენაზე ბიუსტებად რომ უფრო ითქმის.

ამ ხატებას — საკუთარი თავის ძეგლისა — არც ერნესტ ჰემინგუეი მოაკლებდა ირონიას, თუმც მისი ირონია გაზავდებოდა იმ სითბოთი, თანაგრძნობას რომ სჩვევია.

იქნებ ვაჭარბებ და თანაგრძნობას მე მივაწერ „განუყრელი დღესასანაულის“ იმ პასაჟებს, ფრენსის სკოტ ფიც-ჯერალდის პორტრეტი რომ იხატება? ხან სარკასტულიცაა ჰემინგუეი ფიც-ჯერალდის ნარმოჩნისას მეტოხელის თვალში, განა არა, მაგრამ ალაგ-ალაგ თანაგრძნობაც რომ გამოერევა? ყოველ შემთხვევაში, ეს პასაჟი არა მგონია სარკასტით განმსჭვალულიყოს:

„ნომერში რომ შევპრუნდი, სკოტი ისევ ისე დამიხვდა — საკუთარ საფლავზე ამოკვეთილ ქანდაკებასავით, თვალები დაეხუჭა და ღირსეულის სიდინჯით სუნთქვადა“.

საკუთარ საფლავზე ამოკვეთილი ქანდაკება უფრო გარეგნული ხატია, თუმც იმ სულიერ სწრაფვაზეც უნდა მიანიმებდეს, რამაც ქართველ მწერალთა ერთი გუნდი მოარულ ქანდაკებად გადააქცია... ჩვენს თვალნინ აგერ-აგერ ახალი ძეგლებიც გამოიკვეთნენ!..

მათში, ძეგლებშიც და ახალუბლებშიც, შოთა ნიშნიანიძე სხვაზე უფრო კოლორიტული გახლდათ.

ასე რომ არ იყოს, რატომ მიჩნდება „სამშობლოს“ წინ ჩავლისას ისეთი სევდიანი განცდა, თითქოს ეს ქანდაკებაც სადღაც გადაეტანოთ და მისი ახალი ადგილსამყოფელისათვის ველარ მიგვეკვლიოს?..

\* \* \*

თამუნა ჩიხლაძეს ზედიზედ მოუ-  
ნევს მარიო ბენეფეტის ნოველების  
აწყობა, ერთმანეთზე უფრო მისტი-  
კურისა და გულისშემძვრელის, წუ-  
თისოფლისა და მიცვალებულთა სა-  
უფლოს ღრმა შინაგანი კავშირით აღ-  
ვსილის, სრული ძალდაუტანებლო-  
ბით რომ გადი-გადმოდიან ერთი სამ-  
ყაროდან მეორეში გარდაცვლილთა  
სულები.

სულ ამ ნოველებზე ლაპარაკობს.

რედაქტიონიში უამრავი მასალა შე-  
მოდის, რამდენს ჩვენ თვითონვე ვუკ-  
ვეთთ, და როდესაც მოვინდომებთ,  
რომელიმე გერმანისტს აუცილებ-  
ლად ვთხოვთ გრიგოლ რობაქიძის  
პოლიტიკური ესეებს თარგმანა ბერი-  
ტო მუსოლინიზე, ნანა გოვოლაშვილს, თითქოს ჩვენს  
გულში იჯდაო, კიდეც მოაქვს ეს თარგმანი და მაშინვე  
თამუნას გადავცემ, რათა საჩქაროდ ააწყოს.

ჯერაც ხელში უჭირავს და, რომ უნდა მოიმართოს და-  
საჯდომად, ტელეფონი აწერიალდება.

მთლად მყაფიოდ არ ისმის ხმა, მაგრამ შორეთიდან მა-  
ინც აღწევს:

— გრიგოლ რობაქიძე გახლავართ, ხომ ვერ მეტყვით,  
ჩემი მასალა მოიტანეს თუ არა?

— ვი-ინ?

ამას ფერი მისდის, ხმა უკანკალდება.

— გრიგოლ რობაქიძე.



მეგობრული შარუები  
კარლო ფაჩულიასი

— ეს წუთია გადმომცეს.

— ძალიან კარგი, დიდი მადლობა.

ის კი ემშვიდობება, მაგრამ ეს  
ძლივს გამოლასლასდება: წყალი!..  
ვასული იერებთ.

მიყურებს, მიყურებს, მითხრას თუ  
არ მითხრას. ვინ იცის, როგორ შევ-  
ხდები მის ნათქვამს, არადა, გულ-  
შიც ვერ ჩაუტოვებია.

— გრიგოლ რობაქიძე მელაპარა-  
კა... გრიგოლ რობაქიძე... ჩემი მასა-  
ლა ხომ არ მოუტანიათო. ვუთხარი, ეს  
წუთია გადმომცეს-მეთქა.

— ვინ გადმოგცა, აქ რომ მიდევს  
მისი ნოველა? — მაკა ჯოხაძე ჩაერე-  
ვა.

— წყალი, — ისევ ითხოვს თამუნა.

ასეთები მომხდარა, ძვირფასო მკითხველო, როდესაც  
სოფელში ცხოვრობს ორი მარინე, ორივე გიორგის ასული  
და ორივე ფერაძე?!.

და როდესაც ლიტერატურის სარბიელზე კალამს მო-  
სინჯაეს კიდევ ერთი გრიგოლ რობაქიძე, ვინც ყოველ-  
თვის კობად იხსენიებს საკუთარ თაგს, თუ ოფიციალურ  
გვარ-სახელს არ აწერს, და რედაქტიაშიც ყოველთვის ასე  
რეკავდა: კობა რობაქიძე ვარო.

მაინცდამაინც ახლა მოუნდა გრიგოლ რობაქიძეობა —  
თამუნას ბედზე, როდესაც ხელში უჭირავს „მუსოლინ“  
და ისეთი შეძრულია ბენედეტის ნოველებით, სულ მათზე  
უნდა ლაპარაკა.

\* \* \*

— გიორგი ლობჟანიძეს ვეძებ, — კავკასიურ სახლში სტუდენტი გოგონაა მისული.  
გიორგი გამოიეცება.

— გიორგი ლობჟანიძე მინდოდა, — იმეორებს გოგონა.

— მე გახლავართ.

გოგონა ტუჩის აიბზუებს.

— თქვენ კი არა, პაპათქევენ გიორგი ლობჟანიძეს ვეძებ.

— პაპაჩემს? — ის გაოგნებული შემოსცექერის.

პაპა... პაპას იმიტომ, რომ რაც ჰკითხა თავის ლექტორებს, ყველაფერზე ეუბნე-  
ბოდნენ — ეგ მარტო გიორგი ლობჟანიძეს ეცოლიერებაო. დაუგროვდა, დაუგროვდა ასეთი შე-  
კითხვები და, უკეე რომ ალარ ეგვიანებოდა, კიდეც მიაკვლია მის ადგილსამყოფელს... მაგრამ ეს  
ვიღაც სხვა უნდა იყოს. ასეთ ახალგაზრდა კაცს ამდენი რამე საიდან ეცოლინება, ყველა სანიმუშოდ  
რომ იმოშებს. ამიტომ... ამიტომ ან თვითმარქებაა ვიღაც, ანდა იმ გიორგი ლობჟანიძის ოჯახის წევ-  
რი. შეიღო? არა, ამის მამაც ვერ მოასწრებდა ამხელა ცოდნის დაგროვებას.

ერთადერთი გზა რჩება.

— თქვენ კი არა, პაპათქევენს ვეძებ.

— პაპაჩემი ნაპახტევეს სასაფლაოზე წევს რახანია, — უხსნის გიორგი.

— აბა, მე სად მაგზავნიან?!. — გოგონა წყენას ვერა ფარავს.

— მე ხომ ვერ დაგეხმარებით?

— თქვენ? ვერა, თქვენ ვერა!..

... ის კი წევს — პაპა ლობჟანიძე — ნაპახტევის სასაფლაოზე და ალარ ანუხებს წუთისოფლის ალარც სამ-  
დურავი, ალარც საზრუნავი.



მძიმედ დაჭრილი და სა-  
სიკვდილოდ განწირული  
რობერტ ჯორდანი ევედ-  
რება თავის ესპანელ სატ-  
როვს, სახელად მარიას,  
აქედან უნდა წახვიდე, მაგრამ გჯეროდეს, მეც შენთან  
ერთად წამოვალო; მე მუდამ იქ ვიქნები, სადაც შენ იქნე-  
ბიო.

მძიმედ დაჭრილი ამერიკელი მოხალისე რჩება სიკ-  
ვდილთან პირისპირ, მაგრამ ასწრებს, რომ კიდევ ერთი  
ფრანგისტი გაიყოლოს იმქვეყნად.

ასე მთავრდება ერნესტ ჰემინგუეის რომანი „ვისტვის  
რეკს ზარი“, გამოქვეყნებული 1940 წელს, რომელიც მა-  
შინვე იქცა ბესტსელერად. ერთი წლის მანძილზე გაიყიდა  
ერთი მილიონი ეგზემპლარი. ამგარი ტირაჟი ვერც კი და-  
ესიზმრებოდათ ფოლკნერსა თუ ფიცხერალდს. რა თქმა  
უნდა, საამსოდ არ კმარიდა ნანარმოების მხატვრული  
ლირსებანი. მისი პოპულარობა, გარკვეულნილად, განაპი-  
რობა ეგზოტიკურმა ანტურაუმა – რომანტიკული ესპანე-  
თი, სამშობლო დონ-კიხოტისა, სადაც მიღინარებდა სა-  
მოქალაქი ომი ანუ მეორე შსოფლიო მისი პრელუდია.

ჰილივუდს, რასაკირველია, არ გამოეპარებოდა ასე-  
თი საკბილო.

ჰემინგუეიმ თავად შეარჩია ორი მთავარი გმირის შემ-  
სრულებელი, მისი რომანის მიხედვით შექმნილ ფილმს  
რომ მოერგებოდნენ. ესპანელი ყმაზილქალის მარიას  
როლზე ყველას ამჯობინა ამომავალი კინოვარსკვლავი,  
ნარმოშობით შვედი ინგრიდ ბერგმანი, ხოლო რობერტ  
ჯორდანის როლზე – უკვე სახელგანთქმული გარი კუპერი.

პროდიუსერმა დევიდ სელზნიკმა უსაზღვროდ ბედ-  
ნიერი ინგრიდი შეახვედრა მწერალს. ყურები როგორი  
გაქვს? – მოულოდნელად ჩაეკითხა ჰემინგუეი. მარიას  
მოკლე თმა უნდა ჰქონდა (ფრანკისტებმა ხომ თავი გა-  
დაპარსეს და თმა ის-ის იყო ამოსდიოდა).

ინგრიდმა გულწრფელად გაუზიარა თავისი შეცუნე-  
ბა მწერალს: „უცნაურად მეწევნება, რომ თქვენ ამ რო-  
ლისთვის შემარჩით. მე ხომ ჩრდილოელი ვარ, მარია კი  
შავგვერემანი უნდა იყოს“. ჰემინგუეიმ დაამშვიდა: „მე მი-  
ნახავს თქვენსავით ტანმაღალი და ქერათმიანი ესპანე-  
ლები. ნუ ღელავთ, თქვენ მიღებთ ამ როლს“.

ინგრიდი მაინც ღელავდა, რადგან იცოდა, რომ გა-  
დამწყვეტი სიტყვა ეკუთვნოდა კინოსტუდიას. და მარ-  
თლაც, გარკვეული ფინანსური მოტივებით, მარიას  
როლზე დაამტკიცეს ცნობილი მსახიობი და ბალერინა  
ვერა ზორინა.

მაგრამ როცა სტუდიაში ნახეს პირველი კადრები  
ფილმისა, მიხედნენ, რომ ზორინა არ გამოდგებოდა. მა-  
რიას უწევდა წონიალი კლდე-ლრები, ბალერინა კი ში-  
შობდა, ფეხები არ დამიშავდეს. ინგრიდ ბერგმანი ამ-  
ბობს, მისთვის ფეხები ისევე ძვირფასი იყო, როგორც  
ჩემთვის პირისახო. გამოქანებული მატარებლის დანახ-  
ვაზე, უპირველეს ყოვლისა, სახეს დავიფარავდი, ვერა კი  
– თავის ფეხებსო.

თმას თუ შეიჭრიო? – ჰკითხეს ინგრიდს.

თმას კი არა, მზად ვარ, თავიც მოგაჭრევინოთ,  
ოღონდ კი მარია ვითამაშოო, – ალტენინებით განაცხადა  
ინგრიდმა.

## ჟველაზე ზირვეული მაყურებელი

მეორე დღეს სელზნიკა  
ტელეფონით ამცნო: „ინ-  
გრიდ, შენ მარია ხარ!“  
გადაღება მიმდინარე-  
ობდა ლოს-ანჯელესიდან  
450 მილის დაშორებით, სიერა-ნევადას მთებში.

იქ საშინელი ჰავა ყოფილა. დილაობით სიცივისგან  
აძაგასებდათ, შუადლისას მცხვნვარე მზის ქვეშ იხ-  
რუკებოდნენ და ლამით კი ზამთრის სუსხში ითოშებოდ-  
ნენ.

ფილმის შეფასება ერთგაროვანი არ აღმოჩნდა.

აი, რამდენიმე ამონანერი ამერიკულ პრესაში გამოქ-  
ვეყნებული რეცენზიებიდან:

**ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი:** „მშვენიერი ლიტერა-  
ტურის ეკრანზაფიამ ტრიუმფით ჩაიარა“.

**დეილი ნიუსი:** „ფილმში იმდენი რამ არის ამაღლ-  
ვებელი და საინტერესო, რომ სინანულით უნდა აღ-  
ვნიშნო – ფილმი კიდევ უფრო გაჭიანურდა, ვიდრე  
სპექტაკლი“.

**ნიუ-იორკ ტამბისი:** „ჰემინგუეის საუცხოო რომანმა  
ეკრანზეც შეინარჩუნა პერსონაჟთა ბრწყინვალება“.

**სკრინი:** „წიგნი დელიკატურად გამოშიგნეს და რომა-  
ნის შინაარსი მიიჩქმალა. სურათმა სუსტად გამოხატა  
სასტიკი რეალობა იმ სამყაროსი, რომელშიც ჩვენ  
ვცხოვრობთ“.

**ტამბი:** „რაც არ უნდა ლამობდნენ ზარის რეკვის მი-  
ჩუმათებას, უნდა ვალიაროთ, რომ ოცდაშვიდი წლის  
შვედმა კინომსახიობმა ქალმა დარეკა ზარი ისეთი ძა-  
ლით, როგორიც არ გვსმენია მას შემდეგ, როდესაც მისმა  
სახელოვანმა თანამემამულემ გრეტა გარბომ მოხიბლა  
ნახევარი მსოფლიონ“.

ინგრიდ ბერგმანის სიტყვით, ჰემინგუეის რომანის  
მთლიანად გადატანა ეკრანზე, ცხადია, შეუძლებელი  
იყო. ძირითადი პოლიტიკური ხაზი დარჩა კადრს მიღმა,  
რადგან ჰილივუდში შიშობდნენ, რომ ვიღაც-ვილაცებს  
ეს არ მოეწონებოდათ. მათ არც კი უცდიათ იმის გარკვე-  
ვა, ვინ იყო იქ მართალი და ვინ იყო მტყუანი. ხოლო ჰე-  
მინგუეის მეცრად ჰქონდა განსაზღვრული, თუ ვის  
უჭერდა მხარს.

ინგრიდ ბერგმანს უკითხავს ჰემინგუეისთვის: „ნახეთ  
ფილმი?“

ვნახე, ხუთჯერ ვნახეო.

ინგრიდს საშინლად გაუხარდა: „ხუთჯერ! ასე ძალიან  
მოგეწონათ?“

ჰემინგუეის ცივი წყალი გადაუსხამს:

„სულაც არ მომწონებია. პირველი ხუთის შემ-  
დეგ ველარ გაუქერელი და გარეთ გავედი. ამოჭრილია რო-  
მანის საუკეთესო ადგილები, არავითარი აზრი აღარ  
დარჩენილა. მერე მაინც დავბრუნდი დარბაზში. ვიფიქ-  
რე, ბოლომდე უნდა ვნახო-მეთქი. კიდევ ცოტახანს ვუ-  
ყურე და ისევ გავედი გარეთ. ხუთი გასვლა-შემოსვლა  
დამჭირდა, რომ ბოლომდე გამეძლო ფილმისთვის. აი,  
როგორ მომეწონა!“

კინოში ბედი არა სწყალობდა. დიდებული ამერიკელი  
მწერალი თავს, ალბათ, იმით ინუგეშებდა, რომ კარგი  
ლიტერატურა იშვიათად თუ გარდაქმნილა კარგ ფილ-  
მად.

„საქართველოს დემოკ-  
რატიის მთავრობა გაიცეა  
ევროპაში მას შემდეგ, რაც  
ეროვნული კატასტროფით დაამთავრა მოღვაწეობა იმ ქვეყა-  
ნაში, რომელმაც მას ყველაფერი ანდო, რომელიც მას ერწმუ-  
ნა სავსებთ“, – ასეთი მკაცრი ვერდიქტი გამოიტანა დამოუ-  
კიდებელი საქართველოს ხელისუფლებას ზურაბ ავალიშ-  
ვილმა, სულხან-საბა ორბელიანის დარად რომ იარებოდა და-  
სავლეთ ევროპაში ქრისტიანისა და მფარველის საძიებლად.  
ისიც უძინდოდ იარებოდა თავისი წინამორბედივით და ისიც  
უცხოეთში აღესრულა.

საქართველოში კი მოდიოდა ახალი ხელისუფლება – სას-  
ტიკი და დაუნდობელი.

ნიკოლო მინიშვილის ნარკვევში „თებერვალი“ მოიპოვება  
უნიკალური ინფორმაცია 1921 წლის გაზაფხულზე შექმნილი  
ვითარების შესახებ.

ვკითხულობთ ბათუმში გამართული დამფუძნებელი კრე-  
ბის სხდომის ანგარიშს და გვეჩერენა, რომ ჩვენს თვალწინ  
მარტოოდენ ნარსული როდი ამეტყველებული.

აი, ნაწყვეტი ერთ-ერთი ორატორის გამოსვლის ტექსტი-  
დან: აქ აღარ არიან ისინი, ვისაც დღემდე ენოდებოდა საქარ-  
თველოს მთავრობა; ვისაც თავი მოპქონდა ხალხის მესვეუ-  
რად, მის ბელადად, ხელმძღვანელად ხალხისა... მთავრობა  
ნავიდა, შეიძლება ვთქათ, გაიქა მთავრობა. გაიქა, მოქა-  
ლაქენო, და არც კი მოიხედა უკან. დაიგრძეა სინდისა, ნამუსი,  
ზენება და პატიონება.

ახლა მეორე ორატორის ვათხოვოთ ყური: ქართველი ხალ-  
ხი მოატყუეს, გააპახეს, გააუპატიურეს, ლეჩაქი მოხადეს მი-  
სივე შეიღება. ქართულ მთავრობაში არ გამოჩნდა არც ერ-  
თი ჰატიონისა ადგინა, არც ერთი კეთილშობილი მოქალა-  
ქე... ისინი წავიდნენ უსირცხვილოდ, უტიფრად. მიატოვეს  
თავისი მრევლი, მატოვეს შიშველი და მშიერი ჯარი სიცივე-  
ში... წავიდნენ და წარიტაცეს ქინება და სიმდიდრე ერისა;  
ისედაც ლარიბი და დარბეული ხალხის სიმდიდრე.

მესამე ირატორი ამბობდა: იდგა აქ მინისტრი, ლაპარა-  
კობდ სიცრუეს თურმე, ტყბილ სიცრუეს ლაპარაკობდა...  
უცხოურ გემზე გადაბარგდნენ და საგზლად წაიღის ხალხის  
ქონება. ისინი ფიქრობდნენ, რომ საქართველო მათი სამ-  
ფლობელი იყო და მეფობდნენ აქ თავისუფლნი სინდისის-  
გან, პატიონებისგან... ვთხოვდით მოეწყოთ შინაური ცხოვ-  
რება, ისინი ამყარებდნენ ანარქიას და ტერორს.

ასე ემშვებობებოდნენ ძველ ხელისუფლებას და ილუზი-  
ებით იტყუებდნენ თავს.

მაგრამ ზოგ-ზოგთა იპტიმისტურ განწყობილებას აქარ-  
ნილებდა მითქმა-მოთქმა, რომელიც შიშა და პანიკას თე-  
სავდა მოსახლეობაში.

ნიკოლო მინიშვილის სიტყვით, ყველა დარწმუნებული  
იყო, რომ ბოლშევიკები დაარბევდნენ მაღაზიებს, საწყო-

## ხელისუფლება და ხელოვება

ბებსა და მოქალაქებსაც.  
შემდეგ დახვრეტდნენ ოფიც-  
რებს (უთუოდ ყველას), გან-  
საკუთრებულ რაზმს (პირნმინდად), პარტიულ ხალხს (ბო-  
ბოლებსაც და წვრილებებსაც), სპეცულანტებს (უეჭვე-  
ლად).

„დაახლოებით ასე ფიქრობდა ყოველი მოქალაქე“, – წერს  
ნიკოლო მინიშვილი და იქვე დასძენს: დანამდვილებით კი სი-  
ნამდვილე არავინ იცოდა.

ძალიან მაღა შეიტყობერ სინამდვილეს, ძალიან მალე...

არსებობს ზეპირი გამომიცემა, რომ მწარე ფიქრებში ჩა-  
ძირული ნორ უორანი ბოლოთასა სცემდა ბათუმის ბულვარ-  
ზე. ვინ იცის, ეგბა არც კი ეგონა, რომ სამუდმოდ ტოვებდა  
საყარელ სამშობლოს. ვინ იცის, ეგბე მასაც სჯეროდა დარ-  
ხეული ჭორი, ხვალ თუ ზეგ ანტანტის ფლოტი მოადგება ბა-  
თუმს და ჯარს გადმოსხამს ნაპირზე.

მნარე ფიქრებში ჩაძირული ბოლოთასა სცემდა.

უეცრად შეეჩერება ცნობილ ქართველ მოქანდაკეს იაკობ  
ნიკოლაძეს, მთანმინდის პანთეონში ილია ჭავჭავაძის საფ-  
ლავზე დადგმული ძეგლით („მწერარე საქართველო“) რომ  
მოეხვეჭა სახელი. ჯიქურ ეკითხება: იამა, აქ რას აკეთებო?  
მოქანდაკე მიუვებს: ბოლშევიკები მოდიან და თავს უნდა  
ვუშველოო. უორდანი გაოცებას ვერ მალავს: კი მარა, შენ რა  
დაგიშავებია, ვინ რას გერჩისო?

ნიკოლაძე მოთმინებით უხსნის ქართველ მენშევითა  
ლიდერს: შენი ბოუსტი რომ გამოვძერწე, ამას ვინ მაბატიებს,  
უეჭველად დამხვრეტებ ანდა საჯაროდ ჩამომახრიობენ.

უორდანია ანყნარებს: ხომ არ გაგიჟებულხარ, აქედან ფე-  
ხი არ მოიცავლოთ!.. და სიცილს ვეღარ იყავებს: ბიჭი, რამ-  
დენ მეერავ ჩემთვის კოსტუმი შეუკერავს და რამდენ მენა-  
ლეს – ფეხსაცმელი, ყველა რომ გაუჟუონ, ტანკებშიშველი  
ხომ არ ივლიანო?!

გასწრა ბოძენი პოლიტიკოსის შეგონებამ.

იაკობ ნიკოლაძეს არ მიუტოვებია სამშობლო, სალი  
კლდები არ გაუცვლია სხვა ქვეყნის სამოთხეზედა. დარჩა  
ბოლშევითა მიერ იყვაპირებულ საქართველოში. მაგრამ  
არც დაუხვრეტიათ და არც ჩამოუხრიათ. გადარჩა! 1922  
წელს დარსებული თბილისის სამხატვრო აქადემიის პირვე-  
ლი პროფესიონის გახდა. თითქმის ოცდათო წელი იცოცხლა  
კიდევ და წარმატებით აგრძელებდა ნაყოფიერ შემოქმედე-  
ბით მუშაობას. მიანიჭეს საქართველოს სახალხო მხატვრის  
წოდება, აირჩის სსრკ სამხატვრო აკადემიის წამდვილ წევ-  
რად. დაიმსახურა სტაბილური პრემია, ორდენები და მედლე-  
ბი. ერთი სიტყვით, პატივი და აღიარება არ აკლდა. მაგრამ,  
ვაღლახ, ჯილდოებს იმკიდა შემოქმედებითი თავისუფლების  
დაკარგვის ფსად.

ახლა თქვენ განსაჯეთ: უნდა უმადლოდეს თუ უნდა ემ-  
დუროდეს ნორ უორდანის?!

## ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკის საკონფერენციო დარბაზმა  
ტრადიციულად სამეცნიერო ღონისძიებას უმასპინძლა. 29  
სექტემბერს წაკითხულ იქნა საჯარო ლექცია ძალაუფლების  
„ქალური და მამაკაცური“ სქემები „ვეფხისტყაოსანის“.

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა  
ლელა იაკობაშვილმა საზოგადოებას შესთავაზა ვრცელი და  
ორიგინალური მოხსენება. განმარტა, თუ რას წინავს ძა-  
ლაუფლების კოსმიური მონაცვლეობის მითოლოგიური

სქემები და მისი ანალოგიები პოემიდან მოიხმო. კერძოდ,  
საშ სხვადასხვა ეთიკურ ტოპოსში: არაბეთის, ინდოეთის და  
გულანშაროს სამეფოთა ფონზე, ციტატების არგუმენტირე-  
ბული მოხმობით, საყურადღებო მოსაზრებანი იქნა გამოთ-  
ქმული.

ორგორც მოსალოდნელი იყო, მსმენელთა შორის, საჯა-  
რო ლექციამ, ინტერესთან ერთად აზრთა სხვადასხვაობა და  
შესაბამისად მძაფრი პოლემიკაც გამოიწვია.